

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი

სამი საუნჯე




1

მარტი, 2015


SUMMARY
РЕЗЮМЕ

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი
კვარტალური გამოცემა



სამი საუნჯე


№ 1(15), 2015



თბილისი
მარტი, 2015

სარედაქციო საბჭო

გიორგი გოგოლაშვილი, ბორის დარჩია, ანზორ თოთაძე,
გვანცა კოპლატაძე (რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ლომოური,
გრიგოლ რუხაძე (რედაქტორი), გრანი ქავთარია.



დაიბეჭდა საქველმოქმედო ორგანიზაცია
„სინერჯის“ ფინანსური მხარდაჭერით.

გამომცემელი შპს „სამი საუნჯე“.

ზეციური მცველი

გვანცა კოპლატაძე, აწყურის ღმრთისმშობლის ხატი 4

ქართლის ცხოვრება

ზურაბ ცუცქერიძე, მადლი და უმადურობა 7

გვანცა კოპლატაძე, სომეხთა ჩამოსახლება სამცხე-

ჯავახეთში XIX საუკუნის 30-იან წლებში 14

გრიგოლ რუხაძე, გლობალიზაციის ბედნიერი მონები 22

მამულიშვილნი

ელდარ ბუბულაშვილი, კონსტანტინე გვარამაძე –

სიძველეთა დამცველი 29

მამუკა ცუხიშვილი, გაიოზ რექტორი 49

ლიტერატურისმცოდნეობა. კრიტიკა

ბორის დარჩია, მეცნიერება და პატიოსნება 65

გიორგი გოგოლაშვილი, დავით კლდიაშვილი და ქართული ენა 87

ანტიკურობა

გრანი ქავთარია, შვიდი ბრძენი 111

თუზისები

ნიკო ბერძენიშვილი, თათართა ბატონობის ხანა 133


ვალერიან მაჭარაძე, რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში

და საქართველო 149

ჩვენი ავტორები 194

PE3IOME (რუს. თარგ. თამარ ფანცულაიასი) 197

SUMMARY (ინგ. თარგ. თეონა ჩადუნელისა) 204



გვანცა კოკლაბაძე

ანჭურის ღმრთისმშობლის ხატის ისტორია

ანჭურის ღმრთისმშობლის ხატი ყოველდღშიდა ღმრთისმშობლის პირველი გამოსახულებაა, რომელიც შემობრძანდა და დაემკვიდრა საქართველოში. მაცხოვრის ამალღების შემდგომ, ქრისტეს მოციქულებთან ერთად ღმრთისმშობელმაც იყარა წილი, თუ რომელ ქვეყანაში ერგებოდა ღმრთისაგან სახარების ქადაგება. საუფლო განგებით ღმრთისმშობელს წილად მახარებლობა იბერიის ქვეყანაში ხვდა, იქ, სადაც მისი სანატრული ძის კვართი იყო დაკრძალული. წმიდა ქალწულმა სიხარულით შეიწყნარა თავისი წილხვედრი ქვეყანა და მზად იყო გამოსამგზავრებლად, მაგრამ რადგან მისი მიძინება მოახლოებული იყო, გამოეცხადა მაცხოვარი და უთხრა: „ჰო, დედაო ჩემო, არა უგულუბელს-ვყო ერი იგი საზეპუროდ უფროდს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის, ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებულსა და თანა-წარატანე ხატი შენი, ვითარცა პირისა შენისა დადებითა გამოსახოს და შენ წილ ხატი იგი მკვდრობდეს მცველად მათდა უკუნისამდე ჟამთა“. ღმრთისმშობელმა უფლის ნება ამცნო ანდრია პირველწოდებულს: „შვილო ანდრია... წასვენე სახე ჩემი და სახე ძისა ჩემისა ქუეყანასა ჩემდა წილხდომილსა, რადთა მე ვიყო განმგებელ ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუჰყრა და შევეწიო და არავინ სძლოს მათ“. ღმრთისმშობელმა სახეზე მიიფარა ფიცარი, რომელზეც სასწაულებრივად გამოსახა სახე და ხატი დედა-ქალწულისა. ეს ხატი გადასცა მან ანდრია მოციქულს, დალოცა და შეწვენა და დახმარება აღუთქვა.

ანდრია მოციქული ხელთუქმნელი ხატით თავდაპირველად ტრაპიზონს, შემდეგ კი ქართლის იმ ნაწილს მოადგა, რომელსაც დიდაჭარა ეწოდება. აქედან დაიწყო ქრისტეს სიტყვის გავრცელება იბერიაში. ღმრთისმშობლის ღმრთეებრივი ხატის მადლით მრავალი

მონათლა და განიკურნა. როდესაც ანდრია მოციქულმა სამცხისკენ გადასვლა დააპირა, დიდაჭარის მკვიდრთა გულმხურვალე თხოვნით, რომელთაც მათდა მფარველად, ხატის დატოვება სურდათ, მოციქულმა ზეციური დედოფლის ნაბოძებ ხატს მისივე ტოლი ფიცარი დაადო, რომელზეც ღმრთისმშობლის სახე გამოისახა. ხელთუქმნელი ხატი დიდი პატივით დააბრძანეს ეკვდერში, თავად ანდრია კი სამცხეში, დაბა სოსანგეთში — აწყურში გადავიდა.

გულმხურვალე ლოცვითა და ღმრთისმშობლის შემწეობით, მკვდრეთით აღადგინა მან ქვრივი სამძივარის ვაჟი და კერპები შემუსრა. ამ სასწაულთა შედეგად მრავალი წარმართი მოექცა ქრისტეს რჯულზე. ღმრთისმშობლის ხატი აწყურის ტაძარში დააბრძანეს. სწორედ აქედან ეწოდა მას „ანჭურის ღმრთისმშობელი“. საუკუნეთა განმავლობაში მრავალი სასწაული აღასრულა აწყურის ღმრთისმშობელმა. 1283 წელს, აღდგომის წინა დღეს, მძლავრმა მიწისძვრამ დაანგრია სამცხის ეკლესია-მონასტრები. დაინგრა აწყურიც, მაგრამ ჩამონგრეული გუმბათი „ვითარცა ქუდი კაცისაჲ, ესრეთ თავსა დაერქუა“ შუა ტაძარში დაბრძანებულ აწყურის ღმრთისმშობლის ხატს, რომელიც „დარჩა უვნებლად ძლიერებითაჲე მისითა“.

1476 წელს საქართველოს ირანის მბრძანებელი უზუნ-ჰასანი შემოესია, რომელმაც დაარბია სამცხე, აწყურის ღმრთისმშობელი კი ტყვედ წაიყვანა. ამის გამო ირანს დიდი რისხვა დაატყდა თავს. შვიდი წელი ჰყავდათ დატყვევებული აწყურის ხატი და ამ ხნის განმავლობაში „არცა შობა დედაკაცმან, არცა პირუტყვემან, არცა ჰყო ხემან ნაყოფი, არცა მიწამან აღმოაცენა“. შეშინებულმა ირანელებმა ხატი ცხენს დააკრეს და გაუშვეს. ცხენმა გეზი საქართველოსკენ აიღო და აწყურს მოადგა. ღმრთისმშობლის ხატის დაბრუნებისთანავე, ხატის გატაცებით დამწუხრებული და ქართლში გადახვეწილი მესხები კვლავ მამა-პაპის მიწას დაუბრუნდნენ.

მეორედ, 1486 წელს იაყუბ ყაენმა გაიტაცა აწყურის ხატი, გაძარცვა იგი და აგიზგიზებულ ცეცხლში ჩააგდო, მაგრამ მომხდარი სასწაულით თვით ურჯულონიც გაკვირვებულნი დარჩნენ: „ცეცხლი იგი დაშრტა და ხატს არ შეეხო“. მიტაცებული ხატი უკან დააბრუნეს და დაასვენეს „საყდარსა თვისსა“. შემდგომშიც რამდენჯერმე შეუცვალეს ხატს ადგილ-სამყოფელი, თუმცა, ღმრთის ნებით, აწყურის ღმრთისმშობელი ყოველთვის თავის ადგილს უბრუნდებოდა.

სხვადასხვა დროს მეფეთა და დიდებულთა მიერ შემკული აწყურის ღმრთისმშობლის ხატი სადღეისოდ მუხეუმშია დაცული. ამ უწმიდესი ხატის სახით საქართველოს თვით ყოველდღშიდა ღმრთისმშობელი სტუმრობს უკუნისამდე ჟამთა, ვინაიდან სრული-


ად ნათელია, რომ მარადქალწულის მიერ საკუთარი ხელთუქმნელი ხატის წარმოგზავნა საკუთრივ მის მობრძანებას მოასწავებდა იმ ქვეყანაში, რომელსაც მისმა ძემ თავისი კვართი «ვიდრე ჟამადმდე» მიაბარა.

2015 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით, ხატმწერი ამირან გოგლიძის მიერ აწყურის ღმრთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის ასლი დაიწერა. მასზე იკითხება ვედრება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ისა: „მობრძანებამან შენისა ხატისამან, აწყურისად წოდებულმან, ნათესავი ქართველთა, წილხვდომილი ერი შენი, ბნელით ნათელსა შინა აღმოგვიყვანა და ანგელოზთა თანა ერთ სამწყსოდ შეგვრაცხა. შენს მეოხებას ნუ მოგვაკლებ, დედოფალო ცათა და ქვეყანისაო, დიდება შენდა. ამინ“.

უწმიდესისა და უნეტარესისავე ლოცვა-კურთხევით, ახლად დაწერილ ხატს სამღვდელოებასთან ერთად მორწმუნეები იერუსალიმში ჩააბრძანებენ და მაცხოვრისა და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის საფლავებს მოილოცავენ. შემდგომად ამისა, ხატს იტალიაში, ქ. ამალფიში გადაასვენებენ, სადაც წმ. ანდრია პირველწოდებულის წმ. ნაწილებია დაბრძანებული. საქართველოში ხატი 12 მაისს, როცა ქართული ეკლესია ანდრია პირველწოდებულის ჩვენს ქვეყანაში შემოსვლას ზეიმობს, იმავე გზით დაბრუნდება, რომელიც თითქმის ოცი საუკუნის წინ განვლო ყოვლადწმიდა ქალწულის ნაცვლად იბერიანში ქრისტიანობის საქადაგებლად წამოსულმა მოციქულმა.

დიდ-აჭარიდან ღმრთისმშობლის ხატს პირველად აწყურში ჩააბრძანებენ. ბორჯომისა და ბაკურიანის, ურბნისისა და რუისის, გორისა და ატენის ეპარქიათა გამოვლის შემდეგ, მორწმუნეები ხატს სვეტიცხოველში მიეგებებიან, ხოლო 17 მაისს აწყურის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატს თბილისში შემოაბრძანებენ, სადაც იგი ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძარში დაიდებს ბინას.

ვილოცოთ წინაშე აწყურის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა, რომლის შემწეობითაც წმ. ანდრია პირველწოდებულმა უმეცრებისა და სიბნელის ტყვეობიდან გვიხსნა და ჭეშმარიტ ნათელს გვაზიარა, როგორც საუკუნეთა წინათ, ახლაც სასწაულებრივად გვიხსნას მრავალრიცხოვან მტერთაგან, რომელნიც ჩვენს ქვეყანას ისევ უმეცრების ბნელსა შინა დაბრუნებით ემუქრებიან.



ზურაბ ცუცქერიძე

გადლი და უგადურობა

ისტორიის უცოდინარი ან ძალიან უმადური და ცოტა ჭკუასუსტიც უნდა იყოს ის ადამიანი, ვინც ვერ ხედავს იმას, რომ რუსეთთან შეერთების შედეგად გადარჩა საქართველო სულიერადაც და ფიზიკურადაც. ვაი და უიპატრიოტი თუ არ არის კაცი, იმასაც უნდა ხვდებოდეს, რომ შუა საუკუნეების შემდეგ ქართველი ერის ჩამოყალიბება ახლიდან XIX საუკუნეში დაიწყო, როგორც ეს, თავის დროზე, იოსებ სტალინმა ბრძანა. ან კი როგორ უნდა ჩამოყალიბებულიყო ერთიანი ეთნოფსიქიკა ტერიტორიული მთლიანობის გარეშე?

აბა, მანამდე ვინ ვიყავითო — იკივლებს ვინმე ვაი და უიპატრიოტი. ვინ ვიყავით, ჩემო ბატონო, და ათ ნაწილად დაყოფილი ქართველური ტომები, რომელთაგან ზოგს სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ჰქონდა, თავისი მეფითა და ნაზირ-ვეზირებით; ზოგს სამთავრო და ზოგს სანჯაყი, ბეგებითა და ფაშებით. აი, ვინ ვიყავით!

იშვიათად, მაგრამ დიდი ქართველები მაინც ახერხებდნენ, ზოგჯერ, ქართველური ტომების ერთ სახელმწიფოდ (სამეფოდ!) გაერთიანებას მცირე ხნით, რაც ერთიანი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის საკმარისი არ იყო. მართლმადიდებლური ეკლესია იყო ერთადერთი ძალა, რომელიც, ასე თუ ისე, ინარჩუნებდა ქართველურ ტომებს შორის ნათესაურ კავშირებს.

ერთიანი ქართული ცნობიერების ჩამოყალიბება ქართული ეროვნული სკოლის დამსახურებაა, რისთვისაც დღენიადავ იღვწოდნენ ქართველი მამულიშვილები, ხოლო ქართველმა სამოციანელებმა, დიდი ილიასა და იაკობ გოგებაშვილის მეთაურობით, ქართველთა შორის განათლების გავრცელება უპირველეს ეროვნულ მრწამსად

აქციეს. რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე კი საქართველოში არც ერთი საერო სკოლა არ იყო! არც ერთი!

ერთი ეპიზოდი უნდა გავიხსენო, რომელიც უცხოელისათვის შეიძლება სასაცილო იყოს, ჩვენთვის კი ფრიად სათაკილოა. XVIII საუკუნის 90-იან წლებში, რუსეთთან საქართველოს შეერთებიდან ცოტა ხნის მერე, დასავლეთ საქართველოში თავად-აზნაურული „ბუნტი“ მოხდა. ხელისუფლების წარმომადგენლები შეხვდნენ ბუნტარ თავადებს და ჰკითხეს, რას „ბუნტარობთ“, რა გინდათ? ჩვენ გვინდა ისეთივე პრივილეგიები, როგორც რუს თავად-აზნაურობას აქვსო. მერე და, რას „ბუნტარობთ“, მისწერეთ კოლექტიური წერილი ჩვენს მეფეს და თქვენც მოგცემენ პრივილეგიებსო. დაუჯერეს „ბუნტარმა“ თავადებმა, დაწერეს თხოვნა რუსეთის მეფის სახელზე და... ორასი კაციდან მხოლოდ ხუთმა შეძლო პეტიციაზე ხელის მოწერა, დანარჩენებმა ჯვრის დასმა მოახერხეს მხოლოდ.

ეს ისტორიული ფაქტი ინფორმაციაა განსჯისათვის, მეტი არაფერი!

ახლა იმ უტყუარ, არასაკამათო ფაქტებს მივაქცევ თქვენს ყურადღებას, რომელსაც არა განსჯისათვის, არამედ დასკვნების გაკეთებისათვის შემოგთავაზებთ...

რუსეთის განათლების სამინისტროს 1786 წლის დებულების საფუძველზე საქართველოშიც იხსნებოდა „სახალხო სასწავლებლები“. პირველი ასეთი სასწავლებელი გაიხსნა 1802 წელს თბილისში, რომელშიც 45 მოსწავლე ჩაირიცხა. ამავე წელს დამტკიცდა სასწავლებლის წესდება. ეს იყო წოდებრივი სკოლა, რომელშიც თავადაზნაურების შვილები სწავლობდნენ. 1804 წელს გაიხსნა „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი“, რომელშიც თავადაზნაურების შვილებთან ერთად იღებდნენ სამღვდლოების, მოხელეებისა და ვაჭართა შვილებსაც. 1830 წელს ეს სასწავლებელი კლასიკურ გიმნაზიად გადაკეთდა. 1817 წელს გაიხსნა სასულიერო სემინარია სწავლების ექვსწლიანი კურსით. მან ზუსტად ასი წელი (1917 წლამდე) იარსება და ბევრი გამოჩენილი ადამიანი აღზარდა. ამ სემინარიისათვის კონტინგენტის მოსამზადებლად გაიხსნა რამდენიმე სასულიერო სასწავლებელი: თბილისში (1817 წ.), გორში (1818 წ.), სიღნაღში (1818 წ.), თელავში (1818წ.), ქუთაისში (1821 წ.), მარტვილში (1830). 1893 წელს თბილისში გაიხსნა სომხური გრიგორიანული სემინარია; დაარსდა, აგრეთვე, რამდენიმე კათოლიკური და მუსულმანური სკოლა.

1830 წელს დაარსდა რამდენიმე სამაზრო სასწავლებელი: თბილისში, ქუთაისში, გორში, სოფელ ნაოღალევეში (მარტვილის რაიონი), ახალციხეში, სიღნაღში, დუშეთში.

1835 წელს საქართველოში იყო ყველა ტიპის 90 სკოლა 1800 მოსწავლით.

XIX საუკუნის ორმოციან წლებში დაიწყო წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლების დაარსება. პირველი ასეთი სასწავლებლები გაიხსნა თბილისში (1846 წ.), ქუთაისში (1847 წ.), თელავში (1865 წ.). ეს სასწავლებლები ჯერ ექვსწლიანი იყო, 1864 წლიდან კი შვიდწლიანი გახდა. ისინი ამზადებდნენ საშინაო მასწავლებლებს.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში არსებობდა რამდენიმე სამხედრო სასწავლებელი. 1816 წელს გაიხსნა საარტილერიო სასწავლებელი, 1836 წელს დაარსდა დაწყებითი სამხედრო სასწავლებელი, სადაც უმცროს ოფიცრებს ამზადებდნენ. მათ შეეძლოთ სწავლის გაგრძელება სამხედრო გიმნაზიებსა და კადეტთა კორპუსებში. 1816 წელს დაარსდა თბილისის სამხედრო-საფერშლო სასწავლებელი, რომელმაც 1917 წლამდე იარსება.

არსებობდა კერძო სასწავლებლების საკმაოდ ფართო ქსელიც. 1835 წელს მათი რიცხვი 72-მდე გაიზარდა. განსაკუთრებით აღიარებული იყო რაევსკის, ჰაკეს, პერეირას, ახვერდოვას, იანიცკის სასწავლებლები. 1840 წელს პერეირას კერძო ქალთა სკოლა გადაკეთდა ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტად.

1851 წელს საქართველოში უკვე არსებობდა სამი გიმნაზია: თბილისისა და ქუთაისის კლასიკური გიმნაზიები და თბილისის კომერციული გიმნაზია. სამივე გიმნაზიაში 787 მოსწავლე ირიცხებოდა. ყველა ტიპის 139 სასწავლებელში 5554 მოსწავლე სწავლობდა.

თავდაპირველად საქართველოში სკოლების მართვის ერთიანი სისტემა არ არსებობდა. სკოლები ემორჩილებოდნენ მთავარმმართველის კანცელარიასა და რუსეთის განათლების სამინისტროს. 1848 წელს შეიქმნა კავკასიის სასწავლო ოლქი, რომელმაც განათლების სამინისტროს ფუნქცია იკისრა.

XIX საუკუნის ორმოციან წლებში საქართველოში მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებანი განხორციელდა. 1850 წელს არსებობა დაიწყო ქართულმა თეატრმა, 1851 წელს დაარსდა ქართული ჟურნალი „ცისკარი“, გაიხსნა რამდენიმე სასწავლებელი და ა. შ.

1867 წელს დამტკიცდა „კავკასიისა და ამიერკავკასიის სასწავლო ნაწილის დებულება“, რომლის მიხედვით, სახალხო სკოლებში, სწავლების პირველი ორი-სამი წლის განმავლობაში, სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა. გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში გაუქმდა წოდებრივი ბარიერები, აიკრძალა მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა; სკოლებთან შეიქმნა ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც მატერიალურ დახმარებას უწევდნენ სასწავლებლებს.

XIX საუკუნის 60-იან წლებში დაწყებითი განათლების ქსელი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. 1841-1850 წლებში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში დაარსდა სულ ორი სკოლა, 1851-1860 წლებში — ექვსი, 1861-1870 წლებში — 12, 1871-1880 წლებში — 116, 1880-1890 წლებში — 120, 1891-1900 წლებში — 197. 1890 წელს საქართველოში იყო — 240 დაწყებითი სკოლა, 1900 წელს კი — 442, სადაც 20 ათასამდე მოსწავლე სწავლობდა.

ხალხის განათლებაში ერთობ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საეკლესიო-სამრევლო სკოლები და სასულიერო სასწავლებლები, რომლებიც დაწყებით განათლებას აძლევდნენ ახალგაზრდებს. ეს, ცხადია, ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე არ კეთდებოდა.

1885 წელს საქართველოში გაიხსნა — 15 სამრევლო სკოლა, 1886 წელს — 18, 1887 წელს — 17, 1888 წელს — 17, 1889 წელს — 39. 1890 წელს საქართველოში იყო 121 სამრევლო სკოლა, 1895 წელს — 304, 1899 წელს — 371. ამ ტიპის სკოლებში 17 ათასზე მეტი მოზარდი სწავლობდა.

იზრდებოდა სასულიერო სასწავლებელთა რიცხვი და მოსწავლეთა კონტინგენტი. ზოგიერთ სასულიერო სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვი ფრიად შთამბეჭდავი იყო. მაგალითად, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა — 623, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში — 306, თელავისაში — 245, გორის სასწავლებელში — 229 მოსწავლე და ა. შ.

1864 წელს უმაღლეს ინსტანციებში დამტკიცდა გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების წესდება, რომლის მიხედვით აღიარებული იყო ორი ტიპის გიმნაზია: კლასიკური, ორი ძველი ენით (ლათინური და ბერძნული) და რეალური, ახალი ენებით (გერმანული, ფრანგული და ინგლისური). გიმნაზიებში სწავლა შეიდრწლიანი იყო.

XIX საუკუნის დასაწყისში გიმნაზიები გაიხსნა ფოთში, გორში, სოხუმში, ახალციხეში, თელავში, ლანჩხუთში, ზუგდიდში, ხაშურში და სხვაგან. 1916 წელს საქართველოში იყო ვაჟთა და ქალთა

23 გიმნაზია, 3 რეალური სასწავლებელი, 3 წმინდა ნინოს სასწავლებელი, 3 სასულიერო სემინარია, 2 ეპარქიული სასწავლებელი, 1 კადეტთა კორპუსი, 4 კომერციული სასწავლებელი, 1 ქალთა ინსტიტუტი, 5 კერძო და საზოგადოებრივი გიმნაზია. სულ 45 საშუალო სასწავლებელში სწავლობდა 20 257 მოსწავლე. ამასთან ერთად ფუნქციონირებდა 5 პროგიმნაზია 813 მოსწავლით.

საქართველოში სპეციალური სასწავლებლები XIX საუკუნის 70-იან წლებამდე არ არსებობდა. პირველი სახელოსნო სასწავლებელი გაიხსნა თბილისში 1873 წელს, შემდეგ სპეციალური პროფესიული სასწავლებლები გაიხსნა ბათუმში (1889 წ.), ხონში (1898 წ.), ბორჯომში (1895 წ.). 1874 წელს დაარსდა თბილისის სამიწათმზომელო სკოლა, თბილისისა და ქუთაისში მებაღეობა-მებოსტნეობის სკოლები (1875 წ.), ლოჭინის სანიმუშო ფერმა-სკოლა (1864 წ.), რკინიგზის ტექნიკური სასწავლებელი (1870 წ.). XX საუკუნის დასაწყისში მათ მიემატა ფოთის სანაოსნო სკოლა, თბილისის მებაღეობის სკოლა, საქარის სანერგე სკოლა, ქუთაისის ელემენტარული სამეურნეო სკოლა და ა. შ.

დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა მომზადება XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. პირველი ასეთი სასწავლებელი იყო ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომელიც 1866 წელს დაარსდა თბილისში.

პირველი პედაგოგიური სემინარია დაარსდა ქ. გორში 1876 წელს, რომელიც მალე ამიერკავკასიაში პედაგოგთა მომზადების ცენტრად იქცა. მას ჰქონდა აზერბაიჯანული და სომხური სექტორები. ასეთივე სემინარია გაიხსნა 1881 წელს დაბა ხონში.

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სასწავლებელი იყო თბილისის სასულიერო სემინარია. ამ სემინარიაში მხოლოდ სასულიერო პირებს როდი ამზადებდნენ. აქ აღიზარდნენ ისეთი მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ პლატონ იოსელიანი, გაბრიელ ქიქოძე, დიმიტრი ბაქრაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, თედო ჟორდანიანი, ავქსენტი ცაგარელი, დანიელ ჭონქაძე, ლავრენტი არდაზიანი, ნიკო ლომოური, იოსებ სტალინი, სოფრომ მგალობლიშვილი და სხვები.

1894 წელს ქუთაისში დაარსდა სასულიერო სემინარია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პედაგოგთა კადრების მომზადებაში.

1879 წელს დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამა-

ვრცელბელი საზოგადოება“, რომელსაც ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები ედგნენ სათავეში. ეს საზოგადოება ხსნიდა და ინახავდა სკოლებსა და ბიბლიოთეკებს საქართველოს ყველა კუთხეში. ბუნებრივია, მისი საქმიანობის ეფექტიანობას ხელისუფლების ხმარდაჭერა განაპირობებდა. ამგვარი საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა და განვითარდა დიდი ქართული მწერლობა, მეცნიერება და ხელოვნება. ამ დიდი საგანმანათლებლო პროგრესის დაგვირგვინება იყო ქართული უნივერსიტეტის დაარსება 1918 წელს და ეს ყველაფერი მოხდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნის ერთი საუკუნის განმავლობაში.

საბჭოთა კავშირში, მოდერნიზებულ რუსეთის იმპერიაში ცხოვრებას რაც შეეხება, უხერხულიც კი არის იმაზე მსჯელობა, თუ რას მიაღწია საქართველომ სოციალურ-კულტურული განვითარებისა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების გზაზე. გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში სამი ათასზე მეტი სკოლა ფუნქციონირებდა. სკოლები იყო გახსნილი ყველაზე პატარა სოფლებშიც კი; იქ კი, სადაც თითოეულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 1-2 მოზარდს არ აღემატებოდა, იხსნებოდა კლას-კომპლექტები. სადაც ამის შესაძლებლობა არ იყო (მაღალმთიანეთში!), რაიონული მასშტაბის ან სოფელთაშორისი სკოლა-ინტერნატები მუშაობდნენ. 60-იანი წლების ბოლოს საქართველოში (ისევე, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში!) ჩამოყალიბდა ალტერნატიული საშუალო სკოლის ტიპი — საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სკოლა, მდიდარი სასწავლო-საწარმოო ბაზით. რაიონებში მუშაობდნენ სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები, რომელნიც მოზარდთა პროფესიული კონსულტაციისა და პროფესიული ორიენტაციის მნიშვნელოვანი კერები იყვნენ.

გასული საუკუნის ბოლოს საქართველოში იყო ოცამდე უნივერსიტეტი და ინსტიტუტი, სადაც თითქმის ყველა მაშინ არსებულ პროფესიაში მზადდებოდნენ სპეციალისტები. აი, ასეთი უმაღლესი განათლების ფართო ქსელის საფუძველზე ფუნქციონირებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია თავისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მთელი სისტემით.


რა რეზონანსი ჰქონდა ქართულ მეცნიერებას მაშინდელ მსოფლიოში, ამის თაობაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ამაზე თავისთავად მეტყველებს იმ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონ-


ფერენციებში ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა და მათი ღვაწლის საერთაშორისო შეფასებები.

ისე, მოგეცეთ ლხენა, სჯობდა, რომ ეს ყველაფერი მომხდარიყო და დამოუკიდებელი სამეფოც შეგვენარჩუნებინა და სამეფო ტახტიც, რომელზეც რომელიმე თავკერძა პრინციც დაბრძანდებოდა ზოგჯერ, მაგრამ ეგრე სად არის!

ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის თავგასულ უმადურობას რომ ვხედავ, ერთი ანეკდოტური ამბავი მახსენდება: ერთი ბავშვი აღიდებულ მდინარეში გადავარდა და იხრჩობოდა. ბედად, შეშინებულ სეირის მაყურებელთა შორის თავგანწირული კაცი გამოჩნდა, მდინარეში გადაეშვა და ბავშვი გადაარჩინა. სად იყო, სად არა, საიდანაც იმ ბავშვის მამა გამოტყვრა, გადამრჩენელს მივარდა და გაჯავრებულმა შესძახა: ჩემს შვილს ქუდი ეხურა და სად არის ის ქუდიო!

აი, ასეა ზოგიერთი ჩვენი „ეროვნული მოღვაწის“ ჭკუა-გონებისა და მეხსიერების საქმე.





გვანცა კოვლათაძე

სომეხთა ჩამოსახლება სამცხე-ჯავახეთში XIX საუკუნის 30-იან წლებში

ისტორიულ მეცნიერებათა ფუძემდებელი ჰეროდოტე (ძვ. წ. V ს.) სომეხთა წინაპრების — არმენიელთა შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის: კერძოდ, რომ ისინი მომდინარეობენ ფრიგიელებიდან, რომელნიც თავდაპირველად ბრიგების სახელწოდებით ევროპაში, მაკედონიელთა მეზობლად მკვიდრობდნენ, აზიაში შემდეგ გადმოსახლდნენ და საცხოვრებელ ადგილთან ერთად სახელიც შეიცვალეს — ფრიგიელები დაირქვესო.¹ თუ გავითვალისწინებთ ჰეროდოტეს, ვითარცა მკვლევარი ისტორიკოსის, ღირსებებს: იმ დროისათვის საფუძვლიან განათლებას, ერუდიციას, მოღვაწეობის პერიოდს — მცირე აზიაში მცხოვრებ ტომთა წარმომავლობის შესწავლა საკუთარი დაკვირვებისა და გამოკითხვის მეთოდების გამოყენებით უშუალოდ თვითონ შეეძლო, აგრეთვე, წერილობით წყაროებს, რომელთაც არა მხოლოდ კარგად იცნობდა, არამედ კრიტიკულადაც უდგებოდა, მაშინ მისი ცნობის სანდოობა ეჭვს აღარ იწვევს.

ასე რომ, პრეტენზიები სომეხებისა, რომ ისინი ამიერკავკასია-სა და, კერძოდ, საქართველოში ძირძველ მოსახლეობას წარმოადგენენ, რამდენადაც მათი წინაპრები აზიაში ევროპიდან მოვიდნენ, სრულიად უსაფუძვლოა. ამასთან, ეს გადმოსახლება არც თუ ისე შორეულ წარსულში უნდა მომხდარიყო, რადგან ახალ ტერიტორიაზე, რომელშიც ქართველი ხალხის ისტორიული მიწა-წყლის ნაწილიც შედიოდა, მათ საკუთარი სახელმწიფოს შექმნა, როგორც ეს დღეს მეცნიერებაშია გარკვეული, მხოლოდ ძვ. წ. 190 წელს შეძლეს. თუმცა ამ სახელმწიფომ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია,

¹ ჰეროდოტე, ისტორია ორ ტომად. ძვ. ბერძნულიდან თარგმნა თ. ვაუხნიშვილმა, ტ. II, თბ., 1976, გვ. 434.

მაგრამ მისი არსებობა არც თუ ისე ხანგრძლივი გამოდგა, რადგან 387 წელს იგი ბიზანტიის იმპერიამ და სასანიდების ირანმა გაიყო.

დაკარგეს რა სახელმწიფოებრიობა, იმ ანდაზის მიხედვით, რომელიც თვითონვე შექმნეს — სადაც პურის სუნი იგრძნო, იქ დაიდებინა, არმენიელებმა ვერც ახალ სამკვიდრებელს უერთგულეს და მთელს მაშინდელ მსოფლიოში გაიფანტნენ, ხოლო მათი ერთი ნაწილი, თავშესაფრის ძიებაში, სამხრეთ საქართველოს საზღვრებშიც შემოსახლდა. ჩვენს ქვეყანაში სომეხების მიგრაციის პროცესი VII-IX საუკუნეებში არაბთა შემოსევებმა განაახლა. მართალია, თავდაპირველად ამ მიგრაციებს პოლიტიკური ხასიათი არ ჰქონდა,² ანუ სომეხები მხოლოდდამხოლოდ თავშესაფარს ეძებდნენ და ქართველების ზურგს ამოფარებულნი, რომელნიც საკუთარი მიწა-წყლის დასაცავად თავგანწირვით იბრძოდნენ, თავს შედარებით უსაფრთხოდ გრძნობდნენ, მაგრამ როგორც ჩვენი, ისე საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, დროთა განმავლობაში თავი არა მხოლოდ შინაურებად, არამედ დაკავებული ტერიტორიების ბატონ-პატრონებადაც წარმოიდგინეს, რის გასამყარებლადაც არც იმის მტკიცება გასჭირვებიათ, რომ ისინი ამ ადგილებში უხსოვარი დროიდან მკვიდრობდნენ.

ამასთან, როგორც ამას სრულიად სამართლიანად შენიშნავს გ. მარხულია, წინა აზიის დაპყრობილ ქვეყნებში არაბებმა სომეხების სახით დასაყრდენი იპოვეს. სომეხები მალევე მიხვდნენ, რომ დამპყრობლებთან კარგი დამოკიდებულებითა და მათთვის სამსახურის გაწევით, ამიერკავკასიაში თავიანთ პოზიციებს თვითონაც განიმტკიცებდნენ და უკვე პოლიტიკური მიზნებიც დაისახეს. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტიც, რომელიც გულისხმიერ ანალიზს მოითხოვს: როგორც არაბები, ასევე შემდგომი პერიოდის მაჰმადიანი დამპყრობლები: მონღოლები, თურქები თუ სპარსელები, რომელნიც მართლმადიდებელ ქრისტიანებს საკუთარი სარწმუნოების დათმობასა და გამუსულმანებას სიცოცხლის დაკარგვის შიშით აიძულებდნენ, მონოფიზიტების, მათ შორის სომეხების, სარწმუნოებას ლოიალურად ეკიდებოდნენ და მფარველობდნენ კიდევც.

ვფიქრობთ, ეს ფრიად საყურადღებო ფაქტი იმით უნდა აიხსნას, რომ გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებულად, რამდენადაც ერეტიკოსებს ქრისტეს ჭეშმარიტ აღმსარებლებად არც ისინი თვლიდნენ, ამდენად არც საკუთარი სარწმუნოების სერიოზულ მტრებად

² Гурам Мархулия, Исторические аспекты переселения и поселения армян в Грузии, <http://Karabak-info.com/archives/2861?lang=ru> 13.01.2014/10:10.

ალიქვამდნენ, მით უმეტეს, რომ მონოფიზიტები მართლმადიდებლებთან ბრძოლაში მნიშვნელოვან სამსახურს უწევდნენ. არაბების მფარველობის წყალობით, სომხურმა მონოფიზიტურმა ეკლესიამ 704 წელს ჯერ ალბანური ეკლესია დაიმორჩილა და ჩაყლაპა, ხოლო მე-10 საუკუნის შუა ხანებში სომხებმა საქართველოს ტერიტორიაზე, თითქმის ექვსი საუკუნის შემდეგ, პირველად შექმნეს ორი სახელმწიფო: ვანანდისა და ლორე-ტაშირის; აქედან მოყოლებული უკვე ინტენსიურად დაიწყო შეგნებული და გამიზნული ბრძოლა ამ მხარეებში ქართველთა მკვიდრობისა და მოღვაწეობის ისტორიული კვალის წასაშლელადაც, რაც ქართული კულტურის მატერიალური ძეგლების ან სრულ განადგურებას გულისხმობდა, ან მათთვის სომხური სახის მიცემას. სომხები უკვე აღარც დაკავებულ ტერიტორიებს სჯერდებოდნენ და ჩრდილოეთისაკენ მოისწრაფვოდნენ, თავდამსხმელებთან უთანასწორო ყოველდღიურ ბრძოლებში გაჟღეტილ ქართველთა მიწა-წყალზე დასამკვიდრებლად.

აღებ-მიცემობისა და ვაჭრობის განსაკუთრებული ნიჭის წყალობით შეძენილი დიდძალი ქონებით ისინი ქვეყნის მმართველებისაგან არა მხოლოდ მშვიდობასა და კეთილგანწყობილებას ყიდულობდნენ, არამედ საერთოდ ქვეყანაში ეკონომიკური ვითარების გასაუმჯობესებლად მათ კარზე საჭირო პირებიც ხდებოდნენ. ამ მიზეზით მათ გამოყენებას არა მხოლოდ დამპყრობლები, არამედ ქართველი მეფეებიც ცდილობდნენ. მაგალითად, მეფე ერეკლემ მე-18 საუკუნის 80-იან წლებში იმ მიზნით, რომ სომხები ქვეყნის ეკონომიკურად დაწინაურებასაც შეუწყობდნენ ხელს და სამხრეთიდან საქართველოში შემოსასვლელ გზებსაც დაიცავდნენ, ქვემო ქართლის გაუკაცრიელებულ სოფლებში 7000-ზე მეტი სომხური ოჯახი შემოასახლა, თუმცა იმედმა არ გაუმართლა: სომხებს არც ქვეყნის საზღვრების დასაცავად გამოუდვიათ თავი და დიდად არც ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკას წასდგომიან, პირიქით, მელიქ აბოემა, რომელსაც ერეკლემ სათაუდოდ ბოლნის-დმანისთან ვრცელი ტერიტორია უბოძა, როგორც კი გაძლიერდა, ჯავახეთზე თავდასხმები დაიწყო, რომელთა დროსაც ამ მხარიდან დიდძალი ნადავლი და ტყვეები გაჰყავდა.³

მანამდე, 1723 წელს, ივლისში, ირან-თურქეთში მცხოვრებ სომხებს, იმავე მიზნით, პეტრე პირველმა, ამ დროისათვის რუსეთის მიერ უკვე დაპყრობილი კასპიის ზღვისპირა რეგიონებში (გილანი, ბაქო, შემახია, დერბენტი) დასახლებისათვის მოუწოდა და

³ მოყვანილია წიგნიდან: შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი. თბ. 1975. გვ. 344.

თანაც საუკურო საქმიანობაში ხელისშეწყობასა და გადასახადებში შეღავათებს შეჰპირდა.⁴ რუსეთის იმპერიის საზღვრებში სომეხთა შემოსახლება მთელი მე-18 საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა, რის შედეგადაც ჩრდილოეთ კავკასიაში, ასტრახანში, მდ. დონზე და თვით პეტერბურგშიც ძლიერი სომხური კოლონიები შეიქმნა.

ცნობილია, მართლმადიდებლური სახელმწიფოები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ადამიანებს სარწმუნოებისათვის არ სდევნიან. ამიტომ, ბუნებრივია, სომხურ ეკლესიას, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაინცდამაინც მძაფრ დევნას არც მაჰმადიანური ქვეყნების ხელისუფლებისაგან განიცდიდა, რუსეთის მფარველობაში სრული სიმშვიდისა და საკუთარი ძლიერებისა და გავლენის გაზრდისა და განმტკიცებაზე ზრუნვის უკეთესი პირობები შეექმნა, ვიდრე თავად რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელსაც პეტრე I-მა, პატრიარქის ინსტიტუტის გაუქმებითა და თვითმმართველობის უფლების წართმევით დამოუკიდებლობა მოუსპო და წმ. სინოდი სახელმწიფო მოხელეს, ობერპროკურორს დაუქვემდებარა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მდიდარმა და გავლენიანმა სომხებმა არც მაჰმადიანურ ქვეყნებში მცხოვრები თანამომძეები დაივიწყეს და რუსეთის სამეფო კარის წინაშე მათი იქიდან გამოყვანისა და რუსეთის საზღვრებში დასახლების საკითხს სულ უფრო ხშირად და სულ უფრო აქტიურად აყენებდნენ.

1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, თურქეთში მცხოვრები სომხები, რომელთა რიცხვიც 20.000-ს აღწევდა, რუსეთის გამარჯვების იმედით ცოცხლობდა, რაც მათ თურქეთის დატოვებისა და ქრისტიანული იმპერიის საზღვრებში შესახლების საშუალებას მისცემდა. 1828 წლის ზაფხულში კავკასიის ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა პასკევიჩმა თურქებს მიტაცებული ქართული ციხეები და ქალაქები: ყარსი, ახალქალაქი, ხერთვისი, ახალციხე, არტაანი, ბაიაზეთი, არზრუმი ზედიზედ წაართვა... როგორც გენერალმა პასკევიჩმა, ისე მისმა მრჩვეულებმაც კარგად იცოდნენ, რომ რუსეთს სისხლისმღვრელ ბრძოლებში მოპოვებული გამარჯვების სრული რეალიზება გაუჭირდებოდა, ანუ ისტორიულ სამართლიანობას ბოლომდე ვერ აღადგენდა და გამოხსნილ მიწა-წყალს საქართველოს სრულად ვერ შემოუერთებდა, რადგან ევროპულ სახელმწიფოებს ზემოხსენებულ ომში თურქეთის მხარე ეჭირათ და ზავის დადებისას მის ინტერესებს დაუფარავად დაიცავდნენ.

⁴ С. Глинка, Описание переселения армян азербайджанских в пределы России, 1831 г. Стр. 17.

ამიტომ, როგორც პეტერბურგიდან ნესელროდე პასკევიჩს წერდა, თუმცა „მის მიერ განთავისუფლებული მფრთხალი სომხებიცა და თავაწყვეტილი ქურთებიც მას ყველგან, ვითარცა მამას ისე უყურებდნენ“ და დახმარებას იარაღის ხელში აღებითაც ცდილობდნენ, მაგრამ, რადგანაც ზემოხსენებული მიზეზისა გამო, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მიწა-წყლიანად ვერ შემოიყვანდნენ, ამიტომ მხოლოდ ქრისტიანი სომხების იმერეთ-სამეგრელოში გადმოსახლებაზე უნდა ეზრუნათ.

პასუხად 1829 წლის 5 იანვარს პასკევიჩი ნესელროდეს მოახსენებდა, რომ რამდენადაც სამეგრელოს დიდი ნაწილი ჭაობიანი იყო და ტყით დაფარული, ხოლო მჭიდროდ დასახლებულ იმერეთში თავისუფალი სახაზინო მიწა საერთოდ არ არსებობდა, ამიტომ სომხები ახალციხისა და ყარსის საფაშოების შემოერთებულ ნაწილებში, ქვემო ქართლის დაუსახლებელ მიდამოებსა და სომხეთის ოლქის ზემო ნაწილში უნდა ჩაესახლებინათ.

1828 წლის 27 დეკემბერს არზრუმის სუბ-კარაპეტას სახელობის მონასტრის ეპისკოპოსმა და ოთხმა არქიმანდრიტმა გენერალ-მაიორ პანკრატეცს თხოვნა გადასცეს, სადაც აღწერილი იყო მდგომარეობა ქრისტიანი სომხებისა, რომელთაც თურქები და ქურთები უკიდურესად ავიწროებდნენ და მათ ტაძრებსა და სიწმინდეებს ანგრევდნენ და შეურაცხყოფდნენ. მონოფიზიტი სომხები რუსეთის მართლმადიდებელი იმპერიისაგან დახმარებას ითხოვდნენ, რუსულ ჯარს არზრუმში იწვევდნენ და ქვეშევრდომობასა და ბრძოლაში თანადგომას ჰპირდებოდნენ.

1829 წლის ივნისში პასკევიჩმა პეტერბურგში გენერალ-ადიუტანტი პოტიომკინი წარგზავნა, რომელმაც იმპერატორ ნიკოლოზ პირველს პირადად მოახსენა, როგორი სიყვარულითა და სიხარულით ხვდებოდნენ რუსულ ჯარს თურქეთში მცხოვრები სომხები და ზოგჯერ თვითონაც იღებდნენ ხელში იარაღს. რამდენადაც მათი დატოვება თურქეთში უკვე მათ გაწირვას ნიშნავდა, ამიტომ რუსეთის ერთგული სომხები აუცილებლად უნდა გადმოესახლებინათ, რითაც არა მხოლოდ ბრძოლის დროს გამოჩენილ ერთგულებასა და თანადგომას დაუფასებდნენ, არამედ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასაც ხელს შეუწყობდნენ, რადგან სომხები ვაჭრობასა და აღებ-მიცემობის საქმეში უჩვეულო ნიჭიერებას იჩენდნენ.

1829 წ. 18 ნოემბერს პასკევიჩმა იმპერატორისაგან სომხების გადმოსახლებაზე თანხმობა მიიღო და ისიც მიუთითა, რომ ისინი ახალ-

ციხესა და მის მიდამოებში უნდა დაესახლებინათ, რათა საჭიროების შემთხვევაში ახალი საზღვრებიც დაეცვათ და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებით ამ მხარის ეკონომიკურად დაწინაურებისთვისაც შეეწყობოთ ხელი. ვარაუდით ყარსის, ერზრუმისა და ბაიაზეთის ვილაიეთებიდან სულ 8.000 ოჯახი უნდა შემოსახლებულიყო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ეს რიცხვი 14 ათასამდე გაიზარდა.

თავდაპირველად თურქეთის მთავრობა შეეცადა, ხელი შეეშალა სომხებისათვის დაეტოვებინათ ქვეყანა, ამიტომ სტამბოლიდან სომეხი ეპისკოპოსი ბართლომე გამოაგზავნა, რომელიც ხალხს მოუწოდებდა უპატრონოდ არ დაეგდოთ არც სამშობლო და არც წინაპართა საფლავები, მაგრამ ხალხს, თავი ისე მობეზრებული ჰქონდა თურქების მონობის მძიმე უღლისაგან, რომ არავის და არაფრის მოსმენა არ სურდა. სომხები აღარ მალავდნენ, რომ თურქულ პურს რუსული თივა ერჩივნათ. სამაგიეროდ, ახალციხის საფაშოდან და აფხაზეთიდან თურქეთში გამაჰმადიანებული ქართველები მიდიოდნენ უწყვეტ ნაკადებად. შეიძლება ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ თურქეთი ვითარებას შეეგუა და სომხების მიგრაციის პროცესის შესაჩერებლად აღარაფერი უღონია. თავის მხრივ, საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არც რუსეთი აბრკოლებდა ქვეყნიდან იმ მაჰმადიან ქართველთა გადინებას, რომელთაც თავის დროზე ვერ მოასწრეს, დამარცხებული თურქების ჯარს გაყოლოდნენ. პირიქით, პასკევიჩს უყვარდა გამოთქმა ერთი რომელი სარდლისა: გაქცეულ მტერს ოქროს ხიდი უნდა აუგო.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ პასკევიჩი მართალი იყო, როცა მუსლიმან ქართველებს მტრებად მიიჩნევდა. ამაში თვითონ დარწმუნდა, როცა ნახა, რომ რუსეთის არმიას, რომელიც თურქეთს მიტაცებული მიწა-წყლის უკან წასართმევად და საქართველოსთან მისი შეერთებისათვის ებრძოდა, ეროვნებით თურქებსე უფრო დიდი თავგანწირვით მაჰმადიანი მესხები ებრძოდნენ.

რადგან მესხები მასობრივად მაჰმადიანდებოდნენ „ჭირისათვის დიდისა“ (ვახუშტი), ამ მხარეში ისლამი შედარებით მალე გაბატონდა. როგორც შ. ლომსაძე წერს: „ისლამის გავრცელებას შედეგად მოსდევდა საკუთარ რელიგიასა და კულტურაზე უარის თქმა. ასეთი ვითარება იწვევდა მშობლიური ქართული ენის თანდათან შესუსტებასა და გადავიწყებას, რომლის ადგილს დამპყრობლის ენა იჭერდა“.⁵ ბუნებრივია, მუსლიმური რელიგიის აღმსარებელი ქა-

⁵ შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975, გვ. 299.

რთველი წინაპართა მიერ შექმნილი ქრისტიანული კულტურის არა თუ მემკვიდრედ გრძნობდა თავს, არამედ, პირიქით, როგორც უცხო-სა და მიუღებელს, ისე უყურებდა. გადაგვარებული პატრონებისა-გან მიტოვებულ საუნჯეს ან უცხონი ეპატრონებოდნენ, ან საერთოდ ნადგურდებოდა. მაჰმადიანური ფანატიზმით შეპყრობილი მესხები-სათვის ქართველი უკვე ქრისტიანის სინონიმი იყო, ამიტომ, ბუნე-ბრივია, ქრისტიანობის უარყოფელნი ქრისტიან ქართველებსაც გაუბოდნენ და საკუთარ ეროვნულ წარმომავლობაზე საუბარსაც. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ 1770 წელს ასპინძასთან გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მეფე ერეკლეს ძირითადად მაჰ-მადიანი მესხები და ლაზები ებრძოდნენ, ვედარც პასკევიჩს დავდებთ ბრალად იმას, რომ იგი მათში ქრისტიანობისა და ქრისტიანული იმპერიის მტრებს ხედავდა. თუ სამართლიანები ვიქნებით, პასკევი-ჩის ვერც იმაში დავადანაშაულებთ, რომ ყურად არ იღო მესხეთიდან ადრე გამოქცეულ თავად-აზნაურთა თხოვნა და გამარჯვების შემდეგ ქართველ მეფეთა მიერ ნაწყალობევი ძველი მამულები არ დაუბრუნ-ნა. მათ რომ საკუთარი მამულები არა რუსული არმიის გამარჯვების შემდეგ, არამედ თურქებისაგან მიტაცებული მიწა-წყლის დასა-ბრუნებლად გამართულ სისხლისმღვრელი ბრძოლებისას გახსენე-ბოდათ და მათში მონაწილეობა თვითონაც მიეღოთ, საგარაუდოდ, პასკევიჩი უარს ვედარ იტყვოდა.

რუსეთსა და თურქეთს შორის ადრიანოპოლისში დადებული ხელშეკრულების მე-13 მუხლით მოსახლეობის გადასახლება-გად-მოსახლებისთვის 18 თვე იყო დანიშნული. ქართველი მაჰმადიანე-ბი, განსაკუთრებით დიდი მამულების პატრონი ბეგები და ალები, დათქმულ ვადაში ჩატევას ჩქარობდნენ და ამიტომ ფასსაც დიდად აღარ დაგიდევდნენ, მამა-პაპათა სისხლით მორწყულ მიწა-წყალს გროშებად ჰყიდნენ არაქართველ ვაჭრებზე, უცხო ეროვნების მოხ-ელეებსა და სპეკულანტებზე. საკმაოდ ვრცელი მამულები შეიძინა არქიეპისკოპოსმა კარაპეტამ სომხური ეკლესიის სახელით. მათგან მიღებული შემოსავალი შემდეგში სომხური სკოლის გახსნასა და სხვა სომხურ საქმეებს ხმარდებოდა.


მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის ხელისუფლებას მტკიცედ სჯე-როდა, ახალციხიდან მაჰმადიანთა სრული გასახლება სამხრეთის საზღვრების განმტკიცებას უზრუნველყოფდა, მაჰმადიან მესხთა ის ნაწილი, რომელმაც თავის სამშობლოში დარჩენა მოისურვა, ძალ-დატანებით არ გაუსახლებია. ისინი მე-20 საუკუნის ორმოციან

წლებში, დიდი სამამულო ომის დროს სტალინმა გადაასახლა მესხ-ეთიდან შუა აზიაში, რადგან კარგად ხედავდა, რა საშიშროებას უქმ-ნიდა ეს ხალხი, ვისაც თვალი მუდამ ერთმორწმუნე თურქეთისაკენ ეჭირა, ქვეყნის უსაფრთხოებას, მით უმეტეს მაშინ, როცა თურქეთი გერმანიის მოკავშირედ მოიაზრებოდა.

14 ათასი ოჯახი, რომელიც ახალციხის საფაშოში შემოსახლები-სათვის არზრუმის, ყარსისა და ბაიაზეთის საფაშოებიდან დაიძრა, თუ ოჯახში საშუალოდ ექვს სულს ვიგულისხმებთ, სულ 90.000-მდე კაცს შეადგენდა. სხვა ერის ამ რაოდენობით შემოსახლებამ სამხრეთ საქართველოში არა მხოლოდ დემოგრაფიული სურათი, არამედ კულტურული იერსახეც მნიშვნელოვნად შეცვალა. საკუთარი წარ-სულისა და კულტურისადმი ჩვენმა გულგრილმა დამოკიდებულებამ სომხები, რომელთაც იმ ადგილ-სამყოფელის თავდაპირველ სამშობ-ლოდ გამოცხადება, სადაც პურის სუნს იგრძნობენ და ბინას დაიდ-ებენ, ტრადიციულად მოსდგამთ, კიდევ უფრო გაათამამა და დღეს მათ პრეტენზია ბევრად მეტზე აქვთ, ვიდრე მათ შორეულსა და უახ-ლოეს წინაპრებს ჰქონდათ.

აქტუალურ მეცნიერებათა რიცხვს ისტორია იმიტომაც მიე-კუთვნება, რომ იგი ყოველთვის იძლევა საშუალებას თანამედროვე მოვლენათა ანალოგიების მის წიაღში დაძებნისა. დღევანდელი ვი-თარება ჩვენგან ჩვენი ისტორიული წარსულის საფუძვლიან, ღრმა ანალიზსა და საკუთარი ბუნების შესწავლასა და ნაკლოვანი მხა-რეების მხილებას მოითხოვს, რათა თავსდატეხილ უბედურებათა სხ-ვებზე გადაბრალების ნაცვლად, მათი მიზეზები ჩვენსავე თავსა და ცხოვრების ჩვენსავე წესში ვეძიოთ.





ბრიგოლ რუხაძე

გლობალიზაციის გელნიერი მონები

ერთი ახლობელი კაცის ნაამბობიდან ჩვენი ერისთვის დამახასიათებელი ფრიად მნიშვნელოვანი თვისების შესახებ შევიტყვე; უფრო სწორად, ასე გონებადამხვილურად ფორმულირებული აზრი პირველად მოვისმინე და მკითხველამდე მისი მიტანის სურვილიც ამიტომ გამიჩნდა. ვინმე უცხოელს ჩვენი თანამემამულეებისთვის უკითხავს, თუ იცით თქვენი მთავარი ნაკლი რა არისო. იგი არცერთის პასუხს არ დაუკმაყოფილებია და უთქვამს: **ქართველებს სამშობლოს დაკარგვის შიში არა გაქვთო.**

ჩემი აზრით, ზუსტი შეფასებაა, მაგრამ მეეჭვება, რომ ამ შესანიშნავ მცოდნეს ჩვენი ბუნებისა შესძლებოდა პარადოქსული რეალობის ახსნა: მიუხედავად აღნიშნული შიშის არქონისა, ქართველმა ერმა დღევანდლამდე როგორ მოაღწია ამ ვაგლახ წუთისოფელში? — თუმცა, შესაძლოა ჩემი ეჭვი უსაფუძვლოც იყოს და პატივცემულმა უცხოელმა, როგორც თავისი სტრატეგიის შემუშავების ან ეკონომიკური სარგებელის მიღების მიზნით ქართული ხასიათის ზედმიწევნით შემსწავლელმა, ჩვენი გადამრჩენელი სამი წმინდა საუნჯის მნიშვნელობაც კარგად იცოდეს და იმის ხელოვნებასაც ფლობდეს, როგორ შეიძლება მათი ამოშლა ეროვნული ცნობიერებიდან.

ვეფიქრობ, მკითხველს არ გაუკვირდება, რომ საქართველოში შემოსული ერთი უცხოელი განვაზოგადეთ და იმ თვისებებით აღვჭურეთ, რომელთაც ისინი ქართული ბაზრის ასათვისებლად და ქართველ საზოგადოებაში საკუთარი იდეების დასანერგად იყენებენ. უკვე არავისთვის დაფარული არ არის, რომ დღეს თითქმის ყველა საერთაშორისო ურთიერთობის საგანს ბიზნესპარტნიორობა, ანუ პირადი გამდიდრების წყაროს მოძიება წარმოადგენს.

ბიზნესისადმი ლტოლვა იმდენად დაუოკებელი გახდა, რომ იგი

ამქვეყნიური ტკობისთვის კაცობრივი ცნობიერებისა და მსოფლმხედველობის დამონებასაც კი ცდილობს. ბიზნესი თავის გაკვალულ გზაზე ქმნის შესაბამის ინფრასტრუქტურას, რომელიც საუკუნოვან კულტურას, სულიერ ღირებულებებსა და ადამიანურ ურთიერთობებს უმოწყალოდ იწირავს. მისი ინტენსიურობა იმდენად სწრაფად იზრდება, რომ, ალბათ, ამ ცოდვიან დედამიწას ეკოლოგიური კატასტროფის დადგომამდე მოუღებს ბოლოს.

დღეს გამეფებული ბიზნესის არსენალი უზარმაზარია. მიუხედავად იმისა, რომ მას უკვე სახელმწიფოებრივი საზღვრების დადგენა, კანონმდებლობათა შეცვლა და გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამოწვევაც კი შეუძლია, მის მთავარ სამიზნეს მაინც სულიერი ღირებულებები წარმოადგენს, რადგან ბიზნეს-მონსტრი ძირითადად ადამიანთა ქვენა გრძნობებით საზრდობს და, ბუნებრივია, სინდისი, პატიოსნება და სარწმუნოება მის დაუკმაყოფილებელ მოთხოვნილებებს წინააღმდეგება. მეთოდები, რომელსაც ბიზნესი მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად იყენებს, შემზარავია. გენმოდოციტიზებული პროდუქცია, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, პროსტიტუცია, აზარტული თამაშები, ხელოვნური განაყოფიერება, ტრანსგენდერული ოპერაციები, ფერადი რეკოლუციები — არასრული ჩამონათვალია ბიზნესის სამეწარმეო სფეროებისა, რომლითაც იგი თავის იმპერიას ასაზრდოებს.

ამ იმპერიის მმართველმა გუნდმა, რომლის შემადგენლობა არცთუ ისე დიდია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში შემოიტანა ახალი ცნება — გლობალიზაცია. იგი არ უნდა აკვერიოს ინტერგაციის ბუნებრივ პროცესთან, რომელიც ეკონომიკის, ინფორმაციის ან მეცნიერების რომელიმე დარგის განვითარების მიზნით შეიძლება იქნეს წარმოქმნილი. ქრისტიან მოაზროვნეთა დაკვირვებით, გლობალიზაცია დასავლელ ფილოსოფოსთა მიზანმიმართული შემოქმედების პროდუქტია, რომელიც მსოფლიო ელიტის სტრატეგიად არის გადაქცეული. მიუხედავად იმისა, რომ «იგი არის ხაფანგი კაცობრიობის ისტორიისათვის», მისი მთავარი სამიზნე, როგორც ამაში საქართველოსა და უკრაინაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები უეჭველად გვარწმუნებს, მაინც მართლმადიდებლობის მთავარი ბურჯისკენ არის მიმართული.

დასავლური სამყაროს (აშშ, ევროკავშირი) ცნობილი იდეოლოგიები რუსეთის ეროვნული დამოუკიდებლობის ლიკვიდაციას პროგრესულ მოვლენად განიხილავენ და მისი საინფორმაციო უსაფრთხოების დარღვევის, ეკონომიკური კრიზისის წარმოქმნის და

თავდაცვისუნარიანობის დაკარგვის მიზნით არაფერს თაკილობენ.

წმიდა მამათა ესქატოლოგიური წინასწარუწყებანი საყოველთაო აპოსტასიის შესახებ თანდათანობით რეალობად იქცევიან. ამიტომ მომავალი დროისთვის გამოთქმული მათი ბევრი აზრი უკვე ამჟამინდელ ვითარებას ასახავს. ერთ-ერთი მაგალითი ამისა თანამედროვე, ე. წ. ცივილიზებული სამყაროს ქრისტიანობისაგან გაუცხოებაა, როგორც მორალური, ისე თეოლოგიური თვალსაზრისით. თანდათან დედამიწაზე სულიერი ღირებულებების სულ უფრო ნაკლები დამცველი რჩება, რადგან ახალ მსოფლიო წესრიგს ინტერნაციონალური საბანკო კაპიტალის დიქტატურა განსაზღვრავს. ამიტომ, ვფიქრობთ, სწორედ ეს გლობალური ფაქტორები განაპირობებენ ერების ონტოლოგიური საფუძვლების რყევას, რომლებმაც, სხვათა შორის, სამშობლოს დაკარგვის შიში ქართველებსაც გაგვიქრო.

სანამ გლობალიზმის შესახებ საკითხს ძირეულად გააანალიზებდეთ, ქართველმა მკითხველმა, თუ იგი რუსთმომოქმედ და ანტიქრისტიანი არ არის, უნდა გაითვალისწინოს, რომ დღევანდელი მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე სწორი იმფორმაციის მიღება მხოლოდ და მხოლოდ რუსული სოციალური ქსელების საშუალებით არის შესაძლებელი. ამის დასტურად, სერბი ანალიტიკოსი ზორან მილოშევიჩი გლობალიზმის თემაზე მუშაობის დროს მიღებულ გამოცდილებას გულახდილად გვიზიარებს: «ინფორმაციის წყაროთა მოძიებისას ჩვენ სერიოზულ პრობლემებს წაგაწყდით, ვინაიდან ანტიგლობალიზტურ გამონათქვამებზე დაუფარავი ცენზურა არსებობს, ანუ ანტიგლობალიზმის მხარდასაჭერი საქმიანობა და აზრის გამოხატვის თავისუფლება იზღუდება. ამგვარად, გლობალიზმის მოწინააღმდეგე ეკლესიის ბევრ მსახურსა და მართლმადიდებელი ინტელიგენციის წარმომადგენელს თავისი აზრის ცხადად გამოთქმა არ შეუძლია. ამ ფაქტის გამო, ძირითადი ინფორმაცია ჩვენ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წყაროებიდან მოვიპოვეთ».¹

ამ სახის რამდენიმე პუბლიკაცია ჩვენც მოვიძიეთ და მათს შინაარსს ქართველ მკითხველებსაც გავაცნობთ, მაგრამ, ამასთანავე, დაგსძენთ, რომ მოწოდებული ინფორმაცია სარგებლობის მომტანი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიქნება, თუ წამოჭრილი პრობლემების დასაძლევად საკუთარ ძალისხმევას არ დავიშურებთ და საზოგადოებრივი მდგომარეობის გამოსწორებას საქმით, სიტყვით და გულისხმისყოფით შეძლებისდაგვარად შევუწყობთ ხელს.

¹ Зоран Милошевич, Русская Православная Церковь и глобализация, 05.05. 2011.

გლობალიზაცია

თავიდან ეს ტერმინი პოზიტიური პროცესის აღსანიშნავად, საწარმოო და ეკონომიკურ ურთიერთობათა გაუმჯობესების თვალსაზრისით გამოიყენებოდა (ვაჭრობა, ინოვაციური ტექნოლოგიები, ტრანსპორტი, კომუნიკაცია და სხვ.). მაგრამ გლობალიზმის ძირითადი პრინციპების ახლებურად გააზრებამ მასში ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფის (რელატივიზმის) ნიშნები და აღრინდელი ჰუმანისტური იდეალებისადმი ფორმალური დამოკიდებულება გამოამჟღავნა. ამ თეორიის მიხედვით, «ღია საზოგადოების» იდეოლოგიის შესაბამისად, პრივილეგირებული უმცირესობის წარმომადგენლებს პლანეტის გლობალური რესურსების («ოქროს მილიარდების») მოხმარებისთვის შეუზღუდავი უფლებები ენიჭებათ. ამგვარი იდეოლოგია კი, თავისთავად, უმაღლესი მორალური ღირებულებების ცვლილებას მოითხოვს და თავისი არსით ქრისტიანულ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

გლობალიზმის ერთ-ერთი პოსტულატის მიხედვით, მთელი კაცობრიობა უნივერსალურ ერთობად უნდა გადაიქცეს, ყველა რასა ერთმანეთს უნდა შეერწყას. აქედან გამომდინარეობს იდეა მსოფლიო ხელისუფლების, ერთიანი პოლიტიკური ცენტრის შექმნის აუცილებლობაზე, რომელსაც მეთაურად ერთი მსოფლიო მბრძანებელი და ყველა აღმსარებლობის რელიგიური ლიდერი ეყოლება. ძნელი დასანახი არ არის, რომ ამ იდეოლოგიის უკან «თავიანთი ღმრთისმბრძოლი გვემების რეალიზაციის მიზნით ანტიქრისტეს მსახურები იმალებიან».²

ასევე ფსევდომეცნიერულია მსჯელობა იმის შესახებ, რომ პროცესი გლობალიზაციისა აუცილებელი და გარდაუვალია. გლობალიზმის იდეოლოგიები ამ თეზისით დროდადრო განაიარაღებენ იმ ადამიანებს, რომელთაც «ახალი მსოფლიო წესრიგის» შემქმნელთა მთავარი მიზნების დანახვა არ შეუძლიათ. ისინი სარგებლობენ ადამიანების უცოდინრობითა და ურწმუნოებით, რადგან საეკლესიო სწავლება ანტიქრისტესა და ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ მათ არ აინტერესებთ.

კიდევ ერთი ცრუ დებულება გლობალიზმისა ისაა, თითქოს «ახალი მსოფლიო წესრიგის» დამყარების შემდეგ ყველა სახელმწიფოსა და ყველა ხალხს თანასწორი უფლებები და შესაძლებლობები ექნე-

² Филимонов В., Но избави нас от лукавого, СПб., 2004. с. 212. დამოწმებულია ზ. მილოშევიჩის სტატიიდან.

ბათ, ანუ კაცობრიობას საყოველთაო აყვავებისა და კეთილდღეობის ხანა დაუდგება. თუმცა სულ სხვა რამეს ამტკიცებს აშშ-სა და ევროკავშირის პოლიტიკა ერაყის, ავღანეთის, იუგოსლავიის, ლიბანის, სირიისა და მთელი მართლმადიდებელი სამყაროს მიმართ. გლობალიზმის მთავარმა იდეოლოგიებმა (ბჟეზინსკი, პეჩეი, ზანგერი, კისინჯერი და სხვ.) მართლმადიდებლობა ნომერ პირველ მტრად ოფიციალურად გამოაცხადეს. ამ საკითხზე მხოლოდ ერთ ციტატას დავიმოწმებთ მ. სააკაშვილის ცნობილი მხარდამჭერის, შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრის კარლ ბილდტის ნასიბრძნიდან: «პუტინი არა საყოველთაო მსოფლიო ღირებულებების, არამედ მართლმადიდებლობის მიმართ ახდენს ერთგულების დემონსტრირებას, მართლმადიდებლობა კი ისლამურ ფუნდამენტალიზმზე უფრო სახიფათოა და დასავლური ცივილიზაციის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს; ამასთან იმიტომაც, რომ ოჯახურ ურთიერთობათა რეგლამენტირებას ცდილობს და გეებსა და ტრანსგენდერებს მტრობს».³ რუს ავტორთა მონაცემების მიხედვით, აშშ-ის სახელმწიფო კონგრესი მილიონობით დოლარს ხარჯავს მართლმადიდებლობის წინააღმდეგ, რომ აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობა დასავლური დემოკრატიის მიღწევებს აზიაროს და ამით შეასუსტოს აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხთა სულიერი ერთობა, რომელიც მართლმადიდებლურ ტრადიციებზეა დაფუძნებული.

გლობალიზაციის ალტერნატივა

ოდესისა და იზმაილის მიტროპოლიტს აგათანგელოსს აქვს კონცეფცია, რომლითაც აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის გზას გვთავაზობს: «უწინარეს ყოვლისა, აუცილებლად საჭიროა რუსეთთან გაერთიანება უკრაინისა, ბელორუსიისა, შუა აზიის ხალხებისა და ამიერკავკასიისა,⁴ რომელნიც ადრე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ. შემდეგ კი ამ ბლოკში შეიძლება შევიდნენ ბალკანეთის სახელმწიფოები⁵ და საბერძნეთი»⁶.

მსგავსი მოსაზრება სერბეთის მართლმადიდებელ ეკლესიაშიც არსებობს. მაგალითად, მეუფე ნიკოლოზი (ველემიროვიჩი) მართლმადიდებლობის ფარგლებში ასეთ თანამშრომლობასა და სახელმწიფოებრივ გაერთიანებას მხარს უჭერს. ანალოგიური შეხედულება

³ Ольга Четверикова, Речь идет о создании антицеркви, 04.02.2015.

⁴ ე. ი. საქართველო, სომხეთისა და აზერბაიჯანისა.

⁵ ე. ი. ბულგარეთი, ალბანეთი, სერბეთი, ჩერნოგორია და რუმინეთი.

⁶ Филимонов В., Архипастыри, пастыри и монашествующие Русской Православной Церкви о глобализации и цифровом кодировании людей, СПб., 2004. С. 28.

ჰქონდა რუსეთის ყოფილ პატრიარქს ალექსი მეორესაც, რომელიც საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეებს ახალი სახის აღმოსავლურ-ქრისტიანული კავშირის შექმნისკენ მოუწოდებდა. შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაციის ალტერნატივა იდეურად ფორმირებულია და მასში მართლმადიდებელი ხალხებისა და სახელმწიფოების ისეთი გაერთიანება იგულისხმება, რომელიც არ გამოიყენებს ელექტრონულ კოდებს სამი ექვსიანით, საფრთხეს არ შეუქმნის ხალხთა თვითმყოფადობას, არ მოსპობს ეროვნულ და ტრადიციულ საგანმანათლებლო სისტემას, უსარგებლო საგრანტო პროგრამებით არ გაფლანგავს ინტელექტუალურ პოტენციალს და ა. შ.

თუმცა იდეა «აღმოსავლური კავშირისა» დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ბოლომდე რეალიზებული იგი არასდროს ყოფილა. ძირითადად ყველაფერი ყოველთვის დეკლარაციულ დონეზე მთავრდებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადგილობრივ მართლმადიდებლურ ეკლესიებს აქამდე იმდენი პოლიტიკური და სულიერი ძალა არ ჰქონიათ, რომ ასეთი გაერთიანებისთვის მიეღწიათ. ამიტომ იგი მხოლოდ მასშინ შეიძლება განხორციელდეს, როცა ზემოთ ხსენებულ ხალხთა სახელმწიფო ორგანოები და პოლიტიკური პარტიები აღნიშნულ (მართლმადიდებლურ) პროგრამებს საკუთარ სამოქმედო პროგრამებად ჩათვლიან.

2004 წლის მაისში რუსეთის, ბელორუსიის, უკრაინისა და ყაზახეთის სახელმწიფოთა მთავრობებმა აღნიშნული იდეის ხორცშესხმისთვის კონკრეტული ზომები მიიღეს: მაშინ მოეწერა ხელი შეთანხმებას ამ სახელმწიფოთა გაერთიანებაზე, რომლის თანახმადაც რუსული რუბლი 2006 წლიდან ყველა სახელმწიფოში გადახდის საშუალება უნდა გამხდარიყო, საზღვრები გაუქმდებოდა, გათვალისწინებული იყო ერთი მოქალაქეობის შემოღება, ანუ მიზანს ერთიანი პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავება წარმოადგენდა. ამ პროგრამის ინიციატივა ეკუთვნოდა ბელორუსიის პრეზიდენტს ა. ლუკაშენკოს, ხოლო შემდგომ წამყვანი როლი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვ. პუტინს დაეკისრა. სხვათა შორის, როგორც ანალიტიკოსები აღნიშნავენ, ეს ფაქტი არის ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გასაჯაროების შემდეგ დასავლური მასმედია ლუკაშენკოს დაატყდა თავს და იგი დიქტატორად გამოაცხადა.


ბალკანეთისა და განსაკუთრებით სერბ მართლმადიდებელთა შორის «აღმოსავლური კავშირის» იდეას სათანადო მხარდაჭერა არა აქვს, რადგან გლობალიზტები მათზე ნეგატიურ გავლენას ახდენენ.

არსებობს სხვა «წყალქვეშა კლდეებიც»: ყველას, ვინც ამ იდეის მხარდაჭერას გაბედავს, ერეტიკოსად აცხადებენ და მას-მედია, თავის მხრივ, იწყებს თავდასხმას, რომელსაც დიდი უმრავლესობით გლობალისტები აკონტროლებენ. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ XX ს-ის ბოლოს ყოფილმა იუგოსლავიის სოციალისტურმა რესპუბლიკამ მიიღო გადაწყვეტილება რუსეთსა და ბელორუსიასთან ინტეგრაციის შესახებ, მაგრამ 2000 წელს, სლობოდან მილოშევიჩის ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ეს იდეა დავიწყებას მიეცა, თუმცა ის ოფიციალურად არც არავის უარუყვია.

გლობალიზმის ადგილობრივი ადეპტები

«ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» ცნობილი წარმომადგენლების — ა. კვიციანი, ე. ზღუდაძის, გ. გეჭაძის, ზ. ადგიშვილის, მ. სააკაშვილის — უკრაინის სახელისუფლო პოსტებზე დანიშნებით სრულიად ცხადი გახდა, რომ საქართველოში ცხრა წლის განმავლობაში მოქმედი ნაცთა მმართველი გუნდი დანაშაულებრივი საერთაშორისო ორგანიზაციის ინსტრუქციებით ხელმძღვანელობდა. ნაცების მიერ გლობალისტური იდეოლოგიით განხორციელებულმა რეფორმებმა მიზანმიმართულად გაანადგურა განათლების სისტემა, მეცნიერების დარგები და კულტურის ცალკეული სფეროები; გარდა იმისა, რომ ხელში ჩაიგდო მედიის ყველა ბერკეტი, განსაკუთრებით ტელევიზიებში ამორალური, ანტიქრისტიანული და ანტიეროვნული სული დაამკვიდრა; არ დარჩენილა არც ერთი ეროვნული სიწმინდე, ძეგლი თუ მემორიალი, გლობალიზმის ადგილობრივი ადეპტების მსახურალი ხელი რომ არ შეხებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაცური ელიტის წარმომადგენლები ყველა ანტისახელმწიფოებრივ დაგალებას მონური მორჩილებით ასრულებენ, მათი დაბნელებული სულები მაინც ბედნიერების განცდას ელიან, რომელიც მათ მამონამ უნდა მოუტანოს. მაგრამ მათ სამშობლოს მტრობა ჩაუშხამდათ და განაჩენი თავიანთ თავს თვითონ გამოუტანეს. 21 მარტს ჩატარებული აქცია, მართალია, გლობალისტური წესრიგის აღსადგენად, ანუ ქვეყანაში ქაოსის გამოსაწვევად იყო დაგეგმილი, მაგრამ ქართველმა ხალხმა ნაცურ გეგმაში დაბრუნება არ ისურვა და, როგორც საქმეს პირი უჩანს, თუ აუცილებლობამ მოითხოვა, ცოცხიანი კუდიანების თავებზე შეკრებილ ნაკვერჩხალს ნამდვილად გააღვივებს!



ელდარ ბუბულაშვილი

კონსტანტინე გვარამაძე – სიკვდილთა დამცველი

(ერთი უცნობი დოკუმენტი)

მესხეთის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია კონსტანტინე გვარამაძეს (1867-1943). იგი დაიბადა 1867 წლის 20 სექტემბერს ახალციხეში მესხეთის დიდი გულშემატკივრის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ივანე გვარამაძის ოჯახში, რომელიც „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით XIX ს-ის მეორე ნახევარში ქართულ პერიოდულ პრესაში ხშირად აქვეყნებდა წერილებს სამხრეთ საქართველოს ისტორიული წარსულის, ეთნოგრაფიის, ეპიგრაფიკული ძეგლებისა და იმდროინდელი მესხეთის მოსახლეობის მძიმე ყოფის შესახებ, რომელსაც რუსეთის ხელისუფლების მიერ გათამამებულ სომეხ სასულიერო პირთა საქმიანობით გადაგვარების საფრთხე დაემუქრა.

ოჯახურმა გარემომ დიდი გავლენა მოახდინა კონსტანტინე გვარამაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. იგი მამის, ივანე გვარამაძის მსგავსად სიცოცხლის ბოლომდე აქტიურ, მრავალმხრივ და მრავალფეროვან მოღვაწეობას ეწეოდა ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. მან, როგორც პრაქტიკოსმა პედაგოგმა, დიდი წვლილი შეიტანა განათლების სფეროს განვითარებაში.¹ განსაკუთრებით გამორჩეულია მისი ფოლკლორული მოღვაწეობა. მან მესხეთისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრიბა ქართული ფოლკლორის ნიმუშები, რომელთა შესახებ პერიოდულ პრესაში ხშირად აქვეყნებდა მასალებს. საერთოდ, კ. გვარამაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა მისსავე სიცოცხლეში 13 წიგნად გამოქვეყნდა,² ნაწილი კი დღემდე გამოუქვეყნებელია და მის არქივშია დაცული.³ მეტად საინტერესოა, აგრეთვე, კონსტანტინე გვარამაძის ისტორიული თემატიკისადმი მიძღვნილი ნაშრომები; ცალკე აღნიშვნის ღირ-

სია კ. გვარამაძე, როგორც სახალხო წიგნების შემდგენელ-გამომცემელი და მესხეთში სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფუძემდებელი. მისი ინიციატივით ახალციხეში, კერძოდ კი რაბათში დაფუძნდა თეატრის სცენის მოყვარულთა წრე. მან აგრეთვე დიდი წვლილი შეიტანა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ახალციხის ფილიალის დაფუძნებაში.⁴

სიძველეთა დაცვის მიზნით, კ. გვარამაძის ინიციატივით 1923 წელს ახალციხეში სამაზრო მუზეუმი დაარსდა, რომლის გამგის მოვალეობას 1924 წლიდან თვით ასრულებდა. მან მუზეუმს გადასცა მამის, ივანე გვარამაძის წიგნები და გამოუქვეყნებელი ნაშრომები, რის საფუძველზეც მუზეუმში შეიქმნა ხელნაწერთა განყოფილება. იგი მუზეუმის მასალების გამდიდრების მიზნით ხშირად აწყობდა ეთნოგრაფიული ხასიათის ექსპედიციებს. ამ ექსპედიციების დროს მან ფეხით შემოიარა მესხეთის მხარე და შეადგინა „მესხეთ-ჯავახეთის ისტორიულ ძეგლთა ცნობარი,“ რომელშიც 360 ისტორიული მნიშვნელობის ძეგლია აღნუსხული.⁵ შეკრებილი ექსპონატებით მუზეუმში იმდენად გაიზარდა, რომ 1937 წელს, კონსტანტინე გვარამაძის უშუალო ძალისხმევით, მის ბაზაზე ჩამოყალიბდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელსაც საკუთარი ბიბლიოთეკა და პირადი ნივთები შესწირა. ასაკის გამო მან უარი თქვა მუზეუმის დირექტორობაზე და მუზეუმში მეცნიერ-მუშაკად მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე. ამის გარდა იგი ითვლებოდა მესხეთის სიძველეთა კულტურის დაცვის კომიტეტის რწმუნებულად. როგორც საარქივო მასალებით დასტურდება, კ. გვარამაძემ, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ახალციხეში დააფუძნა არქივი, რომლის მასალები შემდგომ ახალციხის მუზეუმს გადასცა.⁶

კონსტანტინე გვარამაძეს გულს უკლავდა, რომ სამხრეთ საქართველოში შემორჩენილი ძველი ქართული ქრისტიანული ტაძრები მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ეთნიკური სიჭრელის გამო მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდებოდა. რუსეთის ხელისუფლების მიერ XIX ს-ის 20-იანი წლების ბოლოს თურქეთიდან ჩამოსახლებული სომხური ეკლესიის წარმომადგენლები უძველეს ქართულ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ტაძრებს ისაკუთრებდნენ; კვალის წაშლის მიზნით კი ძველ ქართულ ტაძრებზე არსებულ ქართულ წარწერებს შლიდნენ და მას სომხური წარწერებით ცვლიდნენ. ეს პროცესი საბჭოთა ხელისუფლების დროსაც გაგრძელდა. ასეთივე

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, აგრეთვე, მესხეთის მკვიდრი ქართველი კათოლიკეები, რომლებიც რუსეთის ხელისუფალთა მხარდაჭერით თურქეთიდან გადმოსახლებულმა სომეხმა კათოლიკე სასულიერო პირებმა ეთნიკურ სომეხებად გამოაცხადა და მათ წირვა-ლოცვის სომხური რიტი დაუწესა.

ჩვენ მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მიკვლეულ იქნა საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი დოკუმენტი, რომელიც კარგად წარმოაჩენს კონსტანტინე გვარამაძის ზრუნვას და დიდ გულისტკივილს იმ მძიმე შედეგების შესახებ, რომელსაც XIX ს-ში და XX ს-ის 20-30-იან წლებში ახალციხე-ახალქალაქის მხარეში ჰქონდა ადგილი. აღნიშნული დოკუმენტი ასახავს ახალციხეში შექმნილ მდგომარეობას, თუ როგორ იკარგებოდა ქართული კულტურის ძეგლები და როგორ ცდილობდნენ მის მისაკუთრებას უცხო ეთნოსის წარმომადგენლები.

აღნიშნული დოკუმენტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას სრული სახით გთავაზობთ, ავტორის სტილისა და ორთოგრაფიის შენარჩუნებით. კონსტანტინე გვარამაძე მესხეთში შექმნილი ვითარების გამო 1936 წლის 18 ოქტომბერს დახმარებისათვის მიმართავს საქართველოს სახკომსაბჭოს იმდროინდელ თავმჯდომარეს ფ. მახარაძეს. თუმცა, როგორც მიმართვაში აღნიშნულია, მანამდე მისი მიმართვის ადრესატი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი ლავრენტი ბერია ყოფილა.

„დიდად პატივცემულო
ამხ. ფილიპე მახარაძე.⁷

ოცი, ოცდა ხუთი დღე ადგილობრივი დაშნაკთა საბუთების ძებნაში, მათი საგმირო საქმეების დასადასტურებლად ძლივას შევძელ მოხსენების ვრცლად დაწერა; ამხ. ბერიას⁸ სახელზე დაწერე და ასლი თქვენთვისაც უნდა გადმომეგზავნა.

ეს მოხსენება ამხ. ვარძიელს⁹ (რაი-აღმასკომის თავ-რეს) წარუდგინე, განსახილველად, მან თავის აზრი სთქვა, როცა გადაიკითხა; ეგ მოხსენება შეიძლება ვერც წაიკითხოს ბერიამ და თან ის ნაკლიც სთქვა მოხსენებისა, რომ ძველის ძველი საბუთები გაგიტარებიაო მათი საგმირო ფაქტებისა და სხვ. ეს უფრო უკეთესია ამხ. ფ. მახარაძეს გადაუგზავნოთ, ის უფრო დაინტერესებულია მაგნიარი ისტორიული საბუთებზე აგებული ნაწერებისა, სულ არა იყო რა არქივში შესანახადო...

ახლა თქვენთვის ველარ გადაწერე, რადგან სამი თაბალი – 11 გვ. გადაწერა ძნელი იყო და როდესაც გადაწვევით ბერიას სახელობის ჩემი მოხსენება თქვენთვის გადმოგზავნა, არც საჭირო იყო ახლის გადაწერა. ამისათვის გიგზავნით თქვენ ცნობად თუ რანაირს პოლიტიკას აწარმოებს შოვინისტ-ნაციონალურ ნიადაგზე ადგილობრივი დაშნაკები, მაგ. ეროვნული ინსტ. ლისიციანი, რომელიც გავლილ აგვისტოში აგიტაციებს ეწეოდა და სხვ. რომელიც ვითომ და მოვლინებული იყო ექსპედიციის ხელმძღვანელად სამეცნიერო მიზნით.

პატივისცემით კოტე გვარამაძე
სიძველეთა კულტურის დაცვის კომიტეტის
რწმუნებული და მუხეუმის გამგე

ქ. ახალციხე, 18/X- 36 წ.

ფოსტის ადრესი:

ქ. ახალციხე-რაბათი, ძველი აბასთუმნის ქ., კოტე გვარამაძეს.

დიდად პატივცემული ამხ. ლავრენტი პავლეს-ძე

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

ნება მომეცით, დიდად პატივცემულო ამხ. ლავრენტი პავლეს ძე მოგახსენოთ შემდეგი:

თქვენ კარგად მოგეხსენებათ მესხეთ-ჯავახეთი თვითმპყრობელი მეფისა და მინაგვარი მენშვეიკების დროიდან ერთ-ერთ უბნელეს კუთხეს შეადგენდა მთელს საქართველოში, რომელიც მოკლებული იყო სწავლა-განათლებას და ყოველ გვარ კულტურულ განვითარებას, ხოლო გამეფებული იყო მის მოსახლეობაში — მრავალ ეროვნებასა და სარწმუნოების მადიარებელთა შორის სრულიად უვიცობა და ველური ცხოვრება, ცხოვრება არაადამიანური, რაც გამოწვეული იყო პოლიტიკურად ზერეღედ ხსენებული ხელისუფლებისაგან. მაგალითად სომეხი თათარს აუსია, რომელთა შორის საშინელ სისხლის ღვრას იწვევდა, კათოლიკე ქართველები სომხის ერს დაუმონაჟა, რის გამო, თითქმის მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში დაჟა აუტუნა და სასტიკი შური და მტრობა ჩამოაგდო ურთი-ერთ შორის. კათოლიკე ქართველები, რომელნიც მე-XV საუკუნეში, მესხეთ-ჯავახეთში, ოსმალოს გაბატონების დროს, როდესაც ოსმალო ცეცხლით და მახვილით უმასპინძლდებოდა ქართველთა, ხოცავდა ვინც მახმადის სარწმუნოებას არ მიიღებდა და სომხებს კი ხელს

არ ახლებდა, და იმ ხანებში სომეხი კათოლიკენი ძალიან მცირენი იყვნენ, სალოცავად თავიანთი საკუთარი ეკლესიები არ ჰქონდათ და ქართველი კათოლიკეთა ეკლესიებში ლოცულობდნენ, რადგანაც ეს ორი გვარის კათოლიკენი ერთ სარწმუნოებას აღიარებდნენ. თათრების მახვილის ასაცილებლად მათ სომეხად უჩვენეს თავი, და მაშინ დედა-ენაზე ლოცვას დაანებეს თავი და ამათაც სომხურად დაიწვეს ქართველ კათოლიკეებმა. შემდეგ 1829-ში, რუსმა რომ აიღო ჩვენი კუთხე და იმ დროს აზრუმიდან გრაფ პასკევიჩმა 111 ათასი სომეხი გადმოასახლა ჩვენ კუთხეებში, მაშინ ახლად გადმოსახლებული სომეხ-კათოლიკეები დაეპატრონენ ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებს და თვით ქართველ კათოლიკეებსაც სომხად ნათლად ნენ: და ამის თანახმანი რო არ იყვნენ ჩვენი კათოლიკენი ქართულ ენაზე მონდომეს წირვა-ლოცვა, მარა ამის წინააღმდეგ ალექსანდრე II-ემ 1886 წელს, „Высочайшее повеление“ გამოსცა, რითაც აღუკრძალა კათოლიკე ქართველებს ლოცვა თავიანთ ეკლესიებში და ამით ხანგრძლივი დაჟა მოსპო. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებით, კათოლიკე ქართველებმა აღადგინეს ძველებურად თავიანთ დედა-ენაზე წირვა-ლოცვა. მარა ამით კიდევ არ სცხრებიან სომეხები და კიდევ თავიანთ ნაცად აღიარებენ ჩვენი კუთხეების ქართველ კათოლიკეებს, რომელთა რიცხვი 6 ათას სულამდე ითვლებოდა გასაბჭოებამდე ტირასპოლის რომის კათოლიკე ეპისკოპოსის აღრიცხვით (იხ. იმ წლების ეპისკოპოსის კალენდრები). აქვე უნდა აღვნიშნოთ ებრაელთა ჩაგვრა და წვალება ქრისტიანებისაგან. ასეთ ველურ ცხოვრებას განიცდიდა გასაბჭოებამდე ჩვენი მესხეთ-ჯავახეთი, ჩვენს კუთხეში ეროვნებით და სარწმუნოებით მოსახლეობა განიყოფება შემდეგნაირად: მახმადიანი ქართველები, ქურთები და თარაქამები. ქართველები, მართლმადიდებელი და კათოლიკის სარწმუნოების; სომეხები, გრიგორიანისა და კათოლიკის სარწმუნოებისა; ბერძნები, პოლონელები და სხვები. მეტი ნაწილი მესხეთ-ჯავახეთში ეროვნებით სარწმუნოებების მიუხედავად, შეადგენენ ქართველები (ქართველი მაჰმადიანების ჩათვლით), შემდეგ — სომეხები და სხვ. ურთიერთშორის დამოკიდებულება ქართველებთან, ყველა ადგილობრივი ეროვნებისა და სარწმუნოებისა, მეტად სიმპატიურია, მშვიდობიანი და სიყვარულიანი, არასდროს არ ახსოვს ადგილობრივ ქართველებს იმათგან უსიამოვნება, სომხებს გარდა, რომელნიც ნაციონალურს ნიადაგზე სასტიკ შურს და მტრობას აწარმოებდნენ და დღესაც გასაბჭოების დროსაც კი ბედავენ ასეთ ნაციონალურს და

შოვინისტურს პოლიტიკას. ასეთ ფაქტებს ქვემოთ აღვნიშნავ, რაც იწვევს ეროვნებებს შორის ურთიერთ არეგ-დარეგას, შეხლა-შემოხლას და დაუბოლოვებელ უსიამოვნებას, როგორცაა უწინ მეფისა და მენშევიკების ხელისუფლების დროს აწარმოებდნენ. დავიწყეთ ძველი ფაქტებიდან დაშნაკთა საგმირო ჩადენილობა;

ა) 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გადატრიალებისას უსულხაჩაოს მეთაურობით დაშნაკები შეცვივდნენ ხაზინაში და მოსამსახურენის ეროვნებანი აღწერეს და არა სომეხთ გვარის თანამშრომლებს გამოუცხადეს, იქიდან წასულიყვნენ, რადგანაც სომეხებს გვეკუთვნის აქაურობაო (ნაამბობი ტროფინე მაისურაძესი... ფინგანის მთავ. ბუღალტერი რომელიც მსახურობდა);

ბ) იმავე თებერვლის რევოლუციის დროს, ადგილობრივ გიმნაზიაში, დიდი არეულობა და აურზაური ატეხეს დაშნაკებმა ანჯელოვის თაოსნობით (დიდი ყოფილი ვაჭარი), გიმნაზიის დირექტორი სერგო დანელია, ოთხი ქართველი მასწავლებელითურთ, გააგდეს ვარციხეს გიმნაზიიდან და იმათ მაგოვრად სომეხები დანიშნეს. (ამას დასამტკიცებლად იხ. გაზეთები: „სახალხო საქმე“ 1917 წ. N79; გაზ. „საქართველო“ 1917 წ. 188 და 189).

გ) ამავე გიმნაზიაში მისი დაარსებიდან, 1890 წელს, სომეხებმა თავიანთი ენა შეიტანეს გიმნაზიის ადმინისტრაციაში სასწავლებლად, ხოლო ქართული ენა უარყოფილი იქნა. იქ სასწავლებლად ქართველი მშობლები თხოულობდნენ დედა-ენის შეტანასაც, მარა ვერას გახდნენ. იმ დროს მე ქართველების მშობლებს თავი მოუყარე ერთად და ჩემი თაოსნობით, დემონსტრაციულად გავილაშქრე რამოდენიმე გზით, ადმინისტრაციის წინააღმდეგ, დაჟინებით მოვითხოვე ქართული ენის შეტანა გიმნაზიაში ისე, როგორც სომხური ენა; მხოლოდ მაშინ გვადირსეს ქართული, მაგრამ ქართული ენის მასწავლებლის ხელფასი, 5 მანეთი დანიშნეს თვეში, იმ მიზნით, რომ ამ ხელფასში არაფერ იმსახურაბდა, მაშინ პრინციპის გულობისა მე ვიკისრე 5 მანეთის ხელფასზე სწავლება, როდესაც არაფერ იკისრა. ამის დასამტკიცებლად აღვნიშნავ საბუთს: „სოციალ-უზრუნველყოფის განყოფილების მიერ შედგენილი გამოკვლევითი აქტ“ გამგის პ. ჭყონიას მიერ, 1928 წელს, 4 ოვლისს, თანახმად სრ. საქართველოს „ცაკან“ უზრუნველყოფის განყოფილების მომართვისა, 1928 წელს 16 მაისიდან №1662, მოქ. გვარამიძის კ. განსაკუთრებული დამსახურებულის გამოსაკვლევად.“

დ) 1917 წლის ოქტომბერს რევოლუციური გადატრიალებისას

დაშნაკებმა აშოვას თაოსნობით გაიტაცეს ჩუმიდ შაშხანები და ტყვიათმფრქვევები ადგილობრივი საწყობებიდან და გადაზიდეს სომხეთში (ნაამბობი პენსიონერი გაბო მღებრიშვილის მიერ).

ე) 1918/19 წლებში, სომეხებმა უსულხაჩაოს თაოსნობით სასტიკი აგიტაციებით გაამწვავეს თათრების ალა-ბეგების მიერ ქართველები-სადმი დაჟა, რომლებიც მოითხოვდნენ ახალციხეს დაპატრონებოდნენ; სომეხ დაშნაკებმა თათარ-ქართველთა დაიწყეს ორჭოფული აგიტაციები; ამ ორ მოძმე ქართველ-მაჰმადიანთა და ქართველთა შორის, ატეხილ დაჟა შხამიანი აგიტაციებით გამოიწვიეს მესხეთ-ჯავახეთს დამღუპველი და გამანადგურებელი ომი; შეუჩნდნენ ქართველებს და საბრძოლველად უსისინებდნენ: არიქა, ქართველებო „ჩვენც თქვენსკენ ვართ, დავკრათ ურჯულო თათრებს, ოსმალოს გაბატონებას ცდილობენ ქართველების კუთვნილ სამფლობელოში“ და იმავე დროს, მაჰმადიანებს ეჩურჩულებოდნენ: „ახალციხე თქვენიია, დასცხეთ ქართველებს, საქართველო უნდათ გააბატონონო“... რის გამოც გამოიწვიეს საშინელი სისხლის ღვრა-განადგურება. მოსახლეთა ლტოლვა და გაპარტახება, რის მომსწრენი თქვენცა ბრძანდებით ამხ. ლავრენტი პავლეს ძეგ, თუ რა მწარე და საშავბნელო დღეები განიცადა იმ დროს მესხეთ-ჯავახეთმა, ასეთი პოლიტიკა დაშნაკებისა გამოწვეული იყო ნაციონალურ ნიადაგზე, რადგან ისინი ეპატრონებიან ამ ჩვენს კუთხეებს და ჰაისტანათ თვნიან. იმ ატეხილი ომით წყალი აღვრიეს თავიანთ სასარგებლოდ, ქართველების დახმარებით ცდილობენ მაჰმადიანების გაწყვეტას, რითაც სისხლს იძიებდნენ იმ დროს, სომეხ-თათართა შორის არეულ სისხლის ღვრის ნიადაგზე, რაც სწარმოებდა კავკასიის ყველა დაბა-ქალაქ-სოფლებში.“ იმ შრომელებში ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა, მათთან შედარებით როგორც მცირე რიცხოვანი ერთიან დასუსტებოდენ და თვითონ კი რჩებოდნენ საბატონოდ მესხეთ-ჯავახეთ, რომელსაც დიდი ხნიდან ეპატრონებიან, ე. ი. 1829 წლიდან ერზერუმიდან აქ გადმოსახლების დღიდან. იმ ომის 1928/9 წლებისას გამომწვევისა, რომ დაშნაკები ბრძანდებოდნენ, სადაც ნათლად ცხადდებოდა მათი სამარცხვინო საგმირო საქმენი. (იხ. გაზ. „სახალხო საქმე“ 1917 წლისა, N№34, გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წლ. №552).

ვ) ნაციონალურ ნიადაგზე რო ეპატრონებიან ჩვენ კუთხეებს იქიდანაც ნათლად სჩანს სომეხების სისამაგლე და სითაღლითე, რო ძველს ისტორიულს ძეგლებზე ისტორიულ ეკლესიებზე, ქართულ ხუცურ წარწერებს ფხეკავენ და ნაცვლად სომხურად აწერენ, მაგ;

სოფ. ალასტანში (ჯავახეთი) ძველ ეკლესიაზე, ხუცური წარწერა, რომელიც 20-30 წლის წინედ ჩემის თვალთ მინახავს, ის ხუცური წარწერა და ის ხუცურის ნაწერის ტექსტი, მამაჩემს ივანე გვარამიძეს ქართულს ლიტერატურაში ცნობილს — „ვინმე მესხი“-ს, რომელიც ისტორიკოსი და არქეოლოგი გახლდათ, 1880-იან წლებში, „ჯავახეთის და მესხეთის“ ძველი ისტორიული ძეგლებიდან ყველა წარწერები ხუცური თუ მხედრულია, თავის არხეოლოგიურ მგზავრობაში გადმოწერილი აქვს, რომელიც ჩვენთან დღესაც დაცულია და იმ დროის გაზეთებში „დროებაშია“ აღუნიშნავს, მაგ. იხ. გაზეთები „ვინმე მესხის“ არქეოლოგიური მოგზაურობანი (ფელეტონის სვეტებში მოთავსებული) კუმურდოს ეკლესიის ხუცურ წარწერებზე. გაზ. „დროება“ 1880 წ. №196; აწვეირის ეკლესიის - „დროება“ 1882 წ. №167, ბიეთი ეკლესიისა, გაზ. „დროება“ 1882 წელი, №168 და სხვაც ბევრია ამავე წლების. ეს ალასტანის წარწერა ხუცური, გაუჩინარებულია და მის ნაცვლად სომხურად დაუწერიათ, რომელიც ვნახე 2-3 წლის წინედ ჩემის თვლით, როდესაც სიძველეთა დაცვის კომიტეტის დავალებით გაგზავნილი ვიყავი იქ რწმუნებულად აპარატის მოსაწყობად სიძველეთ დასაცავად. ეს ცნობა სიძველეთა კომიტეტს მოვასხენე და გაუჩინარებული ხუცურის წარწერის ტექსტიც გადაუგზავნე. რითაც შევატყობინე, რომ აღარ არსებობს ის ხუცური და ნაცვლად არის მისი სომხური წარწერა იმ ეკლესიაზე მეთქი. ის ტექსტი მეც მაქვს, მინდოდა თქვენთან ასლის გამოგზავნა მაგრამ ვერ ვიპოვე ჩემს არქივში ნაჩქარევად. ასევე აქვთ წაფხეკილ ხორენიაში, განმაში და სხვაგან (ჯავახეთი) და მის ნაცვლად სომხური წარწერები ჩანს იქაც. მაგ. სოფ. განმის ეკლესიების ნაწილობრივ წარწერების ტექსტს აღვნიშნავ. „ვინმე მესხი“-ს გადმოწერილ უბის წიგნის ფურცლებიდან: სოფ. განმა (ჯავახეთი) ძველი ეკლესიის კარზედ ასე აწერია („ვინმე მესხი“-ს გადმოწერილი 1880 წლებში) ... (ქ. ღვთი გვირგვინოსანი მეფე გიორგის ლაშქარნი და სამეფოს დაიფარენ დედაო ღვთის და მხსნელისაო). განმა ეკლესიის კარზე ხუცურს აღარ ვწერ ნაცვლად იმისა მხედრულად ახსნას აღვნიშნავ: „ღმერთო აღიდე ორთავე ცხოვრებათა მანდატურთ უხუცესი შალვა ძმათა ძითა მათგანი ცოცხალ აღვაშენეთ ესე საყდართ ჩვენ ნიკოლას ძეთა შალვას მონას მან გლახას მეოხე ექმენ ღმერთო ყოველთაო საყდარი დედისა ღვთისასა.“

გ) ასპინძის რაიონში, ასპინძიდან ერთი კილომეტრის დაშორებით აღმოსავლეთზე, ახალქალაქის გზატკეცილზე ხვილიშის

ძველ ეკლესიაში ტამალის სომხებს, შეუტანიათ სომხურათ ნაწერი, ოთხ-კუთხი ქვა 5-6 ფუთის სიბმოსა ეკლესიის დასაპატრონებლად. ის კი დაფიქვებით იმ უბედურებს, რო ეკლესიის სამხრეთის კედელზე ზევით ხუცური წარწერა აქვს. ალბათ ის წარწერაც მათ ხუცურ, სომხურ წარწერა გონებით. რადგან ასო მთავრული ხუცური ნაწერი ძალიან წააგავს სომხურს ძველს გრაფარის ნაწერს. ასე რომ არ გონებოდათ იმასაც წაფხეკავდენ თვარა თავიანთ გასამტყუნარის ქართულს საბუთს, არ დატოვებდენ. რაც ცხადს ჰყოფს იმათ სითაღლითეს და ქურდობასა, რომ ის სიძველე ქართველების ნაგებობას ამტკიცებს და არა სომხებისას. აქ ჩვენში ახალციხის მახლობელ სოფ. ყურათ უბანში ძველს ნანგრევს პატარა ეკლესიის ტრაპეზისა ქვაზედ აწერია: „წა ნინოს ჯვარი ვაზისა.“ ჩუქურთმები ამოკვეთილია, და ამ ჯვარზე რამოდენიმე ასო სომხური აწერია, ალბათ ესეც სოფ. წყრუთის ნასაქმევი იქნება, (წყრუთი 2-3 კილომეტრით დაშორებულია ყურათ უბანიდან). მაგალითების მოყვანა ბევრი შეიძლება, მარა სომხების სითაღლითის დასამტკიცებლად ესეც საკმარისი უნდა იყოს მგონია, რითაც ქართულ ისტორიულ ძეგლებს ამახინჯებს და ისტორიის ვნებას აძლევენ და ისტორიულ სინამდვილის კანონებს არღვევენ და ამახინჯებენ. ამისათვის მომყავს სომხების ასეთი სითაღლითის ნიადაგზე ნაციონალურ მუშაობის საბუთები, თვარა მე არავითარი სიძულვილი არ მიმიძღვის მათდამი, როგორც სოციალისტი ყველა ეროვნებას ერთნაირი და საერთო თვალსაზრისით უცქერი, რასაც ნათლად ამტკიცებს ჩემს სიცოცხლეში სომხებთან ამხანაგური განწყობილება. ჩემი მცირე საზოგადო ლიტერატურული მოღვაწეობის ნიმუშებიდან, როდესაც სომხური ლიტერატურიდან ქართულად ნათარგმნი მაქვს და ცალკე ბროშურათ დაბეჭდილი შხიანცის „ნაკადული“ 1906 წელში და დასაბეჭდად განმზადილი მაქვს თათარ-სომეხთა შორის სისხლის ღვრის ნიადაგზე მწერალ აპრონიანის „ნიშა-ხარი (ბაბო)“. მე ფაქტები მომყავს სომხების მიერ ისტორიულ დამახინჯებების ხაზზე, რაც შეუწყნარებელია ეს მათთვის საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

გასაბჭოებამ ყოველივე ძველი მეფობისა და მენშევიკების ხელისუფლების ბარბაროსული ეროვნების ჩაგვრა და არა ადამიანური ცხოვრება მათ შორის მოსპო, ყოველივე შური და მტრობა ნაციონალურს და სარწმუნოების ნოადაგზე დაქუცმაცებული უამრავი მოსახლეობა გაერთიანდა ერთ ძმურსა, ამხანაგურს შეკავშირებაზე დაამყარა, რომლებიც საქართველოს გასაბჭოებიდან, 15 წლის

მანძილზე გაერთიანებული ძალით ყველა მშრომელი მუშა-გლეხი კოლექტიურად მუშაობაში ჩაბმული, დღეს შეძლებულს და სამთო ცხოვრებას მისწია და ერთობ გააბედნიერა სწავლა-განათლების და... კულტურის აყვავებით და პოლიტიკური ძველი ჩაგვრისა და ადამიანური უფლებების მოკლებულნი გაანთავისუფლა და საამაყო ცხოვრება შეუქმნა, რომელნიც მჩქეფარე წყალსავით მიისწრაფიან ნასიამოვნევი მშრომელნი სოციალიზმის მშენებლობის უკედ წარმატებისაკენ, რაც ასეთი ჩვენი ბედნიერება, რომელიც ჩვენი დიდებული ბელადთა ლენინ-სტალინის კომუნისტური სოციალისტურ პარტიის წყალობით მოხდა, მთელ მსოფლიოს ტერიტორიის სახელმწიფოებში ერთად-ერთი თითოთ საჩვენებელი დიდებული ცხოვრება შეიქმნა. ანტისაბჭოს მიმდევარი ტროცკ-ზინოვიები და მენშევიკური და მათი დამქაშნი, ვერ იცდიან პროლეტარიატის მაღალ მწვერვალზე ბედნიერებას და ყოველივე ღონისძიებით ცდილობენ ოქტომბერს რევოლუციის მონაპოვარი ბედნიერება დაამხონ და ხელთ იგდონ ჩვენი ძალაუფლება და ასეთ ნიადაგზე ჩვენს დაწესებულებაშიაც კიდევ არიან დარჩენილნი ასეთი ნაძირალები, რომელიც თავიანთ შოვინისტური და ნაციონალური შუღლით აღჭურვილნი ცდილობენ ლენინ-სტალინის სოციალიზმის აყვავებულ მშენებლობას.

ჩვენს ადგილობრივ აღმასკომში თავმჯდომარე ღვაშიჩავას წასვლის შემდეგ მის კანცელარიაში და მის გარშემო დაწესებულებებში დამნაშავეთა ბანდამ იჩინა თავი. აღმასკომის მდივანი საშა არგუთიანის თაოსნობით, რომელთა პოლიტიკა იყო ნაციონალური და უკეთ, რომ ვთქვათ ეპატრონებოდნენ ახალციხეს, ასეთ ნიადაგზე მათ აღმოაჩნდათ ახალციხის ისტორია რემენგტონზე დაბეჭდილი, სადაც სხვათა შორის ქვერა რაბათში (ახალციხის ძველ ნაწილში) 70-იან წლებში 700 სომეხი ცხოვრობდა და რამოდენიმე ქართველი და ასეთსავე ცრუ ცნობებს აწვდიდნენ გარეთგან მოსულ ექსკურსანტებს, ტურისტებს და სხვა. ასეთი სხვა ცნობებიც იყო იქ აღნიშნული. ეს ისტორია მე ხელთ ჩამივარდა 1924 წელში, როდესაც მასწავლებლობიდან მუშეუშში გამგედ გადაყვანილ ვიქენი აღმასკომისაგან. ასლი გადვიღე აქიდან და მინდოდა სიძველეთა დაცვის კომიტეტში გადაგზავნა ამ ცრუ ისტორიისა, მაგრამ სამწუხაროთ განათლების განყოფილების შკაფიდან (სადაც ჩემ ქალაქლებს იქ ვინახავდი) მომპარეს, ოღონდ ის ცნობა, რომელიც რაბათის მცხოვრებთ შეეხებოდა იმისი გასამტყუნარ საბუთი ვიპოვე აღმასკომის არქივში, სადაც 700

სომეხი ცხოვრობდა 1870 წელში და რამოდენიმე ქართველი. იმ წელს ქალაქის საბჭოს „სბორჩიკი“ სტ. დიდიმამაშვილის ქართულათ ნაწერი წიგნი ვნახე არქივში, რომელიც „პოდატის“ ფულებს კრეფდა თურმე იქ, რაბათის მოსახლეობა სულ აღწერილი იყო გვარი სახელით. მის აღწერებში 700 მცხოვრებელი სულ ქართველია აღნიშნული და რამოდენიმე სომეხი.

ამ არგუთიანს უსარგებლია ქართველ კათოლიკების გასომხებით, რადგანაც სულ ქართველი კათოლიკები არიან და სომეხი კი რამოდენიმე ოჯახობა იყო. ქართველი კათოლიკები სომხად მოუნათლავს.

ეს დამნაშავეები წინააღმდეგი იყვნენ აქ მუშეუშის და არქივის შექმნისა, რომლის გამგედ მე ვიყავი. არ მაძლევდნენ შესაფერის ბინას, და უბრალო პატარა ოთახებით მიმასპინძლებოდნენ, სადაც არც მუშაობა შეიძლებოდა სივიწროვისა და სიბნელის გამო და თან სინესტეც არ აკლდა. უბინაობის გამო ძვირფასი მუშეუში სინესტიგან ზიანდებოდა. ა. წ. იანვრამდის სამუშაოდ შესაფერი ბინა არ მქონდა და მალ-მალ იმ ბინებიდანაც სხვადასხვა უარეს ბინებზე მატარებდნენ საარქივო ფონდებს, მის გამო გზა-დაგზა-შუა, ირეოდა და იფხრიწებოდა: ბევრჯერ უარი ვუთხარი გადატანაზე სხვა ბინებზე, რადგან ფუჭდებოდა და ირეოდა ფონდები. მაგრამ არგუთიანი კარებს აღებდა შერჩეულ გასაღებით და სხვა ბინებზე უჩემოდ გადაჰქონდა, როდესამ მე რაიონში მივლინებული ვიქნებოდი სიძველეთა დაცვის გამო. 12 წლის განმავლობაში 15-16 ჯერ უცვალებს ადგილი არქივს, რამაც არქივს ზიანი მიაყენა. ახლა კი აღმასკომის შენობაშია მოთავსებული, უკანასკნელი კარის გატეხით ორი წლის წინად გადატანილ იქნა არქივი აღმასკომის თავმჯდომარის აბდულოვის განკარგულებით ისეთ ბინაზე, სადაც მზე არასდროს არ შეიჭიტივებოდა, ფასადი შენობისა ჩრდილოეთისკენ ჰქონდა. თანაც გვერდით ღელის წყალი ჩაუდიოდა, რის გამო ბინა ნესტიანდებოდა. მე წინააღმდეგი ვიყავი, როგორც არქივისათვის გამოუსადეგარი და სხვა, ხოლო მასზე უკეთეს მშრალს და მზიან ბინაზე გადავიტანე საარქივო ფონდები. ორი დღის შემდეგ კი ისე მოხდა, რომ ძველი ბინა მეზობლის ბინიდან გაჩენილ ხანძრით გადაიწვა. მე რომ არ გადამეტანა იქიდან არქივი მთელი არქივის ძვირფასი ფონდებიც გადაიბუგებოდა ბინასთან ერთად.

ასე მე გადავარჩინე ცეცხლის გადაბუგვას აღმასკომის თავმჯდომარის აბდულოვის განკარგულებით ნაჩვენები ბინაზე, რომელიც

არგუთიანის დამქაშების მიერ იყო ის ბინა არქივისათვის შეთავაზებული.

არქივის ფონდების ხანძრის გადაბუგვისაგან გადარჩენისათვის, აღმასკომის პრეზიდენტის დადგენილებით 100 მანეთით ვიქენ დაჯილდოებული. ეს არქივი მუზეუმთან მე დაჯილდოებული 1924 წელს, ღვაძიჩავას აღმასკომში თავმჯდომარეობის დროს. ღვაძიჩავას დროს არქივი სისტემატიურად მოაწყვე და ამისათვის შესაფერ სამუდამო ბინისათვის არჩეულ იყო უნიცვეისეული სახლი, რის შესაკეთებლად ღვაძიჩავამ 1500 მანეთი გადაიხადა, მაგრამ მის შეკეთებას ღვაძიჩავას გადასვლამ მოუსწრო აქედან და შემდეგ მის წასვლისა აღარავის უფიქრნია არქივისათვის და მუზეუმის შესაფერ სამუდამო ბინისათვის, რასაც არგუთინი და მისი დამქაშები აბრკოლებდნენ და მათივე მეოხებით 15-16-ჯერ ბინების გამოცვლით 2-3 ჯერ კარის გატეხის საშუალებით, რაც ცენტრარქივსაც ვაცნობე და პოლიტიბუროსაც და „ცაკი“-ის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძესაც. ამხ. ფ. მახარაძემ ჩემი მოხსენება იმ დროს მუშ-გლეხინს გადმოუგზავნა თავისი ბრძანებითურთ, რათა გამოეძიათ საქმე, არქივის ხელის შემშლელნი პასუხისმგებლობაში მიეცათ და არქივისათვის კი შესაფერისი ბინა, მარა ყველაფერი უშედეგოდ დარჩათ, „ცაკი“-ს თავმჯდომარეს ბრძანებამ ტყვილა გაიარა, არც არავის გამოუძეგია და არც არქივისათვის მიუციათ შესაფერისი ბინა, რაც ყველა დაბრკოლება არქივის მუშაობის არგუთიანი და მისი დამქაშნი აძლევდნენ, რის მეოხებით არქივი განადგურდა. რაიკომის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ცერაძემ რა შეიტყო არგუთიანის და მისი დამქაშთა მავნებლობა, მოხსნა თავიანთი თანამდებობიდან. თვით აღმასკომის მდივანი არგუთიანი, პროკურორი ოდიბაშიანი, აღმასკომის მოადგილე არშაკ მანახოვი, განათლების განყ. გამგე პაზოვეი და სხვ. როდესაც გადაყვანილ იქნა ცერაძე სხვაგან, რამოდენიმე ხნის შემდეგ ხსენებული მოხსნილები ზოგი ისევ თავის ადგილზე წამოსკუბდნენ. ზოგნი უკეთეს ადგილებზე დანიშნეს. ოდიბაშიანი დღესაც თავის პოსტზეა პროკურორად, ხოლო ზემორე ხსენებული პაზოვეი რაიადმასკომის ინსტრუქტორად (არგუთიანი და მანახოვი აღარ არიან უკანასკნელნი პარტიიდანაც მოხსნილნი იქნა).

ორიოდე წლის წინად ცენტრარქივიდან მოვლინებული გიორგი ბოჭორიძე, ეკლესიებიდან ჰკრებდა სამუზეუმო ისტორიულ წიგნებს სათანადო მანდატით მუზეუმისათვის, სომხების ეკლესიების გარდა, ყველა ეკლესიებმა ულაპარაკოთ გადასცეს ბოჭორიძეს ისტორიული

წიგნები. სომხების მღვდელ აზნაუროვმა ეპისკოპოსის შეუკითხავად არ გადასცა წიგნები, რისთვისაც პროკურორს გამოეცხადა მღვდელი აზნაუროვის ასეთი საქციელი. პროკურორმა ოდიბაშიანმა აზნაუროვს დაუჭირა მხარი და ბოჭორიძეს ეუბნება: რა გენაღვლება შეეკითხოსო. აზნაუროვს ეპისკოპოსისაგან ნება მოსვლია ერევნის მუზეუმისათვის გადასაცემად და არა ტფილისისათვის და მაშინათვე კიდევ გადაუგზავნა აზნაუროვს ერევანში, რის საბუთათ ფოსტის ქვითარი უჩვენა პროკურორმა ბოჭორიძეს. ამაზე ბოჭორიძემ პროკურორს უსაყვედურა: აქ რა შუაში იყო ეპისკოპოსი, მე, ცენტრიდან სათანადო მანდატი მაქვს და ყველა ეკლესია ნებაყოფლობით გვაძლევნო. თქვენი ცენტრის კანონი აქ არ იკანონებს, რადგან საზღვარია აქ, ჩვენებური კანონები გვაქვს, როგორც საზღვარს შეჰფერისო, მიუგო პროკურორმა. გარედან მოსული დამნაშავეები კიდევ მეტს მავნებლობას ეწვეიან სოციალიზმის წინააღმდეგ, რომელნიც ექსპედიციების სახით ვვლინებიან ვითომდა სამეცნიერო მუშაობის მიზნით, ნამდვილად და კი აგიტაციებს აწარმოებენ ნაციონალურს და შოვინისტურს ნიადაგზე ადგილობრივ მოსახლეობაში არეუ-დასარეუად მშვიდობიან და წყნარი სოციალიზმის მშენებელ-მშრომელთა მასაში.

ასეთი ექსპედიციები ზოგი სათანადო მანდატით აღჭურვილია და ზოგიც უმანდატოთ ჩუმათ დაძვრებიან და თავიანთ პროგრამას გადაჭარბებულ პროცენტებითაც ასრულებენ, ვინაიდან პროგრამის შემზღუდველს აქ ვერა ნახავს და თამამად ქადაგობს, რადგან ჩვენ კუთხეში შემზღუდველნი დიდი რაოდენობით ნაკლებია, ვიდრე აგიტატორის მსმენელნი - აი ფაქტები:

ა.წ.-ს აგვისტოს პირველ რიცხვებში ერევნიდან მოგვევლინა სათანადო მანდატით ეთნოგრაფიული ექსპედიცია ისტორიკოს სტ. ლისიციანის ხელმძღვანელობით, რომელიც სომეხთა მოსახლეობაში კრებდა ეთნოგრაფიულ ნივთებს. ლისიციანი მესტუმრა სახლში, როგორც სიძველეთა კომიტეტის რწმუნებულს და გამიზიარა თავისი ჩვენში მოსვლის მიზანი, თან ისიც დასძინა, რომ ერთი თვეა ის ჯავახეთშიაც მოგზაურობდა, სადაც შეეკრიბა 100 ფუთამდე ეთნოგრაფიული ნივთები, რომელიც იქიდანვე გადაუგზავნე ერევანში და ახლა აქ ვკრებ სომხების მოსახლეობაშიო. მას თან ახლდა ერევნელი ასპირანტი არამ იაზინჯიანი. სხვათა შორის გააბა საუბარი, როცა გაიგო ჩემი ქართველთ კათოლიკობა მითხრა: თქვენ კათოლიკები სომხურათ ლოცულობდით მეფის დროს, სომხები ხართ და რატომ

ქართველობით. მამაშენიც, მღვდელი ივანე გვარამაძე ფსევდონიმით ცნობილი „ვინმე მესხი,“ სომხური ენის კარგი მცოდნე იყო, ვენეციაში სომხურად გაიზარდა და ბოლოს ისიც გაქართველდაო (მამაჩემი კი არასდროს არ ყოფილა ვეროპაში მეთქი, ტყვილს ამბობ ლისიციანო, შევაწყვეტინე ლაპარაკი და ისე განაგრძო). ტფილისისკენ თელეთი სთქვა თუ სხვა სოფელი კარგად აღარ მახსოვს, ძველს ეკლესიაზე, იქ სომხური წარწერა ჰქონდა ქართველებს წაუხოციათ და ქართული წარწერითო, ჯავახეთში კი აქა იქ კიდევ დარჩენილა ეკლესიებზე სომხურ წარწერებით, მაგ. სოფ. ხორენიას, კუმურდოს, განმას, ალასტანს; მე ჩამეცინა უნებლიეთ, როდესაც ასეთი სიცრუე სთქვა მან, როდესაც იმ ეკლესიებზე ხუცურ წარწერებში სომხებს აქვთ წახოცილი და ნაცვლათ სომხური დაწერით, ამის შესახებ ზევითაც მოვიხსენიე, სადაც განმს ეკლესიის ხუცური წარწერის ასლიც ავღნიშნე. ლისიციანის ყველა ნალაპარაკევი სიცრუეს შეადგენდა, იძულებული გავხდი შესაფერი ისტორიული საბუთების მოყვანით გავმასპინძლდებოდი, რითაც ხმა გავაკმედიე. გამოთხოვებისას პერგამენტზე ნაწერი წიგნები მთხოვა, რომელიც ჩემთან ნახა საყიდლად, მე უარი უთხარი, საქართველოს მუზეუმს უნდა გადავცე, როგორც მისი ტერიტორიის წიგნი მეთქი. ლისიციანი ჩემგან ლევან ბაიბურთელის სახლში წავიდა, იქ იყო ოთახში შოთა რუსთაველის სურათი დაინახა კედელზე დაკიდებული, რისთვისაც სახლის პატრონს უსაყვედურა თურმე, თქვენ ხომ სომხები ხართ, რათ გინდა რუსთაველი დაგიკიდიათ ოთახში (ნაამბობი ლევანის და ნინა ბაიბურთელისაგან).

ლისიციანმა ინახულა ადგილობრივი პროკურორი ოდიბაშიანი და სახალხო მოსამართლე, რომელთაც დაავალა: ამ ცოტა ხანში, მოხდება გამორკვევა დაწესებულებებში, თუ რა ენაზე უნდა სწარმოებდეს მუშაობა, თქვენ ეცადეთ და სომხური ენა მოითხოვეთო, ეუბნება ლისიციანი და თუ არ გატარდეს თათრების მრავალრიცხოვნების გამო, მაშინ უეჭველად რუსული ენა მოითხოვეთ, ოღონდ ეცადეთ ქართული ენა არ შეიტანოთ (ნაამბობი სტეფანე ლევანის ძე ფირალიშვილისაგან).

ასპინძის მაჰმადიანთა შორის მახლობელ სოფელ ტამაღვის სომხები და ჯავახეთის დაშნაკები აგიტაციას ეწვეიან: თქვენ მაჰმადიანებს ქართველებმა ალა სულთანოვი მოგიკლეს და ჩვენ სომხებს ბერია მანჯიანი მოგიკლა და ხმა გააგრცვლეს თავის თავი მოიკლაო, ხანჯიანმაო. ასეთი ხმები აქ ახალციხეშიაც ისმის (ასპინძის

ნაამბობი შინსახკომის ინსპექტორი, ირაკლი ჭინჭველაძე).

ლისიციანის ჩვენში მოსვლის ორი კვირის წინედ არალეგალურად დაძვრებოდა უმანდატო ექსპედიცია, რომლის ვინაობა ვერ გავიგეთ, თუმცა ბევრი ზომა მივიღეთ გაგვეგო. ისიც ნაციონალურ ნიადაგზე ეწეოდა აგიტაციას. ქართველ კათოლიკეთა ჯვრის ეკლესიის...სომხურ ნაწერი გვანახა, რითაც უსაბუთებდა გარშემოხვეულთ რაბათლებს, რომ ეს ეკლესია სომხების აშენებულაიო. იქ დამსწრე რაფაელ ქურქიბაშვილი შესდავებოდა, რას ცრუობ ამხანაგო, სომხები ერზერუმიდან ასი წელია, რაც მოვიდენ აქ და როგორ იქნა 7-8 ასი წელს გაკეთებული სომხებს აუგიათო.

რადგან მოხსენება ძალზე გაგმეღდა ამით ვათავებ დიდად პატივცემული ამხ. ლავრენტი პავლეს ძე, რასაც უმორჩილესად მოგართმევთ თქვენ ცნობად.

დიდი პატივიცემით, თქვენი უმორჩილესი სიძველეთა კულტურის დაცვის კომიტეტის რაიონის რწმუნებული და მუზეუმის გამგე - /კოტე გვარამაძე/

1936./X - ქალ. ახალციხე

მისამართი: ქ. ახალციხე-რაბათი, ძველი აბასთუმნის ქუჩა.¹⁰

კონსტანტინე გვარამაძის აღნიშნულ მიმართვას ოფიციალურად არაფინ გამოხმაურებია. უფრო მეტიც, აღნიშნული პრობლემა რომ არ განმაურებულიყო, მის მიმართვას უშიშროების არქივში მიუჩინეს ადგილი. რომ არა ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ცვლილებები, დღესაც უცნობი იქნებოდა მისი არსებობა.

წარმოდგენილი დოკუმენტი, მართალია, XX ს-ის 30-იანი წლებით თარიღდება, მაგრამ მას, ამდენი ხნის გასვლის შემდეგ დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. სსრკ დაშლის შემდეგ, პოსტსაბჭოთა პერიოდში განსაკუთრებით გაძლიერდა ზოგიერთი სომეხი „მეცნიერისა“ და სომხური სამღვდლოების პრეტენზიები საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ არსებული უძველესი ქართული ტაძრების მიმართ. მათი მითვისების მიზნით ისინი სხვადასხვა სახის ფალსიფიკაციას მიმართავენ. მართალია, სომეხ „მეცნიერთა“ და სასულიერო პირთა პრეტენზიებს ქართველმა მკვლევარებმა არაერთი მეცნიერულად დასაბუთებული ნაშრომების გამოქვეყნებით უპასუხეს,¹¹ მაგრამ ისინი დროდადრო ამ საკითხს,

მეტნაკლები სიმწვავეთ მედიისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საშუალებებით, წინ წამოსწევენ ხოლმე. ეს საკითხი მათთვის განსაკუთრებით აქტუალური მაშინ ხდება, როცა პოლიტიკური ვითარება იძაბება ამიერკავკასიაში. ამკარაა, რომ აღნიშნული საკითხი პოლიტიკური ელფერის მატარებელია.

აქედან გამომდინარე, კონსტანტინე გვარამაძის ზემოაღნიშნული წერილი, მიუხედავად მისი სიძველისა, ეხმიანება ბოლო დროს სომეხთა ზოგიერთი საერო და სასულიერო პირის გააქტიურებას.

ამ მხრივ აღსანიშნავია, 2014 წლის 10 დეკემბრით დათარიღებული სომხეთის ეკლესიის საქართველოს ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსის ვაზგენ მირზახანიანის საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბ-ნ ირაკლი ლარიბაშვილისადმი გაგზავნილი მიმართვა. მიმართვაში სომხეთის ეკლესიის საქართველოს ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი მოითხოვს 442 ტაძრის (ქართული მედია რატომღაც 450 მიუთითებს) და სხვა შენობა-ნაგებობების გადაცემას. მიმართვას დანართის სახით ახლავს მათ მიერ შედგენილი სია იმ ძეგლებისა, რომლის გადაცემას ისინი ითხოვენ.

სომეხი ეპისკოპოსის მიმართვაში, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩამონათვალზე, ისტორიული ფაქტების დამახინჯებას აქვს ადგილი. მღვდელმთავარი აღნიშნავს, რომ საქართველოში სომეხთა სამოციქულო ეკლესია მჭუთე საუკუნიდან მოქმედებდა. ჯერ ერთი, სომხური ეკლესია V საუკუნიდან საქართველოს ტერიტორიაზე არ არსებობდა და ბუნებრივია მათი ტაძრებიც ვერ აშენდებოდა. ამასთანავე, რომ საეკლესიო განხეთქილებამდე (VII ს.), თუკი საქართველოში სომეხი მრევლი არსებობდა, იგი უსათუოდ საქართველოს იურისდიქციაში იქნებოდა მოქცეული, რადგან საეკლესიო სამართლით აკრძალულია — სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ერთი და იმავე აღმსარებლობის სხვადასხვა ეროვნების მრევლს საკუთარი, ამ შემთხვევაში სომხური, ეკლესიები ჰქონდეს.

რაც შეეხება მიმართვას თანდართულ დანართს, აქ უამრავი შეცდომაა. სომეხი ეპისკოპოსი საქართველოს ისეთ კუთხეში ასახელებს სომხურ ტაძრებს, სადაც ეროვნებით სომეხებს არასოდეს უცხოვრიათ (მაგ., ზუგდიდი, ხარაგაული და სხვ.). გარდა ამისა, სომეხთა მღვდელმთავარი მოითხოვს აგრეთვე სამხრეთ საქართველოში სომეხ კათოლიკეთა ტაძრების გადაცემას. ამ მოთხოვნით სომეხთა ეპარქიის მმართველი XIX ს-ში გვაბრუნებს. ცნობილია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუ-

ქმების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ ვეროპელი კათოლიკე მისიონერების გაძევების შემდეგ, სამხრეთ საქართველოს კათოლიკეთა მწყემსობა დაავალა თურქეთიდან გადმოსულ სომეხ კათოლიკე მღვდლებს, რომლებმაც დაიწყეს ქართველ კათოლიკეთა გასომხება. მათ წინ აღუდგნენ ადგილობრივი ქართველი კათოლიკეები, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. სომეხ კათოლიკე მღვდლებსა და იმპერიის საეკლესიო პოლიტიკას დაუპირისპირდა პეტრე ხარისჭირაშვილი, ივანე გვარამაძე, მიხეილ თამარაშვილი და სხვები. მათ თავიანთ ნაშრომებში არაერთხელ დაიცვეს მესხი ქართველი კათოლიკეების პოზიციები. კონფესიური სხვაობის მიუხედავად, მათ აგრეთვე მხარს უჭერდნენ ქართველი საერო და სასულიერო პირები (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ეპისკოპოსი ლეონიდი და სხვ.).

ჩვენ, რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ საქართველოში სომეხთა ეთნოსი არ არსებობდა და არ ჰქონდათ თავიანთი ეკლესიები, მაგრამ არა იმ რაოდენობით, რომელსაც სომეხთა ეპარქიის მმართველი აცხადებს. XI ს-დან სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ სომხეთის ტერიტორიები ხან საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, ხან კიდევ მუსულმანთა ქვეყნებისა. სხვადასხვა ეპოქაში ისინი ქართველ მეფეთა დახმარებით საქართველოშიც სახლდებოდნენ, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. გვიან ფეოდალურ ხანაში, XVI-XVIII სს-ში, სახელმწიფოებრიობის დასუსტების შემდეგ, აღმოსავლეთ საქართველოში სომეხი სასულიერო პირები გააქტიურდნენ და დაიწყეს ქვემო ქართლისა და თბილისის შემოგარენის ქართველი მოსახლეობის მონოფიზიტურ სარწმუნოებაზე გადაყვანა. ამ გზით ისინი ცდილობდნენ მრევლის გაზრდას. ეს პროცესი XIX ს-შიც გაგრძელდა.¹²

XIX ს-ის დასაწყისში, სახელმწიფოებრიობისა და ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, საქართველოში მოღვაწე სომხური სამღვდლოება განსაკუთრებით გააქტიურდა. რუსეთის ხელისუფლება სომეხებს კავკასიაში თავის დასაყრდენად მიიჩნევდა და გარკვეულ პრივილეგიურ უფლებებსაც აძლევდა. რუსეთის მთავარმმართველის პასკევიჩის ხელშეწყობით 1830 წელს სამხრეთ საქართველოში თურქეთიდან ჩამოსახლეს 30 ათასი სომეხი ოჯახი, რომელთა შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ნინოწმინდის, ახალქალაქის, წალკის და სხვა რაიონებში. ჩამოსახლებულმა მოსახლეობამ მიითვისა ამ ტერიტორიაზე არსებული ძველი ქართული ქრისტიანული ტაძრები, მათზე არსებული ქართული წარწერები კი სომხურით შეცვალა. ეს პრო-

ცესი განსაკუთრებით სიმწვავეთ დაისვა XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში. ამ კუთხის ქართველი საზოგადო მოღვაწეები (ივ. გვარამაძე, კ. გვარამაძე და სხვები) ქართულ პერიოდულ პრესაში ხშირად აქვეყნებდნენ წერილებს სამხრეთ საქართველოში არსებული ქართული ტაძრების სომხურად გადაკეთების და მათზე არსებული ქართული წარწერების წაშლის შესახებ. გარდა ამისა, აღნიშნულ ფაქტებზე არსებობს, აგრეთვე, საინტერესო საარქივო მასალებიც.

ანალოგიური ვითარება შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლსა და კახეთში. XIX ს-ის II ნახევარში გამოძვალ ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა წერილები იმის შესახებ, რომ სომეხმა სასულიერო პირებმა მიიტაცეს ქართული ეკლესიები ბორჩალოში, თელეთში, გურჯაანში, შულავერში, თბილისის შემოგარენში – წყნეთში, მცხეთაში, ნინოწმინდაში, საგარეჯოში, ბორჯომში, აბასთუმანში, ახალციხეში და სხვა. მართალია, ქართული მედია აშუქებდა აღნიშნულ ფაქტებს, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება საკითხის მოსაგვარებლად ნაბიჯს არ დგამდა, რის გამოც, პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიუხედავად, სომხური ეკლესია ძველი ქართული ეკლესიების ხარჯზე ახდენდა სომხური ეკლესიების გაზრდას. გარდა ამისა, მითვისებული ტაძრების დაკანონების მიზნით, ისინი ხშირად კავკასიაში სამოგზაუროდ ჩამოსულ უცხოელ მეცნიერებს ხშირად მცდარ ინფორმაციას აწვდიდნენ თბილისში არსებული სომხური და ქართული ეკლესიების რაოდენობის შესახებ. ასეთი მცდარი ცნობები გააჩნია დიუბუა დე მონპერეს და სხვებს. სომეხი ინფორმატორების სიცრუის შესახებ კარგად შენიშნავს XIX ს-ის შუა ხანებში თბილისში მყოფი ირანელი მოგზაური მაჯდ-ოს-სალტანე. იგი წერს: „თუმცა მე სომხური განათლება არა მაქვს, მაგრამ ზოგი რამ წამიკითხავს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ისტორიულ საკითხებში სომეხებს ახასიათებს უკიდურესი ტენდენციურობა, იმ ზომამდე, რომ იმასაც ამტკიცებენ, ნოე სომხურ ენაზე მეტყველებდაო.“¹³

XX ს-ის პირველ ოცეულში კიდევ უფრო გაიზარდა ქვემო ქართლში სომხური სამღვდლოების მიერ ქართული ეკლესიების მიტაცების ფაქტები. ამის შესახებ 1902–1916 წლების ქართულ პრესაში საინტერესო მასალებია გამოქვეყნებული.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს, მართალია, მოქმედი ეკლესიების (როგორც ქართული, ისე სომხური) რიცხვი ათეისტური ბოლშევიკური რეჟიმის მიერ შემ-

ცირდა, მაგრამ ამ დროს დიდი შეცდომები იქნა დაშვებული. XX ს-ის 60–70-იან წლებში, როდესაც მოხდა საქართველოს მასშტაბით ძველთა დაცვის სამმართველოს მიერ კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა და პასპორტიზაცია, ძველთა დაცვის მუშაკებს, სამწუხაროდ, არავითარი კვლევები არა ჩაუტარებიათ და მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვისა და მათ მიერ მიწოდებული, ხშირად მცდარი ინფორმაციის საფუძველზე შეადგინეს ძველთა პასპორტები. ამიტომ აღნიშნული პასპორტიზაცია უნდა გადაისინჯოს შესაბამისი დარგის მკვლევარების მიერ. ადრე ჩატარებული პასპორტიზაციის შედეგად სამხრეთ საქართველოში და ქვემო ქართლში ძველების დიდი ნაწილი სომხურ ტაძრებად არის მიჩნეული.

საკითხის საბოლოო გადაჭრის მიზნით სახელმწიფომ უნდა გამოეყოს თანხები, შედგეს მკვლევართა ჯგუფი, რომელშიც სხვადასხვა დარგის სპეციალისტები შევლენ და მათ მიერ ჩატარებული ობიექტური კვლევების შედეგად რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენ გვექნება სერიოზული ნაშრომი, რომელთაც ამით საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს. გარდა ამისა, ისტორიული საქართველოს ნაწილში, ქვემო ქართლში (ლორე-ტაშირი), რომელიც ამჟამად სომხეთის შემადგენლობაშია, დღემდე არსებობს ქართული ძველები, სომხურ მხარეს უნდა მოვთხოვოთ მათი გადმოცემა. აღნიშნული საკითხი სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა გადაწყდეს.

გამოყენებული ლიტერატურა და შენიშვნები

1. ნ. ყრუაშვილი, კონსტანტინე გვარამაძე, თბ., 1999, გვ. 32-34; შდრ. ს. ცაიშვილი, კონსტანტინე ივანეს ძე გვარამაძე (1867-1943), კრებული სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, III, თბ., 1968, გვ. 161-163.
2. იხ. ჟურნალი „კვალი“, 1895, ნაწ. I,; „აკაკის კრებული“, 1899, №7 და სხვ.
3. ნ. ყრუაშვილი, დასხ. ნაშრომი, გვ.54.
4. იქვე, გვ.54.
5. ს. ცაიშვილი, დასხ. ნაშრომი, გვ. 163.
6. ნ. ყრუაშვილი, დასხ. ნაშრომი, გვ. 53.
7. ფილიპე იესეს ძე მახარაძე (1868-1941), საბჭოთა პარტიული მოღვაწე. 1936 წლისათვის იგი იყო საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე.

8. ლავრენტი პავლეს ძე ბერია (1899-1953), საბჭოთა პარტიული მოღვაწე. 1927 წელს დაინიშნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელად. 1936 წელს იგი იყო საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.


9. იაკობ მიხეილის ძე ვარძიელი (1891-1938), საბჭოთა პარტიული მოღვაწე, დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1936 წელს იგი იყო ახალციხის რაიადმასკომის თავმჯდომარე.

10. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 2914, აღწერა 2, საქმე №37, ფურცელი 5-20.

11. დაწვრილებით იხ: ბ. არველაძე, „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში! თბ., 1996; მისივე, ეჯიმიწიანი თბილისის წმინდა ნიკოლოზის (სურბ-ნშანის) ეკლესიის გადაცემას უპირობოდ მოითხოვს, თბ., 2009; მისივე, სომხური თუ ქართული ეკლესიები საქართველოში, თბ., 1996; მისივე, „ქვანი კვლავ დაღადაბენ“ (სტატიები და გამოკვლევები), თბ., 2004; თ. იველაშვილი, ბ. არველაძე, მარდიდის ივანე ნათლისმცემლის ეკლესია, თბ., 2009; სომხეთი – მტერი თუ მოყვარე, ანუ რატომ იჩემებენ სომხები 650 ეკლესიას, თბ., 2006; დავიცვათ ქართული ეკლესიები, ვიცოდეთ ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ისტორია, თბ., 2014.

12. დაწვრილებით იხ. შავშელი (ზ. ჭიჭინაძე), ქართველი გრიგორიანები, თბ., 1906.

13. მაჯდ-ოს-სალტანე, ქალაქ თბილისის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა და კომენტარები დაურთო მ. მამაცაშვილმა, თბ. 1971, გვ. 37.



მამუკა ცუხიშვილი

გაიოზ რექტორი

„არა რაი არს ესრეთ ტკბილ
ვითარცა სიყვარული მამულისა“.¹

სარწმუნოებრივად მოაზროვნე ადამიანებისთვის გასაკვირი აღარ არის ის ფაქტი, რომ საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მხრიდან აღიარებული პროდასავლური კურსი გაცილებით დიდი საფრთხეების შემცველია, ვიდრე სარგებელისა და განსაკუთრებულ საშიშროებას უქადის დიდი ისტორიის მქონე ქართველ ხალხს და მის მომავალს, მაგრამ ეს სრულებითაც არ აღარდებს არც გარეშე და არც იმ შინაურ მტრებს, რომლებიც როგორც ხელისუფლებაში, ისე ოპოზიციაში ასე მრავლად არიან.

რუსეთთან კეთილმეზობლური, დიპლომატიური და პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობების აუცილებლობაზე ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში წერდნენ ჩვენი ერის გამორჩეული შვილები. მათ რიცხვში თამამად შეიძლება დაგასახელოთ აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი IV² რომელმაც 1737 წლის 12 მაისს ტყვეობიდან ახლადგათავისუფლებულმა შემდეგი სახის წერილი გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს ანას³: „ქ. ბრწყინვალეთ უზემთაესო, უმაღლესო და უდიდებულესო, ძლიერო, უძლეველო ხელმწიფეო დიდისა სამეუფოსა ქალაქისა მოსკოვისა და ყოვლისა

¹ ხეც, ფონდი H-96, მინაწერი ბარონ დე პოლნიცას ქართულ ენაზე თარგმნილ თხზულებაზე, რომელიც გაიოზ რექტორმა უძღვნა ბატონიშვილს გიორგი ვახტანგის ძეს.

² დომენტი IV (დამიანე ბაგრატიონი) აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1705-1741 წლებში, მეფე ვახტანგ VI-ის ძმა. 1707 წელს ირანში ეწვია შაჰს და დაამტკიცებინა საკათალიკოსო და კახეთის ხელისუფალთა მიერ უკანონოდ მიტაცებული მამულები. ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ გამოვლენილი პროტესტის გამო 1727 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს სტამბოლის მახლობლად კუნძულზე, სადაც ტყვეობაში გაატარა 9 წელიწადი, ხოლო სამშობლოში დაბრუნდა 1739 წელს. დომენტი კათალიკოსი მრავალმხრივი მოღვაწე და ღირსეული იერარქი იყო.

³ ანა ივანეს ასული რომანოვა, რუსეთის იმპერატორი 1730-1741 წლებში.

დიდისა რუსეთისაო, ასულო დიდისა ხელმწიფის იოვანესაო, უფალო ანნა, შეყვარებულო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა: მადლი, მშვიდობა და ზიარება სულისა წმიდისა და საზომისაებრ ჩემისა მიერ ლოცვა, კურთხევა იყავნ თქვენზედა თვითმპყრობელო ხელმწიფე იყავნ სახელი უფლისა, რომ თქვენს ამაღლებულსა და ძლიერსა და უძლველსა ტახტზედ კეთილად და მშვიდობით, სასოებითა და სარწმუნოებითა, სათნო ღმრთისა და სადგურ და სავანე სულისა წმიდისა სუფევ და იყოფები: აწ, ვილოცავ და ვევედრები უფალსა ჩემსა იესო ქრისტესა, რათა დაგიცვას და დაგიფაროს და მოგივლინოს ანგელოზი თვისი მშვიდობის მცველად თქვენდა ხილულთა და უხილავთა მტერთა თქვენთა საძლველად, მოგხედოს თვალითა თვისითა ტკბილითა, აღგადგინოს ცხედრისაგან უძლურებისა და გიხსნას ყოვლისა ჭირისა, შეწუხებისა და განსაცდელისაგან, მოგცეს სიმთელე, სიცოცხლე, განგკურნოს და განგაცხოველოს, რამეთუ, ვიყვენით ჩვენ წელსა ცამეტსა ტყვეობასა და ექსორიობასა დიდ ჭირსა შინა, მაშინ უკვე გვექმენით მოწყალე და მწყალობელი შეწვენიითა და წყალობითა თქვენითა გამოვიზარდენით: ღმერთმა მოგანიჭოსთ მადლი და მშვიდობა, შეგინდოს ყოველნი უსჯულოებანი და ცოდვანი თქვენნი, მოგიტყვენს ყოველნი შეცოდებანი რაოდენნი ჰსცოდენ წინაშე ღმრთისა ვითარცა კაცმან ხორციელმან სიტყვით, საქმით და გონებით, ნებსით და უნებლიეთ. ყოვლითა სახითა, შენდობილ და განთავისუფლებულ გყოსთ ყოვლად-ძლიერისა ხელმწიფებისა და მადლისაგან სამღთოსა და თაყვანის-საცემელისა სულისა მიერ მადლითა და მეოხებითა უფლისა ჩვენისა ქრისტე იესოს მიერ და მშობლისა მისისა ყოვლად-უხრწნელისა დედოფლისა ჩვენისა, ღმრთის-მშობელისა მარადის ქალწულისა მარიამისაგან და ყოველთა წმიდათა, ამინ. ახლა, ამას მოგახსენებ თვით-მპყრობელს, დიდ ხელმწიფეს, აქამდინ ბოხჩას ექსორია ვიყვენით, ახლა ყიზილბაშის ელჩმა გვითხოვა, აქ, სტანბოლს მოგვიყვანეს: ახლა ამას მოგახსენებთ და ვებეჭებთ, რომ ჩვენი ქვეყანა და სამწყსო საქართველო უსჯულოთ თათართ როგორ წახდინეს, ყველა მოეხსენება. იქ ჩვენგან აღარ გაიძლება, აქ მცველი და მფარველი არავინ გვყავს, არცა რა საზრდო გვეპოვება რამ. ამთონი დიდის ხელმწიფის წყალობა იყოს, რომ ყური მოგვიგდოს, მოწყალეობა ყოთ, გვიპატრონო. ერთს ალაგს დაგვაყენოთ და გაგვაძლებინოთ. აშტრახანი იყოს, თუ თურგი, თუ სოლადი, თუ თარდუ, თუ დარუბანი. ამაებს ალაგში საზრდოს და სარჩოს წყალობაც გვიყონ: მაგათი მლოცველი და მომხსენე-

ბელი მაგათ საფარველს ქვეშ ვიყვენით, რომ არა ვისი ფიქრი და შიში გვექონდეს, რომ არავინ რა შეგვეცოდოს და გავწყინოს, ჩვენთვის უზრუნველათ ვიყვენით კიდევ ამას ვებეჭებთ დიდს ხელმწიფეს და მოგახსენებთ საცა ვიყვენით, აქა თუ სხვაგან, ხელმწიფის წყალობა და ულუფის წყალობა გვეძლეოდეს, მაგათი მლოცველი და მომხსენებელი დღო და ღამე გვაძყოფონ.

ქ. წარმოვიდა სამეუფოს ქალაქს კონსტანტინეპოლიდამ თვესა მაისსა იბ ქრისტეს აქათ ჩლლზ.

კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი“.

კათოლიკოს-პატრიარქის დომენტი IV წერილში ასახულია ის გაუსაძლისი რეალობა, რომელიც სუფევდა XVIII საუკუნის საქართველოში. აქედან გამომდინარე, აღმოსავლეთ საქართველოს მწყემსმთავარმა გადადგა მართებული ნაბიჯი და დახმარებისთვის რუსეთის იმპერატორს მიმართა. რამდენადაც გათათრების საფრთხე გარდაუვალი, საქართველოს ხსნის სხვა გზა, გარდა რუსეთისაგან გაწეული შემწეობისა, არ ჩანდა. მით უმეტეს, რომ ქართველ პოლიტიკოსებს დასავლეთ ევროპაში სულხან-საბას მოგზაურობის შედეგად უკვე შეძენილი ჰქონდა გამოცდილება იმისა, რომ ე.წ. ქრისტიანული დასავლეთი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მდგომი პატარა მართლმადიდებლური ქვეყნის გადასარჩენად თითოც არ გაანძრევდა.

სად და ვისთან უნდა ეპოვა ხსნა და მოსავალი მაჰმადიანური აგრესორი ქვეყნებისაგან ყოველი მხრიდან შევიწროვებულ ქართველს, რომელიც ოდითგანვე ისე მძლავრად ისწრაფვოდა კულტურული დაწინაურებისაკენ, რომ ამ გზაზე თვით ისეთი მაღალი კულტურის მქონე ქვეყნის მხარდამხარ სიარულს ახერხებდა, როგორც ბიზანტია იყო?

გარდა იმისა, რომ იმ დროისთვის რუსეთში ახალ რელსებზე იყო შემდგარი კულტურისა და ხელოვნების, მეცნიერებისა და განათლების ყველა დარგი, უმთავრეს ფაქტორს მაინც ერთმორწმუნეობა წარმოადგენდა: რუსეთი მართლმადიდებლური ქვეყანა იყო.

საქართველო-რუსეთის მეგობრობისათვის საფუძვლის ჩამყრელად მეფე-პოეტს არჩილ II-ს⁴ მიიჩნევენ. მან მოსკოვში დააფუძნა ქართველთა სათვისტომო, სადაც ფართოდ გაიშალა კულტურული მოღვაწეობა, რასაც ხელს უწყობდა რუსეთის საიმპერატორო კარზე

⁴ არჩილ მეფე 1699 წელს გადასახლდა რუსეთში, დაუახლოვდა პეტრე I, ასევე იმპერატორის კარზე საკმაოდ დაწინაურდა არჩილის ვაჟი ალექსანდრე. მეფეყოფილმა არჩილმა ბინა მოსკოვის მახლობლად, სოფელ ვსესვიატკოეში დაიდო. იქვე შექმნა პოეტური შედევრები და იქვე აღესრულა 1713 წელს. დაკრძალულია დონის მონასტერში.

აღექსანდრე ბატონიშვილის დაწინაურებაც.

არჩილ II ერთად რუსეთ-საქართველოს შორის მეგობრობის „ხიდის“ მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ: ბაგრატ სოლო-ლაშვილი, დავით თურქესტანიშვილი, დიმიტრი სააკაძე, გაბრიელ ჩხეიძე, პეტრე ნექაძე და სხვები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ თვალსაზრისით დიდი ქართველი მეცნიერის, გეოგრაფოსის, კარტოგრაფის, ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის, ბაგრატიონის⁵ მოღვაწეობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დასაწყისში. ცნობილმა მეცნიერ-მკვლევარმა 1755 წელს ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების საშვილიშვილო საქმეში, რასაც ადასტურებს უნივერსიტეტის მთავარი შენობის შესასვლელთან დაფაზე ოქროს ასოებით ამოტვიფრული ვახუშტი ბაგრატიონი, სახელების დედოფალი ელისაბედი, გრაფი შუგალოვი, მიხეილ ლომონოსოვის გვერდით.⁶

აღსანიშნავია 1739 წლის ხოთინის ციხესთან გამართული ბრძოლა, სადაც თავდადება და გმირობა გამოიჩინა ქართველ ჰუსართა პოლკმა და საიდანაც იწყება რუსეთის არმიაში ქართველთა ბრძოლისა და სამხედრო თავდადების სამაგალითო ისტორია. სხვათა შორის, ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო დავით გურამიშვილმა:

„ათას-შვიდას-ოც-და-ცხრამეტს
ხითონის კარს ვთხლიშეთ კეტი,
ორმოც-და-ორს ფინდრელაენს
ცეცხლით გამოვბუგეთ შვეტი“.⁷

ბიზანტიის დაცემის შემდეგ, მრავალი საუკუნის განმავლობაში მაჰმადიანებისა ალყაში მოქცეულ ჩვენს ქვეყანას რუსეთთან შეერთებამ, კვლავ გაუხსნა გზა ქრისტიანულ კულტურასთან ურთიერთობისა. იოანე ხელაშვილის⁸ ხედვით, რუსეთი „აღანთებს განათლებისა ლამპარსა ქუეყანასა შიგან ჩუენთა ქართლოსიან იბერიელთასა და ესრეთ იწყებს სიბრძნე და ხელოვნება სუფევასა სამა-

⁵ ვახუშტი ბატონიშვილი დაიბადა 1693 წელს, 1717 წელს დაქორწინდა მარამ გიორგი აბაშიძის ასულზე. ვახუშტი VI განჯაში ყოფნის დროს ასრულებდა ქართლის სამეფოს გამგებლის მოვალეობას. 1724 წელს რუსეთში გაჰყვა ვახუშტი VI, მოსკოვში დასახლდა, დაენიშნა სახელმწიფო ჯამაგირი, იქვე მოღვაწეობდა სიცოცხლის ბოლომდე და აღესრულა 1757 წელს. დაკრძალულია მოსკოვში.

⁶ История Московского университета. Т. 1—2. М., 1955. გვ. 398.

⁷ დ. გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1967, გვ. 45

⁸ იოანე (იონა) ხელაშვილი (1754-1837 წწ.), გამოჩენილი ქართველი სასულიერო მოღვაწე, მწიგნობარი, თეოლოგი, ფილოსოფოსი.

რადისო ცხოვრებად, რომე თითოეულთა თვისითა ნიჭითა და სწავლისა შეწყნარებათაგან იქმნებიან ნეტარეულ და ენებთა ვეროპისა მეტყუელ და მთარგმნელ ჩვენისა დედისა ენასა ზედა“⁹.

იმ დიდ სასულიერო, პოლიტიკურ თუ კულტურის მოღვაწეთა შორის, რომლებიც საქართველოს სულიერი და კულტურული ამაღლების გზას მეზობელ ქრისტიანული ერთან მჭიდრო ურთიერთობაში ხედავდნენ, გაიოზ რექტორი იყო.

მისი გვარი დღემდე უცნობია. „საქმეს აძნელებს ის, რომ გაიოზი ხელს აწერს ყველგან სახლმოხელეობით, სახელდობრ: გაიოზ რექტორი, გაიოზ მოზდოკელი, გაიოზ პენზელი, გაიოზ ასტრახანელი და სხვ.“¹⁰ — წერს ტრ. რუხაძე და სამართლიანად შენიშნავს: „გაიოზს გვარი ნამდვილად აღარ სჭირდება, რადგან ის სახელოვანი ქართველია“.

ნ. მთვარელიშვილს მიაჩნია, რომ გაიოზი „არის გვარად ნაცვლიშვილი, ღარიბ აზნაურთაგანი“¹¹. პ. კარბელაშვილი თვლის, რომ „გაიოზ რექტორი გახლავთ თაყაშვილ-ბარათაშვილთა გვარიდან“¹². ი. რაინეგსი, რომელსაც პირადი ნაცნობობა ჰქონდა გაიოზ რექტორთან, მას მიიჩნევს ვაგომაშვილთა გვარის წარმომადგენლად.¹³

თეიმურაზ ბატონიშვილი იყო გაიოზ რექტორის თანამედროვე, მასზე მასალები პირველად მოიძია ა. ცაგარელმა და შემდეგ წიგნად გამოსცა. ჩვენ ასევე გავეცანით თეიმურაზ ბატონიშვილის ფონდს, სადაც ვკითხულობთ „წიგნი ველისარიონი, ღირსი ხსოვნისა საქმენი და შემთხვეულებანი, რუსულიდამ თარგმნილი გაიოზ არხიერეისგან, აშტრახანის არხიეპისკოპოსისა; ესე იყო პ-ლ საქართველოსა, კახეთსა ქალაქსა თელავს საკეთილშობილოთა მოძღვარი, ხ-ო თვით იყო თავადთა ბარათაანთაგანი თაყაშვილი, აღზრდილი სამეცნიეროთა ყოველთა კათოლიკოსის მიერ ანტონი პირველისა“¹⁴.

გაიოზ რექტორის თაყაშვილ-ბარათაშვილის გვართან კავშირს ადასტურებენ იოანე და ბაგრატ ბატონიშვილები¹⁵ და ტრ. რუხაძე¹⁶.

⁹ იოანე ხელაშვილი, ოცდაათოხმეტი შეკითხვის წიგნი, წიგნი გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო გ. დედაბრიშვილმა, თბ., 1967, გვ. 31

¹⁰ ტრ. რუხაძე, გაიოზ რექტორი, გვ. „სახალხო განათლება“, თბ., 1956, № 39.

¹¹ ნ. მთვარელიშვილი, თელავის სემინარია და პირველი მისი რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი, შ. ივერია, 1881, № 8.

¹² პ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში, ისტორიული მიმოხილვა, ტფ., 1902, გვ. 29.

¹³ J. Raineggs, Allgemeine historisch-topographische Beschreibung des kaukasus, II, 1797, გვ. 108.

¹⁴ ხეც, ფონდი H-71.

¹⁵ კალმასობა, II, თბ., 1948, გვ. 191.

¹⁶ ტრ. რუხაძე, დასხ. ნაშრომი.

არის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, კერძოდ, ანტონ კათალიკოსმა ასტრახანის ეპისკოპოს მეთოდეს შეკითხვაზე, თუ ვინ იყო გაიოზი, საპასუხო წერილი მისწერა. ამ ფაქტთან დაკავშირებით კ. კეკელიძე წერს: „კათალიკოსის სიტყვები გვაფიქრებინებს, რომ გაიოზი უბრალო, ღარიბი, შეიძლება უპატრონოც ყოფილიყო და, როგორც ასეთი, აუყვანია გასაზრდელად (შემდგომ გამოცემებში: აღსაზრდელად — მ.ც.) ვიღაც თბილისელ დიაჩოქს“,¹⁷ და იქვე დასძენს: „რაც შეეხება კერძოდ იმ აზრს, თითქოს გაიოზის გვარი ნაცვლიშვილი იყოს, ეს უბრალო გაუგებრობაა. გაიოზის და სალომე მისთხოვებია ვიღაც თადეოზ ნაცვლიშვილს, ამით შესძენიათ შვილი გურგენი, რომელსაც მემკვიდრეობად დარჩენია, გაიოზის გარდაცვალების შემდეგ, მთელი მისი ქონება და ავლა-დიდება; ამ ქონებიდან წიგნსაცავი, რომელიც 273 ნომრისგან შესდგებოდა, გურგენს 1822 წელს შეუწირავს აშტრახანის სასულიერო სემინარიისთვის“.¹⁸

ერთი სიტყვით, დღემდე დაუზუსტებელია გაიოზ რექტორის გვარი და არც დაბადების თარიღია საბოლოოდ დადგენილი, მაგრამ სამაგიეროდ არსებობს უტყუარი მტკიცებულება მისი გარდაცვალების თარიღის შესახებ. ეს არის საფლავის ქვა, რომელიც გვამცნობს: „Здесь погребено тело преосвященного гаия, архиепископа астраханского и кавказского, скончавшегося в 1821 году февраля 29 дня, на 82 году от рождения“.¹⁹

ზოგი მიიჩნევს, რომ გაიოზი დაბადებულა 1739 წელს, ზოგის აზრით — 1746 წელს; თავად გაიოზის მიერ რუსეთის უწმინდესი სინოდისადმი მიწერილ წერილში სასულიერო აკადემიაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით კი წერია: დაბადების წელი — 1746.²⁰

გაიოზ რექტორი — ასე შევიდა ისტორიაში XVIII საუკუნის უაღრესად გამორჩეული სასულიერო მოღვაწე, მწიგნობარი, დიპლომატი, მქადაგებელი, განმანათლებელი, მესტამბე და, რაც მთავარია, თავის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული დიდი ქართველი. მისი ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული ანტონ კათალიკოსთან²¹, რომლისგანაც მოისმინა „ღრამატიკაი, პიტიკისა ხელოვნებაი,

¹⁷ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941, გვ. 354.

¹⁸ იქვე, გვ. 355.

¹⁹ ა. ცაგარელი, Сведения о памятниках грузинской письменности, 1894, I, вып. III, ст. 213.

²⁰ ხეც, ფონდი S-№ 378.

²¹ ანტონ I, ერისკაცობაში — თეიმურაზ ბაგრატიონი, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მწერალი, მეცნიერი, განმანათლებელი, ვახტანგ VI ძმის, მეფე იესეს და ერეკლე I ქალიშვილის ელისაბედის ვაჟი. კათალიკოს-პატრიარქობა დაიწყო 1744-1755 და 1764-1788 წლებში.

რიტორიკაი, ლოლიკაი ბაუმეისტერისა და სხუაი“; ავტორი იქვე დასძენს: „ესე აღზრდილი და განსწავლული იყო კათალიკოსის ანტონის იესე მეფის ძის მიერ. ესე ჟამსა ამას ძვირფასობდა ქვეყანასა საქართველოსასა და ამის შემდგომად, ღმერთმან უწყის, დაშთება მძსგავსი ამისი მეცნიერი ქვეყანასა ჩვენსა?!“²²

ანტონ კათალიკოსმა 1765 წელს ბერად აღკვეცა გაიოზი, მანვე აკურთხა ჯერ დიაკვნად, შემდეგ კი არქიდიაკვნად. 1772 წელს ერეკლე II რუსეთში წარგზავნა დელეგაცია ლეონ ბატონიშვილისა და ანტონ I კათალიკოსის ხელმძღვანელობით, ამ დელეგაციაში ასევე იყო გაიოზიც. დელეგაცია ორი წლით დარჩა პეტერბურგში, რითაც ისარგებლა გაიოზმა და სთხოვა ანტონ კათალიკოსს, დახმარებოდა სწავლის გაგრძელებაში, რაზეც ანტონიც დასთანხმდა.

გაიოზს ალექსანდრე ნეველის სახელობის სასულიერო სემინარიაში დაუწყია რუსულის სწავლა ტვერის არქიეპისკოპოსის პლატონის მეთვალყურეობით, რომელმაც ასევე შეასწავლა ბერძნული და ლათინური ენები. მოგვიანებით კი ქართულ ენაზე თვით გაიოზმა თარგმნა ეპისკოპოს პლატონის შრომა „ღმრთისმეტყველება“ (1792 წ.).²³

1774 წელს, როდესაც ქართულ დელეგაციას რუსეთში ყოფნის ვადა ამოეწურა, გაიოზმა რამდენიმე ახლობლის პირით კათალიკოს ანტონს შეუთვალა, რომ სურდა მოსკოვში დარჩენა სასულიერო აკადემიაში სწავლის გაგრძელების მიზნით, მაგრამ ანტონმა კატეგორიული უარით უპასუხა და სამშობლოში დაბრუნების კურთხევა მისცა. მიუხედავად ამისა, გაიოზი რუსეთში მაინც დარჩა.

გაიოზის მიერ კურთხევის შეუსრულებლობამ ანტონ კათალიკოსი ძალიან გაანაწყენა. რასაც მის მიერ 1776 წელს ტვერის ეპისკოპოსის მეთოდესადმი მიწერილი წერილიდან ვგებულობთ.²⁴

გაიოზ რექტორი თავისი მასწავლებლის შესახებ წერს: „ანტონმა აღმომიყვანა სიბნელისაგან უმეცრებისა და საქართველოს იცო შენობად ბედნიერებისად ამის ჩვენისა. მან სრულჰყოცა სახლი სიბრძნისა და საქართველოსა ყოვლითა საჭიროთა სწავლულებითა; ამან და საუნჯე სწავლისა ამის სანამ დიდსა ქმნილთა და თარგმნითა წერილთა სასიბრძნითი. მან გულსმოდგინებით თვისით ჰყო ათინად მამული თვისი, რომელიცა უწინარეს ამისა ვითარცა სიბნელესა შინა უმეცრებისა დაფარული იყო“.²⁵

²² ხეც, ფონდი H-№ 2510.

²³ ხეც, ფონდი S-№ 28.

²⁴ ხეც, ფონდი H-№ 2510.

²⁵ ხეც, ფონდი S-№ 29.

გაიოზი მოსკოვის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა თავისი საფასით და სულთმოფენობის სახელობის მამათა მონასტერში ცხოვრობდა. სწავლის პერიოდში, 1776 წელს ერეკლე მეორის დაჯალბებით გაიოზს ბერძნულიდან უთარგმნია „წიგნი ქმნილი აღაპიტ არქიდიაკონის მიერ კონსტანტინეპოლელისა დიდისა ეკლესიისა, მირთმეული ბერძენთა იმპერატორისა დიდისა იუსტინიანეს მიმართ, ოდესიგი მიიღო მან საყდარი კოსტანტინეპოლისა“²⁶, ასევე უთარგმნია „მიმოსვლა ბარონ დე პოლნიცისა, აღწერილი ისტორიისა და გეოგრაფიის გვარად“²⁷, რომელიც მიუძღვნია ბატონიშვილის გიორგი ვახტანგის ძისთვის. მკვლევრები უაღრესად საინტერესოდ მიიჩნევენ გაიოზ რექტორის მიერ 1777 წელს თარგმნილ და მეფე ქაიხოსროს ქალიშვილის ანასთვის მირთმეულ „კატაის სიბრძნეს“, რომელიც თბილისში დაიბეჭდა 1784 წელს.²⁸

1778 წელს ერეკლე მეორის თხოვნით გაიოზმა დროებით დატოვა მოსკოვი და თბილისში დაბრუნდა. დაბრუნებისთანავე დააფუძნა რუსული სკოლა²⁹. მალე ხელნი დაასხეს მღვდელმონაზვნად. ამავე პერიოდში მანვე შეადგინა ანტონ კათოლიკოსის ნაშრომის „ღმრთისმეტყველება“ საძიებელი.

1780 წელს გაიოზი რუსეთის წმიდა სინოდის მიერ მიწვეულ იქნა მოსკოვში, სადაც ებოძა იღუმენის წოდება. იქვე დაჰყო ორი წელი და 1782 წელს საიმპერატორო კარის დაჯალბებით ერეკლე მეორესთან პოლიტიკურ დიალოგში ჩართვის მიზნით საქართველოში დაბრუნდა.

გაიოზი რუსეთში ცხოვრება-მოღვაწეობის წლებში მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რუსეთის მოკავშირეობის გარეშე საქართველო ვერ დაძლევდა აღმოსავლურსა და ევროპულ პოლიტიკურსა და სულიერ აგრესიას.

1782 წლის 28 მაისს ქ. თელავში გაიხსნა სასულიერო სემინარია, რომლის ფუძემდებელი და რექტორი (1783 წლამდე) სწორედ გაიოზი გახლდათ. სემინარია ჩამოყალიბდა მოსკოვის სლაჟურ-ბერძნულ-ლათინურ სტილზე, რექტორობის დროს გაიოზმა გამოავლინა მაღალი პედაგოგიური აზროვნება და აღმზრდელობითი უნარ-ჩვევები. ქართულად თარგმნა რუსეთის იმპერატორის პეტრე პირველის მიერ დამტკიცებული „წესდება“³⁰.

²⁶ ხეც, ფონდი S-№ 71.

²⁷ ხეც, ფონდი S-№ 100.

²⁸ ხეც, ფონდი Q- № 251.

²⁹ დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია, თბ., 1952, გვ. 198.

³⁰ ხეც, ფონდი S- № 794.

მოსკოვის სასულიერო აკადემიის მსგავსად თელავის სასულიერო სემინარიაშიც იმართებოდა სტუდენტთა დისპუტები სამეცნიერო საკითხებზე, ეწეობოდა საჯარო ლექციები... თელავის სასულიერო სემინარიამ განათლებისა და მეცნიერების განვითარების საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა.

ნ. კანდელაკის შეფასებით გაიოზ რექტორი იყო „დიდი ორატორი, მჭერმეტყველი, მქადაგებელი, გამორჩეული ჰომილეტიც და ღირსეული ორგანიზატორი“.³¹

სემინარიაში ისწავლებოდა ღმრთისმეტყველება, ლიტურგიკა, რიტორიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, გრამატიკა, ისტორია, არითმეტიკა და სხვ.³² ძველი მსოფლიოს ისტორიის კურსს კითხულობდნენ შარლ ლორენის წიგნის „ძველი ისტორიის“ მიხედვით, რომელიც შედგებოდა 11 ტომისგან და რომლის ქართულად თარგმნა გაიოზ რექტორს დაუწყია.³³

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, გაიოზი იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა თელავის სასულიერო სემინარიის რექტორის თანამდებობაც და სამშობლოც, რადგან იგი ერეკლე მეორის მიერ დაინიშნა გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადების კომისიის წევრად და გაიგზავნა მოსკოვში 1783 წლის ივნისში.

გაიოზი უაღრესად შორსმჭვრეტელი და ჭკვიანი დიპლომატი აღმოჩნდა. მან კარგად გააცნობიერა ერთმორწმუნეობის მნიშვნელობა და ამიტომ მთელი არსებით ჩაერთო პოლიტიკურ-დიპლომატიურ საქმიანობაში, რამაც უდიდესი შედეგი გამოიღო. გაიოზმა ჯერ ერეკლე II-ის, ხოლო მერე რუსეთის იმპერატორის ნდობა და პატივისცემაც დაიმსახურა.

ზოგი მიიჩნევს, რომ დელეგაციებსა და პოლიტიკურ შეხვედრებში გაიოზი მონაწილეობდა როგორც რუსული ენის კარგი მცოდნე, მაგრამ XIX საუკუნის მიწურულს ნ. მთვარელიშვილმა დასვა შეკითხვა: „თუ გაიოზი მესამე ვექილად იყო ხელშერულების მომზადების და დადების პროცესში (საქართველოს ეკლესიის მხრით), რატომ ამას ხელი არ უწერია ხელშეკრულებაზე და ამის შემდეგ რაღად დარჩა რუსეთში?“ და იქვე პასუხობს: „რა თქმა უნდა, რომ ამის აზრსაც მოქმედება ექნებოდა საქართველოს ვექილებზეც, ხელშეკრულებაზე საუბრის დროს“.³⁴

³¹ ნ. კანდელაკი, ქართული მჭერმეტყველება, თბ., 1958, გვ. 193 (ვნახოთ).

³² ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობები, თბ., 1961, გვ. 237.

³³ იქვე, გვ. 240.

³⁴ ნ. მთვარელიშვილი, შ. ივერია, 1881, № 9.

საქმე ისაა, რომ საქართველოს და რუსეთის ადგილობრივი ეკლესიები ოფიციალურად არ მონაწილეობდნენ გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიცირებაში, ამიტომ დოკუმენტზე ვერ აისახებოდა გაიოზ რექტორის ხელმოწერა, რაც სრულებითაც არ აკნინებს მის როლსა და ფუნქციას. „უნდა აღინიშნოს, რომ გაიოზი იყო ის პიროვნება, რომელმაც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადებისა და დადების საქმეში. თავისი განათლებით, ერუდიციითა და საქმის ცოდნით ის ბევრად მაღლა იდგა ოფიციალურ წარმომადგენლებზე – ივანე ბაგრატიონსა და გარსევან ჭავჭავაძეზე. თუ რატომ არ აქვს ხელი მოწერილი გაიოზს ოფიციალურ დოკუმენტზე, შეიძლება ვეძიოთ იმაში, რომ მას, როგორც სასულიერო წრის წარმომადგენელს, ამის რწმუნებულება არ გააჩნდა. გაიოზი რომ ერთ-ერთი წამყვანი პირი იყო ხელშეკრულების დადების დროს, ამაზე ოფიციალური დოკუმენტები მიგვიჩვენებენ და ამაზევე მეტყველებს მისი შემდგომი პოლიტიკური მოღვაწეობა“.³⁵

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდები ინახავს უაღრესად საინტერესო მასალებს, ერთ-ერთ მათგანში გაიოზ რექტორის ღვაწლი ნათლად და დაუფარავად წარმოუჩინია რუს გენერალს პავლე პოტიომკინს: „ელჩნი მათი ბრწყინვალეობა კნიაზ ივანე კონსტანტინოვიჩი ბაგრატიონი, და კნიაზ გარსევან რევაზიჩი ჭავჭავაძე და ეგრეთვე მომჭირნეობა და ერთგულება მამა არჩიმანდრიტისა გაიოსისა“³⁶ და სხვ.

გაიოზ რექტორის დამოკიდებულება საქართველო-რუსეთის ურთიერთობებსა და ერეკლე II-სადმი ნათლად გამოვლინდა იმ სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში გეორგიევსკის ტრაქტატის დადებიდან ერთ თვეში, 1783 წლის 20 აგვისტოს³⁷. აგრეთვე, გაიოზისა და ანტონ კათოლიკოსის მიმოწერიდან ნათლად ჩანს გაიოზის წუხილი საქართველოს ბედზე და იმედი რუსეთის მხრიდან შემწეობისა: „არც რუსეთი საქართველოზე ხელს არ აიღებს და ვერც ალა-მანხად-ხანი მოვა კიდევ მაგაზედ... ალამა-დხანი, თუ კიდევ ცოცხალი არის სადმე, ამას ვეღარ გაბედავს, რომ რუსეთი აიშალოს კიდევ. და არც აგრე გიჟია ალამა-დხანი რომ კიდევ ის ქართლზე მოვიდეს. და რომ მოვიდეს, რაღა უნდა წაიღოს. სჯობს რიგანად მოიქცნენ და არ აირივნენ, თორემ მაგ არეულობით ალამა-

³⁵ მ. დარჩია, გაიოზ რექტორი, თბ., 1961, გვ. 100.

³⁶ ხეც, ფონდი H- № 2507.

³⁷ ეს სიტყვა პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში „დროშა“, შ. ხანთაძის. წინასიტყვაობით. 1959 წ. № 5.

მადხანს აღარავინ მოუცდის... იმპერატორი აგრე უიმედოთ არ გაუშვებს საქართველოს და საიმედოც აქვს, რომ საქართველოს იმედიან ბინას დაუდებს და არც მტრის პირში გაუშვებს. ისეთ ბინას დაუდებს, რომ ის ბინა საუკუნოდ აღარ მოეშალოს ქართლს“.³⁸

თანამედროვეთა და შემდგომი თაობების მეცნიერთა გამოკვლევებით დადასტურდა, რომ გაიოზს არასოდეს უღალატია თავისივე სიტყვებისთვის: „რათა ყოველი წესი თვისისამებრ ძალისა მარად მეცადინეობდეს მსახურებად მამულისადმი“.³⁹ გარდა იმისა, რომ რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდმა გაიოზი ეპისკოპოსის ხარისხში აღიყვანა, ფაქტობრივად, ის ითვლებოდა საქართველოსა და რუსეთს შორის ელჩად, მთავარ დიპლომატად.

გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების შემდეგ, გაიოზი დაინიშნა ოსეთის საქმეების შემსწავლელი საიმპერატორო კომისიის მთავარ წევრად (თავმჯდომარეობდა თვით იმპერატორი) და მანვე მოამზადა ოსური ანბანი.

1784 წელს პეტერბურგში, მთავარ ტაძარში რუსეთის წმიდა სინოდის წევრებმა გაიოზი აკურთხეს არქიმანდრიტად. კურთხევას დასწრებია რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II, რომელიც ძალიან აფასებდა გაიოზ რექტორს და ხელს უწყობდა მის დაუღალავ საქმიანობაში.

საინტერესოა გამოჩენილი რუსი მოღვაწის, გრიგოლ პოტიომკინისა და გაიოზ რექტორის მეგობრობა, რის დასტურსაც წარმოადგენს პოტიომკინთან ერთად ჯერ უკრაინაში (1785-1789 წწ.), შემდეგ კი მოლდავეთში (1789-1792 წწ.) გატარებული წლები. გაიოზ რექტორი პოტიომკინის მთავარი მრჩეველი იყო. გარდა იმისა, რომ გაიოზი პოტიომკინთან ერთად ეწეოდა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ თუ პოლიტიკურ საქმიანობას, თარგმნიდა და წერდა ორიგინალურ ნაშრომებს, რომელთა შესახებ საცნაური ხდება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებიდან (ხეც, ფონდი S-№ 35, 172, 378, H-№ 2293, 3112 და სხვ.).

1793 წლის 29 მაისს არქიმანდრიტ გაიოზს ეპისკოპოსად დაასხეს ხელნი და განამწესეს მოზდოკის ეპარქიის მმართველად. მანამდე კი ერთი წელი ოფიციალურად მართავდა ასტრახანის ეპარქიას.

როგორც ნ. მთვარელიშვილი წერს: „გაიოზი გამოირჩეოდა პასუხისმგებლიანობითა და თავდადებული საქმიანობით. ამიტომაც

³⁸ ხეც, ფონდი Hd- № 122.

³⁹ ხეც, ფონდი H- № 70.

მიანდევს მას ძნელად მოსავლელი მოზდოკელების დამწყემსვა. რა-შიაც ხელს უწყობდა იმპერატრიცა ეკატერინეს მიერ ბოძებული გაფართოებული უფლებები და ნდობა, რომელიც მან გაამართლა“.⁴⁰

1799 წლის 16 ოქტომბერს გაიოზი გადაყვანილ იქნა სარატოვისა და პენზის ეპისკოპოსად, ამ ეპარქიას განაგებდა 1808 წლამდე. 1808 წელს გაიოზი გამოარჩიეს ასტრახანისა და სტავროპოლის ეპარქიის მმართველად და აღიყვანეს მთავარეპისკოპოსის პატივში.

ყველგან, სადაც კი გაიოზ რექტორმა იმოღვაწევა, დატოვა ღრმა ნაკვალავი. „მან ყველგან დაიმსახურა საერთო სიყვარული და დაუვიწყარი ხსოვნა“.⁴¹ იოანე ბატონიშვილი წერს: „გაიოზი იყო აღზრდილი კათოლიკოზის ანტონისაგან საფილოსოფოსოთა და საღმრთისმეტყველოსა სწავლასა შინა, ზედმიწევნით ფლობდა რუსულ ენასა, ლათინურსა, სომხურსა და ბერძნულსა, თავადვე იყო აღმზრდელი მრავალთა და მრავალთა“.⁴²

დავით ბაგრატიონი გვამცნობს: „წელსა ამასა 1821, თებერვალში 21, გარდაიცვალა არხიეპისკოპოსი გაიოს, ქართველი თაყაშვილი. ასტრახანს მისი ეპარხიელი იყო. ესე იყო ფრიად განსწავლულ რუსულსა, ქართულსა და სომხურსა ენასა ზედა. ამან თარგმნა რუსულიდამ უმრავლესნი წიგნნი, ვითარცა სამოქალაქო, ვგრეთვე საეკლესიონი ვიდრე 400-მდე; ამან გამართა დაბადება რუსულისაგან და ლათინთა და ბერძენთაგან, რაიცა აკლდა ქართულსა დაბადებასა, შემატა. ესე მიიცვალა წელსა 75“.⁴³

დღეს ჩვენთვის კიდევ უფრო ფასეულია გაიოზ რექტორის სიტყვა წარმოთქმული სიონის ტაძარში, რათა თანამედროვე საზოგადოებამ დაინახოს რეალობა და ამ რეალობიდან გამომდინარე საფრთხეები, რასაც გვიქადის უსიყვარულობა, ურწმუნობა, კეთილმეზობლურ ურთიერთობათა გაწყვეტა და წარსულის ლაფში ამოსვრა; ამასთან, რათა ცხადად შევიგრძნოთ მართლმადიდებლობის ძალა და ამ ძალით გამოწვეული გადარჩენის სიხარული.

⁴⁰ ნ. მთავრელიშვილი, შ. ფერია, თბ., 1881, № 12.

⁴¹ კ. კეკელიძე, დასახ. წიგნი, გვ. 356.

⁴² იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, თბ., 1937, გვ. 192.

⁴³ მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი დავით და ბაგრატ ბაგრატიონების მიერ, გამოცემულია ტფ., 1905, გვ. 157

გაიოზ რექტორის სიტყვა⁴⁴

„შეერთებისათვის და მფარველობისა სამეფოსა საქართველოსა რუსეთის იმპერიისა თანა წელსა 1783 აგვისტოს 20 და თანამდებობითისა მადლობისა ესოდენისათვის მონყალებისა ღვთის.

თქმული სამეფოსა ქალაქსა ტფილისს,

ეკლესიასა შინა კათოლიკესა ყოვლად ნმიდისა ღვთის მშობლის მიცვალებისასა არხიმანდრიტისა და თელავის სემინარიის რექტორის გაიოსის მიერ და აკურთხენ ღმერთმან დრო ესე, და განამტკიცენ მალაღმან მარჯვენა ეკატერინა დიდის მფარველობასა ზედა საქართველოსასა და განაგრძვენ ღმერთმან დღენი კეთილმსახურისა მეფის ჩვენისა ირაკლი მეორისა, აღსარებასა შინა უმაღლესი სახელმწიფებისა ყოვლისა რუსეთის საიმპერატორო ტახტისასა.

მოდრკა ღმერთი უმდაბლესსა თხოვასა ზედა, პირველთა კეთილმსახურთა მეფეთა ჩვენთასა და მიიღო იგი აწინდელმან ბედნიერობით მმეფობმან კეთილმსახურმან ხელმწიფემან ჩვენმან მეფემან ირაკლი, ვითარცა დაუნჯებული მამათა მიერ საუნჯე.

რაიმე შევსწიროთ შენდა ქველის მოქმედო ღმერთო ჩვენო! ვითარ ცხად ვჰყოთ სიდიდე ესოდენისა ქველისა მოქმედებისა, რომელიცა მოჰფინე მამულსა ჩვენსა.

გარნა შემძლებელ ვარ თქმად, ვითარმედ ღვთისა მიერი ქველისმოქმედება ესე არა ეგოდენ საკუთარი მეფისათვის, როდენცა სამფლობელოთა მისათვის, და თუმცა გონიერება

⁴⁴ „როგორც ცნობილია, 1783 წლის 24 აგვისტოს ჩრდ. კავკასიაში, ქ. გეორგიევსკში ხელმოწერილი იქნა მფარველობისა და მფარველობა-მოკავშირეობის ხელშეკრულება რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის. ეს იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა, როგორც საქართველოს, ისე რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1783 წ. 20 აგვისტოს, თბილისში, სიონის ტაძარში, საზეიმო შეკრება მოწეწო, სადაც ამ სასიხარულო მოვლენის აღსანიშნავად სიტყვა წარმოუთქვამს ცნობილ ქართველ პედაგოგსა და კულტურულ მოღვაწეს, თელავის სასულიერო სემინარიის რექტორს გაიოზ თაყაშვილს (ბარათაშვილს, 1746-1821 წწ.). გაიოზის ეს სიტყვა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქართველი საზოგადოების დამოკიდებულებებზე რუსეთთან ხელშეკრულების დადებისადმი. კარგად ჩანს, რომ ამ ამბავს ქართველებს შორის საყოველთაო სიხარული გამოუწვევია. გაიოზ რექტორის სიტყვა, 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, მეტად საყურადღებო დოკუმენტია ქართველი საზოგადოების პოლიტიკური აზროვნების დახასიათებისათვის მე-18 საუკუნის დამლევს. არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ იგი საყურადღებო ძეგლია ქართული მჭევრმეტყველებისა. სიტყვა შემონახულია იოანე ბატონიშვილის ხელნაწერთა კოლექციაში (ხელნაწერი № 219), რომელიც ლენინგრადში, სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაშია დაცული და ქვეყნდება პირველად. შ. ხანთაძე“. შ. „დროშა“, №5, 1959.

თქვენი, პატიოსანო მსმენელნო! სრულებით ჰგრძნობს სიდიდესა ამის ღვთისა მიერისა მოწყალებისასა, ვითარცა დაამტკიცებს მხიარულებითა ესე შეკრულება თქვენი, გარნა მიხედეთ დასასრულებითა მიზეზთა მისთა.

კაცი ოდეს აღიძვრის ხელყოფად საქმისა რაისიმე, მყისვე გამოხატავს თვის შორის ვითართამე სასარგებლოთა დასასრულთა, რომლისათვისცა გულსმოდგინე არს სრულყოფად მისა, სიტყვისამებრ საღმრთოსა წერილისა, „ვითარმედ კაცი საქმისა მიმართ კეთილსა განმტკიცებულ“. და შემდგომად სრულყოფისა საქმისა მის ჰგრძნობს თვის შორის გამოუთქმელსა სიხარულსა, შემეცნებისამებრ ბრძნისა სოლომონისა: „და ვიხილე, რამეთუ არს კეთილი, რომელ იხაროს კაცმან ქმნულთა თვისთა ზედა, რომელნიცა იქმნებიან შემდგომად მისა“. რომელისა მართლისამებრ ჰაზრისა პატივსცეთ ბედნიერობითსა ამას საქმესა კეთილ მსახურისა მეფისა ჩვენისასა და პატივ ვჰსცეთ, ვითარცა ქველისმოქმედებასა ღვთისა ყოვლისა მპყრობელისასა, რომელმანცა უპყრა ხელი მარჯვნივ ცხებულსა თვისსა იმპერატრიცა ეკატერინა ალექსივნისა, მპყრობელსა სრულიად რუსეთისასა და წინაძლოითა თვისითა დაუვაკნა მთანი იგი შეუვალი კავკასიისანი, და პორფირისა მისისა სიგრილითა დაჰფარა მამული ჩვენ და სკიპტრისა მისასა შარავანდედითა განამტკიცა სკიპტრა კეთილმსახურისა მეფისა ჩვენისა. ჰოი, ნიჟსა ყოვლად მდიდრისა და ქველისა მოქმედებასა მაღლისასა დაუღვენელსა.

ამას ბედნიერობითა შემთხვევასა შინა ვის ჩვენგანისა არს გული მყარი, რომელიცა არა ჰგრძნობდეს თვის შორის გამოუთქმელსა სიხარულსა და დღესასწაულობით არა მოუთხრობდეს მილოცვითსა ხმასა განსვენებისა თვისისასა.

და ვინათგან ყოველი მოცემა კეთილი და ყოველი ნიჭი სრული ზეგარდმო არს, ამისათვის თანამდებ ვართ, რათა მაღლისადმი მსხვერპლად სიმართლისა შევსწიროთ მაღლობაი მხურვალითა გულითა, ვითარცა დასრულებითი მიზეზი შეკრებულებისა ამის ჩვენისა.

ესე ვითარისა ამის მაღლობისა დასაბამად ვჰყოთ ვედრებაი საყდრისადმი ღვთისა ყოვლისა მპყრობელისა განგრძელებისათვის დღეთასა კეთილმსახურისა მეფისა ჩვენისა, ვითარცა მამისა მოღვაწისა, რომელმანცა ძლიერებისა თვისისა სისხლნი წარმოაცალიერნა ოფლითა სიმხნისა შრომისათა უვნებლად დაცვი-

სათვის სამფლობელოსა თვისისა და მარადლე მიურულებლად სცვიდა ერსა თვისსა გარემოს მყოფთა მძვინვარეთა მტერთაგან, რომელნიცა ნიადაგ ჰლამობდენ განბძარვასა მისსა და შემდგომად ესე ვითარისა სიბრძნისა საჭითა მიაყენა ნავთსაყუდელსა უღელვოსა და მხეცთა მათ მძვინვარეთა, რომელთაცა აღეშქმით პირნი და ბრჭყალინი შთანთქმად და განბრძარვად, ერთსა მას განუმზადა მანგილი იგი მკვეთრი და მეორესა ბურთი ცეცხლისა სოფელსა შინა დიდებულისა და საკვირველისა რუსეთის ძალისა, რომელმანცა საშინელითა ქუხილითა თვისითა დააჯაბნა ვითარცა კურდღელნი ლომად მგონებელნი თავთა თვისთანი.

და შენ სამღვდელოო პირო და მიზეზო ამის ყოვლისა კეთილობისაო, რომელმანცა სამეფო შენი შემოზღუდე უძლეველითა და სოფელსა შინა საკვირველითა რუსეთის ძალითა და პორფირითა რუსეთის საიმპერატოროს ტახტისათა წარგარგნე სკიპტრა მეფობისა შენისა, რომლითაცა დაამტკიცე საუკუნო მშვიდობა და მყუდროება ერისა შენისა და მით სრულ ჰყვეთ თანამდებობითი იგი შეკრულება, რომლისთვისცა დაგადგინა შენ ღმერთმან თავად ერისა თვისისა. ამისთვის მაღლობადცა მისა უმეტეს ყოვლისა თავი შენი ათანამდებე და ერისა ამის შენისა მსხვერპლად ქებისად შენირული მაღლობაი მიაართვი ყოვლად მაღალსა, რათა შენ მიერისა ამის განზრახულისა სიმტკიცე უკუნისამდე ეგოს როსიისა ერთობასა შინა და აღსარებასა უმაღლესისა ხელმწიფებისა როსიისა იმპერატორთასა, ამინ“.


გაიოზ რექტორი რიტორიკული პათეტიკით ქებას უძღვნის რუსეთის იმპერატორს ეკატერინე მეორეს და ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე მეორეს, რომელთა ძალისხმევით მოშადა და გაფორმა გეორგიევსკის ტრაქტატი (შეკრულობა), ის განუმარტავს საზოგადოებას ხელშეკრულების მნიშვნელობასა და დამსახურებას რუსეთის სახელმწიფოს, რომელიც არის გარანტი ქართველთა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და უშიშროების უზრუნველყოფისა.

ეს სიტყვა არის პოლიტიკური ხასიათის უმნიშვნელოვანესი ძეგლი. გაიოზ რექტორმა იგი წარმოსთქვა ტაძრის ამბიონიდან და ჯერ კიდევ XVIII საუკუნის გადმოსახედიდან აგვიხსნა ის ისტორიული გარემოებანი, რომელმაც გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმება განაპირობა. დრომ ტრაქტატს ბეჭედი დაუსვა: ქართველთა გადარჩენა და სამშვიდობო გზაზე გაყვანა მხოლოდ რუსეთმა შეძლო.

„...უფრო ძლიერი და უფრო ცხოველი იყო ამ პერიოდში რუსული გაგლენა. ერთმორწმუნე რუსებში ქართველებმა დაინახეს ბიზანტიისა და მისი კულტურის, მისი მისიის მემკვიდრენი, ამიტომ ისეთივე სასოებით და რწმენით დაუწყეს მათ ცქერა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კონსტანტინეპოლი დაეცა, როგორც ბერძენებს უცქერდნენ წინეთ. რუსეთისადმი ღრმა ერთგულებამ განსაკუთრებით თავი იჩინა მეთვრამეტე საუკუნეში; რუსების პოპულარობას ჩვენში ხელს უწყობდნენ განსაკუთრებით ის პირნი, რომელნიც რუსეთში გადასახლდნენ ანდა იქ ცხოვრება უხდებოდათ სამსახურის და სხვა რაიმე მიზეზით. ასეთებია, მაგალითად, მეფე არჩილი, ვახტანგ VI, ანტონ კათალიკოსი, იოსებ სამებელი, მიტროპოლიტი რომანოზი, გაიოზ რექტორი და სხვ“.⁴⁵

„**არა რაი არს ესრეთ ტკბილ, ვითარცა სიყვარული მამულისა**“, — გაიოზ რექტორმა ეს სიტყვები ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის და ყველა ჭეშმარიტი ქართველის გასაგონად დატოვა. მით უმეტეს წმიდა ილია მართალიც იგივე პურით გვაპურებდა საუკუნუნახვერის წინ: „აი, სად და რაში ჰპოულობდა ჩვენი უწინდელი სამღვდლოება თავის სულიერს და ხორციელს ღონეს, თავის ძლიერებას, პატივისცემას! აი, როგორ გაიმაგრა სამღვდლოებამ სარწმუნოება ქრისტეში ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც გარშემო ვეშაპი მტრები ეხვივნენ და ჰლამობდნენ, ქრისტიანობა ძირიანად ამოვადლოთ. აი, რამ მოაგერიენებინა ამ პატარა ქვეყანას აუარებელი მტერი! მამული და ეროვნება მოაშველა სამღვდლოებამ რჯულს, რჯული — მამულსა და ეროვნებას, და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაინძღვარა წინ, ათასხუთასი წელიწადი ომითა და სისხლისღვრით გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა“.⁴⁶

ღმერთმა მოანიჭოს ქართველ ერს გული გონიერი, რათა გაიოზ რექტორის მსგავსად რწმენით შევუდქეთ საქართველოს გადარჩენის და გამთლიანების სამამულიშვილო საქმეს, იმ საქმეს, რომელიც ჩვენივე ნებითა და უგუნურობით ძირი გამოვუთხარეთ!



პორის დარჩია

მეცნიერება და კატიონება (მეორე ნაწილი)

ამ წერილის პირველ ნაწილში, რომელიც „სამი საუნჯის“ წინა ნომერში (დეკემბერი, №4, 2014) დაიბეჭდა, ნაჩვენებია, ბატონი როსტომ ჩხეიძე ერთ თავის წიგნში რა უსაფუძვლოდ, უსამართლოდ და აგდებით წარმოგვიდგენს ჩვენს გამოჩენილ მეცნიერებს **ალექსანდრე ბარამიძესა და გივი მიქაძეს**. სამწუხაროდ და სავალალოდ, როსტომ ჩხეიძის მიერ ალექსანდრე ბარამიძის აუგად მოხსენიება ამით არ ამოიწურება. ის თავის წიგნში „ბედი პავლე ინგოროყვასი“ (თბ., „ლომისი“) ბატონი **ალექსანდრესა და ლევან მენაბდის** პავლე ინგოროყვას წინააღმდეგ ბრძოლის ისეთ მაგალითს ასახელებს, სიმართლე რომ იყოს, საყოველთაო გულისწყრომას გამოიწვევდა. მოვუსმინოთ მას: „არსებობს ერთი ასეთი გამოცემაც — «ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი», 1986 წლისა. ალექსანდრე ბარამიძისა და ლევან მენაბდის მიერ შედგენილ-რედაქტირებული“¹.

არც მისი გამოცემით დაშავებულა ბევრი არაფერი და არც მისი გამოუცემლობით დაშავდებოდა. მაშ, რამ გამახსენა? იმ უბრალო მიზეზმა, რომ ამ წიგნში მკაფიოდ ჩანს ის განწყობილება და მიზანი, თუ რას უპირებდნენ პავლე ინგოროყვას, მოვლენები ისე რომ წარმართულიყო, თვითონც როგორც ენებათ (ცხადია, რედაქტორები მხოლოდ პირად თვალსაზრისს არ გამოხატავენ, თორემ მაშინ ეს კრებული სალაპარაკოდ არც ეღირებოდა) — არც მეტი, არც ნაკლები, მისი ამოგდება განუზრახათ მეცნიერების ისტორიიდანაც კი, არამცთუ მის ნაწერებს, მის აღმოჩენებსა და დაკვირვებებს კვლავაც ეტრიალა სამეცნიერო მიმოქცევაში. და თუ მაინც იტრიალებდა — სხვათა სახელით.

⁴⁵ კ. კეკელიძე, დასხ. წიგნი, გვ. 70.

⁴⁶ ი. ჭავჭავაძე, გაზ. ივერია, 1888, № 9.

¹ წიგნს აწერია მხოლოდ რედაქტორები.

რასაკვირველია, ასეთ გამოცემებსა თუ ენციკლოპედიებში პიროვნების სახელის შეტანა-არშეტანით არ წყდება მისი ბედი, მაგრამ დაბრკოლებით კი ბრკოლდებოდა გარკვეული პოლიტიკური რეჟიმებისას.

მთავარი ისაა, რომ შემდგენელ-რედაქტორები ასეთი განზრახვის ხორცშესხმას (პ. ინგოროყვას ისტორიიდან ამოგდებას — ბ. ღ.) არ მორიდებიან.

ეს წიგნი წვეთივით აირეკლავს იმ რეალობას, რაც მოსალოდნელი იყო“ (გვ. 545-546).

ბატონი როსტომი სვამს კითხვას „არ გჯერათ?“ და თავის აზრს ნირშეუცვლელად ასე „ასაბუთებს“: „კრებულში ძველი ქართული მწერლობის მკვლევარად მიჩნეულია 33 პიროვნება, დაწყებული თეიმურაზ ბაგრატიონით, და არც ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა თუ გიორგი წერეთელი გამორჩენიან, აღარაფერი რომ არა ვთქვათ: მარი ბროსეზე, პლატონ იოსელიანზე, დავით ჩუბინაშვილზე, პეტრე უმიკაშვილზე, ალექსანდრე ცაგარელზე, ალექსანდრე სარაჯიშვილზე, დავით კარიჭაშვილზე, ექვთიმე თაყაიშვილზე, ალექსანდრე ხახანაშვილზე, ნიკო მარზე. და უფრო აქეთ იუსტინე აბულაძეზე, სერგი გორგაძეზე, ივანე ჯავახიშვილზე, კორნელი კეკელიძეზე, ვუკოლ ბერიძეზე, სარგის კაკაბაძეზე, შალვა ნუცუბიძეზე, იოსებ გრიშაშვილზე, ლეონ მელიქსეთ-ბეგზე, კონსტანტინე ჭიჭინაძეზე, გიორგი ჯაკობიაზე, მოსე გოგიბერიძეზე, სოლომონ იორდანიშვილზე, გიორგი ლეონიძესა და თუ ილია აბულაძეზე“. დასკვნა კი ასეთია: „პავლე ინგოროყვა არსად ჩანს“ (გვ. 546).

ვიდრე სინამდვილეს ვიტყვოდეთ, მანამდე სრულად გავეცნოთ ამ წიგნის შინაარსს. ეს არის წერილების კრებული, რომელიც მომზადებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის თანამშრომელთა მიერ:

წინასიტყვა (ა. ბარამიძე)

თეიმურაზ ბაგრატიონი (გ. შარაძე)
მარი ბროსე (ბ. კილანაჯა)
პლატონ იოსელიანი (ქ. ცხადაძე)
დავით ჩუბინაშვილი (ლ. მენაბდე)
ილია ჭავჭავაძე (ლ. მენაბდე)

პეტრე უმიკაშვილი (ქ. ცხადაძე)
აკაკი წერეთელი (ლ. მენაბდე)
ალექსანდრე ცაგარელი (ი. ლოლაშვილი)
ალექსანდრე სარაჯიშვილი (ქ. ცხადაძე)

ზაქარია ჭიჭინაძე (ნ. მახათაძე)
თედო ჟორდანი (თ. ფოფხაძე)
მოსე ჯანაშვილი (კ. კეკელიძე)
ვაჟა-ფშაველა (ლ. მენაბდე)
დავით კარიჭაშვილი (ქ. ცხადაძე)
ექვთიმე თაყაიშვილი (ა. ბარამიძე)
ალექსანდრე ხახანაშვილი (გ. ფარულაჯა)
ნიკო მარი (ა. ბარამიძე)
იუსტინე აბულაძე (ტ. რუხაძე)
სერგი გორგაძე (ლ. გრიგოლაშვილი)
ივანე ჯავახიშვილი (ლ. მენაბდე)

კორნელი კეკელიძე (ა. ბარამიძე)
ვუკოლ ბერიძე (ჯ. აფციაური)
სარგის კაკაბაძე (ტ. რუხაძე)
შალვა ნუცუბიძე (ე. ხინთიბიძე)
იოსებ გრიშაშვილი (გ. ფარულაჯა)
ლეონ მელიქსეთ-ბეგი (რ. სირაძე)
კონსტანტინე ჭიჭინაძე (ბ. კილანაჯა)
გიორგი ჯაკობია (ლ. ჭუმბურიძე)
მოსე გოგიბერიძე (ე. ხინთიბიძე)
სოლომონ იორდანიშვილი (ლ. გრიგოლაშვილი)
გიორგი ლეონიძე (ა. ბარამიძე)
ილია აბულაძე (რ. სირაძე)

ვიდრე სიტყვას გავაგრძელებდეთ, უნდა შევნიშნო: დასაშვებია, რომელიმე ეს სტატია არ მოგეწონოს და მის მიმართ უკმაყოფილო იყო, მაგრამ ასეთი საჭირო წიგნი განა შეიძლება მხოლოდ უარყოფითად მოიხსენიო და თქვა „არც მისი გამოცემით დაშავებულა ბევრი არაფერი და არც მისი გამოუცემლობით დაშავდებოდაო?“ დაშავდა თუ გაკეთდა ძალიან საჭირო საქმე?! წიგნი მიძღვნილია „ძველი ქართული მწერლობის უდიდესი კერის გელათის აკადემიის 880 წლისთავისადმი“ და მის ანოტაციაში სამართლიანადაა მითითებული: „ძველი ქართული მწერლობის კათედრის მიერ მომზადებული კრებული «ძველი ქართული მწერლობის მკვლევარნი» წარმოაჩენს იმ წვლილსა და დამსახურებას, რომელიც გამოჩენილ მოღვაწეებს მიუძღვით მრავალსაუკუნოვანი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის შესწავლაში.

კრებული განკუთვნილია ფილოლოგებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის“.

მკითხველი დაინახავს: ეს კრებული უპირველესად სჭირდება როსტომ ჩხეიძესა და მისი სტილის სწავლულებს, რომლებიც ძველ ქართულ ლიტერატურასა და მისი შესწავლის ისტორიას ჯეროვნად არ იცნობენ!

მიკვირს და გამკვირვებია, ბატონმა როსტომმა რატომ ვერ

შენიშნა, რომ ამ სიაში, გარდა პავლე ინგოროყვასი, არ ჩანან ძველი ქართული ლიტერატის ისეთი გამოჩენილი მკვლევარები, როგორც არიან, მაგალითად, აკაკი გაწერელია, გაიოზ იმედაშვილი, გივი მიქაძე და ბეერი სხვა, — თავად ალექსანდრე ბარამიძე და ლევან მენაბდე! ნუთუ არ აჯობებდა, აქვე შემოეტანათ სხვათა მიერ მათზე დაწერილი სტატიები?

დიდად სამწუხაროა, ბატონი როსტომი ამაზე არ დაფიქრებულა. უფრო მეტიც, ასე დიდ ბრალდებას აყენებს და წიგნის წინასიტყვასაც არ კითხულობს, სადაც ალ. ბარამიძე გარკვევით აღნიშნავს: „წინამდებარე წიგნი არ არის ქართული მწერლობის შესწავლის ისტორია, მით უფრო, სისტემური კურსი. აქ გარკვეული წესით მოხაზულია ამ დარგის ცოტა თუ ბევრად თვალსაჩინო ცალკეული მკვლევრის სამეცნიერო-შემოქმედებითი პორტრეტი. მკითხველი იმასაც შენიშნავს, რომ წიგნი ითვალისწინებს ისეთ მკვლევარებს, რომლებიც უკვე ისტორიას ეკუთვნიან“ (გვ. 11).

დიახ, დიახ, კათედრის სამეცნიერო თემატიკური გვეგმიტ, რომელსაც უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭო ამტკიცებდა, თავიდანვე იყო განსაზღვრული, რომ სამეცნიერო პორტრეტები მხოლოდ და მხოლოდ გარდაცვლილ მკვლევარებზე შექმნილიყო! როდესაც ეს წიგნი გამოვიდა (1986), მაშინ ბატონი პავლე გარდაცვლილი გახლდათ, მაგრამ ბატონ როსტომს უნდა მოეხსენებოდეს, რომ მთელ საბჭოთა კავშირში საგამომცემლო გეგმა ოთხი წლით ადრე დგებოდა და ნაშრომები გამომცემლობას სამი წლით ადრე ბარდებოდა. ეს წესი განუხრელად სრულდებოდა. ბატონი პავლე ინგოროყვა გარდაიცვალა 1983 წლის ნოემბრის მეორე ნახევარში, ხოლო, როგორც კრებულშივე გამომცემლობის მიერაა აღნიშნული, ეს წიგნი „წარმოებას გადაეცა“ ბატონი პავლეს გარდაცვალებამდე თითქმის წლინახევრით ადრე — 1982 წლის შვიდ ივნისს.

აი, ესაა სიმართლე და მას პავლე ინგოროყვას წინააღმდეგ ბრძოლასთან არავითარი კავშირი არა აქვს!

ამის შემდეგ მკითხველმა განსაზღვროს, თუ რა ღირებულებისაა როსტომ ჩხეიძის მომდევნო შორს მიმავალი განზოგადებული მსჯელობა: „რა ადვილი ყოფილა, არა, ამხელა ღვაწლის გადამლაც კი, როდესაც არავითარი ანგარიში არ ეწევა საზოგადოებრივ აზრს.

ნარკვევებში კი გაიელვებს ერთი-ორგან მისი სახელი და მიგვანიშნებს, რომ თურმე ასეთი მკვლევარიც არსებულა, მაგრამ ყოველთვის უარყოფით კონტექსტში იხსენიება, რაც გულუბრყვილო

მკითხველსა თუ ახალბედა სტუდენტს აფიქრებინებს, გინდ ყოფილიყო და გინდ არა ასეთი მეცნიერი, თურმე არაფერი უღონია ძველი ქართული მწერლობის შესასწავლად, ორიოდვე მცდარი მოსაზრება გამოუთქვამს, ეგ იყო და ეგო.

გიორგი ჯაკობიას წვლილიც კი არ დარჩენიათ აღუნიშნავი, ასე რომ, პავლე ინგოროყვა, უკეთეს შემთხვევაში, სადღაც კიდევ უფრო ქვემოთ იფარაუდება ამ წიგნის მიხედვით.

კიდევ კარგი(,) პავლე ინგოროყვას ღვაწლი და სახელი ამათ ხელში აღარ იყო და პატრონიც უკვე გამოსჩენოდა, ვისი თაოსნობითაც გაიმართებოდა — პირველად მის სიცოცხლეში — საიუბილეო საღამო თბილისის უნივერსიტეტში 1980 წლის 20 ნოემბერს, ხოლო დაკრძალვა კი ეროვნულ მანიფესტაციად გადაიქცეოდა 1983 წლის 24 ნოემბერს, და მისი ის სტატიებიც გამოქვეყნებულიყო, წინამორბედად რომ მოჩანს ბიოგრაფიული რომანის შექმნისა — მისი მონუმენტური ფიგურა მთელი თავისი სიმაღლით, რომ წარმოისახებოდა და ჩრდილში მოაქცევდა სხვათა ხელოვნურად გაზვიადებულ წვლილსა თუ დამსახურებას². მაშინ კი ძველი ქართული მწერლობის მკვლევართა შორისაც არ აღმოჩნდა მისი ადგილი.

და ეს იმ გამომცემელთა აზრით, რაც იქნებ გაღიზიანებული პასუხიც იყო იმ ეროვნული მანიფესტაციის გამო, ახალგაზრდების გუნდმა ხელით რომ წაასვენა ეს დიდებული ცხედარი დიდუბის პანთეონამდე — პავლე ინგოროყვას ამ დროებით სამყოფელამდე მთაწმინდაზე ასვენების წინ.

ეს დროც მალე დადგება.

ასეა თუ ისე, ის ღიმილისმომგვრელი მცდელობა, გამომჟღავნებული «ძველი ქართული მწერლობის მკვლევართა» ფურცლებზე, ყოველთვის უნდა შეგვახსენებდეს თავს, როგორც ნიმუში იმისა, თუ როგორ იოლად შეიძლება ამოშალონ ისტორიიდან თვით ყველაზე აღმატებული პიროვნებანიც კი, თუ საზოგადოებრივ, კულტურულ, სამეცნიერო-საღიგობრივ სარბიელს არ დაეპატრონებიან გულმართალი ადამიანები, რომელთათვისაც მთავარი უმთავრესი — ჭეშმარიტების ძიებაა.

ის კრებული ძველი ინერციით შედგა..

მაგრამ ასეთმა «ძველმა ინერციებმა» ველარ უნდა გაბედოს ჭეშმარიტების წინააღმდეგ გასაჯსავება.

² ბატონ როსტომს მხედველობაში აქვს თავისი წიგნი „ბედი პავლე ინგოროყვასი“, რომელსაც ახლა ვეხებით.

ახლა რა — ღიმილით დავეყურებთ. ეგაა და ეგ...“ (გვ. 546-547).
ღიან, ღიან, ამგვარია ბატონი როსტომ ჩხეიძის მიერ ღია კარების
მტკრევა.

ალექსანდრე ბარამიძისა და პავლე ინგოროყვას პირადი და
მეცნიერული ურთიერთობა ვრცელი საუბრის თემაა და მას აქ ვერ
ამოწურავთ, მაგრამ, რაც ძირითადია და ზედაპირზე ძვეს, იგი ერთობ
შთაბეჭდავია, სულ სხვა რასმე გვიჩვენებს და არა იმას, რაც ბატონ
როსტომს უეჭველ ჭეშმარიტებად წარმოუდგენია.

ალექსანდრე ბარამიძე არათუ გვერდს უვლიდა, მით უმეტეს,
ჩქმალავდა პავლე ინგოროყვას მეცნიერულ ღვაწლს, არამედ,
პირიქით, ყოველთვის დიდი ინტერესით ხვდებოდა მის ნაშრომებს,
თავგამოდებით წარმოაჩენდა და კეთილმოსურნის პოზიციიდან
საჯაროდ განიხილავდა მათ. გავეცნოთ უმთავრეს მათგანს.

ალ. ბარამიძემ რეცენზია უმაღლესე გამოაქვეყნა ბატონი პავლეს
ვეებერთელა წიგნზე „გიორგი მერჩულე“ (1954 წ., 888 + 126 გვ.) და, რაც
თავის პროფესიასთან ახლო იყო, გაგვაცნო მისი უმნიშვნელოვანესი
ნაწილი, სადაც ავტორმა პროზაულად დაწერილ ტექსტებში უძველესი
ქართული ლექსი გამოავლინა³. მაშინ, როცა კორნელი კეკელიძემ არ
გაიზიარა და უარყოფითად შეაფასა ეს აღმოჩენა, ბატონი ალექსანდრე,
პირიქით, დიდი კმაყოფილებით შეხვდა მას.

ღიან, ღიან, კმაყოფილებითა და სიამოვნებით და არა ისე, როგორც
რ. ჩხეიძე ძუნწად შენიშნავს — ეს მიღწევა „ალექსანდრე ბარამიძემც
კი აღიარაო“ (გვ. 531).

აუ, „ბარამიძემც კი“-ო, ე. ი. პ. ინგოროყვას დაუძინებელმა
მტერმაო! რეცენზიაში ვკითხულობთ: „ჩვენი რამდენიმე შენიშვნა
შეეხება პავლე ინგოროყვას ნაშრომის ლიტერატურათმცოდნეობითს
ნაწილს. წიგნის ამ ნაწილის მნიშვნელობა, ჩვენის აზრით, უ დ ა ვ ო ა .
პ. ინგოროყვამ წ ა მ ო ა ყ ე ნ ა და ს წ ო რ ა დ გა და ჭ რ ა
ძველი ქართული მწერლობის რიგი ღირსშესანიშნავი საკითხი. პირველ
რიგში ასეთად გვეხატება მ ე ტ რ უ ლ ი პ უ ნ ქ ტ უ ა ც ი ის
გარკვევა (გვ. გვ. 591, 593, 599, 606 და სხვ (დაყოფა ალ. ბარამიძისაა

³ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1964, გვ.
55-62.

— ბ. დ.). თავის მხრით მეტრული პუნქტუაციის რაობის გარკვევა პ.
ინგოროყვას საშუალება მისცა დაესაბუთებინა პროზაულად მიჩნეული
ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული ტექსტების წყობილი, მეტრული
ხასიათი. პ. ინგოროყვას გამოკვლევის შემდეგ ცხადი ხდება, რომ
ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული ტექსტები ძირითადად სალექსო
პრინციპზეა აგებული და მეტრული კანონზომიერების განსაზღვრულ
წესებს ემორჩილება. საყურადღებოა პ. ინგოროყვას მოსაზრებანი
ქველქართული პოეზიის სალექსო ფორმების შესახებ, კერძოდ და
განსაკუთრებით ე. წ. სილაბური უკვეთელი ლექსის შესახებ (გვ.
590-607). პ. ინგოროყვამ გამოიძია და მზის სინათლეზე გამოიტანა
შინაარსითა და ფორმით დიდად საინტერესო, დღემდის უცნობი
საგალობლების ტექსტები. კანონზომიერია X საუკუნის გამოჩენილი
ქართველი მწერლის სახელწოდებად მივიჩნიოთ მ ე რ ჩ უ ლ ე ,
დამოუკიდებლად მერჩულეს მნიშვნელობის ინგოროყვასეული
ინტერპრეტაციისა“ (გვ. 55).

**ეს სტრიქონები პ. ინგოროყვასადმი მტრულ დამოკიდებულებას,
მის უგულბეღყოფას გვიჩვენებს?!**

ალ. ბარამიძე, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი და სიმართლის
მაძიებელი, შემდეგ ეხება სადავო საკითხს: რას წარმოადგენს
„საწელიწდო იადგარი“. იგი გრიგოლ ხანძთელის ორიგინალური
თხზულებაა, როგორც პ. ინგოროყვა ფიქრობს, თუ არა? გიორგი
მერჩულე იუწყება: „არს ხანძთას ხელითა (გრიგოლ ხანძთელის
— ბ. დ.) მისითა დაწერილი სულის მიერ წმიდისა, საწელიწდო
იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან“. ბატონი პავლე
ამ თხზულებას გრიგოლ ხანძთელს უყოყმანოდ მიაწერს. თავის
ამ მოსაზრებას გამოკვეთილად, დაყოფით აღნიშნავს: „გიორგი
მერჩულეს ეს ცნობა სრულიად გარკვეული ხასიათისაა და არ
იწვევს არავითარ გაუგებრობას ან რაიმე ცილობას“ (გვ. 759).
ბატონი ალექსანდრე იმოწმებს ამ საკითხისადმი ნ. მარისა და ი.
ჯავახიშვილის დამოკიდებულებას, კ. კეკელიძისა და თავისსავე
ადრე გამოთქმულ შეხედულებებს და წერს: „აკადემიკოსების
ნ. მარისა და ი. ჯავახიშვილის მრავლისმეტყველი დუმილი და
აკადემიკოს კ. კეკელიძის ფრთხილად გამოთქმული მოსაზრება იმას
ამტკიცებს, რომ გიორგი მერჩულის ცნობა გრიგოლ ხანძთელის
ავტორობაზე უცილობელი და სრულიად გარკვეული არ არის. პ.
ინგოროყვას არც უცდია ქართული კულტურის ისტორიისათვის
ეგოდენ საპასუხისმგებლო დებულების დასაბუთება. იგი მხოლოდ

ბეჯითი განცხადებით კმაყოფილდება. საქმეში ჩაუხედავი მკითხველი შეიძლება უნებლიეთ ენდოს პ. ინგოროყვას. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ პ. ინგოროყვა გამოდის წინასწარ შემუშავებული, დაუსაბუთებელი მოსაზრებიდან. მთელი მისი შემდგომი მსჯელობა გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურული მემკვიდრეობის უმთავრესი ნაწილის (ე. ი. იადგარის) შესახებ ემყარება ამ დაუსაბუთებელ და საცილობელ წანამძღვარს“ (გვ. 58).

ალექსანდრე ბარამიძე ბატონი პავლეს თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ იშველიებს მიქაელ მოდრეკილის კრებულს. მოუხსმინოთ მას: „საყურადღებოა საკითხის მეორე მხარეც.

X საუკუნეში, ამ საუკუნის ოთხმოციან-ოთხმოცდაათიან წლებში (პ. ინგოროყვათი, კონკრეტულად 978-988 წლებში) მიქელ მოდრეკილმა შეადგინა საგალობლების დიდი კრებული. კრებულის მასალები მიქელს საგანგებოდ გამოუძიებია და შეუკრებია მთელ საქართველოში. საეჭვო არაა, რომ მიქელი თავის კრებულში შეიტანდა გრიგოლ ხანძთელის საგალობლებსაც (თუ კი ასეთები არსებობდა). პ. ინგოროყვას მოწმობით, კრებულის ტექსტები ბევრ შემთხვევაში ავტორებს ასახელებს, ავტორწარწერილია. ეს ავტორებია — მიქელ მოდრეკილი, გიორგი მერჩულე, იოანე მტბეგარი, იოანე მინჩხი, სტეფანე სანანოძისძე ჭყონდიდელი, იოანე ქონქოსისძე, ბასილ ხანძთელი, კურდანი-კვირიკე, მაკარი ლეთეთელი (გვ. 771). მოლოდინის წინააღმდეგ გრიგოლ ხანძთელი არ ყოფილა დასახელებული. თავისი გამოკვლევის სპეციალურ დამატებაში პ. ინგოროყვა განმარტავს: «*მიქელ მოდრეკილის დროს ადრინდელი ხანის — VIII-IX საუკუნის ავტორის — გრიგოლ ხანძთელის სალიტერატურო მოღვაწეობის შესახებ უკვე სრული ცნობები აღარაა ჰქონიათ*» (გვ. 0118). საკვირველია! ჯერ ერთი, რა საფიქრებელია VIII-IX და X საუკუნეების დაპირისპირება. მართალია, გრიგოლ ხანძთელი იყო VIII-IX საუკუნეთა მოღვაწე, მაგრამ გიორგი მერჩულის მოწმობით მის დროს, ე. ი. X საუკუნის შუა წლებში (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება შეთხზულია 951 წელს), ხომ მოიპოვებოდა გრიგოლის ხელით გადაწერილი (ან დაწერილი) საგალობლების კრებული!

მაშასადამე, მიქელ მოდრეკილსაც უნდა ჰქონოდა ეს პირველწყარო, მით უმეტეს, რომ, პ. ინგოროყვას გამოკვლევის თანახმად, მიქელ მოდრეკილი თურმე მოღვაწეობდა გრიგოლ ხანძთელის მიერ აშენებულ შატბერდის საფანეში: 969-976 წლებში, შატბერდში ყოფნის დროს,

მიქელს მონაწილეობა მიუღია შატბერდის ცნობილი კრებულის გადაწერაში (გვ. 768), მიქელის საგალობელთა კრებულში შატბერდში ყოფილა დამზადებული (გვ. 764, 768, 769, 770). პ. ინგოროყვა იმასაც ვარაუდობს, რომ გრიგოლ ხანძთელის «საწელიწდო იადგარის» დედანი «*დაცული იყო იმავე საფანეებში, სადაც მიქელ მოდრეკილი მოღვაწეობდა*» (გვ. 771). ე. ი. «საწელიწდო იადგარი» უნდა ყოფილიყო არა მარტო ხანძთაში, არამედ შატბერდშიაც. დასასრულ პ. ინგოროყვა გვარწმუნებს, რომ მიქელ მოდრეკილს «*პირველ რიგში თავის კრებულში შეუტანია გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარი*» (იქვე). ამრიგად, მიქელ მოდრეკილის განკარგულებაში ყოფილა გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარი. მას სწორედ ავტორწარწერლად უნდა შეეტანა თავის კრებულში ამ იადგარის ტექსტები. ამის შემდეგ გაკვირვებას იწვევს პ. ინგოროყვას ნაგვიანევი და მოულოდნელი ჩივილი, აქაოდა მიქელის დროს გრიგოლ ხანძთელის სალიტერატურო მოღვაწეობის შესახებ უკვე სრული ცნობები აღარ ჰქონდათ“ (გვ. 59), და სხვა.

თავის შენიშვნას ალ. ბარამიძე ბოლოს ასე აყალიბებს: „გამორიკვა უცნაური გარემოება: საკითხით საგანგებოდ დაინტერესებულ პირს, საგალობლების მაძიებელსა და შემკრებს, X საუკუნის მოღვაწე მიქელ მოდრეკილს თუმცა ხელთ ჰქონია გრიგოლ ხანძთელის მიერ დაწერილი თუ გადაწერილი საგალობლების კრებული, მაგრამ მას მაინც არ აღმოჩენია სრული ცნობები იმავე გრიგოლ ხანძთელის სალიტერატურო მოღვაწეობის შესახებ, სამაგიეროდ ეს ცნობები უხვად აღმოაჩნდა XX საუკუნის მკვლევარს“ (გვ. 59-60).

შერმადინ ონიანმა საგანგებოდ შეისწავლა ეს საკითხი და დაასკვნა: „გრიგოლ ხანძთელის «ცხოვრების» მიხედვით, გრიგოლი არ არის «საწელიწდო იადგარის» ავტორი. ის მხოლოდ მისი გადამწერია. აგიოგრაფის ცნობით, ხანძთელს ეს იადგარი დაუწერია ზეპირად, დედნის გარეშე. ამიტომაც დამოწმებული გრიგოლ ხანძთელის «საწელიწდო იადგარი» თხზულებაში, როგორც მაჩვენებელი მისი ფენომენალური მეხსიერებისა“⁴.

ჩვენს საკითხს ნაკლებ ეხება და სიტყვას აღარ გავაგრძელებ იმაზე, რომ, რაც პ. ინგოროყვას ქართულ ორიგინალურ ჰიმნოგრაფიულ თხზულებებზე მიაჩნდა, შემდეგ ბევრ მათგანს ბერძნული დედნები აღმოაჩნდა, ანუ ისინი თარგმანები ყოფილა.

⁴ შ. ო ნ ი ა ნ ი, გ. მერჩულეს ცნობა გრიგოლ ხანძთელის „საწელიწდო იადგარის“ შესახებ, კრებული: ხანძთა — სულიერად შშობელი ქართველთა, თბ., 2002, გვ. 78-82. ამ საკითხზე უფრო ფართოდ საუბარი გვაქვს წიგნში „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ (თბ., 2008, გვ. 128-132).

მოდი, თავი დაუანებოთ ალექსანდრე ბარამიძის რეცენზიაში გამოთქმულ საქებაარ სიტყვებს და ყურადღება მართო შენიშვნებზე გადავიტანოთ, თანაც მათში ცოტაოდენი სუსხიც შევნიშნოთ, განაღდა შეიძლება აქ ბატონ პავლეს მიმართ რაიმე უპატივცემულობა, მეტადრე, მტრობა და უგულვებელყოფა დავინახოთ?! ბატონ ალექსანდრეს, ჭეშმარიტ მეცნიერს, უპირველესად ხომ მეცნიერული მიზნები ამოძრა ვებდა.

„ნარკვევების“ ამავე, მეოთხე, წიგნში ალექსანდრე ბარამიძე ვრცელ რეცენზიას ბეჭდავს პავლე ინგოროყვას ვებერთელა წიგნზე — თხზულებათა კრებულის პირველ ტომზე (გვ. 368-437) და თავიდანვე უდიდეს შეფასებას აძლევს მას. წერს: იგი „წარმოადგენს კვლევა-ძიების დიდი უნარით და დახვეწილი ლიტერატურული გემოვნებით დაჯილდოებული ავტორის ერთიან, კარგად გააზრებულ, კომპოზიციურად მტკიცედ შეკრულ, ფაქტობრივი მასალებით უხვად შემკობილ, საგებო მოსაზრებათა ეფექტიან წანამძღვრებზე მარჯველ ასხმულ, დარბაისლური ქართულითა და ენერგიული კილოთი დაწერილ დიდ ნაშრომს“ (გვ. 369).

ბატონ ალექსანდრეს იმთავითვე გაუთვალისწინებია როსტომ ჩხეიძისნაირი ოპონენტები და იქვე გულწრფელად აღნიშნავს: „ჩვენ გზადაგზა მოგვიხდება პ. ინგოროყვას წიგნის სხვადასხვა მხარის განხილვა, ოღონდ ამთავითვე ვითხოვთ, აუგად ნუ ჩაგვეთვლება, თუ საქმის ინტერესები გვაიძულებს, მთავარი ყურადღება დავუთმოთ გამოკვლევის ნაკლოვან მხარეებს“ (გვ. 369).

რეცენზენტი პატიოსნად ასრულებს ამ დანაპირებს და ყველგან მისთვის დამახასიათებელი ობიექტურობითა და ტაქტით გვთავაზობს თავის შენიშვნა-მოსაზრებებს. ერთ სათანადო ნიმუშს აქედანაც დავიმოწმებ. პ. ინგოროყვა წიგნის ბოლოსიტყვაში აღნიშნავს: „ძვირფასო მკითხველო, თქვენ და თქვენთან ერთად მეც, გვქონდა ბედნიერება დაგვენახა ქართველი ერის დიდ მნათობთა შორის ნათელი სახე თვით შოთასი.

ამიერიდან შოთა — თავისი ბიოგრაფიით, ისევე ნაცნობი ხდება ჩვენთვის, როგორც ილია და აკაკი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვაჟა.

შოთა უდიდესი პოეტია, ხოლო ამავე დროს იგი იყო მამა ერისა, ქვენი სათვის თავდადებული. შოთას სახე ჩვენ გვინათებს სამშობლოსათვის შეფიცულთა — კოხტასთავის გმირთა — ნათელი

ხომლიდან შარავანდედით შემოსილი“.

ახლა ვნახოთ, ალ. ბარამიძე რა თბილი სიტყვებით ეხმაურება ამ უსაშველოდ გადაჭარბებულ კი არა, ყოვლად შეუსაბამო შეფასებას: „მოყვანილი ტექსტი, ჩვენი აზრით, პოეზიის სფეროს განეკუთვნება. აბა, ვინ დაიჯერებს, რომ «ამიერიდან შოთა — თავისი ბიოგრაფიით, ისევე ნაცნობი ხდება ჩვენთვის, როგორც ილია და აკაკი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვაჟა». ესაა ლამაზი ჰიპერბოლა, ხოლო ჰიპერბოლა სწორედ პოეზიას შვენი“ (გვ. 437). იგივე უნდა ითქვას კოხტასთავის შეთქმულების თაობაზეც.

ასევე კეთილმოსურნეა ბატონი ალექსანდრეს დასკვნაც: სარეცენზიო წიგნში „სხვაც ბევრია ემოციური და პოეტური. ამას თავისი ფასი და მნიშვნელობა აქვს. პ. ინგოროყვამ შექმნა ჩვენში მეცნიერების კვლევა-ძიების თავისებური სტილი. ბევრ რამეში ეს სტილი ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. არ გვაკმაყოფილებს იმიტომ, რომ პ. ინგოროყვას ნაშრომებში ჭარბად არის ჩაქსოვილი სუბიექტური, ლირიკული, ემოციური ელემენტი.

არასგზით არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ პ. ინგოროყვამ კოლოსალური შრომა გასწია, ზოგი რამე ამ დიდი შრომიდან ჩვენ მიუღებლად გვეჩვენება, ზოგ რამეს სადავოდ ან საუბრეო ჰიპოთეზად ვთვლით. მაინც ეს შრომა უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა უკანასკნელი დროის რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში. ამ შრომაში წამოჭრილი საკითხები დიდხანს იქნება სპეციალური დაკვირვებისა და შემდგომი შესწავლის საგანი. პ. ინგოროყვას შრომა ყველაფერთან ერთად ბიძგს აძლევს ქართულ მეცნიერულ აზროვნებას, მეცნიერული კვლევა-ძიების საქმეს. ესაა ამ მონუმენტური შრომის დიდი ღირსება“ (იქვე, გვ. 437).

რადგან ალ. ბარამიძის „ნარკვევების“ მეოთხე წიგნზე ჩამოვარდა სიტყვა, აქ ამ ორი მეცნიერის პირადი დამოკიდებულების ამსახველ ერთ შემთხვევას გავიხსენებ, თუმცა ამაზე საგანგებოდ საუბარი ქვემოთ მაქვს, სადაც მათ თანამშრომლობას ვეხები.

„ნარკვევების“ ეს წიგნი რამდენიმე თვის გამოსული იყო. ლიტერატურის ინსტიტუტში „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ფოტოპირებს ერთმანეთს ვუდარებდი. ოთახში პ. ინგოროყვა შემოვიდა და ბატონი ალექსანდრე იკითხა, საშას ნახვა მინდაო. საათს დაეხედე და მივუგე, 15-20 წუთში მობრძანდება-მეთქი. მკითხა, რას საქმიანობო, პასუხი რომ მიიღო, წიგნებად აკინძული ფოტოპირების რამდენიმე ტომის გადათვალისწინებას შეუდგა. ამასობაში ბატონი ალექსანდრეც

მობრძანდა. ისინი ღიმილით ერთმანეთს გადაეხვივნენ. მე მაშინვე ავდექი და გარეთ გამოსვლა დავაპირე; ორივემ მთხოვა, ხელს არ შეგვიშლით, ნუ გადიხართო. კარგა ხანს თბილად იმუხაფეს. ბატონმა პავლემ „ნარკვევების“ წიგნის ჩუქებისათვის ბატონ ალექსანდრეს მადლობა გადაუხადა და უთხრა, არ წამიკითხავს, რამე რომ არ მწყენოდლო. საუბრისას კი გაირკვა, რაც ბატონმა ალექსანდრემ და მეც შევნიშნე, ორივე რეცენზიას კარგად იცნობდა. ბარემ აქ იმასაც დავუმატებ, რომ ბატონმა პავლემ დამავალა, ხელნაწერებში ესა და ეს მომიძებნეო. ტელეფონით გაგაგებინებთ-მეთქი და ნომერი ვთხოვე. ტელეფონი არა მაქვსო, მითხრა. რომ გავიკვირე, ამიხსნა, ქუჩას ბინაში რა შემაყვანინებსო.

1953 წელს პ. ინგოროყვამ გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“, რამაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და მასზე უამრავი კრიტიკული წერილი გამოქვეყნდა⁵. აქ წარმოდგენილი ტექსტის დიდი და უმთავრესი ნაკლი ისაა, რომ ძირითადად დაყრდნობილია გვიანდელ და ძლიერ ნასწორებ (J-H461) და მასთან მდგომ ნუსხებზე⁶. მაშინ დაიბეჭდა ალ. ბარამიძის სტატიაც «ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა» („ლიტერატურული ძიებანი, IX, 1955, გვ. 455-474). მაგრამ, ვინაიდან პ. ინგოროყვამ რუსთველის პოემა მეორეჯერაც, 1970 წელს, გამოსცა, რეცენზია მასზეც გამოაქვეყნა. ვინაიდან პირველი რეცენზია თავისი „ნარკვევების“ წიგნში არ შეუტანია, მეც მას გვერდს ავუვლი და ზოგიერთ რამეს მეორეზე ვიტყვი. ეს რეცენზია ავტორმა შეიტანა „ნარკვევების“ V წიგნში (თბ., 1978, გვ. 57-73).

ბატონი პავლეს ამ პუბლიკაციაში საკმაოა გასაკვირად მიუღებელი შეხედულებანი, რომლებიც რეცენზიაში შენიშნულია. ერთ მაგალითს დავასახელებ. ბატონი პავლე ჩანართად მიიჩნევს და დაუსაბუთებლად პოემის ტექსტიდან აძევებს ისე ბრწყინვალე სტროფს, როგორიცაა „*კარვის კალთა ჩა ხლართული ჩავჭერ, ჩავკარბაკე*“. ეს რეცენზიაც ბატონი ალექსანდრესთვის ჩვეული მეცნიერული ტაქტიკითაა დაწერილი. აქაც დასკვნაში ავტორი არ ძუნწობს და უხვადაა წიგნის ღირსებანი წარმოჩენილი: „რა თქმა უნდა, — წერს იგი, — პ. ინგოროყვას ნაშრომში ბევრი რამეა მოსაწონი და დიდი

⁵ ისინი აღრიცხულია გ. მიქაძის წიგნში: ძველი ქართული მწერლობის ბიბლიოგრაფია, I, (1921-1965), თბ., 1968, გვ. 162.

⁶ მის შესახებ იხ. ჩვენი წიგნი: რუსთველოლოგიური გამოკვლევები, I თბ., 2010, გვ. 277-367.

კმაყოფილების გრძობის აღმძვრელი. საერთოდ შთამბეჭდავად არის დაწერილი მონოგრაფიის ის თავები, რომლებიც შეეხება საქართველოს ისტორიულ წარსულს და მიზნად ისახავს ძველი ქართული კულტურის საკითხების ფართოდ გაშუქებას. უდაოდ მიგვაჩნია პ. ინგოროყვას მოსაზრებანი რენესანსული სულის მატარებელი ქართული ჰუმანიტური მოძრაობის თაობაზე. რუსთველის პოემის ჰუმანიტური და ინტერნაციონალურ სულისკვეთებაზე და ქალის კულტზე, მეგობრობასა და სიყვარულზე, პოეტის მხატვრულ მხარეებზე. მახვილგონივრულია მკვლევრის დაკვირვებანი ვეფხისტყაოსნის აპოლონურ და დიონისურ საწყისებზე. კარგია ნაკვეთი ბორენა დედოფალზე და მის საგალობელზე. მიუხედავად სადაო და მიუღებელ დებულებათა სიუხვისა, ნაშრომი მთლიანად დიდ ინტერესს იწვევს და რუსთველოლოგიური მეცნიერების შემდგომ წინსვლას ემსახურება. პ. ინგოროყვას ნაშრომი ბადებს ახალ საკითხებს, ხელს უწყობს კრიტიკული აზრის განვითარებას და ამ საკითხების შემდგომი გაღრმავებული შესწავლისათვის განაწყოებს დაინტერესებულ პირთ. ესაა სარეცენზიო ნაშრომის აუცილებელი ღირსება“ (გვ. 72-73).

განა შეიძლება, მტერმა ასე გულითადი სიტყვები გაიმეტოს?!

სიტყვა ძალიან გაგვიგრძელდა და მოკლედ აღვნიშნავ: თუ გადავშლით ალ. ბარამიძის სხვა წიგნებს და პირთა საძიებლებს გავეცნობით, ვნახავთ, მათში პ. ინგოროყვას სახელი და მისი ნაშრომები რა ბევრჯერაა ნახსენები. „ნარკვევების“ VIII ტომში მას 20 გვერდი უჭირავს, IX ტომში — 35. „ახლო წარსულიდან“ (მეორე შევსებული გამოცემა, თბ., 1967) — 40. „შოთა რუსთველი“ (თბ., 1975) — 52 და სხვა.

ალ. ბარამიძეს პ. ინგოროყვაზე გამოქვეყნებული აქვს საგანგებო, საიუბილეო წერილი, საიდანაც მკაფიოდ გამოსჭვივის მისადმი სიყვარული და პატივისცემა. დავიმოწმებ რამდენიმე ამონაწერს⁷: „ფოთის გიმნაზიაში რომ ვსწავლობდი, ორი მეცნიერის სახელი შევიცანი შორიდან. ორივემ ჩემი უზომო ყურადღება მიიპყრო, თუმცა მათ საქმიანობაზე მაშინ არავითარი წარმოდგენა არ მქონდა. ერთი იყო ნიკო მარი, მეორე — პავლე ინგოროყვა (...). პავლე ინგოროყვა, ასე ვთქვათ, დაუსწრებლად გამაცნო მისმა უმცროსმა ძმამ სამსონმა (შინაურობაში შუკუნამ), რომელსაც ქალაქის ცენტრში პატარა სავაჭრო ფარდული ჰქონდა“ (გვ. 170). შემდეგ: „თბილისში რომ გადმოვედი და სტუდენტი

⁷ მხცოვანი მკვლევარი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1981, 27 ნოემბერი, გვ. 5; შესულია ავტორის წიგნში — ახლო წარსულიდან (მოგონებანი), თბ., 1983, გვ. 270-274.

გავხდი, მწერალთა სასახლეში სიარულს მოეუხმირე იქ წასაკითხად დანიშნული მოხსენებების მოსასმენად. ოცნება ამიხდა და პავლე ინგოროყვას ორი მოხსენება მოვისმინე «რუსთველიანას» ციკლიდან. მოხსენებებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ასპირანტურის პერიოდში გატაცებით დავეწაფე პ. ინგოროყვას შრომებს (...). პავლე ინგოროყვა პირადად გავიცანი 1930 წლის სექტემბერში“ (გვ. 170-171). შემდეგ: „ჩემსა და პავლე ინგოროყვას შორის იმთავითვე კარგი ურთიერთობა დამყარდა. გულითადად დაემგობრდით. მოგვიხდა რიგი საერთო, ფრიად საპასუხისმგებლო სამუშაოების შესრულება“ (იქვე, გვ. 271). შემდეგ: „ბატონი პავლე, როგორც ცნობილია, შეპყრობილი იყო მძიმე სნეულებით. ამის გამო მას ხშირად უხდებოდა შინ წოლა თუ აბასთუმანში ყოფნა. თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას იგი ყოველთვის მე მანდობდა. ჩვენი მაშინდელი ძმური ურთიერთობისა და კეთილი თანამშრომლობის საილუსტრაციოდ მოვიყვან პ. ინგოროყვას ერთ წერილს, რომელიც 1936 წლის 8 ოქტომბრის თარიღით არის გამოგზავნილი აბასთუმნიდან“ (გვ. 273). აი, ერთი ამონაწერი ამ წერილიდან: „შენი იმედი მაქვს, ჩემო ალექსანდრე, ყველაფერში. ცხადია, საერთო საქმეს უჩემობას არ დაამჩნევ. ალბათ მეც არ ვიქნები ყოველთვის ასე უძლურად და შევეცდები, სამაგიერო აგინახალო. ამას გარდა, ალბათ გამოჩნდებიან ისეთებიც, რომლებიც ჩემი ავადყოფობისა და მუშაობის ასპარეზიდან დროებით ჩამოშორების გამოყენებას მოინდომებენ, — იმედი მაქვს დამიცავ და ღირსეულ პასუხს გასცემ. შენ განდობ ჩემს სრულუფლებიან წარმომადგენლობას აკადემიურ ფრონტზე“ (გვ. 274.).

ალ. ბარამიძე ბოლოს აღნიშნავს: „მე ყოველთვის ღრმა პატივისცემით ვაფასებდი და ვაფასებ პ. ინგოროყვას დიდ ღვაწლს ჩვენი სულიერი კულტურის ფანატიკური თავგამოდებით შესწავლის საქმეში. პავლე ინგოროყვას ახლახანს შეუსრულდა დაბადების 88 წელი. ვუსურვებ ღვაწლმოსილ მეცნიერს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ წარმატებებს მის საყვარელ საქმეში“.

ნიშანდობლივია, რომ ალ. ბარამიძე ბატონ პავლეს ერთ არასაკადრის საქმეში ამხელს, მაგრამ — დაუსახელებლად. თავისი მოგონებების პირველ გამოცემაში „ახლო წარსულიდან“ (II, თბ., 1993) სათაურით „ჩვენებური კვანთი“ გვიამბობს: „1959 წლის 15 ოქტომბრის თარიღით «იუნესკოს» საქმეთა სსრკ კომისიისაგან მივიღე წერილი. მატყობინებდნენ, რომ საქართველოს კულტურის სამინისტროს რე-

კომენდაციით დაგალებული მქონდა დამეწერა შესავალი წერილი ვეფხისტყაოსნის სტივენსონისეული ინგლისური თარგმანისათვის, რომლის გამოცემას კისრულობდა «იუნესკო». მინიშნებული იყო შესავალი წერილის მოცულობაზე და მის საერთო ხასიათზე. წარდგენის ვადა — 1960 წლის 30 მარტი. კომისია მთხოვდა თანხმობის თაობაზე მეცნობებინა (კომისიის სამდივნოს მეშვეობით) პარიზში «იუნესკოს» ლიტერატურის სექციისათვის. დაგალება, რა თქმა უნდა, ვიკისრე. გაფორმდა ხელშეკრულება. მოვაშხადე ტექსტი, რომელიც მოიწონეს კ. კეკელიძემ, ა. შანიძემ და დაამტკიცა ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ გიორგი ლეონიძის თავმჯდომარეობით. წერილი დროულად გავგზავნე დანიშნულებისამებრ (ხელშეკრულების თანახმად წერილის ტექსტი მომზადდა რუსულ ენაზე), მაგრამ იგი ადგილზე არ მისულა. შემახსენეს პარიზიდან და მიმითითეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე. სასწრაფოდ მივწერე «იუნესკოს» საქმეთა სსრკ სამდივნოს. პასუხმა დაიგვიანა. შევწუხდი, საგონებელში ჩავვარდი, ვერა გამეგო რა, მაგრამ რა გაწეობოდა. გვიან გამოირკვა, რომ ერთ ცნობილ ქართველ მკვლევარს ენახა ჩემი წერილი, წაეკითხა და წუნი დაედო მისთვის, თანაც შეეთავაზებინა თავისი სამსახური (უბრალოდ, მე დავწერო შესაფერის წერილს). კომისია შეცბუნებულიყო, ეცნობებინა ამის თაობაზე თბილისში სადირექტორო ორგანოებისათვის და, თავის მხრივ, ჩემი წერილის პირები გაეგზავნა შესამოწმებლად ლენინგრადელი და მოსკოველი სწავლული ლიტერატურათმცოდნეებისათვის. საბედნიეროდ, ჩემთვის ყველაფერი კარგად დამთავრდა. წერილის საბოლოო აპრობირებული ტექსტი გაიგზავნა პარიზში, ოღონდ დაგვიანება ოფიციალურად მე დამბრალდა და «იუნესკოს» ლიტერატურის სამდივნოს წინაშე ბოდიშის მოხდა დამჭირდა. ეს საქმე მიყო ჩვენებური კვანთის გამოდებამ“ (გვ. 115-116).

როგორც ვხედავთ, ბატონი ალექსანდრე ამ მეკვანტეს არ ასახელებს. სინამდვილეში ის პავლე ინგოროყვა გახლდათ.

მსგავსი საქმე ბატონმა პავლემ შემდეგაც ჩაიდინა. ადრინდელი დადგენილებით, 1966 წელს რუსთველის საიუბილეოდ უნდა გამოცემულიყო აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის მიერ მომზადებული „ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტებიანი ტექსტი. მაშინ პ. ინგოროყვამ მოითხოვა, რატომ ეს და არა ჩემიო?! თათბირი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, ირაკლი აბაშიძის, კაბინეტში მიმდინარეობდა, რომელსაც მეც ვესწრებოდი — მიტანილი

მქონდა შანიძე-ბარამიძისეული ნამუშევარი. ბატონ პავლეს ჰკითხეს, შენი ტექსტი სად არისო. მან შუბლზე ხელი მიირტყა, აქ არისო. ეს ხდება 1964 წელს. შემდეგ გამოჩნდა, მომზადებული არ ჰქონია. გამოსცა ექვსი წლის შემდეგ — 1970 წელს.

აღწერილი მაქვს, ამ ჩარევამ შემდეგ თუ რა სხვაგვარი, მახინჯი, განვითარება პოვა⁸.

მოგონებების ამავე წიგნში ალ. ბარამიძე გვიამბობს, როგორ ცდილობდა ის, რომ პ. ინგოროყვას სხვებთან კეთილი ურთიერთობა ჰქონოდა: „მწვავედ დაეჯახნენ ერთმანეთს კორნელი კეკელიძე და პავლე ინგოროყვა. ამ შეჯახების მიზეზი იყო ბატონ კორნელის მხრივ პ. ინგოროყვას ჯერ «რუსთველიანას», მერმე «გიორგი მერჩულეს» უმკაცრესი ფორმით უარყოფითი შეფასება. პავლე ინგოროყვა ვალში არ დარჩენილა. პაექრობამ აშკარა მტრობის ხასიათი მიიღო“ (გვ. 112). შემდეგ გადმოგვცემს, როგორ შეარიგა ისინი: „მე უზომოდ მაწუხებდა მეცნიერ-მამულიშვილთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებანი, რაც ზოგჯერ საგალალო მტრულ ხასიათსაც ღებულობდა. შეძლებისდაგვარად ვცდილობდი კიდევაც უთანხმოების შენელებას და მოშუღართა შერიგებას (რასაკვირველია, საქმიან ნიადაგზე). თუმცა კორნელი კეკელიძე და პავლე ინგოროყვა მომდურავნი იყვნენ, წლების მანძილზე შეხმატკბილებულად ვმუშაობდი ბატონ პავლესთან საქართველოს მუზეუმში (ის იყო ხელნაწერთა განყოფილების გამგე, მე კი მეცნიერ-მცველი). ერთად მოვამზადეთ და გამოვეცით «ქილილა და დამანას» კრიტიკული ტექსტი, ერთად მოვაწყვეთ ფირდოუსისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა, სტამბურად გამოვაქვეყნეთ ქართულ და რუსულ ენებზე ამ გამოფენის ვრცელი კატალოგი. განზრახული მქონდა «ვისრამიანის» გამოცემაც. ამის თაობაზე სიტყვა ჩამოვუგდე ბატონ პავლეს, ძალიან მოეწონა ეს განზრახვა. შევთავაზე თანამშრომლობა (თანარედაქტორობა), ოღონდ იმ პირობით, თუ მესამე თანარედაქტორად მოვიწვევდით კორნელი კეკელიძეს. პავლე სიამოვნებით დამეთანხმა. არც ბატონ კორნელის უთქვამს უარი. შევიყარეთ ერთად. პავლე ინგოროყვამ და კორნელი კეკელიძემ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. მივუსხედით მაგიდას, სადაც დალაგებული მქონდა ძეგლის ხელნაწერი ნუსხები და ბეჭდური გამოცემები (ქართული და სპარსული), შევადგინეთ მუშაობის გეგმა და გრაფიკი, სისტემური, ბეჯითი და გულმოდგინე შრომის შედეგად 1938 წელს გამოვიდა «ვისრამიანის» ჩვენეული

⁸ იხ. ჩემი რუსთველოლოგიური გამოკვლევები, II, 2015, გვ. 363-370.

პირველი კრიტიკულად დადგენილი ტექსტი. საერთო სამეცნიერო ინტერესმა შეარიგა, დაახლოვა და სასიკეთო გზაზე დააყენა მანამდის მომდურავი ორი დიდებული მკვლევარი-მამულიშვილი“ (გვ. 114).

ასეთია სინამდვილე.

გადაუჭარბებლად და თამამად შეგვიძლია ვთქვათ: არ არსებობს მეორე მეცნიერ-მკვლევარი, მათში შედის როსტომ ჩხეიძეც, პავლე ინგოროყვასთვის იმდენი ყურადღება დაეთმოს და, რაც მთავარია, მისი მეცნიერული ღვაწლი ისე მაღალკვალიფიცირებულად შეეფასებინოს, როგორც ეს ალექსანდრე ბარამიძემ შეძლო.

ქართველოლოგიის ისტორიის მკვლევარები ორი ტიპისანი არიან. ერთნი, ვეროპული, აკადემიური სტილისა, რომელიც ჩვენში უშუალოდ გერმანულიდან შემოვიდა და გიგანტმა ქართველმა მეცნიერებმა — ნიკო მარმა, ივანე ჯავახიშვილმა, კორნელი კეკელიძემ, აკაკი შანიძემ და სხვებმა დაგვიწერეს. მეორენი ამ მეთოდს განუხრელად არ იცავენ და თავიანთ ნაშრომებში საკმაოდ უხვად შემოაქვთ არა მარტო ვარაუდები, არამედ უსაფუძვლო გამონაგონიც, ფანტაზიით შექმნილი. ასე მესახება: ბატონი პავლე საოცარი ფენომენური ნიჭით იყო დაჯილდოებული და, რაც მნიშვნელოვანი შექმნა, ამ ნიჭის წყალობით შეძლო. მის ნაწერებში ბევრჯერ მწერალი უფრო ჩანს, ვიდრე მეცნიერი. რამდენადაც როსტომ ჩხეიძის შემოქმედებას ვიცნობ, მასზეც იგივე შთაბეჭდილება მრჩება. ალ. ბარამიძე ამ მხრივაც თავისი მასწავლებლების მიმდევარია. მასა და პ. ინგოროყვას შორის კამათის საფუძველი, ვფიქრობ, ძირითადად სწორედ ამ მეთოდოლოგიის სხვაობითაა გამოწვეული.

ძალიან მაინტერესებს და საქმესაც დიდად წაადგება, ვინმემ, კერძოდ, ბატონმა როსტომ ჩხეიძემ გვიჩვენოს, პ. ინგოროყვას ნაშრომებისადმი ალ. ბარამიძის მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებიდან რომელია მიუღებელი. რა თქმა უნდა, სიძულვილსა და მტრობაზე საუბარი სრულიად ზედმეტია, რადგან მშვენივრად ვიცი: ასეთი რამ არ არსებობს. მე არ მაგონდება, ბატონი პავლე ბატონ ალექსანდრეს შენიშვნებს გამოხმაურებოდეს და რომელიმე მათგანი არ მიეღოს. დაბეჯითებითაც უნდა ვთქვა: ისინი ყველა მეცნიერების ერთგულებისა და პ. ინგოროყვასადმი პატივისცემის გამომხატველია.

ყველაფრიდან ჩანს, რ. ჩხეიძის, როგორც ვახტანგ ჭვლიძის, ისე პ. ინგოროყვასადმი უზომო სიყვარული ამოძრავებს. მეც მივესალმები ამ დამოკიდებულებას, მაგრამ, ერთხელ კიდევ უნდა

გავიმეორო, სიყვარულმა ისე არ უნდა დაგვაბრძაოს, სინამდვილე უკუღმა მოგვაჩვენოს და სხვისი ღირსებანი ვერ დავინახოთ, მეტადრე შეგნებულად დავამახინჯოთ! საქმისადმი ასე ზერულედ მიდგომა, ბატონ როსტომს, ამ სწავლულ ლიტერატორსა და ლიტერატურათმცოდნეს, ქართული ლიტერატურისა და, საერთოდ, ჩვენი სულიერი კულტურის მოამაგეს, არა და არ ეკადრება. ამაზე გული ძალიან მწყდება და კიდევაც შემტკივა!

დასასრულ უნდა გამოვეხმაურო როსტომ ჩხეიძის გაკვრით და ყრუდ გამოთქმულ მოსაზრებას: პ. ინგოროყვას წინააღმდეგ ბრძოლა მარტო მავანთა პირადი დამოკიდებულებისა თუ განწყობილების ბრალი არ იყო და, იგულისხმება, მას მაშინდელი პოლიტიკური რეჟიმი განაპირობებდა.

როგორც ვნახეთ, დაბეჯითებით ნათქვამი, ვითომცდა წიგნში „ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი“ პ. ინგოროყვას მოუხსენიებლობა ალ. ბარამიძისა და ლ. მენაბდის „მხოლოდ პირად თვალსაზრისს არ გამოხატავენ, თორემ მაშინ ეს კრებული სალაპარაკოდ არც ეღირებოდა“-ო, სინამდვილეს არ შეესატყვისება.

მეორე მაგალითიც: მეცნიერებათა აკადემიაში ასარჩევად პ. ინგოროყვას საბუთების მიუღებლობაში ბატონი როსტომი ნიკო მუსხელიშვილის შესახებ წერს: „არც ისაა გამორიცხული, რომ თვითონ აკადემიის პრეზიდენტი კი არ ყოფილიყო პავლე ინგოროყვას წინააღმდეგი, არამედ დაბეჯითებით სცოდნოდა ხელისუფლების აზრი მასზე, განა 1955 წელს უშუალოდ იქ, «ზემოთ», არ გადაწყდა პავლე ინგოროყვას კანდიდატურის მოხსნა? მაშ, რატომ დაეყენებინა ეჭვის ქვეშ თავისი საგარძელი? ამიტომ დაიხვევდა ხელზე სათანადო დოკუმენტაციის უქონლობას — «გიორგი მერჩულეს» ავტორის პირად საქმეში უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომის, საკანდიდატო და სადოქტორო ხარისხების მოწმობათა არარსებობას.

მაგრამ პავლე ინგოროყვას კანდიდატურას მწერალთა კავშირი რომ წარადგენდა?

ხელისუფლების აზრი რომ არა, დოკუმენტაციის უქონლობა ამ შემთხვევაში არანაირ დაბრკოლებას არ ქმნიდა“ (გვ. 540).

მეც სტუდენტობიდან და ახლაც ბეჯითად მიმაჩნია, რომ პავლე ინგოროყვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი ნამდვილად უნდა ყოფილიყო, თუნდაც მარტო იმისთვის, რომ რაღაც

სარჩო ჰქონოდა. მასხოვს სტუდენტობისას, როდესაც ბატონი პავლეს უზარმაზარი წიგნი „გიორგი მერჩულე“ გამოვიდა და მწერალთა კავშირში მისი განხილვა გამოცხადდა, ხმა დაირხა, ბატონ პავლეს დაჩაგვრას უპირებენო, ჩვენ სტუდენტები, მათ შორის მეც, დავირახმეთ მისთვის მხარდსაჭერად და მწერალთა კავშირში მივედით, მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნის ავან-ჩავანი არც ერთმა არ ვიცოდით. მაშინ ეს განხილვა ჩაიშალა — ბატონი პავლე არ გამოცხადდა. მე არ ვიცი, თავი რომ დავანებოთ მეცნიერულ საკვალიფიკაციო დიპლომებს, კანდიდატობასა და დოქტორობას, რამდენად აუცილებელი იყო უმაღლესი განათლების დიპლომი.

რაც შეეხება მწერალთა კავშირიდან წარდგენას, ამის თაობაზე ველაპარაკე მაშინა ებრალიძეს, რომელიც ერთხანს აკადემიის პრეზიდენტის სწავლულ მდივნად, მერენ. მუსხელიშვილის თანამემწედ მუშაობდა. მიამბო, ამ საკითხზე ბატონ ნიკოსთან მსჯელობა ყოფილა, მაგრამ მწერალთა კავშირი ამას ვერ აკეთებდა, რადგან ბატონი პავლე არც ერთი მხატვრული თხზულების ავტორი არ იყო. მწერალი-აკადემიკოსები გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, უწინარესად გამოჩენილი მწერლები ბრძანდებოდნენ, სხვა ამბავია, ამავე დროს, გარდა გალაკტიონისა, თვალსაჩინო მკვლევარი-მეცნიერები გახლდნენ.

ბატონი როსტომი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, ვითომც ალნიშნული შეზღუდვა ბატონი პავლესთვის შეიქმნა. არ გვეუბნება, ეს მოთხოვნა როდის დაწესდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში და ამ მხრივ რა ვითარება იყო საბჭოთა კავშირის სხვა აკადემიებში.

რასაც ბატონი როსტომი ხელისუფლებაზე ბრძანებს, ეს მისი ვარაუდია და შესაბამისი საბუთი არ მოიპოვება. ქვემოთ ვნახავთ, სხვა მაგალითებიც არსებობს, როცა რ. ჩხეიძე ხელისუფლებას ისეთ რამეებს აბრალებს, რაც, რბილად რომ ვთქვათ, უსაფუძვლოა.

თუ აკადემიაში პავლე ინგოროყვას ასარჩევად წარდგენისაგან სხვებიც თავს იკავებდნენ, როსტომ ჩხეიძის ახსნით, იმიტომ, რომ „მაინც შიშობდნენ აკადემიკოსობის მოსურნენი ყოველი არჩევნების წინ, ვაითუ პავლე ინგოროყვა მოგვევლინოს კონკურენტადო“ (გვ. 541). ამის ერთ-ერთ გამოვლინებად ასახელებს აკაკი გაწერელიას უმკაცრეს რეცენზიას, სადაც, ბატონი როსტომის სიტყვით, „აკადემიკოსობის მოსურნე (ანუ ა. გაწერელია — ბ. დ.) «ლემის» ძახილსაც არ მოერიდება გიორგი წერეთლის მიმართ“. ბატონ როსტომს მხედველობაში აქვს ა. გაწერელიას ვრცელი (მთელი

წიგნი) და უმკაცრესი რეცენზია გიორგი წერეთლის გამოკვლევებზე „რიტმი და რითმა ვეფხისტყაოსანში“. თავისი ვარაუდის საბუთი ბატონ როსტომს არ აქვს. თავად აღნიშნავს: „ნეტავი რა მოტივი ჰქონდათ საიმისოდ, რომ გიორგი წერეთელი პავლე ინგოროყვას თავგამოდებულ მომხრედ მიეჩნიათ? დოკუმენტურად ეს არსად ჩანს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით... მაგრამ, ეტყობა, ჰქონდათ“ (გვ. 541).

ბატონ როსტომს წარმოდგენა არა აქვს მაშინდელ მეცნიერულ მოვლენებზე. ბატონი აკაკი გაწერელია ბატონ გიორგი წერეთელს დაუპირისპირდა არა იმიტომ, რომ ის აკადემიაში ასარჩევად მხარს მას კი არა, პ. ინგოროყვას დაუჭერდა, არამედ იმიტომ, რომ აღნიშნულ წიგნში მან (გ. წერეთელმა) ქართული ლექსის ბუნება სხვაგვარად წარმოადგინა, ვიდრე მანამდე იყო მიჩნეული. მანამდე უეჭველ და საყოველთო ჭეშმარიტებად სახელდებოდა აკაკი გაწერელიას დებულება, რომ ქართული ლექსი არის სილაბურ-ტონური. გ. წერეთლის გამოკვლევით, „ვეფხისტყაოსნის ლექსი, ორივე, მაღალი და დაბალი შაირი, არც მეტი, არც ნაკლები, სილაბურია“⁹.

აკაკი გაწერელია ასევე უმკაცრესად გაუსწორდა აკაკი ხინთიბიძეს, რომელმაც გ. წერეთლის თვალსაზრისს მხარი დაუჭირა¹⁰. სხვა შემთხვევა: ამგვარადვე მოეპერა ივანე ლოლაშვილს, რომელმაც არეოპაგატიკის საკითხებში სხვა შეხედულება შეიმუშავა, ვიდრე ბატონ აკაკის ჰქონდა¹¹.

რ. ჩხეიძე ალექსანდრე ბარამიძეს ადანაშაულებს იმაშიც, რომ იგი 1955 წელს კენჭს იყრიდა აკადემიაში ასარჩევად და 1960 წელს კიდევაც აირჩიეს. „იმხანად სწორედ ბარამიძე ეცილებოდა პავლე ინგოროყვას აკადემიკოსის მანტიას, თავგადაკლული იბრძოდა 1955 და 1960 წლების არჩევნებში“ (გვ. 539). ნეტავი მაცოდინა, რითი გამოიხატა ეს „თავგადაკლულობა“? არჩევნებისას ალექსანდრე ბარამიძე პავლე ინგოროყვას კონკურენტი არასოდეს ყოფილა. ბატონი პავლე იქამდე არ მიუშვეს!

ნეტავი, ბატონი როსტომი ალ. ბარამიძეს იმას ხომ არ უკიჟინებს, რომ მან მეცნიერებათა აკადემიას ბოიკოტი არ გამოუცხადა და არ

⁹ აკაკი გაწერელია, ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი, თბ., „განათლებ-ბა“, 1974.

¹⁰ აკაკი გაწერელია, ლიტერატურული ქურდობებისა და გალიმათიების წინააღმდეგ ქართულ პოეტიკაში, მისი, რჩეული ნაშრომები, ტ. III, ნაკვეთი II, გვ. 494-553.

¹¹ აკაკი გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტ. I, რუსთველოლოგია, არეოპაგატიკა, რეცენზიები, პოლემიკა, 1949-1975, თბ., „მერანი“, 1977.

დაიჟინა: სანამ პ. ინგოროყვას არ მიიღებთ, მანამდე თქვენთან ჩემი ფეხი არ იქნებაო?!


ბატონი როსტომი ჩხეიძე სათანადოდ რომ იყოს გაცნობიერებული ქართული მწერლობის კვლევა-ძიების ისტორიაში, ხეირიანად რომ იცოდეს ალ. ბარამიძის დამსახურება და მეცნიერებას საკადრის პატივს მიაგებდეს, ამას არ დაწერდა!

როსტომი ჩხეიძე, მისივე გამოთქმა რომ გამოვიყენო, თავგადაკლული მაგინებელია ი. სტალინისა და საბჭოთა კავშირისა იმაშიც, რაც მათ კარგი გააკეთეს. სიტყვას არ გაგაგრძელებ იმაზე, რა უბედურებაშია ახლა ჩავარდნილი ჩვენი ქვეყანა და ხალხი. სადღაც წაკითხული მაქვს, ი. სტალინი ამბობდა: კი, შეიძლებოდა საქართველო დამოუკიდებელი ბურჟუაზიული რესპუბლიკა ყოფილიყო, მაგრამ მაშინ ჩვენი ხალხი თავისი უნარისა და შესაძლებლობების გამოვლენას ვერ შეძლებდაო. დიდად სამწუხაროდ, აგერ მეოთხედი საუკუნე გადის, ჯერჯერობით ჩვენთან ეს სიტყვები ზუსტად სრულდება და ამ უბედურებიდან თავის დაღწევის არავითარი ნიშანწყალი არ ჩანს.

პოლიტიკას რომ თავი დავანებოთ, ბატონი როსტომი დუმს იმ ვითარებაზე, რაც ჩვენს ჰუმანიტარულ მეცნიერებაში, ლიტერატურათმცოდნეობაში, სუფევს. როცა გაგანია ომის დროს ი. სტალინმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და ლიტერატურის ინსტიტუტი დააარსა, „დამოუკიდებელ“ საქართველოში ორივე გაპარტახდა. განა, ბატონი როსტომი ვერ ხედავს, ლიტერატურის ინსტიტუტში, რომლის თანამშრომელი თვითონაც ბრძანდება, მეცნიერული კვლევა-ძიება როგორაა ჩამკვდარი? ილიასა და აკაკის ამ ბოლო დროს გამოცემული ტომებით ახლა რომ ყელყელაობენ, ისინი ძირითადად და არსებითად სწორედ საბჭოთა პერიოდშია მომზადებული. ბატონი როსტომი ნუთუ ვერ ხედავს, ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი ქალბატონი ირმა რატიანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში რა უვიცია, ზოლო, რაც უფრო საგანგაშოა, როგორ იბრძვის ის სწორედ „თავგადაკლულად“ აკადემიზმის წინააღმდეგ და დასავლეთში არსებული ზოგიერთი ფორმალისტური ლიტერატურული თეორიის მიხედვით ქართული კლასიკური ლიტერატურის შესწავლისათვის?! მისი მიმბაძველი ჩვენი ნიჭიერი მკვლევარებიც კი რა კურიოზამდე მივიდნენ?! თავად ი. რატიანის საკვალიფიკაციო „ნაშრომი“, სადაც „ქრონოტოპისტური“ პოზიციებიდან განხილულია ილია ჭავჭავაძის მოთხრობები, რა უბადრუკი და არარაობაა?!


ნუთუ ბატონ როსტომს მისაღებად მიაჩნია ის, რომ თავისი

თანამშრომელი და მეგობარი ივანე ამირხანაშვილი ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელია, რომელსაც რუსთველოლოგიაში მხოლოდ და მხოლოდ ერთი პატარა წერილი აქვს გამოქვეყნებული და ისიც კურიოზებით სავსე!¹² მან მშენიერად იცის, რა ჩაიდინეს რევაზ სირაძემ, ელგუჯა ხინთიბიძემ, ნესტან სულაგამ ირმა რატიანის მეტაურობით, როგორ გამაძვეეს მე სამსახურიდან, ლიტერატურის ინსტიტუტიდან და მდევნიან, მაგრამ ეს სიმართლის მაძიებელი კაცი ამაზე ან ღუმს, ან თავისი ჟურნალის, „ჩვენი მწერლობის“, ფურცლებზე ზოგიერთ მათგანს აღმატებულად წარმოგვიდგენს!¹³



¹² ამ საკითხებზე იხ. ჩემი წიგნები: რუსთველოლოგიური გამოკვლევები, ტ. I, თბ., 2010, გვ. 389-549; ტ. II, თბ., 2014, გვ. 371-429; ფილოლოგიური ძიებანი, I, თბ., 2013, გვ. 150-198.

¹³ „ჩვენი მწერლობა“, 24 თებერვალი, 2012, № 4, გვ. 41-42; 2 ნოემბერი, 2012, გვ. 2-6. და სხვა.



გიორგი გომოლაშვილი

დავით კლდიაშვილი და ქართული ენა

„ვწერდი, როგორც იწერებოდა“...

პეტრე უმიკაშვილს „ქამუშაძის გაჭირვება“ წაუკითხავს. მოსწონებია; შეუქია ავტორი, თუმცა ცოტა საყვედურიც გაურევია — ენა დაუწუნებია დავით კლდიაშვილისათვის. დავითი ჩვეული თავმდაბლობით მადლობას უხდის უფროს მეგობარს — „მოხარული ვარ, რომ ჩემი საწყალი, გაჭირვებული ქამუშაძე შინაარსით მოგწონებია“ (სხვა თემაა, მაგრამ იმასაც მიაქციეთ ყურადღება, როგორი სიყვარულითა და თანაგრძნობით იხსენიებს ქამუშაძეს...) — და იმაშიც ეთანხმება ოპონენტს, ენა რომ დაუწუნა მწერალს: „ემდურით ენას და თქვენზედ უფრო მე ვარ უკმაყოფილო...“

ცოტა უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს: მწერალს ენას უწუნებენ; იგიც თავს დახრის და მადლიერებასაც გამოხატავს კრიტიკისათვის... ეს ამბავი მით უფრო საგულისხმოა, რომ ჩვენ სხვაგვარი მაგალითები გვაქვს: ენა დაუწუნეს ვაჟა-ფშაველას... დაუწუნა სახალხო პოეტმა, ვისიც უდიდესი პატივისცემა ჰქონდა თავად ვაჟას, მაგრამ ენის დაწუნება სხვა რამეა პოეტისათვის. გავიხსენოთ: როცა ვაჟას ენა დაუწუნა მისივე თაობის წარმომადგენელმა, პეტრე მირიანაშვილმა, აღშფოთდა პოეტი; საკმაოდ მკაცრი პასუხი გასცა კრიტიკოსს... აკაკი წერეთელს ასე ვერ გაუბედა. როცა აკაკიმ „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში“ (1898 წ.) უმცროსი კოლეგების, რაზიკაშვილების, ენა გააკრიტიკა, პირდაპირ ვერ უპასუხა ვაჟამ, მაგრამ გამოაქვეყნა დიდებული წერილი „ენა“. ეს პასუხი იყო — დელიკატური, აკადემიური... ეს იყო დიდოსტატური წარმოჩენა საკუთარი ენობრივი პოზიციისა. ხოლო, როცა „ენას გიწუნებ, ფშაველო“ —

უთხრეს (1913 წ.), ლექსს ლექსით უპასუხა. ცნობილი პოლემიკაა...

თავად დავით კლდიაშვილი მოიგონებს ვაჟას ნათქვამს: „ახირე-ბული ადამიანია ჩვენი აკაკი! დამიწერა, „ენას გიწუნებ, ფშაველო“. კაცო, ამ ჩემი ერთ მომწონს თავი, თორემ სხვა რა არის ჩემს ლექსებში და პოემებში! თუ ენაც დასაწუნია, მამ აღარაფერი ყოფილა და ბარემც ასე თქვი პირდაპირ და ის იქნება! უცნაური კბენა იცის ხოლმე! — ამას საოცარი გალისტკივილით ამბობდა დიდებული ვაჟა“ („იცის ხოლმე“ — იმას მიანიშნებს, რომ 15 წლის წინანდელი კრიტიკაც ახსოვს). ამ მოგონებაშიც და მის კომენტარშიც აშკარაა თანაგრძნობა თანამოკალმისადმი, „ენადაწუნებული“ პოეტიადმი... მაგრამ... როცა თავად დავითს დაუწუნეს ენა, დაეთანხმა... მეტიც, „შეამაგრა“ კრიტიკოსის აზრი: „მართალია, ენა ყოველთვის კოჭლობდა ჩემს ნაწერებშიო...“ ასეა მართლა? მართლა „კოჭლია“ დ. კლდიაშვილის ქართული?

პეტრე უმიკაშვილს, ქართულ კაცს, ცხადია, იმერიზმები სჭრის ყურს. დავითიც თუ ამას გულისხმობდა, არ იყო ძნელი გამოსასწორებელი ეს საქმე... მაგრამ ყველაფერი რჩება ძველებურად — ოტიაც იმერულად უქცევს და პლატონ სამანიშვილიც...

როგორ გავიგოთ, ჰქონდა სურვილი მწერალს „შეცდომების“ გამოსწორებისა და ვერ ახერხებდა? — ძნელი დასაჯერებელია. თუ გულდასმით წავიკითხავთ დავითის მემუარებს, იოლად დავრწმუნდებით ამაში. რა ხდება? არ სურს ენობრივი პოზიციის შეცვლა? მტკიცეა მისი პრინციპები? მამ, როგორ გავიგოთ, „ენა ყოველთვის კოჭლობდა ჩემს ნაწერებშიო...“ „თქვენზე უფრო მე ვარ უკმაყოფილო“?

ვითარება, ვფიქრობთ, სხვაა; ძალზე საინტერესო: მწერალი წერს, როგორც ეწერება. ამბობს კიდევაც — „ვწერდი, როგორც იწერებოდაო...“ ანუ, წერს ისე, როგორც მიაჩნია, რომ სწორია; სხვაგვარად არ შეიძლება დაიწეროს ის, რასაც წერს... მაგრამ კრიტიკოსებთან დავას თავს არიდებს — არ მიაჩნია თავის საქმედ. მე კი არ ვწერ, ასე „იწერებოდაო...“ ვისგან, რატომ და როგორ — ამ თემაზე თავს არიდებს საუბარს! ეს ხომ ის თემაა, ანა კალანდაძე რომ იტყვის: „სათქმელი ხშირად „თვითონ მოძებნის“ თავის გამოხატვის ფორმას, თვითონ გიკარნახებთ, რა ფორმით „სურს“ განსხეულება...“ ეს კი აუხსნელია: „ჯერ კიდევ ბევრი რჩება ამქვეყნად ამოუხსნელი, ამოუცნობი და, ამდენად, განუმარტავი“ (ანა კალანდაძე).

სწორედ ამ „ამოუხსნელის“, „ამოუცნობის“, „განუმარტავის“

ამოხსნას, ამოცნობას და განმარტებას არ ცდილა დავით კლდიაშვილი. სხვათა შორის, საინტერესოა ისიც, რომ ამ „ამოუხსნელის“, „ამოუცნობის“ და „განუმარტავის“ ამოხსნა, ამოცნობა და განმარტება სცადა ვაჟამ, როცა პაექრობა დაიწყო ოპონენტებთან და... სამწუხაროდ, ჩემი აზრით, აქ შეცდა ვაჟა...

ერთი ნიშანდობლივი ფრაგმენტი სერგო კლდიაშვილის მოგონებებიდან: სერგო „სოლომონ მორბელაძიდან“ იხსენებს პასაჟს: „...ერთი, ორი შემოპატიჟებით რაღა დარჩებოდა, შე ქალო!.. გადამთიელი ხომ არ არის, ჩვენებური ჩვეულება არ იცოდეს. შევეპატიჟე, ვალი მოვიხადე. ისე ხომ არ გაუშობდი“, და ეკითხება დავითს: მამა, ეს გაიგონე და ჩაიწერე, თუ?

— არც გამიგონია, არც ჩამიწერია.

— მშვენიერად არის გადმოცემული ჩვენებური შემოპატიჟების ბუნება.

— ვითომ?

— ძალიან კარგია.

— შეიძლება... სიმართლე გითხრა, მე ასეთებზე თავი არ მიტეხია. ვწერდი, როგორც იწერებოდა. კიბა აბაშიძემ თავის კრიტიკულ წერილში ეს წინადადებაც აღნიშნა. მე იმ წერილიდან გავიგე მხოლოდ, რომ ასეთი ფრაზა მქონდა“.

ღიახ, წერდა, „როგორც იწერებოდა“. მისი შინაგანი ბუნება ასეთია: კრიტიკას ეთანხმება, ქებას ეჭვის თვალთ უყურებს: „ვითომ?“... „ძალიან კარგი“... „შეიძლება!“...

„თქვენზე უფრო მე ვარ უკმაყოფილო“ — ეტყვის კრიტიკოსს... ეს პასუხისმგებლობაა, მოთხოვნილებაა საკუთარი თავისადმი: პრეტენზია... ღიახ, პრეტენზია საკუთარი თავისადმი, რათა „მოთხრობა იყოს უპრეტენზიო“. ესეც დავით კლდიაშვილისეული შეფასებაა თხზულებისა: „ყმაწვილი კაცის, ვინმე კალანდაძის მოთხრობა მიუტანეს გრიგოლ ვოლსკის. მოთხრობა იყო პატარა, მოკლე, დაწერილი პრეტენზიით...“ როგორც ჩანს, ასე სწამს მწერალს — მოთხოვნელობა, პრეტენზია საკუთარი თავისადმი არის აუცილებელი წინაპირობა იმისა, რომ მოთხრობა იყოს უპრეტენზიო...

„არ გაურუსდები!“

1880 წლის ზაფხულში დავით კლდიაშვილი პირველად შეხვდა აკაკი წერეთელს. დავითი მოსკოვში გასამგზავრებლად ემზადება: კივის სამხედრო გიმნაზია დაამთავრა პირველი ხარისხით და მოს-

კოვის სამხედრო სასწავლებელში გაიგზავნა სახელმწიფო ხარჯზე.

აკაკის გააცნეს ყმაწვილი კაცი. აკაკის ამბავი გამოუკითხავს. მკითხაო, „თუ სად ვსწავლობდი, სად მივდივარ და ამგვარები... მე ვუთხარი, — იგონებს დავითი, — რომ კიევში ვსწავლობდი და ახლა მოსკოვში მივდივარ სამხედრო სასწავლებელში.“

— გარუსების დასამთავრებლად?! — მხიარული სიცილით მითხრა აკაკი.

— არა, არ გავრუსდები! — მიუუკე.

— ვნახოთ, ვნახოთ! — ისევ სიცილით მითხრა მან...“

„არ გავრუსდები!“ — ეს არ იყო სიტუაციური პასუხი. ეს მისი დიდი ხნის დარდის ამოძახილი იყო; მისი რწმენა და იმედი...

გავიხსენოთ: 9 წლის ბავშვი ოჯახს მოწყვეტეს და კიევში გაგზავნეს სამხედრო გიმნაზიაში. 1872 წელი იყო. იმდროინდელი პოლიტიკა იყო ასეთი: ყოველწლიურად მთავრობა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან თავად-აზნაურთა 40-40 ბავშვს გზავნიდა რუსეთის სასწავლებლებში. „მიჰყავდათ ისინი იმ მიზნით, რომ გაერუსებინათ, — ამას დავითი იგონებს, — და კიდევაც მიზანს აღწევდა-ხოლმე, რადგან რუსეთში, სამშობლოს მოწყვეტილი ბავშვი იფიწყებდა ქართულ ენას, ზნეს და ბრუნდებოდა ქართული გვარით, მაგრამ ერთიანად, თავიდან-ფეხებამდე გარუსებული...“

იცოდა ეს აკაკი წერეთელმა და ამიტომ ჰკითხა, „გარუსების დასამთავრებლადო?“

იცოდა ეს დავით კლდიაშვილმაც და ამიტომაც იმეორებს ჯიუტად, „არ გავრუსდებიო...“

გავიხსენოთ: კიევში 8 წელი სწავლობდა. პირველი სამი წელი ისე გავიდა, სამშობლოში არ ჩამოსულა, მშობლები არ უნახავს... საოცრად კეთილი, სათნო, დიდბუნებოვანი დედის მონატრებაზე არც საუბრობს დავითი მემუარებში; არც იქაური მკაცრი რეჟიმი აღარდებს ძალიან: „ჩვენი მწუხარება სხვა რამ იყო. ეს იყო — ჩვენ ვატყობდით ჩვენ თავს, თუ როგორ გავიწყდებოდა მშობლიური ენა, გვიძნელდებოდა ქართული ლაპარაკი; ამით შეწუხებულნი, ამის ასაცილებლად მოვიყრიდით ხოლმე თავს ერთად და ხან ზღაპრების მოყოლით, ხან წაკითხვით ვვარჯიშობდით, მაგრამ დროს თავისი მიჰქონდა და ჩვენ უფრო და უფრო გვიძნელდებოდა მშობლიურ ენაზე ლაპარაკი. წლის ბოლოს თითქმის გადავიჩვიეთ ქართულ ლაპარაკს...“

სამი წლის შემდეგ ჩამოდის არდადეგებზე სამშობლოში და... დედას თარჯიმნით ელაპარაკება: „ქართული უკვე დავიწყებული მქონ-

და... და რადგან დედაჩემმა რუსული არ იცოდა და მე ქართული — ამიტომ წავიყვანე თარჯიმნად ჩემი თანატოლი ბიძაშვილი და წავედი სოფელში დედასთან...“

და იწყება თავდადებული ბრძოლა „გარუსების“ წინააღმდეგ. „ამ ზაფხულში გვარიანად გავიხსენე ენა და როცა გავბრუნდი გიმნაზიაში, თან წავიღე პატარ-პატარა წიგნები...“

გიმნაზიის პერიოდზე საუბრისას ეს თემა მთავარი დავითისათვის — როგორ ებრძვის პატარა ქართველი გარუსებას; როგორ ეწაფება ყოველივე ქართულს; როგორი მაღლიერებით იხსენებს ყველას — ნიკო ლომოურსა თუ გიორგი საძაგლიშვილს (შემდგომ კათალიკოსი კირიონი) და სხვებს — ვისი მეშვეობითაც იქმნის ქართულ გარემოს... „მეძნელებოდა კითხვა, მაგრამ ჩემს თავს ძალას ვატანდი და ისე ვერუოდი საკითხავსო“ — იტყვის მოკლედ... ძალს კიევური გიმნაზიური ცხოვრებაა, ძალს — დავითი და რვა წლის შემდეგ „იმ ორმოცდაორ ბავშვში, ერთად რომ წავიყვანეს, გიმნაზია მხოლოდ ექვსმა დავაძავერეთ. სამმა სრულიად ქართული აღარ იცოდა, ერთი ძლივს ახერხებდა და ლაპარაკი, რომ იტყვიან ჩიქორთული, ორს შეგვეძლო.“

აი, სწორედ ეს „ჩიქორთულად მოსაუბრე“ დავითი გააცნეს აკაკის... ეს განცდა („ჩიქორთულად“ მოსაუბრისა) გასდევს მის ბათუმურ ცხოვრებას და თითქოს დამნაშავეა დედაენის წინაშე (შეიძლება სწორედ ამიტომაც დახარა თავი პეტრე უმიკაშვილის საყვედურებზე)... იტყვის, „ჩემი ჩიქორთული ქართული მეტად მიჭირებდა საქმეს...“

დიდი მაღლიერებით იხსენებს ბათუმის პოლიცემისტერის, დურმიშხან ჟურულის, მეუღლეს — ქეთევანს. „ქეთევანმა პირველგაცნობისთანავე მისაყვედურა, რომ ქართული ძლივს მეხერხებოდა და დედისებური დარიგება მომცა, მშობლიური ენა შემესწავლა;“ ეხმარება ქეთევანი... მონაწილეობს თეატრალურ წარმოდგენაში; გიორგი ერისთავის „გაყრაში“ გაბრიელის როლი დააკისრეს, „ჩიქორთულის“ დასაძლევად, ენის გასატყნად ქეთევან ჟურული ცალკე რეპეტიციებს უნიშნავს დავითს. — „ჩამაჯენდა საგარძელში ქეთევანი და მათქმევინებდა როლს. ერთი ათჯერ, თხუთმეტჯერ უნდა გამემეორებინა ჩემი მონოლოგი; გაწვალებული ვიყავი ასეთი სწავლით, მაგრამ არანაკლები გაწვალებული იყო ჩემი მასწავლებელი, რომელიც შემომძახებდა ხანდახან მოთმინებადაკარგული: „არ შეიძლება ასე, ყმაწვილო, უნდა ისწავლო ქართული, ქართველი ხარ!“... ყოველივე

ამას დავითი სიბერის ჟამს დიდი მადლიერებით იგონებს... — „ძალიან მოწადინებული ვიყავი, მესწავლა ჩემი ენა, მეტად მწყდებოდა გული, მაგრამ წარმატებაში ნელის ნაბიჯით შევდიოდი...“

მერე გოგია დიაკვანი ათამაშეს დავით ერისთავის „სამშობლოში“... იტყვის — „ახლა წარმომიდგენია რა გოგია ვიქნებოდი ქართულის უხეირო მოლაპარაკე...“ — ეს დედაენის მიმართ დიდი პასუხისმგებლობის გამოვლენაა. არასოდეს გამოუხატავს თვითკამყოფილება... „არ გავრუსდები“ — პირობა მისცა დიდ აკაკის და „ვაჟკაცურად შეასრულა დანაპირები. გარუსდა კი არა და გამორჩეული ქართველი დარჩა“ (მაკა ჯოხაძე).

საინტერესო პარალელი: როცა „დედაენაზე“ და მისი პირველი გაკვეთილის — „ია, აი ია“ — შესახებ საუბრობდნენ, იაკობ გოგებაშვილი თავს დახრიდა და იტყოდა, „ეს უნდა მიეწეროს ქართული ენის ღირსებასა და არა ჩვენს ოსტატობასა“. ეს დიდბუნებოვანი ადამიანის განმარტებაა.

დიდბუნებოვანი ადამიანი იყო დავით კლდიაშვილიც. საინტერესო დაკვირვებას გეთავაზობს მაკა ჯოხაძე: „იმას, რომ არ გადარუსდა, დავით კლდიაშვილი იმდროინდელი კიევის უნივერსიტეტის სტუდენტებს — ნიკო ლომოურს, პოლიკარპე ჩხიკვიშვილსა და ფარმაცევტ კოწია ლორთქიფანიძეს მიაწერს.

იმას, რომ მუნდირში გადაცმულმა ოფიცერმა არ შეასრულა მეფის ბრძანება და, გიორგი ზდანევიჩის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამ გმირის გუნდს არცერთი ტყვია არ გაუსროლია...“ ამას ბედისწერას უმადლის დავით კლდიაშვილი... ბრწყინვალე მოთხრობის „სამანიშვილის დედინაცვალის“ გამარჯვებასაც კი თავის მეგობარს გადააბრალებს... პიესების ტრიუმფალურ ზეიმს ლადო მესხიშვილსა და მსახიობებს უმადლის“...

მართლაც დიდბუნებოვანი ადამიანი იყო დავით კლდიაშვილი!

ენა — პიროვნების მახასიათებელი

დავით კლდიაშვილს თავისი უფროსი თუ უმცროსი კოლეგებისაგან განსხვავებით ქართული ენის შესახებ ტრაქტატები არ დაუწერია; არცერთი კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილი და მაინც — დავით კლდიაშვილის დამოკიდებულების შესახებ დედაენისადმი ბევრი რამ შეიძლება ითქვას. ძირითადი წყარო მწერლის მემუარებია — „ჩემი ცხოვრების გზაზე“. მთელ წიგნს მემუარებისას ნათელ ხაზად გასდევს ეს დამოკიდებულება — ბავშვობიდან ცხოვრების ბო-

ლომდე.

დავით კლდიაშვილი არ ამახვილებს ყურადღებას პიროვნების გარეგნულ მხარეზე, გარეგნულ სიმშვენიერეზე. მისი აზრით, ადამიანის სილამაზე, სიმშვენიერე, მომზიბვლელობა მის ენაშია, მის საუბარში — როგორი მოქართულეა, როგორი მოსაუბრეა, როგორი ხმა აქვს...

ენა ალამაზებს ადამიანს. კიტა აბაშიძეზე წერს ერთგან: — „კიტა მეტად ლამაზი იყო მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში...“ სხვაგან: „ამ ადელევებულ საზოგადოებაში საოცარი ლამაზი იყო კიტა, მის მიერ ნათქვამი სიტყვით...“ როცა გვაცნობს პიროვნებას, როცა იწყებს საუბარს მასზე, უპირველესად სწორედ ამას მიაპყრობს ყურადღებას — ხმა, საუბარი, ენა...

რამდენიმე ამონარიდი:

გაბრიელ ეპისკოპოსი — ტკბილი მოუბარი;

აკაკი წერეთელი — განსხვავებული ტკბილი ხმით მოლაპარაკე; ლამაზი, შნოიანი, წარმოსადგეი პოეტი თავისი ტკბილი ხმით;

გრიგოლ ვოლსკი — ზედმიწევნით მცოდნე ქართული ენისა... სიტყვა ბასრი, ენამახვილი, იგი მშვენიერი რამ იყო რისხვის წუთებში... მან მშვენიერად იცოდა ქართული... სასიამოვნო მოსაუბრე იყო ყოველ შეკრებილობაში...

ნიკო ლომოური — ტკბილმა, ალერსიანმა ლაპარაკის კილომ, ლომოურის დამახასიათებელი თვისება რომ იყო... თავისი ტკბილი ხმით წაგვიკითხა...

ფანე ჯაფანიშვილი — თავისი ტკბილი ხმით იგი ამ დროს ყვებოდა სინას მთაზე მოგზაურობის ამბავს... სასიამოვნო იყო ჩვენი მასპინძლის ტკბილი ლაპარაკი...

ლადო მესხიშვილი — საოცარი ლამაზი, ტკბილი ხმა ჰქონდა...

ზოგჯერ თითქოს არც იყო აუცილებელი იმის აღნიშვნა, როგორი მოსაუბრე, როგორი მოქართულე იყო... მაგრამ არა, დავითისათვის ეს აუცილებელია; უფრო სწორად, პიროვნების დასახასიათებლად აუცილებელი, მისი აზრით.

ძალიან კრიტიკული იყო საკუთარი თავის მიმართ; „ჩემი ჩიქორთული ქართული მიჭირვებდა საქმეს“... „ლაპარაკი, რომ იტყვიან, ჩიქორთული, ორს შეგვეძლო...“ „ქართული ენის უხეირო მოლაპარაკე...“ თუ არ მოსწონდა ვინმეს საუბარი, ქართული, ამასაც ამბობდა. პიროვნულად უყვარდა ალექსანდრე ყაზბეგი, მაგრამ არ მოსწონდა მისი საუბარი: „ლაპარაკიც კი შნოიანი არ იცოდა...“ უბ-

ნებოდა თურმე: „სანდრო, თუ გიყვარდეს, შენებურად ჩუმი ვერ და ხმამაღლა ლაპარაკს თავი დაანებო...“ ვიღაცა რომ არ მოსწონდა, მისი „ლამაზი“ საუბარიც ცუდად ერეებოდა; შინაურ კაცზე ამბობს, შოშიელა კინჭრიაშვილზე — „კაცი ეშმაკი, გაიძვერა, მოქარგული ენით მოლაპარაკე“... „მოქარგული ენა“ — არაგულწრფელი, არამართალი ენაა...

არადა უხვია ეპითეტების დარიგებაში. ვთქვათ, მისი შეფასებით: **ქართული ენა** — საუცხოო, არაჩვეულებრივი ლამაზი, შნოიანი, საოცარი ლამაზი, მშვენივით საგსე, სიმშვენიერე ქართულისა, სიძლიერე ქართულისა, მშვენიერი ქართული...

ხმა — წკრიალა, მშვენიერი; განსხვავებული ხმა; ლამაზი, ტკბილი;

სიტყვა — ტკბილი, მშვენიერი, მოხერხებული, ჩუმი, მოკლე; ალერსიანი;

ენა — ხალისიანი, ტკბილი...

ლაპარაკი — შნოიანი, უხეირო, განსხვავებული, ლამაზი...

მოლაპარაკე — გატაცებით, უხეირო, განსხვავებული ტკბილი ხმით, რიხიანი ხმით, მშვენიერი, ტკბილი მოუბარი, სასიამოვნო მოსაუბრე, ნამდვილი მუსიკა, გასაოცარი მოქართულე, საოცარი სიტყვამოსწრებელი...

ეს არ არის ყოველივე... მაგრამ ფაქტია: ქართული ენისადმი, ქართული სიტყვისადმი, ქართული საუბრისადმი დავით კლდიაშვილის დამოკიდებულება განსაკუთრებულია... ამითაცაა დიდი დავით კლდიაშვილი.

ლექცია ქართულ ენაზე

ჩვენ ვთქვით, დავით კლდიაშვილს კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები არ დაუწერია ქართული ენის შესახებ-თქო, მაგრამ ის მონაკვეთი მემუარებისა, სადაც ქუთაისში გრიგოლ რობაქიძის გამოჩენაზეა საუბარი, აიწონის ათობით წერილს ზოგიერთებისას. სამხედრო სამსახურის შემდეგ დავითი ქუთაისში იწყებს მოღვაწეობას. 1908 წელია. ბათუმის ცოცხალი და საინტერესო ცხოვრების შემდეგ ქუთაისური ყოფა უფერულად ერეება. „დაიწყო უფერული ცხოვრებაო“, — დაიწვილებს და იქვე იწყებს ვრცელ მსჯელობას, თუ როგორ გამოაცოცხლა ქუთაისი გრიგოლ რობაქიძის გამოჩენამ: „ამ ხანებში იყო ქუთაისში პირველი გამოსვლები საჯარო ლექციე-

ბით რ. გ-ის“ (შეგნიშნავთ იმ გამოცემაში, რომლითაც ვსარგებლობ, ასე მიაწინებენ გ. რობაქიძეზე. — 1982 წ.). და იქვე გულისტკივილი: „დიდად ვწუხდით, რომ ლექტორი ერიდებოდა ქართულად გამოსვლას და ვნატრობდით მოვსწრებოდით ქართულ ენაზე წარმოთქმულ ლექციას...“ დავით კლდიაშვილისთვის ეს არ იყო უბრალო მოვლენა. მოუესმინოთ: „ბევრი ამართლებდა ლექტორს, ქართულად არ შეიძლება ამის ლექციების გადმოცემაო. ასე ეუცხოვებოდათ ამ ახლო წარსულშიაც ქართულად სიტყვის წარმოთქმა. საჯაროდ ქართულად მოლაპარაკე ათასში ერთი თუ გაბედავდა გამოსვლას; ჩვეულებად იყო ხოლმე ბოდიშის მოხდა — ქართული არ მეხერხებაო, ნება მიბოძეთ რუსულად ვთქვა ჩემი სათქმელიო!...“ აქ ალბათ ისიც გაგვახსენდება, ქართული უნივერსიტეტის მოწინააღმდეგეთა ერთი არგუმენტი სწორედ ის იყო, რომ ქართულ ენაზე საუნივერსიტეტო სწავლება ვერ აქნებოდა... ქართულ ენას ამის შესაძლებლობა არა აქვსო... სხვათა შორის, ცნობილი ნიკო მარიც ასე ფიქრობდა და იმპერიის ხელისუფლებას რეკომენდაციას აძლევდა, თბილისში რუსული უნივერსიტეტი გაეხსნათო.

როგორც ვხედავთ, დავითის გულისტკივილი არ იყო გამოწვეული მხოლოდ რუსულად წაკითხული ამ ლექციის გამო... ეს ქართული ენისადმი იმჟამინდელი დამოკიდებულებით გამოწვეული დარდი იყო... რა თემაზე წაიკითხა ლექტორმა რუსულად ლექციები, არც საუბრობს ამაზე დავითი... თურმე „რ.გ“-ს ლექციებს „ხალხი თბილისშიც და ქუთაისშიც აუარებელი ესწრებოდა. გული გვტკიოდა, რომ ამ ხალხს ქართველი ლექტორი ქართულ სიტყვას არ აგონებდა, ქართულ სიტყვას არიდებდა...“

და დავით კლდიაშვილის აქტიურობით ვარლამ ბურჯანაძე და გიორგი თუთბერიძე მიუგზავნეს ლექტორს. „შეუთვალეთ — ლექციები ქართულად ეკითხნა. მე მაშინ რ. გ-ს არ ვიცნობდი პირადად. მან შემოგვითვალა, რომ მალე ქართულად ვიწყებ ლექციებსო, და მოკლე ხანში აასრულა კიდევ თავისი დანაპირები“.

ლექციის შინაარსობრივ მხარეზე მოკლედ მიაწინებებს — „მახსოვს პირველი მისი საჯარო ქართულად წაკითხული ლექცია. ლექცია იყო ბარათაშვილზე...“ „განეთუბი დიდი ქებით იხსენიებენ ლექციის შინაარსს, ლექტორის ცოდნას...“ „ბარათაშვილის ლექციას მოყვა ლექცია ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელზე“, შემდეგ აკაკი-ზე...“ და აღტაცება **ლექციის ენით** არა მხოლოდ დავით კლდიაშვილისა, არამედ იმდროინდელი ქუთაისის საზოგადოებისა: „განე-

თებში დიდი ქებით იხსენიებდნენ ლექციის შინაარსს, ლექტორის **საუცხოო ქართულზე** — (ხაზი აქაც და შემდეგაც ჩვენია — გ. გ.) საზოგადოების აღტაცება თანდათან მატულობდა. **ლექტორის არაჩვეულებრივი ლამაზი ქართულის გამგონე** მსურველთა რიცხვი შესამჩნევად იზრდებოდა. უსმენდნენ ლექტორს სულგანაბულნი და თავის ყურებს არ უჯერებდნენ, თუ ასეთი შნოიანი ქართულით შესაძლებელი იყო ლექციების კითხვა. ლექტორის საოცარი ლამაზი ქართული უსაზომოდ ხიბლავდა და იტაცებდა მსმენელს...“

იმდროინდელ ცნობილ საზოგადო მოღვაწეზე, პავლე თუმანიშვილზე, საუბრობს: „მოხუცი კაცი პირდაპირ აფრენილი იყო სიხარულით. — აი, ჩვენი ლამაზი ქართული, ლამაზი ქართული, რომელსაც ვივიწყებთ და ფასს არ ვსდებთ. — გატაცებით ამბობდა მოხუცი“... და იქვე დაასკვნის მწერალი: „ასეთ აღტაცებას განიცდიდა მთელი საზოგადოება“. კიდევ ერთი იმდროინდელი ცნობილი საზოგადო მოღვაწის, კოტე ბაქრაძის, აზრს გაგვაცნობს დავითი: „— სად ისწავლა ამ ოჯახდაქცეულმა ასეთი ქართული?! — გაიძახოდა აღტაცებული კოტე ბაქრაძე, ქუთაისში ცნობილი საზოგადო მოღვაწე. — გზიბლავს კაცს ამ შეჩვენებულის ენა. ვიძახით, არ მეხერხება ქართულიო! უხეირო რო იქნები, ვერაფერს ვერ მოახერხებ“... „არ ვიცნობთ არც ჩვენს ლიტერატურას, არც ენას, არც ჩვენ თავს! გადაგვარებაზე ვართ მისული, ჩვენი თავის აღარაფერი გვჯერა! ამისთანა ახალგაზრდები თუ მოძრაულდნენ, ეგებ გამოცოცხლდეს!“

ცხადია, რასაც სხვას ათქმევინებს, ეს დავით კლდიაშვილის სათქმელია. ეს საზოგადო აზრიაო, გვარწმუნებს... და ამას მოსდევს ქართული ენის უდიდესი ჭირისუფლის დასკვნა: „თამამად ვამბობ, რომ რ.გ.-მ გამოაცოცხლა მაშინდელი ქართველობა; თავისი საჯარო ლექციებით ნათლად დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ **ქართული ენა შვენივით სავსეა, რომ მისით მშვენიერად გამოითქმება ადამიანის ყოველნაირი სულისკვეთება, გამოიხატება მისი აზროვნება**. ლექტორმა დაანახა ქართულ საზოგადოებას, გადაგვარების გზაზე შემდგარს, **ქართულის სიმშვენიერე, სიძლიერე**, — დაანახა და გაიტაცა. მან დიდად დაავალა ქართველი საზოგადოება, მას ვერ დაუვიწყებს ქართველობა ამ დიდ ნამოღვაწეს...“ ამ სიტყვებს დავით კლდიაშვილი 1925 წელს წერს. ამიტომაც ამბობს: „დღეს ეს ზღაპრად გვეჩვენება, ასე კი იყო; დღეს ზღაპრად გვეჩვენება, როცა ჩვენ გვაქვს მშვენიერი უნივერსიტეტი, სამაგალითო მეცნიერ-მუშაკებით სავსე; გუშინ კი — გვეცინებოდა, როცა ივანე ჯავახიშვილი სიტყვას

ჩამოგვიგდებდა ქართულ უნივერსიტეტზე“... და სხვა...

სხვათა შორის, ასეთივე დიდი მნიშვნელობის ფაქტად მიაჩნია დავით კლდიაშვილს ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტის გახსნა. მართალია, „საზოგადოდ ეძნელებოდათ საჯაროდ ქართული ენით გამოსვლა, — სხვადასხვა საგნების კითხვა ხომ უარესი საძნელო გასაბედავი უნდა ყოფილიყო. ასედაც იყო, მაგრამ გარსევანიშვილმა არ მოუსვენა ლექტორებად განზრახულ მოსაწვევ პირებს, ალი აღანთო მათში გაჩაღებული ცეცხლის და... შესაძლებელი გახდა ქუთაისში გახსნილიყო სახალხო უნივერსიტეტი“... როგორც წერს, „ლექტორებიც მშვენიერი ლექტორები გამოდგნენ, მშვენიერი ქართულით მოლაპარაკენი, ქართულის კარგად მცოდნენი...“

რა თქმა უნდა, საგნის ცოდნასაც ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ დავითისათვის მთავარი ქართულის ცოდნა იყო... არც ის არის შემთხვევითი, ქუთაისში ვაჟა-ფშაველას სტუმრობას რომ აღწერს და განსაკუთრებულ ყურადღებას ვაჟას გულისწყვეტაზე რომ ამახვილებს აკაკის კრიტიკის გამო (ეს ამონარიდი ზემოთ მოვიყვანეთ). დავით კლდიაშვილისთვის ქართული უმთავრესია. არ მეგულება მეორე მწერალი, ასე რომ ეფერებოდეს, ასე რომ უყვარდეს და ასე ბოდიშებით ესაუბრებოდეს ქართულ ენას...

ეს დავით კლდიაშვილია...

ესეც ვთქვათ: ქუთაისში რომ ქართული ენა ასე გაცოცხლდა, დავით კლდიაშვილი ამას ერთი რიგითი ქართველის პოზიციიდან აგვიწერს, არადა ამაში განუსაზღვრელია მისი დამსახურება. მაკა ჯონაძეს მოუხსმინოთ: „როგორ შეუწოთ და როგორ გააფიცხა გრიგოლ რობაქიძის ისედაც ფიცხი წარმოსახვა დავით კლდიაშვილმა. როგორ შეათბო და შემოაბრუნა ქართული სიტყვისაკენ ზურგმექცეული არისტოკრატია ერთბაშად...“

რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ, რომელი ერთი უნდა გავუხსენო ამ მომცრო ტანის ღირსეულ მოხუცს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ფარად რომ ედგა თავისი ქვეყნის ღირსებას და მის დასაცავად დუელიც კი ჯილდოსავით გამოსტყუა გადამთიელს“...

დიდებული შეფასებაა!

„შემოწკაპილი“ სახელ-გვარები

ერთხელ, რამდენიმე წლის წინათ, უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების პერიოდში, საუბარი „სამანიშვილის დედინაცვალზე“

ჩამოვარდა. ერთმა ცნობილმა მწერალმა ღიმილით თქვა, ეს მოთხრობა სიმამრმა, პავლე მაჭავარიანმა, სიტყვასიტყვით უამბო დავითს... ვინმე რომ მიაბობდეს, მეც დავწერდი ასეთ მოთხრობასო...

ეს ამბავი გამახსენდა მოგვიანებით, როცა „სამანიშვილის დედინაცვლის“ პირველი ვარიანტი ვნახე ლიტერატურის მუზეუმში. ბოლო ვარიანტთან ისეთივე სხვაობაა, როგორც ცასა და დედამიწას შორის. ვარიანტს სათაურად აქვს „ძილი მოსვენება“. სერგო კლდიაშვილის მინაწერი აქვს: „სამანიშვილის დედინაცვალი“-ს პირველი ვარიანტი ვიპოვე სიმონეთში დედაჩემის არქივში. ს.კ.“ ვინც ამ ვარიანტს ნახავს, მიხვდება, თუ როგორ მუშაობდა დავით კლდიაშვილი მოთხრობაზე. აიგებოდა ჩონჩხი, მოინიშნებოდა ძირითადი ხაზი და, როგორც ჩანს, მერე იწყებოდა მძიმე მუშაობა ტექსტზე...

პავლე მაჭავარიანის დამსახურებაზე თავად დავითი მიანიშნებს მემუარებში: „კვანძი, ძარღვი მოთხრობის მოცემულია იმ საუბრებით, რომელიც მქონდა ხოლმე ჩემს სიმამრთან — პავლე მაჭავარიანთან“. მეტყობადა პავლე — „ვერა ხარ კარგი კაცი. ამ მოთხრობაზე უნდა მიგწერა: „მოთხრობა დავით კლდიაშვილის და პავლე მაჭავარიანის... — ხუმრობით მეუბნებოდა მოთხრობით ნასიამოვნები მოხუცი.“

ტექსტოლოგი, ენათმეცნიერი, ლიტერატურისმცოდნე ბევრ საინტერესოს იპოვის, თუ ხელნაწერთა ვარიანტებს შეაჯერებს. არადა, 2-3 ვარიანტია შემორჩენილი ზოგი ნაწარმოებისა. ჩვენ რამდენიმე შენიშვნას გავაკეთებთ „სამანიშვილის დედინაცვლის“ მიხედვით.

უპირველესად ისაა საინტერესო, რომ დავითი წერდა ფურცლის ერთ (მარჯვენა ან მარცხენა) ნახევარზე. მეორე ნახევარი სუფთა იყო — შენიშვნებისათვის, ჩასწორებებისათვის, ვარიანტებისათვის. ზოგჯერ ძირითადი მხარე მთლიანად გადახაზულია და სათადარიგო — შევსებული. ჩასწორებები ძირითადად ტექსტობრივი ხასიათისაა; ამ ვარიანტში ენობრივი დაზუსტებები, ჩასწორებები იშვიათია. ეს ის ვარიანტია, დავითი რომ იტყვის, „გადმოვიღე ქალაღი და გატაცებით ვიწყე წერა, წერა გაცხარებული. ეს მუშაობა კი არ იყო, იყო უმაღლესი სიამოვნება. ამგვარივე გატაცებით ნაწერია „სამანიშვილის დედინაცვალი“.

ამ ვარიანტში ხშირია ისეთი ენობრივი ფორმებიც, რომელსაც ძირითად ვარიანტში ვერ შევხვდებით. მაგალითად: „ამ სიტყვებთან მეღანო გვეიდა სამხარეულოში. არჩილმა კი გეიხადა ჩონხა, შეიხსნა ახალუხის ღილები, გეიხადა თავისი წულები და დაღლილ-დაქანცუ-

ლი მიწვა იქვე, სადაც ამას წინად მის ცოლს ეძინა“. ამ ნაწყვეტში რამდენიმე ფორმაა (გვეიდა, გეიხადა, წინად და სხვა სტილისტური ლაფსუსი), რაც არ გვხვდება კლდიაშვილის მოთხრობებში, ავტორისეულ რემარკებში. სხვაც შეიძლება თქმულიყო ამ ხელნაწერზე, თუმცა ეს სათქმელი ტექსტოლოგებს მივანდოთ.

ერთს ვიტყვი. ამ ვარიანტის სათაურია „ძილი მოსვენება“. ამ ვარიანტში ძირითადი პლატონის სიზმარია; ეს ის ვარიანტი ჩანს, დავითი რომ წერს მემუარებში: „მოამბე“-ს რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია წერილს წერილზე მიგზავნიდა, ჟურნალისთვის უსათუოდ რამე გამომიგზავნეო. იმხანად მქონდა პატარა ნაწყვეტი, რაც „სამანიშვილის დედინაცვალშია“ — პლატონის სიზმარი... ამის გაგზავნას ვაპირებდი და კონდრატი მხეიძემ არ გამაგზავნინა, „შენ ისეთ რამეს ყვები, რომ თუ არ აჩქარდები, მშვენიერი მოთხრობა იქნებაო“... ჰოდა ამ ვარიანტს ჰქვია „ძილი მოსვენება“. ერთი ასეთი რეპლიკაა ვარიანტში: „ძილშიც კი მოსვენება აღარ გაქვთო“, — მამა ეუბნება პლატონს სიზმრის შემდეგ. მერე შეიცვალა სათაური — სხვა რამ გახდა მთავარი.

აქ ერთ ძალიან საინტერესო ფაქტს მინდა მივაპყრო მკითხველის ყურადღება — პერსონაჟთა სახელ-გვარებს. დავით კლდიაშვილთან არა გვაქვს ე. წ. მეტყველი სახელ-გვარები, როგორც ე. ნინოშვილთან (მუნჯაძე, უიშვილი, ძალაძე, დროიძე...) ან გ. წერეთელთან (ფულაუა, წარბა, ჯიბიაშვილი...). თითქოს ჩვეულებრივი, იმერეთში გავრცელებული სახელ-გვარებია: პლატონი, კირილე, არისტო, ჯიმშერი... მეღანო, დარიკო, ელენე... თითქოს სახასიათო სახელია ბეკინა, მაგრამ არც მთლად „მეტყველი“. გვარებიც თითქოს ჩვეულებრივია: სამანიშვილი, მიმინოშვილი, სალობერიძე, ბრეგაძე... ასე რომ, პერსონაჟისათვის სახელ-გვარის შერჩევას თითქოს რაიმე პრინციპული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ არ ჩანს ასე:

პირველ ვარიანტში ბეკინას ბეჟანი ჰქვია, პლატონს — არჩილი, დარიკოს — ქრისტინა, კირილეს ნაცვლად ლევანია გამოყვანილი (მაზლი დარიკოსი)... სამანიშვილები სანებლიძეები არიან. არადა, თითქოს ორივე გვარი ჩვეულებრივი იმერული გვარია... ჩვეულებრივი სახელებია პლატონი და არჩილი, დარიკო და ქრისტინა, კირილე და ლევანი... თითქოს რაღაც სახასიათო სახელია ბეკინა, თუმცა მაინც გაუმჭვირვალეა (არადა, ბეკინას პროტოტიპს კიმოთე რქმევია — სერგო იგონებს).

საინტერესო მოგონებას გვთავაზობს სერგო კლდიაშვილი. „საი-

დან წარმოდგა გვარი „მორბელაძე“: — სოფელში ჩავედი დედაჩემის სანახავად, — მიაშობს მამა. — ოთახში ვზიარ! მესმის დედა აივნიდან ვილაყვას ელაპარაკება. მეც გავედი. ეზოში, აივნის წინ, შუა ხნის მამაკაცს ვხედავ. ცხენზე ორი მორჩილა ტომარა შემოუკრავს და თითონაც ჯდება. — ვინ იყო? ვკითხე დედას, როცა უცნობი წავიდა. სიმინდი ითხოვა, შვილო, მორბელაძეა დაბლა კუთხიდან... მოთხრობა მოფიქრებული მქონდა, ოღონდ გვარი ვერ მოვნახე და ეს მაწვალდება. წერას მიშლიდა. ეს გვარი მეოცა რატომღაც, „მორბელაძე“ შევცვალე „მორბელაძე“, გვარმა სახელიც მოათრია და ამის შემდეგ მოთხრობაც აღვიღად დაიწერა. მუშაობა კი არა, უდიდესი სიამოვნება იყო!“

ცვლილება თითქოს ფონეტიკური ხასიათისაა, კეთილზმონების პრინციპით ნაკარნახევი... თუ რაიმე ასოციაციაა სემანტიკური? „მორბელაძე“ ვითომ სირბილთან ასოცირდება? „სოლომანი“ რატომ „მოათრია“ მორბელაძემ? რა აქვს ამ სახელ-გვარს ისეთი, ამ პერსონაჟს ასე რომ შეესაბამება? — ძნელი კითხვაა.

როგორც ეტყობა, ასე ექნებოდა ნაფიქრი ბეჟან და არჩილ სანებლიძეებზეც, როცა პატარა ესკიზს — პლატონის სიზმარს — წერდა. მერე, როცა გეგმა შეაცვლევინეს და მოზრდილი მოთხრობა დაიწერა, ვითომ მაშინ გახდა აუცილებელი პერსონაჟთა სახელ-გვარის შეცვლა? ძნელი სათქმელია. მოთხრობა „წრფელი გულის“ პერსონაჟი ბაბო პირველ ვარიანტში **სარალიძე** იყო, საბოლოოში **გარაყანიძე** შეცვალა.

სახელ-გვარის ბუნება-ხასიათთან შესაბამისობის საკითხი როგორ დგას დავითთან? როგორც იტყვიან აზნაურები, სახელ-გვარი ტიპს შემოწკპილი უნდა ჰქონდეს, კარგად მორგებული. ტიპს საკუთარი სახელ-გვარი უნდა ჰქონდეს, ნათხოვარივით არ უნდა ჩანდეს.

კიდევ ერთი საინტერესო მოგონება სერგო კლდიაშვილისა:

„— ლა ლა ლა ლა!...“

დავითი რაღაც ჰანგს იხსენებს.

— რა მშვენიერებაა! ზომ გახსოვს ეს ადგილი კარმენიდან?

თურმე კარმენიდან მღერის. სმენა კარგი მაქვს, მაგრამ დავითის ნამღერიდან ვერ მივხვდი, რა ადგილია. ყოველ შემთხვევაში „კარმენი“ აქ არ იმის. რა ვუყვით მერე! მთავარია ის, რომ თვითონ გესმოდეს ჰანგი, შენში მღეროდეს ის.

უცებ დავითის ღრმა ამოხვრა მესმის.

— საბრალო ბიზე! ჩემო ბიზე! ასეთ დიდებულ კაცს თავი მოაკ-

ვლევინეს. ყრუ იყო ხალხი თუ? ლა ლა ლა ლა... რა მშვენიერია“...

თურმე დავითი ოპერით დიდად ყოფილა გატაცებული. „ეს აღტაცება ოპერით, საერთოდ მუსიკით, ბოლომდე შერჩა“... ანდა: „დავითს შეუძლია მთელი დღე მუსიკას უსმინოს. დახუჭავს თვალებს და უსმენს“...

ზევით ვსაუბრობდით, პიროვნების ხმის ტონალობა, ტემბრი მთავარი პიროვნული მახასიათებელიაო მისთვის... ლაპარაკი კი არა, მუსიკა იყო... როგორც ჩანს, მას ესმის ის „მუსიკა“, სახელ-გვარიდან რომ „ისმის“... სწორედ ის მიესადაგება, როგორც ჩანს, პერსონაჟის ბუნება-ხასიათს... მარტივად სახელ-გვარის შერჩევა არ ხდება. ისე ამ თვალსაზრისითაც დავითის ხელნაწერებისა და, საერთოდ, ნაწარმოებების შესწავლა საინტერესო მასალას გამოვლენს. ალბათ ასეთი კითხვაც უნდა დაისვას და შეძლებისდაგვარად ვინმემ უპასუხოს (დაკვირვებაა საჭირო): თუ არიან სენია პერსონაჟები და მათს ბუნება-ხასიათში თუა რაიმე საერთო...

დასკვნა?

შეკვლევთ კი ამოიხსნას? — მეეჭვება... ეს იცის მხოლოდ მწერალმა... და შეიძლება არც მან...

ხულიო კორტასარს უთქვამს: „ჩემში დაბადების დღიდან ცოცხლობს მუსიკა და გამუდმებით ეძებს გამოსავალს“... როგორც ჩანს, მწერლისთვის გამოსავალი ესაა: მოძებნოს მისთვის და, საერთოდ, მუსიკალურად ჟღერადი სახელ-გვარი, ფრაზა, სიტყვა... დავითს რომ ეს რაღაც შინაგანი მუსიკა (თავისი მუსიკა...) უკარნახებს თუნდაც ფრაზის აგებას, ამას ქვემოთაც ვნახავთ...

ლაპარაკობს კლდიაშვილის პერსონაჟი

ჩვენ ამ მონაკვეთში გვინდა ვისაუბროთ დიალექტიზმების თაობაზე დავით კლდიაშვილის პროზაში. საანალიზოდ „სამანიშვილის დედინაცვალს“ ავიღებთ.

როცა დავით კლდიაშვილის ენაზე საუბრობენ, უპირველესად მიანიშნებენ იმაზე, რომ მწერალი იმერიზმებს გამოიყენებს ხშირად, „არაზომიერად“. რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან სამეცნიერო ლიტერატურიდან: „ქამუშაძის გაჭირვება“ და „სამანიშვილის დედინაცვალი“ მდიდარია იმერიზმებით, რომელიც უმეტესად ფონეტიკურ-ლექსიკური ხასიათისაა. გვხვდება ასიმბლაცია-დისიმბლაცია-ის, რელუქცია-მეტათეზისის და სხვა ფონეტიკური მოვლენები“ (რ.

შამელაშვილი). საერთოდ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ხშირია მწერლის ენის ანალიზის დროს ფონეტიკურ თუ გრამატიკულ მოვლენებზე ყურადღების გამახვილება. მეტიც, გარკვეული შაბლონი იყო შემუშავებული და ამ შაბლონში ხდებოდა კონკრეტული მაგალითების ჩასმა:

„აკაკის ენაში გვხვდება იმერული კილოსათვის დამახასიათებელი ასიმილაციის, დისიმილაციის, მეტათეზისის, ბგერათა განვითარების, დაკარგვის, შენაცვლებისა და შერწყმის შემთხვევები“ (ქ. ძოწენიძე)... და ამას მოსდევს შესაბამისი მაგალითები.

„ვასილ ბარნოვის ენაში შეიმჩნევა ისეთივე ფონეტიკური პროცესები, როგორც დამახასიათებელია დიალექტებისათვის. ივარაუდება, რომ ისინი შემოსულია კილოებიდან“ (ე. კოშორიძე)... და სათანადო მაგალითები...

ასევე განიხილება ს. მგალობლიშვილის, დ. ჭონქაძის, რ. ერისთავის, ნ. ლომოურის, ბ. გაბაშვილის, ილია ჭავჭავაძისა თუ სხვათა ენა. განსაკუთრებით ხშირად დავით კლდიაშვილს ეგნატე ნინოშვილთან აწყვილებენ: „ე. ნინოშვილი გურულ დიალექტურ ფორმებს იყენებს ძირითადად პერსონაჟთა მეტყველებაში, ე. ი. იმგვარად და იმ მოცულობით, როგორც ეს ადრე ჰქონდა გ. ერისთავს და ზ. ანტონოვს, ხოლო ლიტერატურაში დაამკვიდრა ილია ჭავჭავაძემ და განაგრძეს ე. ნინოშვილის თანამედროვეებმა — ა. ყაზბეგმა, ს. მგალობლიშვილმა, დ. კლდიაშვილმა და სხვებმა“ (ქ. ძოწენიძე).

„იმგვარად“ და „იმ მოცულობით“ ცოტა უცნაური შეფასებაა... საერთოდ, თუ ამგვარ მსჯელობებს გადავხედავთ, ამ თვალსაზრისით შეიძლება რაიმე განსხვავებაზე ვისაუბროთ? თუ იმას არ ჩავთვლით განსხვავებად, რომ ზოგი ერთ დიალექტს მიმართავს და ზოგი — მეორეს. ილია, აკაკი, ვაჟა, რ. ერისთავი, დ. კლდიაშვილი, ე. ნინოშვილი, ა. ყაზბეგი, ნ. ლომოური, ვ. ბარნოვი, დ. ჭონქაძე, ს. მგალობლიშვილი და სხვები — ერთი და იმავე კრიტერიუმებით და ერთნაირად ფასდება.

და საერთოდ, თუ რა სახის დიალექტიზმს გამოიყენებს (ასიმილაციას, დისიმილაციას, მეტათეზისს თუ სხვას) ამას რა მნიშვნელობა აქვს მწერლის ენის ანალიზისას? ყველა ეს არის დიალექტიზმი და როცა მწერლის ენაზე ვსაუბრობთ, ასეც უნდა შეფასდეს და თუ შევძლებთ, იმაზეც უნდა ვისაუბროთ, რა ფუნქციური დატვირთვა აქვს ამ დიალექტიზმებს კონკრეტულ მწერალთან. ცალკეულ ფონეტიკურ თუ გრამატიკულ მოვლენებზე შეიძლება საუბარი, თუ

მიზანი დიალექტის შესწავლაა.

აქ კიდევ ერთი საკითხია, საუბრობენ ბარბაროზებზე: დავით კლდიაშვილთან „თუ დიალექტიზმები იმერული აზნაურების ხასიათების გამოსაძერწად არის გამოყენებული, ამას ვერ ვიტყვით ბარბაროზების შესახებ, რაც აქა-იქ ჩნდება“... მკვლევარი გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როგორცაა — „ამას რაფა ვაპატიებ მაგ სტაქანს“... და სხვა. ასეთი შემთხვევები, რომლებიც მხოლოდ პერსონაჟის მეტყველებაში გვხვდება (სტაქანი, ბალკონი, სტოლი...) მწერლის ენის ანალიზისას დიალექტიზმად უნდა იქნეს განხილული; ბარბაროზში დიალექტის დონეზეა.

ასევე, წარუმატებელი მგონია ამგვარი შედარებებიც: „დიალექტიზმების გამოყენებაში დ. კლდიაშვილი ისე ზომიერი ვერ არის, როგორც, მაგალითად, ილია ჭავჭავაძე... მწერალი არ ერიდება მეტი ექსპრესიულობის მისაღწევად კოლორიტის შესაქმნელად იმერიზმების უხვად ხმარებას“ (ი. ქავთარაძე)...

როცა ილია ჭავჭავაძეზე ვსაუბრობთ, დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით სხვადასხვა ვითარებაა, ერთი მხრივ, მოთხრობებში „გლახის ნაამბობი“ და „სარჩობელაზედ“, მეორე მხრივ, „კაცია-ადამიანში“ და, მესამე მხრივ, „მგზავრის წერილებში“. პირველ შემთხვევაში არ ხდება დიალექტიზმების მიზნობრივი გამოყენება; ვამბობთ მიზნობრივი-თქო, რადგანაც -დამ თანდებულის გამოყენება და მსგავსი შემთხვევები (სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშნები თუ სხვა) „ნორმაა“ ილიასათვის, ლიტერატურული ფორმაა მისთვის. მიზნობრივ გამოყენებაზე უნდა ვისაუბროთ ისეთ შემთხვევებში, როგორცაა, ვთქვათ, „კაცია-ადამიანში“: „ვშობამ, შენ ნუ მამიკვდები, ვშობამ!“... და სხვა.

ეს მეორე შემთხვევაა, როცა მწერლის მიერ დიალექტიზმების გამოყენება ლუარსაბის „განათლებულობაზე“, „შეგნებულობაზე“ აქცენტის გაკეთებაა.

მესამე შემთხვევაში საგანგებო მდგომარეობაა ლელთ-ლუნის ეპიზოდში: პერსონაჟი მხოლოდ დიალექტზე მეტყველებს. ესეც, ცხადია, მიზნობრივი გამოყენებაა დიალექტისა. მწერალი მიგვანიშნებს, რომ ეს ის კაცია, რომელიც ხევს არ გაშორებია, წიგნი არ უნახავს, განათლება არ მიუღია, მაგრამ თავისი შეგნების დონით, მსჯელობის ლოგიკით, ცხოვრებისეული სიბრძნით ათი თავით მაღლა დგას, ვიდრე „განათლებული“ რუსის ოფიცერი. ესაა ეროვნული უბედურება, რომ ეს მოხვევ იმ რუსისგან იჩაგრებაო. ამ ეფექტს, ერ-

თი მხრივ, დიალექტიზმების მეშვეობით აღწევს.

სად იყო „ზომიერი“ ილია და სად არა? — ცხადია, ზომიერია ყველა შემთხვევაში, გააჩნია მიზანდასახულობას.

პრინციპულად მიუღებლად მიგვაჩნია ვენატე ნინოშვილისა და დავით კლდიაშვილის გვერდიგვერდ დაყენება, დიალექტიზმების გამოყენებაზე როცა ვსაუბრობთ. მასალის ანალიზი საკითხს სხვაგვარად წარმოაჩენს.

საანალიზოდ ავიღე ერთი და იმავე მოცულობის (19 სტრიქონი პერსონაჟთა მეტყველებიდან) ტექსტი ე. ნინოშვილის მოთხრობიდან „პარტახი“ და „სამანიშვილის დედინაცვლიდან“. ე. ნინოშვილთან დადასტურდა 39 დიალექტიზმი; დ. კლდიაშვილთან — 6. ე. ნინოშვილთან დიალექტური ფორმა წარმოდგენილია თითქმის ყველა შესაძლო შემთხვევაში; ანუ: პერსონაჟი საუბრობს „წმინდა“ გურული დიალექტით; დავით კლდიაშვილთან — არა. მოსალოდნელ (ე. ი. ფორმა, რომელიც შეიძლება დიალექტური ვარიანტით წარმოდგენილიყო) და რეალიზებულ დიალექტურ ფორმათა პროცენტული შეფარდება ასეთია: ნინოშვილთან რეალიზებულია თითქმის 100%; კლდიაშვილთან — 18%. აშკარაა, რომ ამ ორ მწერალს სრულიად განსხვავებული ენობრივი პოზიცია უჭირავს დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით. ცხადია, ის კითხვაც დაისმება, თუ რა ფორმები არის რეალიზებული დავით კლდიაშვილთან (ანუ: რა სახის დიალექტიზმები გვხვდება) და რა შემთხვევაში.

ძალზე საინტერესოა დავით კლდიაშვილის პროზა პოეტიკური თვალსაზრისით. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სწორედ მწერლის მუსიკალური ალღო, მაღალი ბგერწერული ხელოვნება. ეს მხარე კლდიაშვილის შემოქმედებისა შეუსწავლელია. რამდენიმე მაგალითს მოვიყვან საილუსტრაციოდ. ისეთი სიტყვები, როგორიცაა **თორემ**, **მაგრამ**, **როგორ** გვხვდება დიალექტური ნაირსახეობითაც: **თვარა**, **მარა**, **რაჟა**. დავით კლდიაშვილთან ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულის ორივე ვარიანტი გვხვდება: თორემ / თვარა, მაგრამ / მარა, როგორ / რაჟა. მწერლისთვის ეს არის ორი შესაძლო ვარიანტი და პერსონაჟთა მეტყველებაში გამოიყენებს ორივეს, იმისდა მიხედვით, თუ კონკრეტულ სიტუაციაში, კონკრეტულ წინადადებაში, რომელი მათგანი უფრო „ჩაჯდება“, „მოერგება“:

„ასე ქენი მარა, საქმეს შორს ნუ გადადებ, თვარა“... დიალექ-

ტური ფორმების შემოტანა ფრაზას მეტ რიტმულობას, დინამიკას ანიჭებს. შევადაროთ, ასეთი ვარიანტი რომ ყოფილიყო: „ასე ქენი მაგრამ, საქმეს შორს ნუ გადადებ, თორემ“... აქ თითქოს იმერლისათვის დამახასიათებელი საუბრის ტემპი დაეცა, თითქოს დისონანსი შემოიტანა **მაგრამ** და **თორემ** სიტყვებმა.

ზევით ერთი ფრაგმენტი მოვიყვანეთ ხულიო კორტასარის ნათქვამიდან. უფრო ვრცლად: „ჩემში დაბადების დღიდან ცოცხლობს მუსიკა და გამუღმებით ეძებს გამოსაგალს. ჩემს შემოქმედებაზე იგი უმთავრესად რიტმის მეშვეობით ახდენს ზეგავლენას... ვცდილობ, ჩემი ნაწერები ავაგო მუსიკალურ ნაწარმოებთა კანონით: ყველა ბგერის ურთიერთკავშირი, მათი განუწყვეტლობა, სწრაფი განვითარება, კულმინაცია და გაწყვეტა“...

როცა ამას ვკითხულობ, ისეთი განცდა მიჩნდება, თითქოს დავით კლდიაშვილის აზრს ვეცნობოდე. ყველა ბგერის ურთიერთკავშირი, მათი განუწყვეტლობაო, როცა ამბობს მწერალი, ალბათ ასეთ მაგალითებს გულისხმობს, ზემოთ რომ მოვიყვანეთ, ანდა შემდგომ: ყურადღება მიაქციეთ თანხმოვანთა ალიტერაციასა და ხმოვანთა ასონანსს:

რაჟა არა, მარა (შდრ.: როგორ არა, მაგრამ...)

გაუიწყდება თვარა, შვილი რაჟა არ ყავდა...

თვარა ჩემით რაჟა წვეიდოდი...

რა არი ყმაწვილო, რანაირი საქციელია...

ასე ვთქვათ, საქრესტომათიო მაგალითებია ა ხმოვნის ასონანსისა: აბა, მამიდაჩემ სალომესთან გაეწიოთ, რაჟარც დარიკომ გვირჩია...

ამას რაჟა ვაპატიებ მაგ სტაქანს...

ასე ხამათ რაჟა მივიდე...

აქ რამდენიმე ფაქტს უნდა მივაქციოთ ყურადღება: დიალექტური ფორმების ა-ხმოვნის ვარიანტის გამოყენებას; ფრაზისა თუ სიტყვათმანვილის ფაქტორს. ყველა შემთხვევაში სალიტერატურო ფორმათა გამოყენება რიტმულობას დაარღვევს. ამ ფრაზებსაც მივაქციოთ ყურადღება:

„პლატონ, გაიხსენე პეტრე მოციქული“, და იქვე: „პეტრე მოციქული გეიხსენე, შე უღვთო, შე უღვთო“...

„პლატონ გაიხსენე“ და „პეტრე გეიხსენე“... ფონეტიკური ვარიანტები **გაიხსენე** და **გეიხსენე** იმისდამხედვით ენაცვლება ერთიმეორეს, მეზობლად რა სიტყვაა — ა-ხმოვნის პირველი მარცვლით თუ ე-ხმოვნის მარცვლით დაწყებული. მარცვალთა ასეთ მონაც-

ვლევობას — ვარიანტთაგან სასურველის შერჩევას — მწერალს სწორედ შინაგანი მუსიკალური ალლო უკარნახებს. ეს არის ალბათ ის, რასაც „ყველა ბგერის ურთიერთკავშირი“ ჰქვია.

როცა ამ თემაზე ვსაუბრობ, ისიც უნდა ვთქვა, რომ რედაქტორ-გამომცემლები არ აქცევენ ამას ყურადღებას და ზოგიერთ გამოცემაში კორექტურული შეცდომის დონეზე არის „გასწორებული“ დიალექტური ვარიანტი.

რამდენიმე შენიშვნის გაკეთება კიდევ შეიძლება დიალექტიზმებთან დაკავშირებით — დიალექტიზმები როგორც მხატვრული ხერხი, საშუალებაა მკითხველთან ინფორმაციის მიტანისა.

უპირველესად ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ ფაქტს: შუაიმერული მეტყველება, რომელიც აისახა ძირითადად დავით კლდიაშვილის პროზაში, საკმაო თავისებურებებით ხასიათდება. დიალექტიზმები გვაქვს როგორც ფონეტიკურ, ისე მორფოლოგიურ და სინტაქსურ სფეროში, რომ აღარა ვთქვათ ლექსიკაზე. ყველა სახის ფონეტიკური თუ გრამატიკული დიალექტიზმები ვერ პოულობს ასახვას დ. კლდიაშვილის პროზაში. მხოლოდ რამდენიმე ტიპურ მაგალითს მოვიყვან გრამატიკული ანალიზის გარეშე: ასუმს, აჭუმს; ჯდია, ღგანა; ძენილოფს, ცნობილოფს; მადანა, სადანა; შენე, ჩვენე; გაულარიენ, მოდილარიენ; ძალითანა; უჭირავსყე, დოუნთეყენ... ყველა ეს და მსგავსი მოვლენა, ფაქტი ფართოდაა გავრცელებული შუაიმერეთში (ე. ნინოშვილთან გურულისათვის დამახასიათებელი ყველა ტიპის დიალექტიზმი შეგვხვდება.).

პერსონაჟთა მეტყველებაში თავს იჩენს მხოლოდ ზოგი თავისებურება: ძირითადად დამახასიათებელია ზმნისწინთა დიალექტური ფორმების ხმარება; თუმცა არ გვხვდება მო- და შე- ზმნისწინთა ახმონიანი ვარიანტები (შა-, მა-): მართალია, ეს ფორმები გვხვდება შუაიმერეთში, განსაკუთრებით ზემომიერულში, მაგრამ მათ მაინც უფრო აღმოსავლური იერი დაჰკრავს. ვთქვათ, ხშირადაა გამოყენებული ფორმები: მარა, რავა, რავარც, თვარა... ასევე — შუალობითი კონტაქტის ნარდართული ფორმები **გამაგებე** ტიპისა და ორიოდ სხვა სახის დიალექტიზმი (ეკეს, ქე, კაი...). აღსანიშნავია ისიც, რომ დიალექტურის გვერდით მისი ლიტერატურული ვარიანტიც იხმარება, და ზოგჯერ ერთსა და იმავე რეპლიკაში: როგორც || რავარც, გაიხსენე გეიხსენე, დავალევიე დამალევიენებს...

ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ დასტურდება ძირითადად იმ სახის დიალექტიზმები, რომლებიც მეტ-ნაკლებად სხვა დიალექტიზმისთვისაა დამახასიათებელი. ფაქტობრივ ეს პროცესი კოინეს პრინციპთან არის მიახლოებული. დ. კლდიაშვილის პრინციპია: შექმნას გარკვეული კოლორიტი, მაგრამ არ გააბუნდოვანოს ფრაზა ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ოდენ იმერულისათვის სპეციფიკურ ფორმათა შემოტანით.

ყველაზე ხშირად დ. კლდიაშვილთან ზმნისწინის დიალექტური ფორმები გვხვდება, მაგრამ თუ ერთი და იგივე სიტყვა არ მეორდება ზედიზედ (მაგ.: — **ღვეილუპე... წმინდაღ ღვეილუპე!** — იძახდა პლატონი. — წმინდაღ **ღვეილუპე...**), ვრცელ რეპლიკაშიც კი ერთიმეორის მიმდევრობით ზმნისწინის დიალექტური ორი ფორმა არ იხმარება — მათ შორის ყოველთვის არის წარმოდგენილი სხვა სახის დიალექტიზმი. მოთხრობის ერთ-ერთ ყველაზე ვრცელ რეპლიკაში, სადაც პლატონი უხსნის ბეკინას, თუ რა იმედია ორნაქმრევი უშვილო დედაკაცის შემოყვანა ოჯახში, დიალექტურ ფორმათა თანამიმდევრობა ასეთია: **ღეინახო... რავარც... თვარა... მარა... რავა... ღვეერიღები**. ეს წესი ძირითადად გატარებულია დიალოგშიც: ორ მეზობელ რეპლიკაში არ შეინიშნება ერთგვარი დიალექტური ფორმა. ამ ტენდენციას გამონაკლისიც აქვს: დიალოგში სხვადასხვა პერსონაჟთან ერთი და იგივე ფორმა მაშინ მეორდება, თუ ერთ-ერთი მათგანი გამოჯავრების მიზნით იმეორებს თანამოსაუბრის ფრაზას:

„— ბატონო, მელანოს ჯაფას რა **ღვეიღებ**, შენ ნუ...“

— რატომ რას **ღვეიღებ?! —** გააწყვეტინა სიტყვა ბეკინამ“...

„— საცხა **ჩეიჩეხება** ახლა ის უბედური...“

— **ჩეიჩეხება** კი არა...“

დიალექტიზმები პერსონაჟის მეტყველებაში ფაქტობრივად ყოველთვის იჩენს თავს, როცა მოქმედი პირი მდგომარეობიდან არის გამოსული — დამწუხრებულია, გაჯავრებული ან სასოწარკვეთილი:

„— **ღვეილუპე... წმინდაღ ღვეილუპე!** — იძახდა პლატონი. — წმინდაღ **ღვეილუპე**, თუ რამე არ ვისაშველე, რამე არ ვიღონე!...“

„— უიმე! უიმე! ეს რა **გეიგონა** ჩემმა ყურებმა!...“

„— ამას **რავა** ვაპატიებ მაგ სტაქანს!...“ და ა. შ.

მსგავს შემთხვევებში ამით ავტორი მეტ ექსპრესიულობას, სიცხოველეს მატებს ფრაზას და პერსონაჟის მდგომარეობას უფრო ცხადად წარმოგვიჩენს. აქ ალბათ საინტერესოდ წარმოჩნდება თვი-

თონ ბუნება შემოდგომის აზნაურებისა. კუდაბზიკა, თავმომწონე აზნაური **საგანგებო** სიტუაციაში ჩაგარდნილი, საკუთარ მეტყველებაზე კონტროლს კარგავს, ერთგვარი ნიღაბი, რომელსაც ამაღლებული (ამ შემთხვევაში ლიტერატურული) საუბრით იქმნის, ეხსნება და ბუნებრივ სახეს წარმოაჩენს... ასეა ვითომ?

შეინიშნება ერთი მოვლენაც: ორი პერსონაჟიდან, როცა ერთერთს გარკვეული უპირატესობა აქვს მეორესთან შედარებით და ამას ორივე გრძნობს, მდგომარეობით პრივილეგირებული საუბრისას არ ერიდება დიალექტურ ფორმათა ხმარებას; მეორე თავშეკავებულია, მორიდებული, ფრთხილი და, ამდენად, მისი მეტყველება თითქოს შებორკილია, ე. ი. შეგნებულად „გალიტერატურებული“, დიალექტიზმებიდან დაცლილი. ეს ფაქტი გახაზავს მდგომარეობით პრივილეგირებულის მიმართ თანამოსაუბრის პატივისცემასა და მოწიწებას და, შესაბამისად, „მაღლა მდგომის“ მიერ მეორისადმი მეტყველებით გამოხატულ გაშინაურებას, თავის გატოლებას. ამგვარ დიალოგში დიალექტური ფორმების შემოტანა ათავისუფლებს ავტორს პერსონაჟთა შორის ასეთ დამოკიდებულებაზე საგანგებო მინიშნებისაგან — გმირთა ურთიერთდამოკიდებულება მეტყველებით იხატება. მხედველობაში გვაქვს პლატონ სამანიშვილისა და ივანე გვერდევანიძის, „იმ კუთხეში ცნობილი სახელის მქონე აზნაურის“, დიალოგი. ივანეს მეტყველებაში ხშირია დიალექტური ფორმები (დამსილი, რაგარც, დოუჯერებელი, გოუმწარეს, ოუტყდენ, ქე, გვჭირია, ი, დეეკლო, მიემატებია, მაგიერთ); პლატონთან კი ორიოდ შემთხვევა დასტურდება (თვარა, მარა, რაგა), თუმცა, როცა ავტორი აქვე პლატონის ფიქრს გადმოგვცემს, საკმაოდ მოკლე რეპლიკაში დიალექტურ ფორმას გამოურევს: „ასეა ჭკვიანი კაცის ორიოდ სიტყვაც! — გონებაში ხალისიანად ამბობდა ძუნძულით მიმყოლი პლატონი. — ყოველთვის სასარგებლო რამეს **გვიგონებ**“.

თუ ორი პერსონაჟი ერთმანეთისათვის უცხოა, სანამ გაუშინაურდებიან ერთიმეორეს, მათი დიალოგი სალიტერატურო ქართულს მისდევს. როგორც კი მათ შორის უცხოობის ჯებირი მოიხსნება, გადაილახება — დიალოგშიც შემოიჭრება იმერიზმები. მხედველობაში გვაქვს პლატონ სამანიშვილისა და არისტო ქვაშავაძის საუბარი ჯიმშერ სალობერიძის ოჯახში. გვახსოვს: კირილე მიმინოშვილმა პლატონს წამოაძახა, „დედინაცვალს ერთს კი არა, ათს გიშოვი...“

ერთ უშვილო დედაბერს დეძებს სადედინაცვლოდ... ეშმაკი აზროვნების კაცმა არისტომ უცებ დაიჭირა ეს ფრაზები და როგორც კი საშუალება მიეცა, მიუჯდა პლატონს. თავიდან უარზეა პლატონი — „ბატონო, რაღაცას უჭკუო, გონებადაკარგული კაცი წამოაყრანტალებს, რა გასაგონარია, თუ ღმერთი გწამს!“... მაგრამ გამოტეხა არისტომ პლატონი, გაუმხილა ქვაშავაძის თავისი მოგზაურობის მიზანი პლატონმა და არისტომ საკუთარი მამიდა შესთავაზა სადედინაცვლოდ. უკვე მათ შორის შინაურული სიტუაცია შეიქმნა და რეპლიკებშიც იმატა დიალექტიზმებმა.

ცხადია, დავითი არ ფიქრობდა ამაზე. „წერდა როგორც იწერებოდა“, მაგრამ იწერებოდა ისე, როგორც ბუნებრივ სიტუაციაში მოიქცეოდნენ და ისაუბრებდნენ მისი პერსონაჟები.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: შევნიშნავთ, რომ დ. კლდიაშვილის პერსონაჟები პარალელურად ხმარობენ **მაგრამ** და **მარა**, **როგორ** და **რაგა**, **როგორც** და **რაგარც** ფორმებს. შეიმჩნევა ერთი კანონზომიერება: მხოლოდ მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაშია ორივე ეს ფორმა დადასტურებული და ზოგჯერ ერთსა და იმავე რეპლიკაშიც კი. ქალი პერსონაჟები მხოლოდ დიალექტურ **მარა**, **რაგა**, **რაგარც** ფორმებს იყენებენ. ამ ხერხით მწერალი ერთგვარად უპირისპირებს „მამაკაცური“ და „ქალური“ მეტყველების რიტმს, თავისებურებას, ტემპს. **მაგრამ**, **როგორ**, **როგორც** ფორმები უფრო ამაღლებული, დარბაისლური, დინჯი მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი; **მარა**, **რაგა**, **რაგარც** ფორმები — უფრო აჩქარებული, გაბმული მეტყველებისთვის.


„მამაკაცური“ და „ქალური“ მეტყველების დაპირისპირების საკითხი თავისთავად საინტერესოა. დიალექტები ამის თაობაზე საინტერესო მასალას მოგვწოდებენ. მაგალითად, აღნიშნავენ, რომ ქიზიყურში შორისდებულს ვაი მამაკაცები გამოიყენებენ, უი-ს — ქალები (მ. ხმალაძე). ეს შეიძლება სხვაგანაც ასე იყოს. თავის დროზე „დედაენაზე“ საუბრისას ღიმილთა ყიფიანმა შენიშნა: „**გენაცვას** ქალი იტყვის და არა ვაჟი; ვაჟი იტყვის — **გეთაყვალ**“. ასე რომ, დავით კლდიაშვილის მიერ დაჭერილი იმერულის ეს თავისებურება ძალიან საინტერესოა.

ჩვენ რამდენიმე შენიშვნა გავაკეთეთ დიალექტიზმების გამოყენების თაობაზე დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“

მიხედვით. დავით კლდიაშვილის პროზა თუ დრამატურგია ძალიან მდიდარ მასალას იძლევა ამ თემაზე საუბრისათვის... და არა მხოლოდ დიალექტიზმების გამო.

როცა პეტრე უმიკაშვილს „სამანიშვილის დედინაცვალი“ წაუკითხავს, ხუმრობით უსაყვედურია დავითისათვის, რატომ დაამთავრე ასე მალე სამანიშვილის მოგზაურობაო, — „გადავიყვანდი ქართლში, იქიდან კახეთში — რა სურათი იქნებოდა, რა იქნებოდა! შენ კი ასე მალე მონახვიე დედინაცვალი“... დავითმა მოკლედ უპასუხა: „არ ვიცნობ ქართლსა და კახეთს“.

დიახ, იმერეთს იცნობს დავითი, იმერულ ყოფას იცნობს დავითი და ხატავს დიდოსტატურად. მის ყოველ ფრაზაში, წინადადებაში იგრძნობა იმერული სული. ვისთვისაც ეს ნაცნობია, იოლად დაინახავს; ვისთვისაც არა — გაიცნობს. დიახ, არა მხოლოდ დიალექტიზმების გამო.



ბრანი ძაპთარია

უზილი ბრკენი

სამყაროს მეცნიერულ კვლევას საფუძველი ძველმა ბერძნებმა ჩაუყარეს. უცნობ სიმალელებთან შერკინების იდეა მათ ბრძენთა ბრძენმა ჰომეროსმა უანდერძა.

გვაროვნული წყობილების რღვევის ზღვარზე ელინებმა გადალახეს პოლისური კარჩაკეტილობის ჩარჩოები და საოცარი ენერგიით შეუდგნენ აღმოსავლური ცივილიზაციების საუკუნოვან მონაპოვართა ათვისებას. ეგვიპტელებისა და ბაბილონელების ჩაკეტილი ცოდნის გაღრმავებით ელინებმა შექმნეს წინამორბედი ხალხებისათვის სიბრძნის უცნობი დარგი, მეცნიერება. ძვ.წ. VII-VI სს-თა მიჯნა გახდა დიდი აღმოჩენების სათავე, როდესაც დაიბადა აზროვნების განსხვავებული სფერო — ბერძნული საოცრება. ნახტომი სუფთა ფურცლიდან არ დაწყებულა. ეკონომიკური და კულტურული კონტაქტები ხმელთაშუა ზღვის ხალხებთან სს-თა სიღრმიდან მომდინარეობდა, მაგრამ აღნიშნულ ს-ში ურთიერთობამ განსაკუთრებული სხივმოსილება შეიძინა. ამ ეპოქალურ ძვრებს მიმართულებას აძლევდნენ იმდროინდელი ელინური პოლისების პოლიტიკური ცხოვრების წარმმართველები. დაიბადა ახალი ისტორიული რეალობა საბერძნეთის ისტორიაში. გააქტიურდა ურთიერთობა გარე სამყაროსთან. შეიცვალა საქალაქო ცხოვრების შინაარსი. გაჩნდა ხელოსნობის ახალ-ახალი დარგები. არნახული სივრცეები გადალახა ვაჭრობამ. აღმავლობის გზას დაადგა ხუროთმოძღვრება, შეიქმნა თეატრი. კანონებმა განსაზღვრეს თავისუფალი ადამიანის პრივილეგირებული მდგომარეობა. ელადა წავიდა სახელმწიფოებრივი წესრიგის გზით. ამ დიდ საქმეებს თა-

ვისი შემსრულებლები ჰყავდა. ბრძენთა ეპოქა ტირანიის ეპოქა იყო (რამდენიმეს გამოკლებით ყველა ბრძენი ტირანი იყო). ტირანები წარმოადგენდნენ იმ დროის თვალსაჩინო პოლიტიკურ ფიგურებს, რომლებმაც ღრმა კვალი დატოვეს მშობლიური ქალაქის განდიდებაში.

მრავალ ღირსეულ მოღვაწეთა შორის ელინებმა შვიდი გამოარჩიეს და ბრძენი უწოდეს, იმ დიდ დამსახურებათა გათვალისწინებით რაც მათ მიუძღოდნოდათ საერთო ბერძნული კულტურისა და პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაში. რამდენად შეესაბამება არქაულ პერიოდში შედგენილი სია რეალობას? კითხვა 26 საუკუნეა არსებობს. შვიდს ელინები მაგიურ ფუნქციებს ანიჭებდნენ და კაცობრიობის მასწავლებლებმა ამ სამკაულით უკვდავყვეს გამორჩეული ნიჭიერებით დაჯილდოებული ადამიანები, რომლებმაც, მათი წარმოდგენით, გაარღვიეს გვაროვნული საზოგადოების ერთფეროვნება და საფუძველი ჩაუყარეს სახელმწიფოებრიობას. ბრძენთა კანონზაცის ტრადიცია ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ათავსებდა და ზუსტ თარიღსაც მიუთითებდა. ბერძენი ავტორების გადმოცემით, ძვ.წ. 582 წელს, არქონტ დამასიასის მმართველობისას ათენის სახალხო კრებაზე საზეიმოდ გამოაცხადეს ელინური სამყაროს შვიდი ბრძენი (თალესი, სოლონი, ხილონი, კლეობულე, პერიანდრე, პიტაკე, ბიანტი). მოგვიანებით მათი სახელები ამოკვეთეს დელფოსში აპოლონის ტაძრის კედელზე, თითოეული გვირგვინოსნის ბრძნული გამონათქვამით.

შვიდივე ბრძენი ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარსა და VI ს-ის პირველ ნახევარში ცხოვრობდა.

მომდევნო პერიოდის ანტიკურ მწერლობაში კანონიკური შვიდის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. ასახელებდნენ სხვა პიროვნებებსაც (პლატონსაც კი ჰქონდა თავისი ვერსია). მრავალთა შორის არაკანონიკურ სიაში სკვითი ანაქარსისიც მოხვდა. აღნიშნული პერიოდის ბერძნული რეალობა ფრაგმენტული ინფორმაციებითაა ცნობილი, მაგრამ ყველგან ხაზგასმულია დასახელებულ პირთა განსაკუთრებული დვაწლი მშობლიური პოლისის აღმავლობასა და განდიდებაში. შვიდი ბრძენის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე შედარებით ვრცელი ცნობებია დაცული ახ.წ. III ს-ში მცხოვრები ფილოსოფიის ისტორიკოსის დიოგენე ლაერტის თხზულებაში „სახელოვან ფილოსოფოსთა ცხოვრებაზე, მოძღვრებასა და გამონათქვამებზე“. ბრძენთა თანავარსკვლავედში დიოგენე

ლაერტს დასახელებული ჰყავს ოცამდე პიროვნება, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კანონიკურ შვიდზე. შვიდი ბრძენის შესახებ მოკლე ინფორმაციებს გვაწვდიან სხვა ავტორებიც (პლატონი, პერიოდოტე, სტრაბონი, პლუტარქე და სხვ.). ბრძენთა ჩამონათვალში ყველაზე ხშირად გვხვდება თალესის, ბიანტის, სოლონის, პიტაკეს და პერიანდრეს სახელები.

შვიდი ბრძენის მოღვაწეობის ქრონოლოგიური ჩარჩოები ემთხვევა ძველი საბერძნეთის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ეპოქას. ძვ.წ. VII ს-ის მიწურულს სრულდება გვაროვნული წყობილების რღვევისა და კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი. აღნიშნულ ს-ში ელინები გავიდნენ ფართო ასპარეზზე, შეუდგნენ შორეული ქვეყნების გაცნობას და ზღვათა სანაპიროების ათვისებას. დიდმა ბერძნულმა კოლონიზაციამ არსებითი ზეგავლენა მოახდინა ცხოვრების ეკონომიკური დონის ამაღლებაზე და, რაც მთავარია, საოცრად გააფართოვა ელინთა გეოგრაფიული თვალსაწიერი. კოლონიზაციის მასშტაბებმა ხმელთაშუა და შავი ზღვები ბერძენთა ტბებად გადააქცია. ცოდნის შექმნის წყურვილით ანთებული ელინები საფუძვლიანად ეცნობოდნენ ეგვიპტურ, ბაბილონურ და აღმოსავლეთის სხვა კულტურულ ხალხთა მრავალსაუკუნოვან მიღწევებს. ყოველივე ამან გავლენა მოახდინა დაფანტულსა და დაქუცმაცებულ ტომთა ინტერესების გაერთიანებაზე.

შვიდი ბრძენის ეპოქაში ელინებმა გადადგეს პირველი ნაბიჯები ცივილიზაციის მწვერვალებისაკენ.

ბრძენის დადგენა თვით ბრძენად მიჩნეულებმა ვერ გადაწყვიტეს. დიოგენე ლაერტს დაცული აქვს ლეგენდა, რომლის თანახმად, არკადიელმა ბაფიკლემ შექმნა ოქროს სამფეხი. მისივე ანდერძით, სამფეხი უნდა გადასცემოდა ბრძენს ბრძენთა შორის. ბაფიკლეს შვილმა სამფეხი თალესს მიართვა. თალესმა საჩუქარი არ მიიღო და მიმრთმევს განუცხადა, ყველაზე ღირსეული არის ბიანტი და ჯილდო მას მიართვიო. ბიანტმაც არ მიიჩნია თავი ყველაზე ბრძენად და უარი განაცხადა, მიეღო სიბრძნის დამადასტურებელი სიმბოლო და სხვა მიმართულებით გაგზავნა. დაიწყო სამფეხის მოგზაურობა. როცა თასი სოლონთან აღმოჩნდა, იგი არც ათენელმა კანონმდებელმა მიიღო და განაცხადა, ბრძენთა შორის პირველი ღმერთიაო. ბოლოს თასი დაბრუნდა თალესთან, რომელმაც ძვირფასი ნივთი აპოლონის ტაძარს შესწირა. აღნიშნულ ლეგენდას მრავალი ავტორი იმეორებდა. სინამდვილეში ვინ მიაჩნდათ ბრძენად? დიოგენე ლაერ-

ტი წერს, დიკეარხი ფიქრობს, რომ განსხვავებული დიდებით შემკულნი სულაც არ იყვნენ ბრძენები და ფილოსოფოსები, უბრალოდ ისინი იყვნენ ჭკვიანი ადამიანები და კანონმდებლებიო. ამ კუთხით თუ მივუდგებით, ნათლად ჩანს, რომ ბრძენთა მოღვაწეობამ მართლაც მოაწესრიგა პრიმიტიული საკანონმდებლო სფერო აღმავლობის გზაზე დამდგარ ელინურ პოლისებში.

ბრძენად შერაცხულმა პირებმა არსებითი გავლენა მოადხინეს ელადის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების განვითარებაზე. განამტკიცეს ურთიერთ კავშირები და გაათართოვეს სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები შორეულ ქვეყნებთან.

ვინ იყვნენ ბრძენები და საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ სფეროში მოღვაწეობით დაიმსახურეს ეს აღმატებული შეფასება? უნდა აღინიშნოს, რომ თალესის გარდა ყველანი პოლიტიკური ფიგურები იყვნენ. ბრძენად შერაცხვის პერიოდი ელადის ისტორიაში ტირანიის სახელწოდებითაა ცნობილი. ყველა ბრძენი თალესის, ხილონისა და სოლონის გარდა ტირანი იყო. დროთა მდინარეებში ტერმინი „ტირანი“ საკმაოდ უარყოფითი გაგებით დაიჭვირდა, მაგრამ განვითარების ადრეულ საფეხურზე ტირანები მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესთა დამცველებად გამოდიოდნენ. გვაროვნული წყობილების რღვევისა და კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში ტირანები ტომობრივი არისტოკრატის მტაცებლური ბუნების შემკავებლებად გამოდიოდნენ და იცავდნენ ღარიბი მოსახლეობის ინტერესებს. მათი მოღვაწეობის ამ მხარეზე ყურადღების გამახვილებამ განაპირობა იმ შარავანდელის შექმნა, რომლითაც ისინი ანტიკურობამ შემოსა. მათი მონაცემების გაზვიადებული დახატვაც არ არის გამორიცხული. შეიძლება ბრძენად აღიარებულები რიგით ელინებზე მაღლა იდგნენ, მაგრამ არა იმ შეფარდებით, რომ მარადისობაში დაემკვიდრებინათ ადგილი (რა თქმა უნდა, თალესსა და სოლონს არ ვგულისხმობთ).

ბრძენთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველანი განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით ეკიდებოდნენ მშობლიური პოლისის კულტურისა და განათლების ამალგებას.

მათი ძალისხმევით დაინერგა სწრაფვა აღმოსავლური კულტურისაკენ. შვიდ ბრძენთა ეპოქაში სიბრძნისა და ცოდნის ეტალონად გამოცხადებული იყო ეგვიპტე. ბერძენი ახალგაზრდები წლობით მიემგზავრებოდნენ პირამიდების ქვეყანაში, ეცნობოდნენ მის

ზღაპრულ მშვენიერებას. ეგვიპტურ ტაძრებში უახლოვლებოდნენ ეგვიპტელ ქურუმებს, ეუფლებოდნენ სს-თა სიღრმიდან მომდინარე საიდუმლო ცოდნას. ეგვიპტური ტრადიციით, ცოდნა ითვლებოდა რჩეულთა პრივილეგიად და იგი ქურუმთა წრიდან არ უნდა გასულიყო. დაფარული ცოდნის პრინციპები ბერძნულ საგანმანათლებლო სფეროშიც გავრცელდა. ამის შესანიშნავი მაგალითია პითაგორა. გადმოცემის თანახმად, პითაგორა გარკვეული დონის მიღწევამდე ყველა მსურველს ასწავლიდა, შემდეგ შეარჩევდა და ვისაც ღირსეულად მიიჩნევდა, დატოვებდა და შეჰყავდა აზროვნების სიღრმეში. პითაგორას სკოლაგამოვლილებს ეკრძალებოდათ ცოდნის ყველასათვის გასაგებად გადაცემა. საიდუმლო ცოდნა არც კლასიკური ეპოქის გიგანტებისათვის იყო უცხო (მეცნიერებაში ცნობილია, რომ დაფარულ ცოდნას იცავდნენ პლატონი და არისტოტელე. ზოგიერთი განგებ წერდა გაუგებრად, მაგ., ჰერაკლიტე).

ბერძენი ტირანები ლიტერატურისა და ხელოვნების კარგი მცოდნენი და დამფასებლები იყვნენ. თვითონაც თხზავდნენ საშუალო დონის მხატვრულ ნაწარმოებებს (სოლონი წარმოადგენდა გამონაკლისს). იწვევდნენ და მფარველობდნენ სახელოვან პოეტებსა და მომღერლებს, ოღონდ ერთი პირობით, უნდა შეესრულებინათ მბრძანებლის ნება. ისეთი მრისხანე ტირანი, როგორც პერიანდრე იყო, ითვლებოდა პოეტ არიონისა და იგავ-არაკების დიდოსტატ ეზოპეს თაყვანისმცემლად. საოცრად დიდი იყო ათენის ტირანის პისისტრატეს (ზოგიერთები ბრძენადაც კი მოიხსენიებდნენ) როლი ჰომეროსის პოემების, ბერძნული თეატრის და საერთოდ, კულტურის წინაშე.

ბრძენთა ეპოქაში ბერძენები მასწავლებლებად ეგვიპტელებს თვლიდნენ. მომდევნო ს-ში მოწაფეობის ერა დასრულდა. ნილოსისპირა სიძველეებით გატაცებას მოჰყვა ბერძნული საოცრების ამოფრქვევა. შეიღმა ბრძენმა მოუშადა ნიადაგი დიდი ელინური ზემის დადგომას. სს-ის განმავლობაში დაგროვებული აღმოსავლური ცოდნა ბერძნებმა მეცნიერებად გარდაქმნეს. სიბრძნის მაძიებლები გადაიქცნენ სიბრძნის მატარებლებად. დაიწყო აზროვნების საიდუმლოებათა სიღრმეში შეღწევა, სულ სხვა სიმაღლეზე ატყორცნა. ბრძენთა ეპოქას მოჰყვნენ ნამდვილ საოცრებათა ვარსკვლავები, რომელთა სიკაშკაშე დღესაც ანათებს ცივილიზაციის ცას. იმ შორეულ წარსულში ჩამოყალიბდა ზეადამიანური ნიჭით დაჯილდოებულთა თანმიმდევრული რიგი, სს-ის ქარიშხლებს რომ გაუძ-

კლავდენ და თავიანთი ღვთაებრივი ღიღების ძეგლები, როგორც მარადისობის სიმბოლო, დაუტოვეს კაცობრიობას. მათი რიცხვი ღიღია, პოეტები: ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე; ფილოსოფოსები: დემოკრიტე, ჰერაკლიტე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე; ათენის დემოკრატიის ბელადი პერიკლე და ელინური საოცრების გვირგვინი ალექსანდრე მაკედონელი.

დასახელებულ საოცრებათა ფესვები შვიდი ბრძენიდან იღებდა საზრდოს.

შვიდ ბრძენთა შორის თავიდანვე განსაკუთრებული ხაზგასმით გამოპყოფდნენ თალესსა და სოლონს. დანარჩენები შედარებით მოკრძალებულად გამოიყურებიან. მათი საქმიანობის შეზღუდული მასშტაბების გამო, ინფორმაციებიც უმნიშვნელო და მწირია. ფაქტია, რომ ბრძენად შერაცხულები ვერ გაუტოლდებიან კლასიკური პერიოდის კოლოსებს, მაგრამ ტრადიციის გადასინჯვა აზრად არავის მოსვლია. ყოველივე ამის გათვალისწინებით, წარმოვადგენთ თითოეული ბრძენის საქმიანობის განმასხვავებელ და საერთო ნიშნებს.

ბრძენად შერაცხული ხ ი ლ ო ნ ი (დაახ. 642-572) იყო სპარტის გაბატონებული წრის წარმომადგენელი. იგი ცნობილი იყო, როგორც სამართლიანობის შეუპოვარი დამცველი. ფრაგმენტულ წყაროებში ხილონი დახასიათებულია ფიზიკური და სულიერი სილამაზით შემკულ პიროვნებად. მონაწილეობდა ოლიმპიურ თამაშებში. მეგობრობდა იმდროინდელი საბერძნეთის გამოჩენილ ადამიანებთან. განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა კორინთოს ტირან პერიანდრესთან, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. მასთან გამართულ მიმოწერაში ავლენდა თავის ბრძნულ ნააზრევს. იგი წერდა პერიანდრეს: „თუ შენ ძლიერი ხარ, იყავი იმავე დროს კეთილი, რომ პატივს გცემდნენ და არა ემინოდეთ“ (რამდენად ასრულებდა პერიანდრე ამ დარიგებებს, წყაროებით არ დასტურდება). ხილონის ერთი სიბრძნე ასე ჟღერს, „ბედნიერია ის ტირანი, რომელიც მოკვდა საკუთარ სახლში ბუნებრივი სიკვდილით“. მისი აზრით, ადამიანის სათნოება მდგომარეობს იმაში, რომ მსჯელობით მიაღწიოს მომავლის წინასწარხედვას. ამის გამო ხილონი განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. საერთო თანხმობით არჩეული იყო სპარტის ეფორად. დიოგენე ლაერტის გადმოცემით, ეფორობა სურდა მის ძმასაც, რომელიც არ აირჩიეს. ამის გამო გაბრაზებული ძმისთვის ბრძენს

უთქვამს: ეს მოხდა იმიტომ, რომ მე შემოდლია ჩემს მიმართ უსამართლოდ მოპყრობის გადატანა, შენ კი არაო. წერდა ელეგიური შინაარსის ლექსებს, მიეწერება ბრძნული გამონათქვამი; „შეიცან თავი შენი“. ცნობილია, აგრეთვე, მის ბრძნულ ნააზრევთა მთელი სერია: კითხვაზე — რა არის ძნელი? — უპასუხა: საიდუმლოების შენახვა. მასვე ეკუთვნის — „უფროსობა ისწავლე საკუთარ სახლში“, „დაემორჩილე კანონებს“ და სხვა მრავალი. გადმოცემის თანახმად, ხილონი გარდაიცვალა სიხარულისაგან ძვ.წ. 572 წელს, როცა გაიგო ოლიმპიურ თამაშებში თავისი შვილის გამარჯვების ამბავი.

პ ი ტ ა კ ე, კუნძულ ლესბოსის ქალაქ მიტილენის მკვიდრი. დაამხო მიტილენის ტირანის ხელისუფლება. მისი აქტიური მხარდამჭერი იყო ახალგაზრდა პოეტი ალკეოსი, ძმებთან ერთად.

პიტაკეს პოზიციების განმტკიცებას ხელი შეუწყო ათენთან დაპირისპირებაში მოპოვებულმა გამარჯვებამ. ქალაქის მოსახლეობის მღელვარების თავიდან ასაცილებლად, სახალხო კრებამ პიტაკეს ლესბოსზე წესრიგის დამყარება დაავალა. ძალაუფლებით აღჭურვილმა პიტაკემ მიტილენიდან განდევნა არისტოკრატები, მათ შორის ალკეოსისა და საფოს ოჯახის წევრები.

მოგვიანებით პიტაკე ტირანი გახდა (ძვ.წ. 590-580). ტირანმა შეარბილა განდევნილთა მიმართ მკაცრი პოლიტიკა. მრავალ გამევეებულს დართო სამშობლოში დაბრუნების ნება, მათ შორის ალკეოსსაც, მაგრამ პოეტს არ შეუცვლია კრიტიკული ტონი პიტაკესა და საერთოდ ტირანიის წინააღმდეგ და ბოლომდე ებრძოდა ერთპიროვნულ მმართველობას. ერთ ლექსში ალკეოსი პირდაპირ მოუწოდებდა, რომ ქვეებით ჩაექოლათ პიტაკე. მოღწეულ ცნობებზე დაყრდნობით, პიტაკე ფართო მასშტაბის პოლიტიკურ მოღვაწედ არ გამოიყურება, მაგრამ ეპოქამ ბრძენის ღიღებით შემოსა. მის ბრძნულ გამონათქვამებზე ხაზგასმით მიუთითებდა პლატონი. „იყო კარგი არის ძნელი“, ამბობდა იგი. არსებობს ასეთი გადმოცემა, პიტაკეს შვილი მოკლეს. მკვლეელი შეიპყრეს და მამას მიჰგვარეს. როცა მან გაიგო ყველაფერი, მკვლეელი გაათავისუფლა და თან ასეთი სიტყვები წარმოთქვა: „უმჯობესია პატიება, ვიდრე შურისძიება“. საინტერესოა მისი პასუხები კითხვებზე: „რა არის მაღლიანი? — დრო. რა არის დაფარული? — მომავალი. რა არის საიმედო? — მიწა. რა არის დაუნდობელი? — ზღვა“. ბრძნული გამონათქვამების გარდა, წერდა კანონებს და ელეგიურ ლექსებს.

ბ ი ა ნ ტ ი იყო იონიური ქალაქის პრიენის ტირანი (ქალაქი მდებარეობდა მილეტის ყურეში). პეროდოტე წერს, როდესაც კრეზემ მცირე აზიელი ბერძნები დაიმორჩილა და ხარკი დაადო, განიზრახა კუნძულების მცხოვრებთა დაპყრობაც. მიზნის მისაღწევად შეუდგა გემების მშენებლობას. ამ დროს კრეზეს წინაშე წარდგა ბიანტი, რომელმაც აუწყა, კუნძულებიც ემზადებიან ლიდიანზე სალაშქროდ, რომ შური იძიონ იმ ელინების ნაცვლად, რომლებიც მონობაში იმყოფებიანო. ბიანტის მსჯელობამ კრეზე დაარწმუნა, რომ საქმე სერიოზულ მოწინააღმდეგესთან ჰქონდა და ბრძანება გასცა, ფლოტის აგება შეეწყვიტათ. ბიანტის წყალობით დამყარდა მშვიდობა ბერძნებსა და ლიდიელებს შორის. წყაროების გადმოცემით, ბიანტი მონაწილეობდა პირველ პითიურ თამაშებში. ბრძენად დაასახელეს სხვებთან ერთად. ელადამი გავრცელებული იყო მისი ლექსები და ბრძნული გამონათქვამები. ბიანტს, როგორც ბრძენს იცნობდნენ ლიდაში, მაგრამ განსაკუთრებით აფასებდნენ ეგვიპტეში. მისი სიბრძნის დამადასტურებელი ფაქტი: ეგვიპტის ფარაონმა ამასისმა ბიანტს გაუგზავნა საღვთო ცხოველი და სთხოვა, ამოეჭრა ყველაზე კარგი და ყველაზე ცუდი ნაწილი. ბიანტმა ამოჭრა ენა. კიდევ უფრო მრავლისმთქმელია ფარაონის მეორე ამოცანის ამოხსნა, ეგვიპტის იმავე ფარაონმა აცნობა, რომ ხშირად ეჯიბრება ეთიოპიის მეფეს. ამჯერად მივიღე მისი გამოწვევა, თუ ვერ ვუპასუხებ, წავაგებ რამდენიმე სოფელსა და ქალაქს. კითხვა ასეთია: შევსვამ თუ არა ზღვას. ბიანტმა შეუთვალა, დათანხმდი, ოღონდ იმ პირობით, როცა ზღვის სმას შეუდგები, გადაკეტოს ყველა მდინარე, რომელიც ზღვას ერთვის, რადგან საქმე ეხება იმ ზღვას, რომელიც არის და არა იმას, რომელიც იქნებაო.

დიოგენე ლაერტი მოგვითხრობს, „ერთხელ იგი ხომალდით მგზავრობდა უპატიოსნო ადამიანებთან ერთად. ამოვარდა ქარიშხალი. დაუწყეს ვედრება ღმერთებს, „წყნარად! იყვირა ბიანტმა, ღმერთებმა არ გაიგონ, რომ თქვენ აქ ხართ“. ერთმა უნამუსო კაცმა ჰკითხა, რა არის ღვთისმოსაობაო. ბიანტი დუმდა და არ პასუხობდა. როცა მან ჰკითხა, რატომ არ პასუხობდა, ბიანტმა უთხრა: იმიტომ, რომ შენს საქმეზე არ მეკითხებიო. ახალგაზრდობიდან სიბერეში საგზლად წაიღე სიბრძნე, რადგან მასზე საიმედო ქონება არ არსებობს, ასეთი იყო ბრძენი ბიანტის შეგონება.

კ ლ ე ო ბ უ ლ ე იყო კუნძულ როდოსის ქალაქ ლინდოსის მოქალაქე, წარჩინებული ოჯახის შვილი. განათლება მიიღო ეგ-

ვიპტეში, სადაც ცხოვრობდა ოცი წელი. საფუძვლიანად იცნობდა ეგვიპტის წმინდა ადგილებს და ქურუმთა სიბრძნეს. ლინდოსში დაბრუნებული მეგობრების დახმარებით გახდა ტირანი. კლეობულე ნახევარი საუკუნე (610-560 წლებში) ედგა სათავეში მშობლიურ ქალაქს. გამოირჩეოდა სამართლიანობითა და ზომიერებით. მეგობრული ურთიერთობებით იყო დაკავშირებული ბერძენ ტირანებთან და ეგვიპტის ფარაონებთან. მისმა საგარეო პოლიტიკამ ლინდოსი ვაჭრობის თვალსაჩინო ცენტრად აქცია.

კლეობულე ბევრს მოგზაურობდა, ესწრებოდა ოლიმპიურ, პითიურ, ისთმურ თამაშებს. წერდა ელეგიურ ლექსებს. ღიდი პოპულარობით სარგებლობდა მისი ბრძნული გამონათქვამები.

პ ე რ ი ა ნ დ რ ე იყო კორინთოს ტირანი 627-585 წლებში. იგი ბრძენად შერაცხული ტირანებისაგან განსხვავებული ფიგურა იყო. გამოირჩეოდა პოლიტიკური აქტიურობით და გამოკვეთილი სახელმწიფოებრივი ინტერესებით. სხვათაგან მას განასხვავებდა აგრეთვე, სისასტიკე და დესპოტური ბუნება. ტირანის უარყოფითი თვისებების შესახებ ვრცელი ცნობებია დაცული ანტიკურ წყაროებში. მიუთითებენ იმასაც, რომ პერიანდრეს მტარვალურ გადახრაზე გაველენა მოახდინა მილეტის ტირანის თრასიბულეს რჩევებმა. ბერძნული ტირანიის ცნობილი მკვლევარი ჰ. ბერვე პერიანდრეს შესახებ წერს, განსხვავებული შეფასებები ვლინდება იმაში, რომ ერთი და იგივე ადამიანი მიჩნეულია ყველაზე საშინელი ტირანის პროტოტიპად და იმავე დროს შედის ბრძენთა საუკეთესო შვიდეულის შემადგენლობაში. „წინააღმდეგობრიობა ალბათ შეიძლება აიხსნას პიროვნების თავისებურებით, რომელშიც თანამედროვენი და მემკვიდრენი პოულობდნენ ბოროტსა და კეთილს“. მისი დაუნდობელი ბუნება სათუთ გრძნობებსაც ამჟღავნებდა. მის პიროვნებაში შერწყმული იყო უსაზღვრო აქტიურობა, არაჩვეულებრივი პრაქტიკული სიბრძნე და განსაკუთრებული შორსმჭვრეტელობა.

პერიანდრეს ცოლად ჰყავდა ეპიდავრის ტირანის პროკლეს ასული მელისა. პერიანდრემ მეუღლე გაურკვეველი ბრალდებით მოკლა (დიოგენე ლაერტის გადმოცემით, მსახურთა ცილისწამების ნიადაგზე. ისინი შემდეგ ტირანმა ცოცხლად დაწვა). ვაჟი ლიკოფრონი, რომელიც დედის ტრაგედიის გამო დარდობდა, სახლიდან გააძევა, თან ბრძანება გასცა, ვინც მას შეიფარებდა, მკაცრად დაესაჯათ. ბოლოს ლიკოფრონი კუნძულ კერკირაზე გადაასახლა. თავის დანაშაულს, მეუღლის სიკვდილით დასჯას, პერიანდრე უნებლიე

შეცდომას უწოდებდა და თავს იმართლებდა. არანაკლები სისასტიკით მოეპყრო იგი კერკირის მოსახლეობას, როდესაც განიზრახა წარჩინებულთა სამასი ბიჭის გაგზავნა ლიდიის მეფე ალიატესთან დასასაჭურისებლად. ეს ბოროტი გეგმა სამოსელებმა ჩაშალეს, ბავშვები გაათავისუფლეს და უვნებლად დააბრუნეს სამშობლოში.

ბრძენის ტიტულის მატარებლები გამორჩეული ადამიანური თვისებებით იყვნენ შეიქმნილი. ანტიკური წყაროების გადმოცემით, იცავდნენ კანონებს და ქადაგებდნენ კანონმორჩილებას. ელინურ საზომებში პერიანდრეს პიროვნება არ თავსდება. მისი ერთპიროვნული მმართველობა უფრო აღმოსავლურ დესპოტიას უახლოვდება.

პერიანდრე, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, თავისი მასშტაბებით, გამოირჩეოდა იმდროინდელ ბერძენ ტირანთა შორის. კორინთოში გაატარა ფართო მასშტაბის ეკონომიკური რეფორმები, რამაც ქალაქი მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრად აქცია. მან დაიწყო მონეტის მოჭრა, დააწესა საბაჟო გადასახადები, გამოსცა ფუფუნების საწინააღმდეგო კანონები. ტირანის ბრძნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წყალობით, გაიზარდა კორინთოს საზღვაო და სავაჭრო როლი. აფართოებდა თავის სამფლობელოებსა და გავლენას ეგეოსის ზღვის სანაპირო ზოლზე (მას ჰქონდა ისთმოს ყელზე არხის გაყვანის გეგმა). პერიანდრემ კონტაქტები დაამყარა სამხრეთ იტალიასთან, ლიდიასთან, ეგვიპტესთან, მცირე აზიის პოლისებთან; ზრუნავდა საერთო ელინურ სიწმინდეებზე (აპოლონის ტაძარი დელფოსში, ზევსის ოლიმპიაში), განაახლა პითიური თამაშები, დააწესა ისთმური თამაშები, თებედან გადაიღო დიონისეს კულტი, განაახლა პოსეიდონის საკურთხეველი. მისი მთავარი ამოცანა კორინთოს გალამაზება იყო. ქალაქში იგებოდა ქვითა და მარმარილოთი მოპირკეთებული შენობები. პერიანდრე იყო ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული; საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ყველა ბრძენთან. კორინთოში იწვევდა ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებს. მის კარზე ნებივრად გრძნობდნენ თავს პოეტი არიონი და ეზოპე.

მკაცრი პოლიტიკის გამო პერიანდრე გრძნობდა ქვეშევრდომთა სიძულვილს, ამიტომ უსაფრთხოების მიზნით პირადი მცველებით დადიოდა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალ უბედურებას მიაწერდნენ, ბრძენის მანტია მოასხეს.

შვიდ ბრძენთა შორის ანტიკური ტრადიცია განსაკუთრებული დიდებით მოიხსენიებდა თალესსა და სოლონს.

თ ა ლ ე ს ი დაიბადა იონიის ქალაქ მილეტში (დიოგენე ლაერტის მინიშნებით, მისი გვარი შეიძლება ფინიკიური წარმომავლობის იყოს). იგი მიჩნეულია არა მარტო ბრძენად, არამედ ელინური მეცნიერების ფუძემდებლადაც. თალესის უნივერსალური ცოდნის სათავედ ითვლება ეგვიპტური განათლება. იგი საფუძვლიანად იცნობდა პირამიდების ქვეყანას. თალესი მოუწოდებდა ელინებს, დაუფლებოდნენ ეგვიპტურ საიდუმლოებას, განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას ქურუმების ცოდნაზე. ასეთი აღტაცების მიუხედავად, თალესს მიეწერება სრულიად საწინააღმდეგო შინაარსის სიტყვები: მაღლიერი ვარ ბედის, რომ დავიბადე ადამიანად და არა ცხოველად, კაცად და არა ქალად, ელინად და არა ბარბაროსად. პლატონმა გაიმეორა თალესის სიტყვები, მაგრამ დაუმატა მეოთხე პოსტულატი: “და რომ ცხოვრება მომიწია სოკრატეს დროს“.

თალესის პანეგვიპტური იდეების ბრწყინვალე გამგრძელებელი იყო მისი გენიალური მოწაფე პითაგორა, რომელიც ისე მოხიბლა ეგვიპტემ, რომ სამუდამოდ იქ დარჩენა გადაწყვიტა, მაგრამ სპარსელების აგრესიამ აიძულა, სამშობლოში დაბრუნებულიყო.

გადატრიალება მოახდინა თალესის მეცნიერულმა აღმოჩენებმა. ავითარებდა ეგვიპტეში გაცნობილ გეომეტრიას და ამტკიცებდა ურთულეს თეორემებს. იკვლევდა ციურ სხეულთა ადგილმდებარეობასა და მათ გადაადგილებებს. მას თვლიდნენ მცირე დათვის თანავარსკვლავედის პირველად მომჩინად, განსაზღვრა მზის ბუნიობის წერტილები ეკლიპტიკაზე. თალესმა და მისმა მიმდევრებმა (პითაგორამ) ცის სფერო დაჰყვეს ხუთ წრედ. ეგვიპტურ განმარტებაზე დაყრდნობით, განსაზღვრა რიცხვი, როგორც ერთეულთა ერთობლიობა.

ბერძენ მოაზროვნეთა შორის თალესი იყო პირველი, რომელმაც დაიწყო მსჯელობა კოსმოსზე, ბუნებაზე, სიცოცხლეზე და მის წყაროებზე. მილეტელ ბრძენს სამყაროს ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდა დედამიწა. მისი აზრით, მზე და ვარსკვლავები შედგებოდნენ მიწისაგან, მაგრამ იყვნენ გავარვარებული. მთვარეც შედგება მიწისაგან, თავისი ბუნებით ის დედამიწის მსგავსია. მთვარე ნათდება მზისაგან (თალესის მოსაზრება გაიზიარეს მომდევნო ხანის მეცნიერებმა: პითაგორამ, პარმენიდემ, ემპედოკოლემ, ანაქსაგორამ). დიოგენე ლაერტის ცნობით, თალესმა აღმოაჩინა წელიწადის ხანგრძლივობა და განსაზღვრა იგი 365 დღით.

ციურ სხეულებზე დაკვირვებების შედეგად გამოთქვა მოსაზრე-

ბა, რომ ხუთი წლის შემდეგ მოხდებოდა მზის დაბნელება. თავისი მიგნება საჯაროდ გამოაცხადა მილეტის სახალხო კრებაზე. გავიდა ხუთი წელი. ჰეროდოტეს ცნობით, ლიდიისა და მიდიის ომის დროს, როდესაც მოწინააღმდეგეები ერთმანეთის პირისპირ იდგნენ, დღე გადაიქცა ღამედ (მეომარი მხარეები მაშინვე დაზავდნენ, რომ ღმერთები არ გაებრაზებინათ). მილეტელი ბრძენის ნაწინასწარმეტყველევი მზის დაბნელება მოხდა ძვ.წ. 585 წლის 22 მაისს. თალესის აღმოჩენები ანცვიფრებდა თანამედროვეებს.

მილეტელი ბრძენი ცოდნას სინარულით უზიარებდა თავის მოწაფეებს. არსებობს გადმოცემა, ანაქსიმანდრემ ჰკითხა თალესს, რამდენი უნდა გადაეხადა შეძენილი ცოდნის საფასურად. თალესმა უპასუხა, ფასის სრულად გადახდა იმის აღიარება იქნება, რომ ისწავლე ჩემთანო (ანაქსიმანდრემ ღრმა კვალი დატოვა ფილოსოფიის ისტორიაში). საინტერესოა სხვა შემთხვევაც. თალესმა პრიენელ სწავლულს გააცნო თავისი ახალი აღმოჩენა. მსმენელი გაოცდა მოულოდნელი ცოდნის შეძენით და ბრძენს შესთავაზა, დაესახელებინა თანხა ასეთი გაკვეთილის ჩატარებისათვის. თალესმა მართლაც ბრძნული პასუხი გასცა: ჩემთვის საკმარისი გადასახადი ის იქნება, როცა ამას მოყვები, პირველად მომჩენად მე დამასახელო და შენ არ მიიწერო.

განსაკუთრებული იყო თალესის როლი პითაგორას მიმართ. ახალგაზრდა პითაგორა ვერ შეეგუა სამოსზე ტირანიას, ფარულად დატოვა კუნძული და გადავიდა მილეტში. თალესმა სინარულით მიიღო საოცარი ნიჭით დაჯილდოებული ჭაბუკი, ზრუნავდა მისი ცოდნის გაფართოებაზე, რამაც შესანიშნავი შედეგი გამოიღო. მისი სახით ანტიკურმა სამყარომ (და მსოფლიომ) მიიღო საოცრებათა დიდი შემოქმედი.

თალესი ელინ ბრძენთაგან პირველი მსჯელობდა სიცოცხლის წარმოშობაზე. მისი აზრით, სიცოცხლის წყარო იყო წყალი (თალესის წყალს მისმა მოწაფეებმა დაუმატეს ჰაერი, მიწა, ცეცხლი). იგი დედამიწას წარმოიდგენდა სამყაროს ცენტრში, რომელიც იდგა წყალზე. ოკეანის ღელვის დროს დედამიწა ირყეოდა, რაც იწვევდა მიწისძვრას.

თალესის ცხოვრების ამსახველი ფრაგმენტების მიხედვით, იგი აქტიური და ფართო ინტერესების მქონე პიროვნება იყო. მეცნიერული მიზნებით მოგზაურობდა ეგვიპტესა და მცირე აზიაში. იგი ელინური პოლისების სასურველი სტუმარი იყო.

თალესი ისეთი ბრძენი იყო, რომელსაც სახელისუფლებო სტატუსი არ ეკავა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შორს იდგა პოლიტიკისაგან. იგი ზრუნავდა იონიის ქალაქების თავდაცვის უნარიანობის გაზრდაზე. წამოაყენა წინადადება იონიის თორმეტი ქალაქის გაერთიანების შესახებ. დიდი გავლენით სარგებლობდა მილეტში, რომლის ტირანი თრასიბულე განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა მის ბრძნულ რჩევებს (ამ რეალობის შესახებ გარკვევით მიუთითებს დიოგენე ლაერტი). სწორი დიპლომატიური წინასწარხედვით თალესმა იონიას ბევრჯერ ააცილა განსაცდელი.

თალესი სამხედრო სტრატეგიაშიც ბრძენი იყო. იგი წავიდა წინააღმდეგი მილეტის კავშირისა კრეზესთან კიროსის წინააღმდეგ, რადგან გრძნობდა, რომ ლიდია დამარცხდებოდა და სპარსელები მის მოკავშირეებს პასუხს მოსთხოვდნენ.

ჰეროდოტეს აღწერილი აქვს სპარსელებისა და ლიდიელების ბრძოლის ერთი ეპიზოდი, რომელშიც კარგად ჩანს თალესის უპირატესობა სამხედრო საქმის თავის თანამედროვე სპეციალისტებზე. ისტორიკოსის სიტყვებით, კრეზეს არმია მიაღდა მდინარე ჰალისს. მეორე ნაპირზე გადასასვლელად არც ხიდი იყო და არც ფონი. თალესმა შეადგინა გეგმა, რომლის მიხედვითაც, უნდა გაეჭრათ არხი, მდინარე გაეყოს ორად, წყლის დონე დაიკლებდა და მეომრები ადვილად შეძლებდნენ გადასვლას. ყველაფერი ბრძენის ჩანაფიქრის მიხედვით გაკეთდა. დაპატარავებული ჰალისი ლიდიელებმა გადალახეს და მტერს შეეებნენ, მაგრამ განწირული კრეზეს შველა თალესის გენიამ ვერ შეძლო (სპარსეთთან ომამდე კრეზეს სოლონი შეხვდა და ადამიანის ბედნიერების განმსაზღვრელი შეგონებანი უქადაგა).

თალესი პირადი ცხოვრების კეთილმოწყობაზე თითქმის არ ზრუნავდა. ოჯახი არ შეუქმნია. არსებობს ასეთი გადმოცემა, როდესაც ახალგაზრდა იყო, დედამ ურჩია, ცოლი შეირთო. ბრძენმა უპასუხა, ჯერ ადრეაო. გავიდა დრო, დედამ იგივე გაუთქორა. თალესმა მიუგო, უკვე გვიანიაო.

ტირანის კარისკაცები კიცხავდნენ თალესს. თვლიდნენ, რომ მისი მეცნიერული ინტერესები უსარგებლო იყო. არგუმენტად ასახელებდნენ სიღარიბეს. თითქოს პრაქტიკული უნარის არმქონე თალესმა, ციურ სხეულებზე დაკვირვებისას გამოიცნო, რომ უახლოეს ზაფხულში იქნებოდა ზეთისხილის უხვი მოსავალი. საქმით დაინტერესებულმა ბრძენმა წინასწარ შეიძინა მილეტისა და ქიოსის ზეთსახდელები. დაიწყო მოსავლის აღება. ზეთსახდელთა უძრავ-

ლესობას თაღესი ფლობდა. მეცნიერი მათ აქირავებდა და მნიშვნელოვანი მოგებაც ნახა. თაღესმა დაამტკიცა, რომ ბრძენს სურვილის შემთხვევაში მარტივად შეუძლია გამდიდრება, მაგრამ ეს არ არის მისთვის მთავარი.

თაღესი ბრძენთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ამის დამადასტურებელია ანტიკური მხატვრული ლიტერატურა. პლუტარქეს „შვიდი ბრძენის ნადიმში“ თაღესს დანარჩენი ბრძენები ხაზგასმული პატივისცემით ეპყრობიან. პლუტარქე წერს, როგორ შეიძლებოდა ემსჯელათ რთულ საყოფაცხოვრებო და ფილოსოფიურ საკითხებზე ეპოქის გამოჩენილ ადამიანებს. პლუტარქეს თხზულება მხატვრული ნაწარმოებია, რომლის შინაარსსაც საფუძვლად ბრძნული აზრების ჭიდილი უდევს. პლუტარქე თაღესს თანამედროვეთაგან ყველაზე მაღლა აყენებდა. სოლონის ბიოგრაფიაში იგი წერს, ცოდნითა და სიბრძნით დროს მხოლოდ თაღესმა გაუსწრო, სხვებმა ბრძენის სახელი გონივრული პოლიტიკური მოღვაწეობით მოიხვეჭესო.

პლუტარქეს აღწერილი აქვს სოლონის სტუმრობა თაღესთან და მათ შორის გამართული კამათი ოჯახური ბედნიერების შესახებ. ათენელი ბრძენი საყვედურობდა მილეტელს იმის შესახებ, რომ ცოლი და შვილები არ ჰყავდა.

თაღესი სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა დაკვირვებებს ციურ სხეულებზე. დაცულია ანეგდოტური გადმოცემა. ერთხელ ღამით, როცა ვარსკვლავებს შეჰყურებდა, ვერ შეამჩნია წინ არსებული ორმო და ჩავარდა. მომხდარ ფაქტს ირონიული რეპლიკით გამოეხმაურა მსახური: ოი, თაღეს, იმის ძალა არა გაქვს, შეამჩნიო, რა ხდება შენს ფეხებთან, და ცდილობ დაინახო — რა ხდება ზეცაზე.

ლიოგენე ლაერტს დაცული აქვს სოლონისადმი მიწერილი თაღესის წერილის შინაარსი. წერილი მიჩნეულია გვიანი პერიოდის რიტორიკულ სავარჯიშოდ, მაგრამ შესანიშნავად არის ასახული ორი დიდი მოაზროვნის ინტერესების სფერო. თაღესი აუწყებს, მსურს გავხდე შენი თანამოსაუბრე. შენ სახლში ჯდომა გირჩევნია, არ გიყვარს უცხო ადამიანებთან შეხვედრა. შენი მთავარი საზრუნავი წერაა. ჩვენ არ ვწერთ, სამაგიეროდ ვმოგზაურობთო. თაღესმა იცის, რომ სოლონი ტირანიის მტერი იყო, ამიტომ ამშვიდებდა მეგობარს, რომ მილეტში საფრთხე არ ემუქრებოდა.

თაღესი ღრმად მოხუცებული (ზოგიერთი ვერსიით 93 წლის

ასაკში) გარდაიცვალა. გადმოცემის თანახმად, დატოვა ანდერძი, დაესაფლავებინათ მილეტის ყველაზე მიყრუებულ ადგილას; დარწმუნებული იყო, მისი საფლავის შემოგარენი ქალაქის აგორად გადაიქცეოდა.

ანტიკურ სამყაროში თაღეს მილეტელი დიდების გვირგვინით იყო შემკული. მისი სახელის წინაშე კლასიკური პერიოდის გენიოსებიც კი ქედს იხრიდნენ.

სოლონი იყო ათენელი კანონმდებელი (ცხოვრობდა დაახ. 640-560 წლებში). სხვა ბრძენებთან შედარებით, სოლონის შესახებ ვრცელი ლიტერატურა არსებობს (ჰეროდოტე, არისტოტელე, პლუტარქე. მნიშვნელოვანი ინფორმაციების შემცველია მისი ლექსებიც). განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პლუტარქეს პარალელურ ბიოგრაფიებში დაცული ცნობები.

სოლონი წარჩინებული, მაგრამ ხელმოკლე ოჯახის შვილი იყო. გაიარა იმ დროისათვის აღიარებული საგანმანათლებლო სკოლის ყველა საფეხური. ახალგაზრდობაში ვაჭრობდა, მოგზაურობდა, ეცნობოდა ძველი კულტურის ქვეყნებს, ცოდნასთან ერთად საკმაო სიმდიდრეც დააგროვა და ათენში დაბრუნებული შეუდგა აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას.

ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარში ათენი მღელვარების ალში იყო გახვეული. ქვეყნის ისედაც მცირე მიწებს ძირითადად გვაროვნული არისტოკრატის წარმომადგენლები ფლობდნენ. საარსებო საშუალებებს მოკლებულ დემოსს უკიდურესად მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება.

ათენში არსებული მდგომარეობის შესახებ არისტოტელე წერს, „ხალხის უმრავლესობა დამონებული იყო უმცირესობის მიერ, ხალხი აჯანყდა წარჩინებულთა წინააღმდეგ“. პლუტარქე დემოსის უკმაყოფილების მიზეზებს უფრო მძაფრად გადმოგვცემს, „მთელი უბრალო ხალხი მდიდრების ხელში იყო ჩავარდნილი. ერთნი მიწას უმუშავებდნენ მდიდრებს, რომელნიც მათ მოსავლის მეექვსედს აძლევდნენ; ასეთი მოვალენი ჰქექემორებად და თეტებად იწოდებოდნენ, მეორენი კი საკუთარი თავის საწინდარში იღებდნენ სესხს. გამსესხებულ მევახშეებს შეეძლოთ ან თავის მონებად დაეტოვებინათ ისინი, ანდა უცხო ქვეყანაში გაეყიდათ. ბევრი მოვალე იძულებული იყო, საკუთარი შვილები გაეყიდა“.

ასეთი იყო სოციალური სურათი სოლონის დროინდელ ათენში. არ ჩანდა არსებული მდგომარეობის შეცვლის იმედი. ისიც გასათ-

ვალისწინებელია, რომ ათენი სოლონის დროს წარმოადგენდა რიგით ბერძნულ პოლისს, რომლის საგაჭრო ბრუნვა საგრძობლად ჩამორჩებოდა სხვა ქალაქებისას. უმნიშვნელო იყო მისი სახელოსნო პროდუქციაც. ქალაქი საგარეო ვაჭრობაზე იყო დამოკიდებული. ეკონომიკურ პრობლემებს ემატებოდა სამხედრო წარუმატებლობანი. სალამინი განიხილებოდა ათენის საზღვაო კარიბჭედ. მაგრამ კუნძული მეგარას ჰქონდა დაპყრობილი. სალამინისათვის ბრძოლაში ათენი რამდენიმეჯერ დამარცხდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ სახალხო კრებაზე სალამინის ხსენება აკრძალეს.

სალამინის პრობლემის მოგვარებას სათავეში ჩაუდგა სოლონი და საოცრად ორიგინალური გზით კუნძული ათენის მფლობელობაში გადავიდა. მოპოვებულმა გამარჯვებამ გაზარდა მისი ავტორიტეტი. ატიკის სრულუფლებიან მოქალაქეთა თანხმობით, სოლონი აირჩიეს არქონტად (ძვ.წ. 594 წელს), წყაროების თანახმად, მომრიგებელ მოსამართლედ და კანონმდებლად.

სოლონი თანამდებობის დაკავებისთანავე შეუდგა სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებას.

ამ პერიოდის სირთულენი რეფორმატორს გადმოცემული აქვს თავის პოეზიაში (ლექსებს ყველა ბრძენი წერდა, მაგრამ სოლონის შემოქმედება გამორჩეულია).

სოლონი არჩეული იყო ერთი წლით. ამიტომ ყველა რეფორმის დამტკიცება მოკლე დროში უნდა მოესწრო. პლუტარქე გვაუწყებს, მდიდართა და ღარიბთა შორის არსებული უთანხმოების მოგვარება მხოლოდ ტირანიას შეეძლო და სოლონს ურჩევდნენ ერთპიროვნული მმართველობა დაემყარებინა. ბრძენს მეგობრებისთვის უთქვამს: ტირანია კარგი ადგილია, მაგრამ იქიდან თავის დაღწევა ძნელია.

სოლონის დასაყრდენი გახდა სახალხო კრება. მის მიერ წამოყენებულ კანონპროექტებს დემოსი სრული მარდაჭერით ხვდებოდა.

პირველი კანონი, რომელიც რეფორმატორმა გაატარა, იყო საჯარო კაბალის გაუქმება, სეისახთია („ტვირთის“ მოხსნა). აიკრძალა ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში ადამიანის გაყიდვა. კანონის ძალით, დავალიანების გამო გაყიდული მოქალაქეები უნდა გამოესყიდათ.

სოლონის საკანონმდებლო რეფორმები დაიწყო დრაკონის რეფორმების გაუქმებით (გარდა იმ კანონისა, რომელიც მკვლელობას შეეხებოდა).

არისტოტელეს სიტყვებით, “წარმოშობითა და სახელით სოლო-

ნი ეკუთვნოდა სახელმწიფოს უპირველეს ადამიანებს, ქონებითა და ცხოვრების წესით საშუალოს“. სოლონი თავის ელეგიებში აცხადებდა, რომ მის მიზანს შეადგენდა როგორც ევპატრიდების, ისე დემოსის სამსახური (თუ როგორ შეასრულა დანაპირები, მოგვითხრობს მის მიერ გატარებული რეფორმები, რომლებმაც ათენის მონათმფლობელური პოლისი განსხვავებულ სივრცეში გადაიყვანა).

სოლონი კარგად გრძობდა, რომ ატიკის მოსახლეობის უკმაყოფილების მთავარი მიზეზი იყო გვაროვნული არისტოკრატის შეუზღუდავი უფლებები. არსებული წესრიგის შეცვლას დემოსთან ერთად ესწრაფოდნენ გაღარიბებული ევპატრიდებიც, რომლებსაც გვაროვნულ არისტოკრატიასთან კავშირი გაწყვეტილი ჰქონდათ.

სოლონის გატარებულ რეფორმათა შორის განსაკუთრებული როლი შეასრულა ქონებრივი ცენზის დაწესებამ ანუ ტიმოკრატიულმა რეფორმამ. რეფორმის თანახმად, ათენის თავისუფალი მოსახლეობა, მეტეკების (არაათენელების) გამოკლებით, ყოველწლიური შემოსავლების მიხედვით დაიყო ოთხ კლასად. ცენზის საზომი იყო მედიმნი (ერთი მედიმნი — 52 ლიტრა ღვინო ან ხორბალი). პირველ კლასში შედიოდნენ ისინი, რომელთა წლიური შემოსავალი იყო 500 მედიმნი; მეორე კლასში — სამას მედიმნიანები, მასში შედიოდნენ მხედრები; მესამეში — ორასმედიმნიანები — ძვეგიტები; მეოთხე კლასში შედიოდნენ ორას მედიმნზე ნაკლების ან საერთოდ არაფრისმქონენი, თეტები.

ქონებრივი ცენზის დაწესება განსაზღვრავდა სამხედრო ვალდებულებებსაც.

ქონებრივი ცენზი გახდა პოლიტიკური უფლებების განმსაზღვრელი. პირველი და მეორე კლასის მოქალაქეებს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეეძლოთ ნებისმიერი თანამდებობის დაკავება. მესამე კლასი სარგებლობდა პასიური უფლებებით, არ შეიძლებოდა მათი არჩევა არქონტად და, აქედან გამომდინარე, ვერ მოხვდებოდნენ არეოპაგში. მეოთხე კლასის მოქალაქეებს შეეძლოთ არჩევნებში ხმის მიცემა, მაგრამ კანონით ვერცერთ თანამდებობას ვერ დაიკავედნენ.

ქონებრივი ცენზის შემოღებით სოლონიმ გაანადგურა ევპატრიდების პრივილეგიებული მდგომარეობა. მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების განმსაზღვრელი გახდა არა გვარიშვილობა, არამედ ქონება.

სოლონის რეფორმებით არეოპაგის უფლებები შემცირდა, მისი

ფუნქციები სხვა ორგანოებზე გადანაწილდა. არეოპაგს ჩაენაცვლა ბუღე (ოთხასთა საბჭო). ატიკა დაყოფილი იყო ოთხ გვაროვნულ ფილედ, თითოეული ირჩევდა 100 წევრს. რეფორმით გაფართოვდა სახალხო კრების (ეკლესიის) უფლებები. იგი განიხილავდა უმთავრეს პოლიტიკურ საკითხებს, ირჩევდა თანამდებობის პირებს და ისმენდა მათ ანგარიშებს. სახალხო კრების უფლებების გაზრდამ შეამცირა არისტოკრატიული არეოპაგისა და არქონტების კოლეგიის უფლებამოსილება. სახალხო კრება გადაიქცა ათენის დემოკრატიის საკანონმდებლო ორგანოდ. მის სხდომებზე დასწრების უფლება ჰქონდა ათენის ყველა სრულუფლებიან მოქალაქეს, რაც განუზომლად ზრდიდა მის ავტორიტეტს.

სოლონის სახელთანაა დაკავშირებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს (ჰელიეიას) შექმნა. მსაჯულების არჩევა ხდებოდა ფილევების მიხედვით, ყურადღება არ ექცეოდა ქონებრივ ცენზს. მოსამართლეობის უფლება ჰქონდა ნებისმიერ თავისუფალ მოქალაქეს. ამ რეალობის გათვალისწინებით, ჰელიეია სოლონის კონსტიტუციაში ყველაზე დემოკრატიული დაწესებულება იყო.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავდა არა მარტო სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკითხებს, არამედ აკონტროლებდა თანამდებობის პირთა საქმიანობასაც. ჰელიეიას წევრი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ოცდაათ წელზე ნაკლები წლოვანების ახალგაზრდა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი ითვლებოდა საბოლოოდ. ჰელიეია ემსახურებოდა დემოკრატიული პრინციპების გაძლიერებას.

სოლონის რეფორმები მოიცავდა ათენის სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროს. მისი ინიციატივით მოხდა ზომისა და წონის ერთეულების უნიფიკაცია. გააუქმა ადგილობრივი ზომა-წონის ერთეულები, რაც ბარიერს უქმნიდა სავაჭრო ურთიერთობას არა მარტო გარე სამყაროსთან, არამედ ატიკაშიც. ეგინის ფულადი სისტემის ნაცვლად ათენი გადაიყვანა ევბეის სისტემაზე. ფულის რეფორმამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ათენის საგარეო ვაჭრობას.

სოლონმა აკრძალა ათენიდან ზორბლის გატანა, რადგან ამ მხრივ ქალაქი დამოკიდებული იყო გარე ბაზარზე, სამაგიეროდ ახალისებდა ღვინისა და ზეთისხილის გატანას.

სოლონის რეფორმამ მოაწესრიგა ანდერძთან დაკავშირებული წინააღმდეგობანი. კანონი უშვებდა თავისუფალ არჩევანს. მოქა-

ლაქეს უფლება ეძლეოდა, ქონება გადაეცა საკუთარი სურვილით. ადრე უმემკვიდრედ გარდაცვლილის მიწა გადადიოდა გვარის ხელში. კანონი ნებას რთავდა გვაროვნული სამფლობელოების დანაწილებას.

ხელოსნობის განვითარებას ისახავდა მიზნად კანონი, რომლის თანახმადაც, შვილი არ იყო ვალდებული, მიეხედა მოხუცი მშობლებისათვის იმ შემთხვევაში, თუ მათი ხელშეწყობით რაიმე ხელობა არ ჰქონდა შესწავლილი.

რეფორმატორის მთავარი ამოცანა იყო ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარება და წახალისება. ამასთან ერთად, იგი იბრძოდა ყოველგვარი ზედმეტი და უნაყოფო ხარჯების წინააღმდეგ. სპეციალური კანონი მოითხოვდა გარდაცვლილის დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას. იკრძალებოდა მდიდრული აკლამების აგება.

ბრძენი სოლონი კანონებით აწესრიგებდა ადამიანთა საყოფაცხოვრებო საკითხებს, რათა კონფლიქტები თავიდან აეცილებინა. პლუტარქე წერს, ატიკა ღარიბია წყლით და მოსახლეობა ძირითადად ჭებით სარგებლობდა. ახალი კანონმდებლობით, თუ კაცი ათ საჟენზე ამოთხრიდა მიწას, მაგრამ წყალი არ ამოვიდოდა, მაშინ მას უფლება ეძლეოდა ესარგებლა, მეზობლის ჭით, ოღონდ დღეში ორჯერ ექვს-ექვს ჩაფზე მეტი წყალი არ უნდა ამოეღო.

კანონმდებელი მიუთითებდა, სასაზღვრო ზოლში როგორ დაერგათ მცენარეები, ისე, რომ ხეებს ერთმანეთი არ დაეჩრდილათ. რეფორმატორი ითვალისწინებდა მეფუტკრეობასაც. მისი განსაზღვრით, ფუტკრის სკა სამასი ნაბიჯით უნდა ყოფილიყო დაშორებული მეზობლის სკისაგან.

სოლონის კანონმდებლობა დიდ ყურადღებას უთმობდა ოჯახს, ურთიერთობას ცოლსა და ქმარს შორის.

სოლონის კანონი კრძალავდა მიცვალებულის აუგად მოხსენიებას. იკრძალებოდა, აგრეთვე, ცოცხალთა ლანძღვაც ტაძრებში, სასამართლოებში, შეჯიბრებებზე. კანონის დარღვევისათვის დაწესებული იყო ჯარიმა.

ასეთი იყო ბრძენი სოლონის რეფორმატორული მოღვაწეობა, რომელმაც გაუხსნა გზა ათენში დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას. სოლონის რეფორმებით გვაროვნულმა არისტოკრატამ დაკარგა გარეგნული ბრწყინვალება.

სოლონი, თალესის მსგავსად, დიდი პოპულარობით სარგებლობ-

და იმდროინდელ კულტურულ მსოფლიოში. სიბრძნითა და გონებაშეხილვით აოცებდა ბერძნებსა და უცხოელებს. ამავე დროს კანონმდებელი თავისი ეპოქის უდიდეს პოეტად ითვლებოდა.

ანტიკური მწერლები პირველ რიგში ჰეროდოტე და პლუტარქე, სოლონის შესახებ საქებარ სიტყვებს არ იშურებენ. პლუტარქე წერს, რომ სოლონი ცოდნის გაღრმავებას მოხუცებულობის ასაკშიც კი ცდილობდა და სიახლის შექმნის წყურვილით გამოირჩეოდა.

სოლონი ბრძენთა მეგობარი და მათი ცოდნის შემფასებელ-გამზიარებელი იყო. პლუტარქე განსაკუთრებით გამოჰყოფს სოლონისა და ანაქარსის ურთიერთობას. მისი გადმოცემით, ათენში ჩასულმა ანაქარსისმა სოლონს სახლში მიაკითხა და უთხრა, მე უცხოელი იმიტომ მოვედი, რომ შენთან მეგობრობა მსურსო. სოლონმა მიუგო, მეგობრები შინ უნდა გაიჩინო. ანაქარსისმა მიუგო, შენ ხომ შინ ხარო. სოლონს მოეწონა მოსწრებული პასუხი, მიიღო სახლში და მართლაც დამეგობრდნენ. ეს ის დრო იყო როცა სოლონი კანონების შედგენაზე მუშაობდა. ანაქარსისმა ეს რომ გაიგო, სასაცილოდ აიგდო. იგი თვლიდა, რომ კანონები არ განსხვავდებიან ობობას ქსელისაგან. ანაქარსისი ათენის სახალხო კრებას დაესწრო და ასეთი შეფასება მისცა, „ბერძნებში ჭკვიანი ადამიანი სიტყვას ამბობს, უსწავლელნი კი საქმეს წყვეტენ“. ზოგიერთ არაკანონიკურ სიაში ანაქარსისი ბრძენადაც არის დასახელებული.

დიდი ხანი დაჰყო სოლონმა ეგვიპტეში. იკვლევდა საისელ და ჰელიოპოლისელ ქურუმთა დაფარულ სიბრძნეს. ეგვიპტელებისაგან მონიშნა გადმოცემა ატლანტიდის შესახებ, რაც შემდეგ პლატონმა გავრცობილი სახით აღწერა თავის დიალოგებში („ტიმაიოსი“, „კრიტია“). საყურადღებოა ის გარემოება, რომ პლატონი დედის ხანით სოლონის ძმის შთამომავალი იყო. პლუტარქე გულისტკივილით აღნიშნავს, პლატონი სოლონის პატივისცემის ნიშნად აგრძელებდა ატლანტიდაზე მუშაობას, მაგრამ ვერ დაასრულაო.

ჰეროდოტე და პლუტარქე საინტერესოდ გადმოგვცემენ სოლონის სტუმრობას ლიდიამი და საუბარს მეფე კრეზესთან. ლიდის მეფე ანტიკურ სამყაროში სიმდიდრის ეტალონად ითვლებოდა. იგი სოლონს სიხარულით შეხვდა, ძვირფასი ტანსაცმლითა და სამკაულებით დამშვენებული. ლიდის მპყრობელმა ხელქვეითებს უბრძანა, ათენელისათვის სამეფო საგანძური დაეთვალთქონებინათ, დარწმუნებულმა იმაში, რომ სოლონი აღტაცებული დარჩებოდა იმით, რასაც იხილავდა, ამიტომ, „ექსკურსიის“ დამთავრების შემ-

დეგ მედიდურად დაუსვა კითხვა: ჩემზე ბედნიერს თუ შეხვედრიხარო. კრეზე ფიქრობდა, რომ ათენელი ბრძენი ყველაზე ბედნიერ ადამიანად მას დაასახელებდა. მეფის იმედი არ გამართლდა. სოლონს ბედნიერებაზე განსხვავებული აზრი ჰქონდა და მან სრულიად უცნობი ადამიანები დაასახელა. გაკვირვებულ კრეზეს, ნუთუ ჩემი სიმდიდრე არაფერს ნიშნავსო, სოლონმა უთხრა, სიმდიდრე არ არის ბედნიერება; კაცი ბედნიერად იმის მიხედვით ჩაითვლება, როგორ გაატარა ცხოვრება და როგორი იყო მისი აღსასრულიო. კრეზეს ეჭვი შეეპარა სოლონის სიბრძნეში, მის მიმართ ინტერესი დაკარგა და აღმაცერად დაუწყო ყურება. პლუტარქე წერს, ამ ამბავმა ლიდის სამეფო კარზე მყოფი ეზოპე შეაწუხა და ათენელი ბრძენი დაამშვიდა: „მეფეებს, სოლონო, ან სულ არ უნდა გაეკაროს კაცი, ან არადა, მხოლოდ საამური უთხრას“. სოლონის სიბრძნე კრეზემ კიროსის ანთებულ კოცონთან იწამა და ცოცხლად დაწვისაგან მისი სიტყვების მოგონებამ გადაარჩინა.

სოლონის სიცოცხლის ბოლო წლებში ათენში დამყარდა ტირანია (ტირანი გახდა პისისტრატე, 560-527). წყაროების თანახმად, სოლონისა და პისისტრატეს დედები დეიდაშვილები იყვნენ. ამის მიუხედავად, სოლონმა შეურიგებელი პოზიცია დაიკავა და მოუწოდებდა ათენელებს ებრძოლათ ტირანიის წინააღმდეგ. მეგობრები აფრთხილებდნენ, თავი შეეკავებინა მკვეთრი გამოსვლებისაგან, მაგრამ თავისას არ იშლიდა. როცა უთხრეს, რისი იმედი გაქვსო, უპასუხა: სიბერისო (პისისტრატეს ტირანად არჩევის დროს სოლონი სამოცდაათ წელს იყო გადაცილებული). სოლონის შიში არ გამართლდა. პისისტრატე საოცრად ბრძენი მმართველი გამოდგა, მისმა ტირანიამ ათენის პოლიტიკური და კულტურული გავლენა გაზარდა. ხშირად იწვევდა სოლონს და რჩევას ეკითხებოდა. ტირანს სოლონის კანონები არ გაუუქმებია, მხოლოდ მოქმედების ფუნქციები შეუჩერა, ზოგში კი ცვლილებები შეიტანა.

პისისტრატე ორჯერ გააძევეს ათენიდან, მაგრამ ორივეჯერ დააბრუნეს.

პისისტრატემ უდიდესი როლი შეასრულა ელადის კულტურის ცენტრად ათენის დაკანონებაში. ამ დამსახურებათა გამო არ არის შემთხვევითი ის ფაქტი, რომ ბრძენთა არაკანონიკურ სიაში პისისტრატეც არის დასახელებული (მის მიერ მიღებული კანონებიდან რამდენიმეს გათვალისწინება თანამედროვეობასაც არ აწყენდა. მაგ., ომში დასახიჩრებული სახელმწიფო ხარჯზე უნდა შეენახათ;

აგრეთვე, არსებობდა კანონი სიზარმაცის წინააღმდეგ).

ბერძნულ საოცრებას, როგორც კაცობრიობის კულტურის დიდ ზეიმს, საფუძველი ბრძენად შერაცხულთა ეპოქაში ჩაეყარა.

ბიბლიოგრაფია

Диоген Лаэртский, О жизни, учениях и изречениях знаменитых философов. М., 1979

Геродот, История, М., 1972.

Страбон, География, М., 1964.

Плутарх, Пир семи мудрецов, Сочинения, М., 1983.

Платон, Соч. Т. 3, ч. 1, М., 1971.

Верве Г., Тираны Греции, Ростов-на-Дону, 1997.

Лурье С. Я., Очерки по истории античной науки, М.-Л., 1947.

Нейгебауер О., Точные науки в древности, М., 1968.

Очерки истории естественно-научных знаний в древности, М., 1982.

Древние цивилизации, М., 1989.

Античная Греция, т. 1, М., 1983.


Семь мудрецов древности, М., 2001.

ჰეროდოტე, ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. ტ. I, 1975, ტ. II, 1976.

პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო ა.ურუშაძემ, 1975.

დანელია ს., ნარკვევები ანტიკური და ახალი ფილოსოფიის ისტორიაში, 1978.

წერეთელი ს., ანტიკური ფილოსოფია, 1968.



ნიკო ბერძენიშვილი

თათართა ბატონობის ხანა *

თეზისები¹

მტრობა-ომების გარდა, საქართველოს ახლობელსა თუ შორეულ მეზობლებთან მშვიდობიანი კულტურული ურთიერთობაც ჰქონდა. ასეთი ურთიერთობისას ქართველი ხალხი უხვად სესხულობდა მეზობელთა კულტურულ მიღწევებს, ხოლო სამაგიეროდ საკუთარი შემოქმედების ნაყოფსაც ასევე უხვად უზიარებდა მათ. სამწუხაროდ, ეს მშვიდობიანი კულტურული ურთიერთობა ხშირად ირღვეოდა. შეიძლება არც მოიძებნებოდეს მსოფლიოში მეორე ისეთი მხარე, რომელსაც იმდენი შემოსევა-დაპყრობა და ტაცება-ოხრება განეცადოს, რამდენიც საქართველომ თავისი ხანგრძლივი ისტორიის სიგრძეზე განიცადა.

ჩვენ მეზობელთაგან არა ერთმა ხალხმა დაჰკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და დამპყრობელთ საბოლოოდ დაემონა. არა ერთი ძლიერი სახელმწიფო გაქრა და არა ერთი კულტურული ხალხი საბოლოოდ გადაშენდა. ქართველი ხალხი კი გადაურჩა ათას ქარტეხილს; უმაგალითო გმირული ბრძოლით მან დაიცვა თავისი კულტურული სახე.

მეცნიერული პასუხი საკითხზე, თუ როგორ იბრძოდა ჩვენი ხალხი, რაში იყო მისი ძალა და ამოურწვეველი სიცოცხლის უნარი, რა ჰკვებავდა მის უძლეველობას მტრებთან ბრძოლაში, — სრულიად კანონიერი მოთხოვნილებაა.

ამ წიგნაკის საგანი მართვია. ეს არის ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა თათარ დამპყრობელთა წინააღმდეგ XIII-XIV საუკუნეებში. ხანგრძლივი და მძიმე იყო ეს ბრძოლა, მაგრამ თავისუ-

* ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბ., 1966. გვ. 57-73.

ფლებსათვის ბრძოლა, სამართლიანი ომი საზარელი არ შეიძლება იყოს და ქართველი ხალხიც თავდადებით და შეუწელებლად იბრძოდა, სანამ მოძალადე-დამპყრობელთა უღელი ამაყ ქედიდან არ მოიშორა.

X საუკუნისათვის ქართველმა ხალხმა გამარჯვებით დაასურლა სამსაუკუნოვანი ბრძოლა არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ და ეროვნული შემოქმედების თავისუფალ გზაზე გამოვიდა.

X საუკუნის მიწურულისათვის ძირითადად დასრულდა საქართველოს ერთ ფეოდალურ მონარქიად გაერთიანების პროცესი. ამ ხანგრძლივ პოლიტიკურ პროცესს, საამისოდ საკმაო ეკონომიკურ-სა და სოციალურ საფუძველზე გაშლილს, თანსდევდა ქართველი ხალხის კულტურული გაერთიანება. X საუკუნეში უკვე შემოსულია ამ პოლიტიკურ-კულტურული მთლიანობის აღმნიშვნელი ტერმინი „საქართველო“. ამის შემდეგ ეს ტერმინი მკვიდრად დარჩა და ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურად დაშლის ფაშშიც კი არსებობდა. ძველი ერთიანი „ყოველი საქართველოს“ ნაცვლად, მაგალითად XVII საუკუნეში, მართალია, „ექვს საქართველოს“ ითვლიდნენ (ე. ი. ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგო, იმერეთი, სამეგრელო და გურია), მაგრამ ყველა ისინი მაინც „საქართველოები“ იყვნენ, ე. ი. შინა-პოლიტიკურად დაყოფილი ერთი მოდგმისა და კულტურის თანამოდმეები და, ამდენადვე, უცხოელებისაგან განსხვავებულნი.

XI-XII საუკუნეებში ჩვენს ქვეყანაში დიდი ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობდა. ამის შემდეგ ის იყო, რომ საქართველომ დასავლეთის ბერძნულ-ქრისტიანული სიბრძნე აითვისა და კულტურით მოქადულ ბიზანტიას ღირსეულად თვალი გაუსწორა. ამავე დროს ქართველი ხალხი მწყურვალედ დაქაფა აღმოსავლეთის ხალხთა (არაბთა, სპარსელთა) კულტურულ მიღწევებს. დასავლეთ-აღმოსავლეთის ამ საგანძურთა ქართულ კულტურულ ნიადაგზე გადმოტანით, ყველა ამათი ორგანული შედუღებით და ამ რთული სინთეზის შემდგომი განვითარება-ამაღლებით (XII ს.) ქართველმა ხალხმა თავისი შემოქმედებითი ძალა ძლიერად გამოამჟღავნა და საკუთარი კულტურული სახე უკვდავყო (რუსთაველი საამისო თვალშეუდგამი ძეგლის მწვერვალია).

XI საუკუნის მეორე ნახევარში ახლო აღმოსავლეთმა თურქ-სელჩუკ მომთაბარეთა დიდი გადმოსახლება განიცადა. შუა აზიიდან გამოსულმა ამ ნომადებმა დაიპყრეს ირანი, ამიერ-კავკასია, ბიზანტიას ჩამოგლიჯეს მცირე-აზიის დიდი ნაწილი, სირია-პალესტინა,

შექმნეს ძლიერი სამხედრო სახელმწიფო და დაპყრობილ ხალხთა უზარმაზარი კულტურული ტერიტორიები თავიანთი ჯოგების საძოვრებად გაიხადეს.

საქართველო უკიდურესი საფრთხის წინაშე დადგა. ქართლ-კახეთის თუ მესხეთის ჭალები თურქებმა თავიანთი ჯოგების საზამთრო საძოვრებად, ხოლო მთიანი ზეგანები იალაღებად გადააქციეს. ბაღ-ვენახისა თუ პურის ყანის ფართობები თანდათან ტრამალებმა და ტყეებმა დაიჭირეს. კულტურული ნამოსახლევი „აღსაესე იქმნა ირემთა და ეშუთა მიერ“.

დიდგვარიან აზნაურების საქართველო დამარცხდა თურქებთან ბრძოლაში და ქვეყანა ამოწყვეტა-გადაშენების საფრთხის წინაშე დადგა.

ქართველმა ხალხმა ამ საფრთხეს პოლიტიკური გადატრიალებით უპასუხა. ამ საქმის გმირი დაგით აღმაშენებელი იყო. მან დიდგვარიან აზნაურთა მემკვიდრეობითი ბატონობა პოლიტიკურ სფეროში წვრილ აზნაურ მოხელეებით შესცვალა. მთელი ქვეყნის ძალებს მაქსიმალური მობილიზაცია უყო და კარზე მომდგარი სასიკვდილო საფრთხე ქართველ ხალხს თავიდან ააშორა. ქართველებმა დაგითის ხელმძღვანელობით დაამარცხეს თურქი მომხდურები, მრავალწლოვანი ომებით გააძევეს ისინი საქართველოს საზღვრებიდან და საომარი ასპარეზი მათ წინააღმდეგ სომხეთსა და შარვანში გადაიტანეს.

XII საუკუნეში ფეოდალური საქართველო მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე გამოვიდა. ამ ხანებში ფეოდალურმა საქართველომ სოციალური განვითარების იმ დონეს მიაღწია, როცა ქვეყანაში დიდი პოლიტიკური კრიზისი მომწიფდა. ჯერ კიდევ გიორგი მესამემ, თამარის მამამ, დიდი გაჭირვებით ჩააქრო დიდგვარიანთა აჯანყება ხელისუფლების ცენტრალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ რომ იყო მიმართული. მეფის ხელისუფლების გამარჯვება დროებითი აღმოჩნდა. უკვე თამარის დროს ახალი საერთო გამოსვლის შედეგად დიდაზნაურებმა მტკიცედ მოიპოვეს მათი სოციალური მნიშვნელობის შესაფერისი პოლიტიკური უფლებები. გიორგი ლაშას ცდა, ძველი მდგომარეობის აღდგენისაკენ მიმართული, მარცხით დამთავრდა. დაგით აღმაშენებლის მიერ შექმნილმა პოლიტიკურმა წეს-წყობილებამ თავისი დრო მოჭამა.

ამ შინა-პოლიტიკური კრიზისის დროს ჩვენს ქვეყანას უდიდესი განსაცდელი მოევლინა. შუა აზიიდან მონღოლ-თათართა გადმოსახლება დაიწყო.

თათრები ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიიდან გამოვიდნენ. მათი წინამბრძოლი, თათართა მრავალი ტომის გამაერთიანებელი და მათი პირველი ხელმწიფეც, *ჩინგიზ-ყაენი იყო*. კულტურულად თათრები განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ. მათი მეურნეობა მეჯოგეობა და მონადირეობა იყო. სოციალური განვითარებაც ამის შესაფერი ჰქონდათ. კლასობრივი, ფეოდალური ურთიერთობა ფეხს ახლავდა იდგამდა. ხალხის ფართო მასები ჯერ ისევ გვაროვნული წყობილების წესებით ცხოვრობდნენ. თათრები ღარიბები იყვნენ, როგორც ეს მათ პრიმიტიულ მეურნეობას შეეფერებოდა. სულიერი კულტურაც საამისო ჰქონდათ: პირველყოფილი, წერა-კითხვაც კი მათთვის ჯერ ისევ უცხო იყო.

სამაგიეროდ თათრებს ბევრი ისეთი თვისება გააჩნდათ, რასაც მრავალი კულტურული ხალხი მოკლებული იყო. მონადირე-მეჯოგე თათრები უშიში მეომრები იყვნენ. ხანგრძლივი ლაშქრობა მათ პრიმიტიულ მეურნეობას ოდნავადაც არ აზიანებდა: საითაც მიდიოდნენ, თავისი ჯოგებიც თან მიჰყავდათ და ჯოგებთან ერთად ცოლ-შვილიც. თათართა ლაშქარი სულ მხედრობა იყო, ხოლო შეიარაღებით არავის არ ჩამოუვარდებოდა. მზა იარაღს თათრები მეზობელი კულტურული ხალხებიდან არაბი და სპარსი ვაჭრების საშუალებით იძენდნენ. ომში სპეციალური მომარაგება თათრებს არ სჭირდებოდათ: პურს არა სჭამდნენ, ხოლო ცხენის ხორცი და ცხენის რძე თან ჰქონდათ.

ჩინგიზ-ყაენმა დიდი ბრძოლის შედეგად გააერთიანა თათართა ტომები, ძლიერი და მტკიცე სამხედრო ორგანიზაცია შექმნა და უმაღლეს მებრძოლ ქვეყნების დაპყრობას შეუდგა საშოვარს დახარბებული მეომრების საშუალებით. ჩინგიზ-ყაენის სამხედრო ორგანიზაციის წინააღმდეგ უძლიერი აღმოჩნდნენ კულტურული ქვეყნები: *ჩინეთი, ინდოეთი, ხვარაზმის სასულთნო, კიევის სამეფო, საქართველო*. ერთი მეორის მიყოლებით, სულ რაღაც ოცი წლის განმავლობაში, ჩინგიზ-ყაენმა და მისმა მემკვიდრეებმა უზარმაზარი ქვეყნები დაიპყრეს. ასე შეიქმნა მონღოლ-თათართა სახელმწიფო, რომელსაც ისტორიაში არც მანამდე, არც შემდეგ სიდიდით ტოლი არ ჰყოლია.

საქართველოში მონღოლები ჯერ კიდევ 1220 წელს მოვიდნენ, როცა მათ მოსვლას აქ არავინ ელოდა. ქართველებს შორიდან ესმოდათ, რომ თათრები ხვარაზმის შაჰს ებრძოდნენ. ხვარაზმის ქვეყანა საქართველოს მეტოქე იყო და ქართველები თათართა მიერ

ხვარაზმ-შაჰის დამარცხებას სასურველადაც სთვლიდნენ. მართლაც, თათრებმა სწრაფად დაამარცხეს ხვარაზმ-შაჰი. ჩინგიზ-ყაენმა მხედართ-მთავარი *ჯეზე* და *სუბუდაი* ოცი ათასი კაციით ხვარაზმ-შაჰს *მუჰამედს* დაადევნა, თვითონ კი მუჰამედის შვილს *ჯალალს* გამოუდგა. ჯეზემ და სუბუდაიმ თათართა ჯარით ირანი მოითარეშეს და ამიერ-კავკასიაზე გავლით დარუბანდის გზით უკან დაბრუნება მოისურვეს. საქართველოს მეფემ გიორგი-ლამამ სასწრაფოდ ჯარი შემოიყარა და ამ უცნაური ხალხის წინააღმდეგ წავიდა. უცნაურმა თათრებმა ომის ხერხიც უცნაური იხმარეს. თავიანთი ჯარი ორად გაჰყვეს. ერთი ნაწილი ჩაასაფრეს, მეორემ კი ომი დაიწყო. კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ თათრებმა პირი იბრუნეს და გაიქცნენ, ქართველები დაედევნენ და ჩასაფრებულ თათართა რაზმსაც გასცდნენ. ამ დროს უკანასკნელნი წამოიშალნენ და ქართველთა ჯარი ორ ცეცხლშუა მოჰყვა: თათართა გაქცეული რაზმი შედგა და შემოუტია, ხოლო უკანა მხრიდან ჩასაფრებულებმა დაჰკრეს. მოულოდნელმა ხიფათმა ქართველ მეომრებს გული გაუტეხა. დამარცხდნენ, 5000 მეომარი დაეღუპათ, თემცა მცირე ზარალი არც თათრებს უნახავთ. გამარჯვების მიუხედავად თათრებმა ამ ხელად საქართველოს თავი დაანებეს და მხოლოდ მეორე წელს გაზაფხულზე სცადეს, მდიდარი საქართველოს ძარცვით გული ეჯერათ. მოსულ მტერს ქართველები ახლა უკვე დიდი ლაშქრით მზად დახვდნენ, თათრებთან ერთად საქართველოს საძარცვაად მებრძოლი თურქებიც მრავლად დაძრულიყვნენ. ქართველებმა მომხდურები დაამარცხეს. ჯეზე და სუბუდაი დარწმუნდნენ, რომ საქართველოს ძარცვა უიმედო საქმე იყო და სასწრაფოდ დარუბანდისაკენ წავიდნენ.

ქართველებსაც ეგონათ, რომ თათრები სამუდამოდ გაქრნენ ახლო აღმოსავლეთიდან, მაგრამ ცდებოდნენ. თათართა საშინელი ძალა ჯერ, მართალია, შორეული და შუა აზიის დაპყრობაში იყო გართული, მაგრამ ჩინგიზ-ყაენის დაპყრობითს გეგმებში ახლო აღმოსავლეთის კულტურული ქვეყნები სულ უფრო და უფრო საპატიო ადგილს იჭერდა და ეს მით უფრო, რაც თათრები უშუალოდ ეცნობოდნენ, ერთი მხრივ, ამ ქვეყნების სიმდიდრეს, ხოლო, მეორე მხრივ, მათი თავდაცვის შედარებით მცირე უნარს. ამის შედეგი იყო, რომ ჩინგიზ-ყაენმა, როცა თავისი მეფობის ბოლო ხანებში შვილებს შორის სახელმწიფო დაანაწილა, მან დაპყრობილი ქვეყნების გვედრით დასაპყრობიც წილში ჩააგდო.

საქართველოში თათართა მეორედ მოსვლა 1236 წლიდან დაი-

წყო. მაგრამ არც 1221-1236 წლებს შორის ხანა ყოფილა მშვიდობიანი. 1225 წლიდან 1231 წლამდე ახლო აღმოსავლეთი ხვარაზმის შაჰმა ჯალალ-ედდინმა შეაშფოთა. ხვარაზმიდან ლტოლვილ ჯალალს თათართა უკუქცევა გადაეწყვიტა. იგი ახლო აღმოსავლეთის კულტურულ ხალხთა გაერთიანებისა და თათართა წინააღმდეგ მათი დარაზმვის მეთაურობას იჩემებდა. მაგრამ ჯალალისა არავის სჯეროდა. გუშინდელი დამპყრობელი დღეს თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის როლში არ გამოდგებოდა. ჯალალმა, რაკი მოლაპაკარებით არაფერი გამოუვიდა, ისევ დაპყრობა არჩია: მრავალი ქვეყანა ააოხრა, მრავალი ათასი ადამიანი გაჟლიტა, მაგრამ ვერა გააწყო რა, — მოღალატეებისა და მტრების მეტი ვერაფერი შეიძინა. ბოლოს, 1231 წელს, როცა თათრებმა ირანი დაიპყრეს, ჯალალი სულ მარტო დარჩა: ჯარი გაექცა, ახლობლებმაც უღალატეს და ხვარაზმ-შაჰი უსახელოდ დაიღუპა. ჯალალის ამ უგუნურმა მოღვაწეობამ თათრებს მოსვლა გაუადვილა: მისგან განაწამები ხალხები თათრებს მხსნელებად უყურებდნენ, პირველ ყოვლისა ქრისტიანები, რომელთაც ხვარაზმ-შაჰი განსაკუთრებით მტრობდა. მაგრამ ჯალალის მტარვალობისაგან „მხსნელი“ თათრები რომ არანაკლები დამპყრობლები იყვნენ, ამაში კულტურული ახლო აღმოსავლეთი ჩქარა დარწმუნდა.

მოკლედ: თათართა განსაკუთრებულმა სიძლიერემ, მათმა უცნაურობამ, ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის ბოლომოდებელმა მტრობამ, ფეოდალური საზოგადოების შიგნით გამწვავებულმა კლასობრივმა ბრძოლამ დამპყრობელთა გამარჯვება შესაძლებელი გახადეს და კულტურულად დაწინაურებული საქართველოც (სხვა მეზობელ ქვეყნებთან ერთად) ჩამორჩენილ თათართა ბატონობის უღელს შეუდგა.

მაინც თათრებს დიდი ბრძოლების გადახდა დასჭირდათ, ვიდრე საქართველოს, თუნდაც დროებით, დაიმორჩილებდნენ. 6 წლის განმავლობაში აოხრებდნენ თათართა ურდოები ჩვენს ქალაქებს, ციხეებს, სოფლებს. მტერი კარგად ხედავდა ქართველთა ძლიერებას და მოწინააღმდეგის გასატეხად ცდას არ აკლებდა. თათრები მზაკვრულად ცდილობდნენ ქართველთა საერთო ფრონტში განხეთქილება შეეტანათ. კლასობრივ ფეოდალურ საზოგადოებაში ასეთი ხერხი ადვილად სჭრიდა. მტრის მხარეზე გადასულ ქართველ მოღალატეს თათრები უხვად წყალობას ანიჭებდნენ. მაგალითად, მოღალატე ელიგუმ ორბელს თათრებმა უწყალობეს ვრცელი ქვეყნები. ეს ქვეყნები

ელიგუმის მეზობელი ქართველი ფეოდალებისა იყო, რომლებიც ჯერ არ დამორჩილებოდნენ და თათრების წინააღმდეგ მედგარ ბრძოლას განაგრძობდნენ.

ელიგუმს მოღალატეობა ჩქარა ჩამწარდა. რაკი საჭიროების-დაგვარად მოიხმარეს, შემდეგ არც თათრები სცემდნენ დიდ პატივს სამშობლოს ორგულს. ამიტომაც იყო, რომ თათრებმა არც დიდად შეიწუხეს თავი, როცა მათი ერთგული და ნამსახური ელიგუმი ქართველებმა საიქიოს გაისტუმრეს. ეს იყო 1242 წლის ახლო ხანში. მაგრამ ელიგუმისაებრ საზიზღარი მოღალატეების გვერდით იმ დროის მწერლები თავდადებულ მეომრებზეც მოგვითხრობენ. როდესაც გამუდმებული ხანგრძლივი ბრძოლით მოღლილი ქვეყნები ერთი მეორის მიდევნებით დამპყრობელთ დაემორჩილნენ, სამცხის მთავარი ივანე ციხისჯვარელი ფარხმალს არ ჰყრიდა და, სანამ ქუთაისში შეხიზნულმა მეფე რუსუდანმა მტერს მორჩილება არ გამოუცხადა, ეს მთავარი მედგარი წინააღმდეგობით სიცოცხლეს უმწარებდა თათართა ჯარებს.

XIII საუკუნის ორმოციან წლებში თათრები ყოველმხრივ შემოადგნენ თბილისს. ქართველებმა თვით გადასწვეს საყვარელი დედაქალაქი და მტერს ნაცარ-ფერფლი დაუტოვეს. რუსუდან მეფე ქუთაისს გადასულიყო. ამოდ ცდილობდნენ თათრები დასავლეთ საქართველოში შეჭრას. ქართველებმა ადვილად ჩახერგეს ვიწრო გზები, მტკიცედ დაუხვდნენ მტერს გადასავლებსა თუ ხეობებში და მძიმედ დაზარალებული თათრები მალე აიძულეს, ხელი აეღოთ ლიხთ-იმერეთის დაპყრობის განზრახვაზე. სამაგიეროდ, საქართველოს დანარჩენი ნაწილები თათრებმა მკვიდრად ჩაიგდეს ხელში.

ქუთაისში განიზნული მეფე უშედეგოდ ცდილობდა დამხმარემოკავშირე ეშოვნა თათართა წინააღმდეგ. ახლობელი ქვეყნები სულ თათრებს დაეპყროთ, შორეულნიც შიშით იღეოლნენ. ქართველთა მეფემ აღიარა თათართა ბატონობა და ყოველწლიური ხარკითა და ლაშქრით მიშველება აღუთქვა. თათრებმა რუსუდანის უფლება საქართველოს დაპყრობილ ნაწილზედაც სცნეს. ასე რომ, ქვეყანა საშიშ დანაწილებას გადაურჩა.

ამით საბოლოო ზავი თათრებსა და ქართველებს შორის, რა თქმა უნდა, არ დამყარებულა და ქართველ ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლაზე ხელი არ აუღია. მონება-მორჩილების გამოუცდელ ქართველთა თაობებს თათართა ხარკი და სამხედრო სამსახური ემძიმებოდათ. ქართველები თათართა მიერ დაპყრობილ ხალხთა

შორის ყველაზე უფრო ქედფიცხელებად ითვლებოდნენ და, უნდა ითქვას, რომ თუმცა თათრები მათ ამ დაუმორჩილებლობისათვის სასტიკად ებრძოდნენ, მაგრამ **ამაყ და მებრძოლ ხალხს პატივსაც სცემდნენ**. თათართა ურდოში მაღალი და საპატიო თანამდებობების მინიჭებით დამპყრობლები ცდილობდნენ ქართველი დიდაზნაურების უმაღლესი ფენის მიმხრობას და ამით ქართველთა წინააღმდეგობის შენელებას. მტერს აქ მარცხი ელოდა. ცალკეული პირები მათ, მართალია, მოისყიდეს, მაგრამ უკმაყოფილება ისე ძლიერი იყო, რომ დამპყრობელთა წინააღმდეგ აჯანყება ჩქარა ქართველთა მორიგ საკითხად იქცა.

ერთ-ერთი აჯანყების შესახებ შემდეგი საინტერესო მოთხრობა აქვს დაცული იმდროინდელ მწერალს: 1247 წელს საქართველოში მეფე არ იყო. რუსუდანი გარდაცვლილიყო, მისი ვაჟი დავითი კი შორეულ მონღოლეთში წასულიყო, რომ თათართა ყაენისაგან, რომელიც ყარაყორუმში იჯდა, საქართველოში მეფობის ნებართვა მიეღო. იქვე გამგზავრებულიყო ლაშა-გიორგის შვილიც. ისიც მეფობას ეძებდა. აი, ამ უმეფობის ხანს ქართველებს აჯანყება გადაეწყვიტათ. ქვეყნის მმართველი თავ-კაცები ჯაფახეთში, კონტასთავს, შეიკრიბნენ: **გვარსლან ბაკურციხელი, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, გვარყვარე ჯაყელი, შოთა კუპრი, თორღვა პანკელი, გამრეკელ თორელი, სარგის თმოგველი** და სხვანი. მთავრები შეითქვენ, შეთანხმდნენ და აჯანყების დღეც დანიშნეს, როცა ყველანი თავთავიანთი ლაშქრით შიდა-ქართლში უნდა მისულიყვნენ, მაგრამ ვიღაც მოღალატემ შეთქმულება გასცა.

კრება ჯერ მთლად არ დაშლილიყო, რომ თათართა ჯარი შეთქმულებს თავს წამოადგა. კრების მონაწილენი დააპატიმრეს. ანისის მხარეს, შირაკაგანს, თათართა მთავარ სადგომში წაიყვანეს. რა წამება არ მიაყენეს მტარვალებმა, შეთქმულები მაინც ვერ გასტყვეს. თითოეული პატიმარი დაჟინებით ერთსა და იმავეს გაიძახოდა, რომ მათი შეკრების მიზანი არა შეთქმულება, არამედ თათართათვის მისართმეველი ხარკის აკრეფის საკითხი იყო. თათრებს ასეთი პასუხისა ბარემ არა სჯეროდათ, მაგრამ ბრალდებულთა ეს სიმტკიცე-გაუტეხლობა მათ თანდათან აეჭვებდა. პატიმარ ქართველებს შორის **ცოტნე დადიანი** არ ერია. კონტასთავის კრებიდან მან ზოგიერთ სხვასთან ერთად თათართა მოსვლას გაასწრო და დაპატიმრებას გადარჩა. პაემანის თანახმად ცოტნემ მოუწოდა დასავლეთ საქართველოს პატრიოტებს. აჯანყებულთა ლაშქარს ცოტნე წამოუძღვა და სამცხის საზ-

ღვარზე მოსულმა შეთქმულების ჩაშლის საზარელი ამბავი შეიტყო.

მარცხმა გმირი ვერ გატეხა. აჯანყების საქმე ამჯერად წაგებული ჩანდა და მისი ასეთ პირობებში დაწყება მხოლოდ საზარალო და მავნებელი იქნებოდა. ცოტნემ სწორედ განსაჯა, ლაშქარი სახლში დააბრუნა და შეთქმულ თანამებრძოლთა გადარჩენის საქმეს შეუდგა. დადიანმა დაპატიმრებულთა ვითარება გამოიკითხა და ამის შესაფერისად გაბედული მოქმედების გეგმა დაიწყო. თათრებს შორის ქართველებს გულადებისა და პირდაპირ მთქმელთა სახელი ჰქონდათ დაფარდნილი. ცოტნემაც ამ გარემოებაზე ააგო თანამებრძოლთა გამოხსნის გეგმა. დადიანი ორიოდე მხლებელით გაეშურა ანისისაკენ და იქ მიიჭრა, სადაც ნახევრად შიშველი მხარშეკრული შეთქმული ქართველები მოედანზე ეყარნენ. დადიანმა სამოსელი გაიხადა, მხლებელთ ხელები ზურგზე დააკვრევინა და მოედანზე პატიმრებს შორის დაჯდა.

ეს უცნაური ამბავი გაკვირვებულმა თათრებმა ჯარის სარდალს აცნობეს. ცოტნეს მთელ საქართველოში პატიოსანი და სამართლიანი კაცის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. თათრებსაც გაგონილი ჰქონდათ ერისთავის ეს სათნოებანი. ცოტნე ძლიერი მთავარი იყო, ამასთან — შეთქმულების მონაწილეს და მისი დაუპატიმრებლობა თათრებს აფიქრებდა. ამიტომაც კიდევ უფრო უცნაური ჩანდა ცოტნეს საქციელი.

დადიანი თათართა სარდლის კარავში წაიყვანეს და იქ მისი საქციელის მიზეზი ჰკითხეს. ცოტნეც ამას ელოდა. მან მოახსენა, თუ რა იყო ქართველთა ჯაფახეთში შეკრების მიზანი. უარპყო ბრალდება შეთქმულება-აჯანყების შესახებ და დაუმატა, რომ მისი ურდოში მისვლის მიზანი იყო, სიმართლე მოეხსენებინა თათართათვის, რათა თანამომძეები ეხსნა განსაცდელისაგან, ან არა და უდანაშაულო თანამომძეებთან ერთად თვითონაც დალუპულიყო იმ საქმისათვის, რომლის მონაწილეს სხვებთან ერთად ისიც იყო. ცოტნეს მოქმედებამ თათრებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, მის პასუხსაც ერწმუნენ და პატიმარი ქართველებიც გაათავისუფლესო, გადმოგვცემენ. მაღლიერმა ქართველმა ხალხმა კი თავდადებული პატრიოტის გმირული საქციელი ძვირფასად გადმოცემად მომავალ თაობებს შეუნახა.

დამპყრობელთა უღელქვემ საქართველო ვერ ისვენებდა. ქართველი ხალხის გულში მტარვალთა სიძულვილის ცეცხლი არ ნელდებოდა. აჯანყების ალი ხან ერთ კუთხეში აფარდებოდა, ხან

მეორეში. მაგრამ მტერიც ფხიზლობდა და სხვადასხვა მზაკვრული ხერხით ქართველთა ბრძოლის ძალას ანელებდა. ჯერ მეფე სულ არ იყო და 1250-იანი წლებიდან თათრებმა საქართველოში ორი მეფე დაამტკიცეს — რუსუდანისა და მისი ძმის, გიორგის შვილები. თათრების აზრით, ეს მეფეები ერთიმეორის მოქიშპენი იქნებოდნენ და, მაშ, თითოეული მათგანი თათრების ხელის შემყურე უნდა ყოფილიყო. მეორე მხრივ, **თათრებმა ქართველი დიდმოხელე აზნაურების მფარველობა დაიჩემეს, ქვეყნის ორგულები ერთგულთა ხარჯზე გააძლიერეს, გაამდიდრეს და ქართველ მეფეებს ორგულ, უამურ დიდმოხელეთა დასჯა-დატუქსვის საშუალება მოუსპეს.** მოკლედ: ქართველთა შორის ურჩობას, ქვეყნის დაშლა-დანაწილებას, ერთმანეთის უნდობლობა-გაუტანლობას, მიმძლავრება-დაბეზღებას, ანუ, როგორც მაშინ იტყოდნენ, ყოველგვარ „ულუსობას“ თათრებმა ხელი შეუწყვეს, რომ თავიანთი ბატონობა ქართველ ხალხზე უზრუნველყოთ.

როგორც აღვნიშნეთ, თათრებმა უზარმაზარი ქვეყნები დაიპყრეს, მაგრამ იმდროინდელი განუვითარებელი მეურნეობისა და ტექნიკის პირობებში ასეთი დიდი სახელმწიფო დიდხანს ვერ იარსებებდა და თათართა სამფლობელომაც უმაღლეს დაშლა იყო. ჯერ კიდევ ამ სახელმწიფოს შემქმნელმა ჩინგიზ-ყაენმა დაანაწილა დაპყრობილი (და დასაპყრობი) ქვეყნები თავის ოთხ შვილს შორის. ერთი ამ შვილთაგანი სხვების უფროსად გამოაცხადა და დანარჩენ შვილებს მისდამი მორჩილება დაავალა. ამით ჩინგიზ-ყაენს სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნება სურდა. მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ჩინგიზის მემკვიდრეები ერთი-მეორისაგან სრულიად დამოუკიდებელი ხდებოდნენ და ჩქარა ურთიერთ შორის მტრობა-ომიც კი შემოერიათ. ასე რომ თათრები ფეოდალური დაშლა-დასუსტების გზაზე შედგნენ.

1250-იანი წლებიდან თათრები ახალ ქვეყნებს იშვიათად იპყრობდნენ. ამისდაკვალად ნაალაფევ-ნატყვევნი შემოაკლდათ. ამავე დროისათვის თათართა ურდო ლოთობა-ლორმუცლობას, ფუფუნებასა და ფლანგვას შესწევოდა, და, როცა საფლანგავი შემოაკლდათ, საწველ ფურად, ბუნებრივია, დაპყრობილი ხალხები ამოიჩემეს. 1255-იან წლებში თათარმა მოხელეებმა საქართველო (ისე როგორც სხვა დაპყრობილი ქვეყნები) აღწერეს და ახალი გადასახადები შეაწერეს. როგორც სიმძიმით, აგრეთვე თავისი ხასიათით, ეს გადასახადები ყოველად უცხო და უჩვეულო იყო ქართველი მშრომელი ხალხისათვის. ხოლო კიდევ უფრო მძიმე ამ ხარკის შეგროვების თათრული

წესი იყო. ხარკის შეგროვების საქმე თათართა საბატონოში უსინდისოდ მედროვე მოხელეთა და სპეკულანტ-მოიჯარადრეთა ხელში იყო. ყოველ წელს უმოწყალო და ველურ მძარცველებად მოედებოდნენ ხოლმე ქართულ სოფლებს თათართა ხარკის მსუნაგი ამკრეფლები. მიჰქონდათ არა მარტო ის, რაც სავალდებულო გადასახადი იყო, არამედ იტაცებდნენ ყველაფერს, რასაც კი იმათი ხარბი თვალი და ხელი მისწვდებოდა. ასე ყოველწლივით იძარცვებოდა განაწამები ქართველი გლეხობა, ხოლო გამკითხავი არსად იყო... უჩვეულო და მძიმე იყო აგრეთვე სამხედრო მოვალეობა, რომელიც დამპყრობელმა რომ საქართველოს დააკისრა. ახალი წესით, ქართველ გლეხობას თათრებისათვის სალაშქროდ 90.000 მოემარი უნდა გამოეყვანა.

ყველა ამ „ულუსობამ“ ქართველი გლეხი წელში გაწყვიტა. მრავალგზის დარბეულ-აოხრებულმა გლეხობამ მეურნეობაზე თანდათან გული აიყარა, ხიზნობა-ბოგანობა იყო. ხოლო **რაკი გლეხი-კაცი დასუსტდა, საქართველოც დაძაბუნების გზაზე შედგა.** გაპარტახებული გლეხების პატრონ აზნაურებსაც სიღარიბე შემოერიათ. შემცირდა ხელოსნობაც, დაეცა ვაჭრობა...

1259 წელს საქართველოში კვლავ აჯანყებამ იფეთქა. მას სათავეში **დავით ლაშას ძე** ედგა. აჯანყების აქტიურ მონაწილეთაგან ცნობილი არიან **სარგის ჯაყელი, ზაქარია მხარგრძელი** და სხვები. თათრებმას შეძლეს და ზოგიერთი ქართველი მთავარი გაიერთგულეს. ასე რომ ეს აჯანყება საყოველთაო არ გამოდგა. **სუმბატ ორბელი** და მისი მსგავსი მოღალატე მედროვეები მტრის ბანაკში იყვნენ და აჯანყებულ მოძმეთა ხარჯზე ხელის მოთბობას ლამობდნენ.

აჯანყებულთა ლაშქარმა **ტაშის-კართან** (ბორჯომის ხეობიდან გამოსავალთან) სასტიკად დაამარცხა თათართა დამსჯელი ჯარი. მტერი სრულ განადგურებას მხოლოდ სამშობლოს მოღალატე ქართველმა მთავრებმა გადაარჩინეს. მეორე გზის ომში აჯანყებულნი დამარცხდნენ, მაგრამ თათრები გულისწადილს მაინც ვერ ეწივნენ, აჯანყების მეთაურები მაინც ვერ შეიპყრეს. უკანასკნელნი დასავლეთ საქართველოში გადავიდნენ და თათრებისადმი დამორჩილებას არ აპირებდნენ. ცოფმორეულმა, გამხეცებულმა მტერმა უდანაშაულო ტყვეებზე მოიკლა სისხლის წყურვილი: ურდოში დაახრჩვეს დავით ლაშას ძის მეუღლე **დედოფალი გვანცა** და მოჰკლეს ზაქარია ამირსპასალარი, შანშას ძე.

ჩქარა თათრები იძულებული შეიქნენ, აჯანყებულთა შემორიგებას ცდილიყვნენ. ამ დროისათვის თათართა ძლიერებას უკვე წყა-

ლი შესდგომოდა. მათი სხვადასხვა ურდო ერთი მეორეს მტრობდა. ჩრდილოეთის ურდო მდიდარი ამიერ-კავკასიის დპაყრობას აპირებდა და ამ მიზნით სამხრეთის ურდოზე ომით წამოსულიყო. ასეთ პირობებში ქართველთა აჯანყება საშიში იყო: აჯანყებულებს შეეძლოთ ჩრდილოეთ კავკასიიდან ამიერ-კავკასიაში გადმოსავალი გზები ჩრდილოელებისათვის გაეხსნათ. ილხანმა (ასე ეწოდებოდა სამხრეთის ურდოს ყაენს) აჯანყებულებს „აპატია“, საჩივარი გულისყურით მოუსმინა და სათხოვარიც შეუსრულა. ქართველებმა კარგად შეამჩნიეს, რომ თათრები ახლა არც უძლეველები არიან და არც მათ წინააღმდეგ აჯანყებაა უიმედო. ამიერიდან ქართველები კიდევ უფრო მეტი მხნეობით განაგრძობდნენ ბრძოლას სამშობლოს საბოლოოდ განთავისუფლებისათვის. აჯანყებამ დავით ლაშას ძის მეთაურობით ის შედეგიც მოიტანა, რომ თათართა მთავრობამ ყურადილო ქართველთა საჩივარი გადასახადების სიმძიმისა და მოიჯარადრეების უსამართლობის შესახებ. ილხანმა ამ საქმის გამოსწორებაც სცადა, თუმცა უშედეგოდ.

უნდა აღვნიშნოთ: სამშობლოს ამ საერთო გაჭირვების დროს ყველა ერთნაირად როდი იბრძოდა. პირშავი მოღალატეებიც იყვნენ. ისინი ჯაშუშობდნენ, ორპირობდნენ, მტრის კალთას ეფარებოდნენ და თავდადებულ მებრძოლთა სისხლის ხარჯზე სუქდებოდნენ. ასეთები იყვნენ **სუმბატ ორბელი, საღუნ მანკაბერდელი, მისი შვილი ხუტლუ-ბულა, კახაბერ რაჭის ერისთავი** და სხვა მისთანები.

საქართველოს მძიმე მდგომარეობით სარგებლობა ახლობელმა მეზობლებმაც მოისურვეს. აქამდე სოროებში მიმალული თურქები წამოიშალნენ. მათ თავისი ამინდი ეგონათ. ჯერ კიდევ 1250-იან წლებში, უმეფობის ხანაში, ერაყ-აზერბაიჯანელი თურქები ვილაც ყარაზანის მეთაურობით საქართველოს სამხრეთ სანპიროებს შემოესივნენ და დაუცველ ქვეყანას სასტიკად არბევდნენ. საქართველოს ამ ნაწილის მთავარი **შანშა მხარგრძელი** 30.000 კაცით ფიცხლად გაეგება მტერს. ომი მდინარე არაქსის გაღმა მოხდა, *ვალაშკერტის* მიდამოებში. რიცხვით სიჭარბის მიუხედავად, თურქები დამარცხდნენ, ნაძარცვთან ერთად მთელი თავიანთი ჯოგები თუ სხვა ქონება გამარჯვებულთ დაუტოვეს და თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ. შანშას ლაშქარი ხოცვა-ჟლეტით შორს, *ხლათამდე* მიჰყვა გაქცეულ მტერს და მტაცებელი ისე დააზარალა, რომ საქართველოს მიწაზე კვლავ ქურდობა-ტაცების ხალისი დიდი ხნით დაუკარგა.

ამავე ხანებში მცირე-აზიელი თურქები სამხრეთ-დასავლეთ საქა-

რთველოს სარბევად წამოვიდნენ. მრავალ ათას თურქთა მარბიელებს *ალთუ-ზანი* და *ორ-ზანი* მოუძლოდნენ. თურქებმა აიღეს ნაპირის ქვეყნები მათი ციხე-ქალაქებით: *ბასიანი, ტაო, ბანა-ოლთისი*. ამ სანაპიროების მთავრებმა დანძარება სთხოვეს სამცხის მთავარს *ყვარყვარეს*. მესხები ფიცხლავ მიეშველნენ შევიწროებულ თანამომეებს. 10.000 მეომრით გაეშურა ყვარყვარე, სამცხის სპასალარი და თავხედ მტერს *ვანის-ვაკეს* ჩაეგება. თავის სიმრავლეს მინდობილი მტერი ძლიერად დადგა. მაგრამ სიმხნეს მინდობილი ქართველების მკლავ-მაგარ შეტევას მტერმა ვერ გაუძლო. მძიმე ომის შედეგად დამარცხებული მტაცებლები გაიქცნენ და ვანის-ვაკეს დასტოვეს მთელი ნარბევ-ნაძარცვი, საკუთარი იარაღ-მოკაზმულობა თუ ცხენ-ჯორ-აქლემი.

სამცხის სპასალარმა გაქცეულ მტერს თავისი შვილიშვილები *იანე* და *სარგისი* დაადევნა ქართველთა ჯარით. მდევრებმა ადვილად დააგდებინეს თურქებს მინატაცები ციხე-ქალაქები და საქართველო თურქ მარბიელთაგან სავსებით გასწმინდეს.

1300 წლის ახლოს, როცა აღმოსავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი თათართა წინააღმდეგ აჯანყების ალში გახვეულიყო, მცირეაზიელმა თურქებმა ერთხელ კიდევ სცადეს ჩვენი ქვეყნის მორბევა. ამ მომთაბარეთა მეთაური ვინმე *აზატ-მოსე* იყო. 60.000 თურქი მოედვა სარბევად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს. თურქებს არავინ ელოდა და ქვეყანაც მტაცებლებს მოუშნადებელი დახვდა. მტერმა აიკლო და დაარბია *ბასიანი, ტაო, ნივალის ხევი, მურღული*. აქ გაუვალ ვიწროებში სახელდახელოდ გამოსულმა ქართველებმა *ხერხემლისძეების* მეთაურობით დაამარცხეს და უკუაქციეს *თურქები*. ტაოს ერისთავი *თაყა ფანასკერტელი* თავგამოდებით ებრძოდა შემოსეულთ. *თორთომის თავს* თავისი მცირე ჯარით თაყამ მძიმედ დააზარალა მტერი, მაგრამ თურქების განდევნა მათი სიმრავლის გამო მეტად ძნელი ჩანდა.

ამ დროს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს *ბექა ჯაყელი* პატრონობდა. მისთვის მიეჩემებინა თათართა ყაენს საქართველოს ამ ნაწილის მმართველობა. აზატ-მოსეს შემოსევის გამო ბექამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თავ-კაცების კრება მოიწვია და მას შესანიშნავი პატრიოტული სიტყვით მიმართა. მთავარმა ქართველებს თურქთა წინააღმდეგ ომში მოუწოდა. ბექას მოწოდებას კრება მხურვალედ გამოეხმაურა. ეს იყო ზამთარში. როცა მეორე გაზაფხულზე თურქები საზაფხულო საძოვრებისაკენ წავიდნენ, ბექასთან

უკვე თორმეტი ათასი მეომარი შეყრილიყო. ქართველებს თურქთა ნაწილ-ნაწილ დამარცხება ჰქონდათ განზრახული. ნაცნობ ადგილებში მცირე რაზმებით ქართველები ისე მოხერხებულად უზღვებოდნენ მტერს, რომ უკანასკნელის სიმრავლე უსარგებლო ჩანდა. ფიცხელი ბრძოლები მოხდა *კაშლოვანს, სპერს, ბაბერდს*. სამშობლოს დამცველთა სიმხნემ და თავდადებამ სძლია მტრის სიმრავლეს. გამარჯვება ქართველებს დარჩა. თურქებმა იგრძნეს, რომ საქართველოს ჯერ კიდევ შესწევს ძალა საკუთარი ქორბუდის დასაცავად.

XIII საუკუნის 80-იანი წლებიდან ილხანთა ურდოში ყაენის უფლისწულებს შორის ბოლომოუღებელი ქიშპი და ბრძოლა ატყდა. აღმოსავლეთ საქართველოში ამ დროს *დიმიტრი* დავითის ძე მეფობდა. დიმიტრი მოხერხებულად სარგებლობდა ყაენის უფლისწულებს შორის არსებული ამ მტრობით და საქართველოს თათართა მპყრობელობის ტვირთს თანდათან უმსუბუქებდა. თათართა ურდოში საქართველოს მეფეს მეგობარი დიდკაცები ჰყავდა და ხარკის ამკრები მოიჯარადრეები მის ქვეყანას ძველებურად ვეღარ აწუხებდნენ. დიმიტრი მეფე თავს სამშვიდობოს გრძნობდა, მაგრამ მწარე სინამდვილემ მალე მეფეს თავი მკაცრად მოაგონა: *ბრძოლისაგან მოსვენება, უღარდებლობა დანაშაულია, სანამ მტერი კარზე დგას და საბოლოოდ არ განადგურებულია*.

1289 წელს დიმიტრი მეფე ყაენმა ურდოში დაიბარა. მეფემ შეიტყო, რომ ყაენს დიმიტრის მეგობარი თათარი დიდკაცები ამოუხოცია: მათთვის მოლალატეობა შეუწყალებია. ქართველი მეფეც შეთქმულ მოლალატეთა მედასედ ითვლებოდა. დიმიტრიმ იცოდა, რომ ურდოში მას სიკვდილი ელოდა. მეფემ დიდებულები იხმო და რჩევა მოსთხოვა. დარბაისლებმა აჯანყება ურჩიეს. მამამისის, დავითის აჯანყების მაგალითით აიძულებდნენ. დიმიტრიმ ასეთი რამ ახლა უიმედო და მავნებელ საქმედ აღიარა. სამხრეთის ყაენს იმ დროს ჩრდილოეთის ურდო არ ემუქრებოდა, არც სხვა ვინმე მტერი უჩანდა. ასეთ პირობებში აჯანყებას ქვეყნის სრული განადგურება მოჰყვებოდა, ხოლო საკუთარი თავის განწირვით მეფეს შეეძლო ქვეყანა აოხრებისაგან ეხსნა. დიმიტრის გმირის სულგრძელობა აღმოაჩნდა. მან თავისი ქვეყნისათვის თავი დასდო და მომავალ თაობებს სამშობლოსათვის გმირული თავგანწირვა ანდერძად დაუგდო. **1289 წლის 12 მარტს მეფე დიმიტრი თავდადებული ურდოში (მუღანის ველზე) სიკვდილით დასაჯეს**. სამშობლოს ღირსეული შვილის თავმოკვეთილი სხეული ქართველებმა მოიპარეს და საყვარელ მცხეთას მეფეთა

სამარხაში დაკრძალეს.

ამ თავდადებულთა სისხლი კი არ შლიდა და ასუსტებდა, როგორც ეს მტარვალს ეგონა, არამედ კიდევ უფრო აქტივიზებდა ქართველთა ბრძოლას თავისუფლებისათვის.

1299 წლიდან საქართველოში ისევ აჯანყება დაიწყო. მისი მეთაური *დავითი* იყო, დიმიტრი თავდადებულის შვილი. აჯანყება მედგარი და მეტად ხანგრძლივი იყო. დავითს აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი უჭერდა მხარს, მაგრამ აჯანყების სული და გული შიდა-ქართლი და მთიულეთი იყო. თვით მეფე მთიულეთს იდგა და თათართა ყოველგვარი ცდის მიუხედავად ის ვერც შეირიგეს, ვერც დაიჭირეს და ვერც განდევნეს. დიდი მსხვერპლი გაიღო ქართველმა ხალხმა. დიდად შემცივრდა ქართლის მოსახლეობა. თათართა ყოველწლიურმა შემოსევებმა გაანადგურა მეურნეობა. ამის მიუხედავად, ხალხი არ გატყდა. ეს აჯანყება 12 წელიწადს გაგრძელდა. აჯანყებულმა დავითმა ჩრდილოეთის ურდოს ყაენთან პოლიტიკური მოლაპარაკება გააბა და ილხანების მოქიშპეს ამიერკავკასიაში ეპატიჟებოდა. ბრაზი ახრჩობდა ილხანს *ყაზან ყაენს*, რომ აჯანყების მეთაური დაუსჯელი რჩებოდა. ყაზანი ისე გარდაიცვალა, რომ აჯანყება ჩაუქრობელი დარჩა. კიდევ უფრო სუსტები იყვნენ მისი შემკვიდრეები. სხვა გზა არ იყო და მტერმა დაყვავების პოლიტიკა აირჩია. დავითი არ ენდო პირსისხლიანებს.

ამ ხანებში პოლიტიკურ სარბიელზე დავით მეფის უმცროსი ძმა გიორგი გამოვიდა. მაღალნიჭიერმა პოლიტიკოსმა სწორად შეაფასა საქმის ვითარება და თათართაგან ქვეყნის განთავისუფლების განსხვავებული გეგმა დააწყო. გიორგი ხედავდა დავითის აჯანყების უიმედობას. ხედავდა, რომ მხოლოდ ქართლის აჯანყებით საქართველო თავისუფლებას ვერ მოიპოვებდა, — რომ ურდო, მართალია, დაშლა-დასუსტების გზაზე შემდგარიყო, მაგრამ მას ჯერ კიდევ საკმაო ძალა ჰქონდა. ამიტომ თათართა ბატონობისაგან განთავისუფლების საქმეს დიდი წინასწარი მზადება სჭირდებოდა. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო აოხრებული ქართლის შესვენება, მოშენება; საჭირო იყო საქართველოს გაერთიანება (თათართა მხრით ხელის შეწყობით ქვეყნის ცალკე ნაწილები ქართველ მთავრებს დაესაკუთრებინათ), დიდკაც-აზნაურთა თვითნებობის აღაგმვა, მტკიცე ხელისუფლების შექმნა. მხოლოდ ამის შემდეგ ექნებოდა თათართა წინააღმდეგ აჯანყებას გამარჯვების პერსპექტივა.


თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა გიორგი მეფემ თათრებისა-

დმი მოჩვენებითი ერთგულებით დაიწყო. ქართლის აჯანყებით თავმოებუნებული თათრები გიორგის ამ მორჩილებას ძვირად აფასებდნენ. მეფემ ურდოში თათართა დიდკაცები დაიმეგობრა და მათი შემწეობით მნიშვნელოვანი შედეგები ადვილად მოიპოვა. საქართველოში თათართა ხარკის აკრეფის საქმეს ამიერიდან თვითონ მეფე განაგებდა და არა ურდოს მოხელე-მოიჯარადრე. ამავე დროს ყაენისაგან გიორგიმ საქართველოს სხვადასხვა ნაწილის ერთ სამეფოდ გაერთიანების თანხმობა მიიღო. გამდგარი მთავრების წინააღმდეგ მეფემ გარშემოიკრიბა ყველა, ვისთვისაც ქვეყნის მთლიანობა და მტკიცე ხელისუფლება ძვირფასი იყო. ხერხიანი მოქმედებით გიორგიმ ადვილად შემოიერთა დასავლეთი საქართველო, სადაც დავით რუსუდანიძის შვილიშვილი მეფობდა; ასევე შემოიერთა მან საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, რომელიც თათართა დახმარებით *ჯაყელთა* ფეოდალურ გვარს დაესაკუთრებინა, კიდევ უფრო ადვილად დაიმორჩილა გიორგიმ საქართველოსა და სომხეთ-შარვანის სხვა გამდგარი მთავრები. სასტიკი ზომებით მეფემ ალაგმა ერისთავ-მთავრების თვითნებობა. ერთ-ერთ დარბაზობაზე მან შეუბრალებლად გაწყვიტა გაუსწორებელი მოღალატენი.

გაერთიანების შემდეგ ქართველები ქვეყნის პოლიტიკური წყობილების რესტავრაციას შეუდგნენ. აღადგინეს ძველი, თათართა ბატონობამდე ჩვენში არსებული წესები. დიდი ყურადღება მიაქცია მეფემ სამართლის საქმეს საქართველოს ბარსა თუ მთაში. არანაკლებ საზრუნავს შეადგენდა აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერება, მეურნეობა, ალებ-მიცემის გაცხოველებისათვის ხელის შეწყობა.

ამასობაში გიორგი მეფე მოსაჩვენარად თათართა ერთგულებას განაგრძობდა, ხოლო ამავე დროს ილხანის მოსისხარ მტრებთან მეგობრულ კავშირსა ჰკრავდა.

ასე თანდათან საქართველო ძლიერდებოდა და თათართა ბატონობის უკუსაგდებად ყოველ მხრივ ემზადებოდა. თათართა ურდოს საქმე კი სულ უკან და უკან მიდიოდა და 1327 წელს, როცა ყაენის კარზე დიდი არეულობა დაიწყო, გიორგიმ დრო ხელსაყრელად სცნო და თათრებს ხარკის მიცემა შეუწყვიტა. აჯანყებულთა დასასჯელად წამოსული მტრის ჯარი ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს და თათართა ასწლოვანი ბატონობაც საბოლოოდ თავიდან მოიცილეს.



ვალერიან მაჭარაძე

რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო¹

თ ე ზ ი ს ე ბ ი

ტოტლებენის აწყურიდან დაბრუნების შემდეგ რუს-ქართველთა ჯარების ერთობლივი მოქმედება თურქების წინააღმდეგ შეუძლებელი გახდა, რითაც სამხედრო კავშირს ჩრდილი მიაღდა. ამიტომ განხეთქილების მიზეზების ახსნა მნიშვნელოვან ამოცანად გვესახება, მით უმეტეს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ამასთან დაკავშირებით არაერთი გაუგებრობა არსებობს.

ტოტლებენის ავანტიურა და ახალციხეზე
ლაშქრობის ჩაშლა

როგორც აღვნიშნეთ, ასპინძის ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, რაკი ახალციხის ფაშას განკარგულებაში მყოფი ძირითადი ძალები განადგურებული იყო, ერეკლეს შეეძლო ქართლ-კახეთის ჯარებით დაუფლებოდა ახალციხეს. ამ მარჯვე სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმის დაკავება კი ინიციატივის ერეკლეს ხელში გადასვლის საწინდარი გახდებოდა, რაც საომარი ოპერაციების გაშლის პერსპექტივას ქმნიდა. გარდა ამისა, რადგან თურქეთს ახალციხის დაკარგვით ლეკებთან უშუალო კავშირის შესაძლებლობა ერთმეოდა, ქართლ-კახეთს აქტიურად მოქმედებისათვის ეხსენებოდა ხელები. მაგრამ ტოტლებენის აწყურიდან საეჭვოდ დაბრუნებამ ახალციხის დაკავება შეუძლებელი გახდა.

¹ ვალერიან მაჭარაძე, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი III, ნაკვეთი II, თბილისი, 1997.

ერეკლე თავისი ჯარით ჯავახეთის გზით 1770 წლის 29 აპრილს თბილისში დაბრუნდა.

ამ დროს ტოტლებენი პორუჩიკ დეგრალიეს აწერინებდა რუსეთში გასაგზავნად წერილებს, თითქოს ერეკლე ემზადებოდა ირანის და არა თურქეთის წინააღმდეგ საომრად. დეგრალიემ ვერ გაბედა ტოტლებენისთვის ეკითხა, თუ რისთვის ჩადიოდა ასეთ სიყალბეს, მაგრამ ეს ამბავი აცნობა ა. მოურავოვს (როგორც რუსეთის მთავრობის წარმომადგენელს). ა. მოურავოვისგან ეს შეიტყო ერეკლემ და ტოტლებენს ახსნა-განმარტება მოსთხოვა. თუმცა მეფეს არ უთქვამს, ვინ შეატყობინა ეს ამბავი, ტოტლებენმა ეჭვი აიღო დეგრალიეზე და იგი განაწყენების გარეშე გაათავისუფლა.

2 მაისს ტოტლებენმა გამოსცა მანიფესტი, რომელიც განმდგარ ოფიცრებს იმპერატორისა და ერეკლე მეფის მოღალატეებად აცხადებდა და წინადადებას იძლეოდა, ვინც რატიევს, ჩოგლოკოვს და დეგრალიეს რუსეთის კორპუსში ცოცხალს მიიყვანდა, 1000 თუმანს მისცემდა, ვინც მკვდარს — ათას მანეთს.

2 მაისს დეგრალიემ ერეკლეს შეატყობინა, რომ **ტოტლებენი რუსეთის მთავრობის მიერ მიცემულ ინსტრუქციებს არღვევდა, რუსეთის მთავრობის თვალში ერეკლე მეფეს სახელს უტყბდა და ფარულად ქართლ-კახეთის დაპყრობაზეც ოცნებობდა.**

დეგრალიესგან ერეკლემ ისიც შეიტყო, რომ 1770 წელს ტოტლებენი სწორედ მას აწერინებდა ახალციხის ფაშასთან გასაგზავნად წერილებს. მეფემ სარწმუნოდ იცოდა, რომ ახალციხის ფაშას ჯაშუში თვეზე მეტხანს ჰყავდა პატიმრობაში ტოტლებენს, რის შემდეგ გაუშვა ფაშასთან წერილით. ამ ამბავს მოჰყვა გაურკვეველი მიზეზით რუსი ოფიცრების განდევნა საქართველოდან, აწყურთან ღალატი, ბრძანება რატიევის დაპატიმრებისა და მის რაზმში მყოფი ქართველი ოფიცრების განდევნის თაობაზე, 2 მაისის მანიფესტი, 7 მაისის ბრძანება თბილისში მყოფი რუსეთის ჯარის ოფიცრებისადმი.

ზემოაღნიშნული ფაქტები და მოვლენები ისე ლოგიკურად დაკავშირებული ჩანდა ერთმანეთთან, რომ ერეკლე საბოლოოდ დარწმუნდა: ტოტლებენის დატოვება საქართველოში აღარ შეიძლებოდა; ამიტომ 1770 წლის 7 მაისს ერეკლე მეფემ წინადადება მისცა რატიევს: „...მე ამას განვაცხადებ შენდამი და ყოველთა შტაფთა აფიცურთა წინაშე, ტოტლებენს არესტი უყოთ და მისის დიდებულების უმაღლესსა კარსა გაგზავნოთ და ვინც თქვენმა გონებამ ამჯობინოს, ის თავად დააყენოთ ტომსას პოლკის პოლკოვნიკის მოსვლამდის...

თუ ამას არ აღასრულებთ, ყოველად მოწყალის ხელმწიფის უმაღლესს კარს პასუხი ყველამ გაეცით“...

ამ ფაქტმა საბოლოოდ ჩატყბა ხიდი ერეკლესა და ტოტლებენს შორის.

8 მაისს, როგორც დეგრალიეს ჩვენებიდან ჩანს, რატიევი, ბოგდანოვი, ერეკლე და მოურავოვი ესკადრონებით და 3 ქვემეხით უნდა დაძრულიყვნენ ტოტლებენის ბანაკისკენ, მაგრამ შეჩერებულან. დეგრალიე უჩვენებდა სასამართლოს: რისთვის მიდიოდნენ, არ ვიცოდი, მაგრამ სისხლისდგრა რომ არ მომხდარიყო, ვურჩიე ა. მოურავოვს შეჩერებაო. მიზანი, ცხადია, ტოტლებენის დაპატიმრება იყო. როგორც ერეკლე მეფის 13 მაისის წერილიდან ჩანს, მეფისთვის შეჩერება მოურავოვს ურჩევია. „რადგან დაუნიებით გირჩევია არესტის უქნელობა... ამ საქმისათვის დიდი მადრიელნი ვართ“, — სწერდა ერეკლე მოურავოვს. მართალია, ერეკლემ ტოტლებენის დაპატიმრების ბრძანება გააუქმა, მაგრამ თბილისში გადაწყდა, დაკავშირებოდნენ ტომსკის პოლკს, რომელიც მოზდოკიდან მოდიოდა.

ერეკლეს ბრძანების შეტყობამ ტოტლებენი წონასწორობიდან გამოიყვანა. თუ აქამდე მისი განკარგულებები ოფიცრებს რუსეთის სახელმწიფოსა და ერეკლე მეფის მოღალატეებად აცხადებდა და ოფიციალურად ერეკლეს წინააღმდეგ არ გამოდიოდა, 8-9 მაისს იგი აშკარად დაუპირისპირდა ერეკლეს: დუშეთის ციხე დაიკავა, იქიდან ზარბაზნების ნაწილი ანანურში გადაიტანა და იქ გამაგრდა. ერეკლეს წინააღმდეგ ტოტლებენის აშკარა გამოსვლა რომ დაინახეს, ქართლის თავადებმაც თავი წამოყვეს: **ზაალ ორბელიანმა და დავით ქსნის ერისთავმა ტოტლებენს შესთავაზეს თბილისზე გალაშქრება, ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდება და ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთება.**

ქართველი თავადების პოზიციამ ტოტლებენს გამბედაობა შემატა და გადაწყვიტა ერეკლეს წინააღმდეგ გამოსვლა. გენერალმა რუსეთის წარმომადგენელს საქართველოში თავ. მოურავოვს წინადადება მისცა, მთავრობისგან ნებართვის მიღებამდე დაეტოვებინა საქართველო, თვით კი მოსახლეობის რუსთ ხელმწიფის ერთგულებაზე ძალით დაფიცებას და ძარცვას შეუდგა.

ტოტლებენის რაზმში მართლაც გადაუწყვეტიათ ქართლ-კახეთის დაპყრობა, ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდება, მისი დაპატიმრება და რუსეთში გაგზავნა, ან განდევნა. ეს საქმე, მათი აზრით, მეტად ადვილად გაკეთდებოდა 3.000 რუსი ჯარისკაცის ხელით. როგორც

ჩანს, ტოტლებენი 1200 კაცი და ქართველი თავადების იმედით ერეკლეს წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას ვერ გაბედავდა. ტოტლებენს 3000 კაცი შეუსრულდებოდა მოზდოკიდან მომავალი ტომსკის პოლკის (დაახლ. 2000 კაცი) შეერთების შემდეგ.

ანანურში დგომისას, როგორც ჩანს, ქართველმა თავადებმა აცნობეს ტოტლებენს ერეკლეს საიდუმლო მიმოწერის თაობაზე არაგვის მოურავ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილთან, ამიტომ გენერალმა მოურავის სახლი აიკლო და გაძარცვა.

XVIII ს-ში რუსეთის არმიაში სარდალს სამხედრო საბჭოს თანხმობის გარეშე გადაწყვეტილების მიღება არ შეეძლო. საისტორიო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ტოტლებენმა ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდების საკითხზე სამხედრო საბჭოს დასტური მიიღო. ასეთ პირობებში, ცხადია, საინტერესოა, რას წარმოადგენდა ის საბჭო, რომელიც ტოტლებენს ავანტიურისტულ გადაწყვეტილებებზე თანხმობას აძლევდა. ჩვენ ზუსტად ვერ დაუდგინეთ ტოტლებენთან მყოფი მცირე რაზმის ოფიცერთა გვარები, მაგრამ მისი ბრძანების აღმასრულებელი კი ჩვენთვის ცნობილი არიან: კარპი, ზორნაი, პიკსნერი, ტოტინი, ბარონი შტიინი, ვინკლერი, კელერი და სხვ. ამათგან, რუსი ჩანს მხოლოდ კარპი (თუმცა ესეც საეჭვოა). არც ერთ მათგანს რუსეთის მთავრობა არ იცნობდა. რაც შეეხება კაპ. ლვოვს, რომელიც რუსეთის მთავრობამ შიკრიკად გამოგზავნა და ერეკლესთვის გადასაცემი ორდენი და ფული გამოატანა, სიბეცით თუ შიშით, საქართველოში ჩამოსვლისთანავე, იგი ტოტლებენმა თავის თანამოსაქმედ გაიხადა (შემდეგ კაპ. ლვოვმა დაიკავა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის ოფიციალური წარმომადგენლის, ა. მოურავოვის ადგილი. თუმცა მალე ტოტლებენმა კაპ. ლვოვსაც დევნა დაუწყო და მან დაპატიმრების შიშით, თავი სოლომონ მეფის კალთას შეაფარა).

სამაგიეროდ ტოტლებენმა საქართველოდან განდევნა: გენერალ-პროკურორისა და სამხედრო კოლეგიის არჩეული პოდპოლკოვნიკი ჩოლოყაშვილი (როგორც საეჭვო), სამხედრო კოლეგიის მიერ საიმედოდ მიჩნეული კაცი მაიორი რემენიკოვი (როგორც მის წინააღმდეგ შეთქმული და საეჭვო), ასევე სამხედრო კოლეგიის არჩეული კაპიტანი ზამარაევი (როგორც მხდალი), პოდპოლკოვნიკი ჩოგლოკოვი (როგორც შეთქმული).

მასალების ფონზე დამაჯერებლად გამოიყურება პოდპოლკ. ჩოგლოკოვის ცნობა. იგი წერდა: ტოტლებენი ან ჭკუაზე შეიშალა, ან გამცემლობას ჩადის, როდესაც რუსეთის სამეფო კარის ინტერე-

სების საწინააღმდეგოდ მოქმედებს: მეფეები ერთმანეთს გადაამტერა, თავადებს ცუდად ექცევა, სოფლები ააწიოკა — უსასყიდლოდ ართმევს საქონელს, ახალციხის ფაშასთან მოლაპარაკება გამართა, 12 საუკეთესო ოფიცერი რუსეთში გაგზავნა, თავისთან არაგვის იტოვებს, გარდა გერმანელებისა და უსაქციელო რუსებისაო.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ორივე მხარე (ერეკლეცა და ტოტლებენიც) ტომსკის პოლკის ნაბიჯს ელოდებოდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტოტლებენის დასაპატიმრებლად ერეკლეს არ სჭირდებოდა არც რატიევი და არც კლავერი (1200 კაცით ერეკლეს დაშინება არ შეიძლებოდა). ერეკლეს სიფრთხილე რუსეთთან ურთიერთობის გართულებისა და სამხედრო კავშირის ჩაშლის შიშით იყო გამოწვეული და ამიტომ აძლევდა მეფე რუს ოფიცრებს წინადადებას, თვითონვე დაეპატიმრებინათ ტოტლებენი, როგორც საეჭვო და საერთო საქმის ხელისშემშლელი.

ტოტლებენის ავანტიურა ტომსკის პოლკმა ჩაშალა. ტომსკის პოლკის გამოუცხადებლობას დაურწმუნებია ტოტლებენი, რომ რუსი ოფიცრების დაყოლიება ავანტიურაზე ადვილი არ იყო. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ ტომსკის პოლკის ოფიცრებს, ტოტლებენის ბრძანების ამკარა შეუსრულებლობასთან ერთად, ყოველი შემთხვევისათვის წესდების დარღვევა (დაუმორჩილებლობა) რომ არ დასწამებოდათ, მარშრუტის გეგმა ისე შეუდგენიათ, რომ პოლკი სამი-ხუთი დღე იდგა და ქვემეხების დაშლა-აწყობას, ყუთების გადატან-გადმოტანას უნდებოდა.

ტოტლებენს მართლა გაუჭირდა ტომსკის პოლკის ანანურში მიყვანა. კიდევ მეტი, იგი ვერ მიიღო, სანამ ავანტიურაზე უარი არ თქვა. ტომსკის პოლკის პოზიციამ ერეკლეს არსებითად ეჭვი გაუფანტა და მეფემ 3 ივნისს გენერალს შესთავაზა: დავიფიწყოთ ძველი მტრობა და შევუდგეთ ერთობლივ მოქმედებას მტრის წინააღმდეგო. თუმცა მეფის 8 ივნისის წერილში ტოტლებენის მიმართ კვლავ უნდობლობა გამოსჭვავის, მაგრამ ერეკლეს სწამდა რუსი ოფიცრებისა და რუსეთის ჯარისა.

ტოტლებენს, 9 ივნისის წერილით უცნობებია მეფისათვის, რომ იგი ჯარით იმერეთში მიდიოდა, საიდანაც გაილაშქრებდა ახალციხეზე. ამის შემდეგ მეფე ენერგიულად ცდილობდა განეახლებინა ერთობლივი შეტევა. ერეკლე იმაზედაც თანახმა იყო, რომ ტოტლებენს თუნდაც 5-6 ვერსის დაშორებით ემოქმედა, ოღონდ — ახალციხის მიმართულებით. როგორც ჩანს, მეფისათვის ცნობილი იყო პატრ

დომენიკთან ტოტლებენის მიერ 16 ივნისს გაკეთებული განცხადება (თითქოს, რაკი მტკვარზე ხიდი აყრილი იყო, ქართლიდან ახალციხისაკენ გზა არ არსებობდა და სხვ.). მეფე აქარწყლებდა ტოტლებენის მიერ წამოყენებულ უსაფუძვლო მოტყუებს (18 ივნისის წერილით იგი დაბეჯითებით ამტკიცებდა ქართლიდან ლაშქრობის მიზანშეწონილობას), მაგრამ ერეკლეს ყველა ცდა, ტოტლებენთან ერთად განეახლებინა საომარი მოქმედება ახალციხის მიმართულეობით, მარცხით დამთავრდა. ტოტლებენი იმერეთისაკენ დაიძრა.

ზ. ორბელიანისა და დ. ერისთავის გეგმაც თავისთავად ჩაიშალა.

1770 წლის ივნისის პირველ რიცხვებში, როცა ზ. ორბელიანი რუსეთს გაიგზავნა, ტოტლებენს ავანტურაზე ხელი უკვე აღებული ჰქონდა და რუსეთის მთავრობას თბილისის ნაცვლად თურქების ხელში მყოფ ქუთაისზე დაძვრის გადაწყვეტილებას აცნობებდა (ქუთაისი სოლომონ მეფეს ალყაში ჰყავდა მოქცეული).

ტოტლებენის ავანტურის ჩაშლის მიუხედავად, პეტერბურგში ჩასული **ზაალ ორბელიანი** თავის გეგმას არ ეშვებოდა. იგი რუსეთის მთავრობას სთხოვდა, ებრძანებინა ტოტლებენისათვის, რომ კვლავაც რაიმე ეღონა ერეკლეს ჩამოსაგდებად და ბრძოლის ხერხებსაც თავად სთავაზობდა. ზ. ორბელიანს ქართლის ტახტზე ერეკლეს შემცველი კანდიდატებიც (გარდა რუსისა) დაუსახელებია: იმერეთის მეფე სოლომონი და ქსნის ერისთავი დავითი. ზ. ორბელიანს თავისი კანდიდატურის ამკარად წამოყენება ვერ გაუბედავს, მაგრამ შეფარვით მიუნიშნებია. საუბრის ჩამწერი შენიშნავს, რომ ზ. ორბელიანი რუსეთში გამოჩენისთანავე თავის გვარიშვილობას ხაზს უსვამდაო. მის ამპარტავნობაზე სხვა ცნობებიც საკმაოდ მეტყველებენ. დასასრულს, ზ. ორბელიანს განუცხადებია, რომ თუ რუსეთის მთავრობის დასტურს მიიღებდა, იგი მზად იყო და შეეძლო კიდევ პეტერბურგიდან წაუსვლელად (წერილების გაგზავნით) ქართველი თავადები აეჯანყებინა ერეკლეს წინააღმდეგ. ზ. ორბელიანის წინადადებები სამეფო კარიდან საგარეო საქმეთა კოლეგიას რეზოლუციის გარეშე დაუბრუნეს 1770 წლის 11 სექტემბერს და შემდეგაც თავადს პასუხი საკმაოდ ხანს არ გასცეს (ეს მაშინ ჩვეულებრივი ამბავი იყო).

როგორც ითქვა, მაშინ რუსეთის მთავრობას ქართველების თურქეთთან ომში მიმხრობა ჰქონდა დაგეგმილი და არა ანექსია. ამასთან, რუსეთის მთავრობა ქართველების დარაზმვისა და კავკასიის ფრონტზე წარმატების იმედს ერეკლეზე ამყარებდა. როცა შეიტყვეს, რომ ტოტლებენი საქმეს აფუჭებდა (ერეკლესთან შერიგე-

ბას არ აპირებდა და ამით ერთობლივი მოქმედება იშლებოდა), 1770 წლის დეკემბერში ტოტლებენის განთავისუფლება გადაწყვიტეს და ქართველ თავადებსაც თავზე ცივი წყალი გადაასხეს.

საქართველოში გამომგზავრების წინ, 1771 წლის 23 იანვარს, ერეკლეს ელჩებს — ზ. ორბელიანს და ე. ნათანლიშვილს — ერთად გასცეს პასუხი. მასში აღნიშნული იყო, რომ გენ. ტოტლებენი, „თავისი თხოვნით“, განთავისუფლებულია და მის ნაცვლად გენ. სუხოტინია დანიშნული, რომელსაც ერეკლესთან იმპერატორის სიგელი მიაქვსო; რაკი თქვენი გამოგზავრების მიზანი ერეკლესა და ტოტლებენს შორის უთანხმოებითა და ერთობლივი მოქმედების სიძნელეებით იყო ნაკარნახევი, ახალი უფროსის დანიშვნით ეს საქმე მოგვარდება და თქვენი შემდგომი აქ ყოფნაც ზედმეტიყო. ასე რომ, ზ. ორბელიანი გაწბილებული წამოვიდა საქართველოში. კიდევ მეტი, მისთვის გამომგზავრებისას ისეთი პატივიც კი არ მიუგიათ, როგორც ა. ანდრონიკაშვილს მიაგეს.

მართალია, ერეკლესთვის ეს ამბავი უცნობი იყო, მაგრამ თვით ზაალ ორბელიანი მუდამ შიშობდა თურმე და 1774 წელს საქართველოდან გაქცეულა; მაგრამ ერეკლეს, რაკი საკმაოდ საბუთები არ აღმოაჩნდა, თავადის საქციელი ლაყბობად მიუჩნევია, იგი შეუწყალებია და 1775 წელს მისთვის მარნეულიც უბოძებია. ასე რომ, შეთქმულება გაუხსნელი დარჩა, თორემ ერეკლე მტრებს არ დაინდობდა.

ამრიგად, ტომსკის პოლკის პოზიციამ არა მარტო ტოტლებენს ააღებინა ხელი ავანტურაზე, არამედ ქართველი თავადების გეგმებიც ჩაშალა. რუსეთის მთავრობამ კი რეაქციონერ ქართლის თავადებს იმედები ამჯერად გადაუწურა.

ტოტლებენის ავანტურა და საქართველოს მიზობელი

სალხვასის თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის

ერეკლესიური გეგმის ჩაშლა

რუსეთის მთავრობა, როცა ერეკლე II-ის ომში ჩაბმას ცდილობდა, იმასაც ვარაუდობდა, რომ ერეკლე შეძლებდა თურქეთის წინააღმდეგ მეზობელი ხალხების ამხედრებასაც. ერეკლე მეფეს ამაზე მზადყოფნა გამოუთქვამს.

სომხების მიმხრობა რომ ერეკლეს არ გაუჭირდებოდა, ეს ყიზლარის კომენდატისათვისაც იყო ცნობილი იოსებ ემინის მოღ-

ვაწეობით და სხვა მასალებითაც. მაგრამ ერეკლეს ქურთებისა და ასირიელების იმედიც ჰქონდა და რუსეთის წარმომადგენელს უცხადებდა: თუ რუსეთიდან ჯარით დახმარება მიქნება, შევძლებ თურქეთის ქალაქების დაპყრობას თვით ცარგრადამდე (კონსტანტინოპოლამდე). მეფემ იცოდა, რომ ქურთები და ასირიელები „სარწმუნოებით სრულიად ქრისტიანენი“ კარგი მეომრები იყვნენ და თურქებისაგან დიდად შევიწროვებულნი.

ერეკლემ რუსეთის წარმომადგენელს, პორუჩ. ხვაბულოვს, გააყოლა თავისი ელჩი — ა. ანდრონიკაშვილი, რომელსაც გაატანა საქართველოს მეზობელი ქვეყნების აღწერა (იგი 1769 წლის 14 ივნისითა დათარიღებული). დოკუმენტში მეზობელი ქალაქებისა და მოსახლეობის აღწერასთან ერთად ამ ხალხების სამხედრო პოტენციალიცაა დახასიათებული.

რუსეთიდან გამოგზავნილი ჯარის გადიდების შემდეგ, რაკი ახალციხის მიმართულებით ლაშქრობაში ტოტლებენის მონაწილეობის იმედიც ჰქონდა, ერეკლეს კავშირი დაუმყარებია ქურთებსა და ასირიელებთან. ასირიელთა ეპისკოპოსი ისაია საქართველოში ჩამოსულა. 1770 წლის 15 აგვისტოს, ესაია აცნობებდა ერეკლე მეფეს: იეზიდებიცა და ასირიელთა კათალიკოსიც მზად არიან თქვენი ბრძანება შეასრულონო. არსებული საბუთებიდან ნათელია, რომ სომხები, ქურთები და ასირიელები ელოდებოდნენ ერეკლეს შეჭრას ბაიაზეთისა და ყარსის პროვინციებში, რათა თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყება დაეწყოთ.

1770 წლის 26 სექტემბერს ერეკლემ მიიღო ზემოაღნიშნული წერილები ქურთებისა და ასირიელებისაგან, მაგრამ მეფეს უკვე აღარ შეეძლო ქურთებთან „მიახლოება“, რასაც ისინი ითხოვდნენ, რადგან ტოტლებენი ავანტურის შემდეგ იმერეთში გადავიდა და ერეკლესთან ერთად ახალციხის მიმართულებით ლაშქრობაზე კატეგორიულად უარი თქვა. ერეკლეს თავისი ძალების ამარა, რაკი ტოტლებენის საქციელით ახალციხის ფაშამ შეება მიიღო და ქართლ-კახეთს „ლეკები“ წამოუსია, საკუთარ ქვეყანაში უჭირდა და ქურთებისა და ასირიელებისათვის მიშველება ვერ გაბედა. მეფეს ისლა დარჩენოდა, ქურთებისა და ასირიელების წერილები, საკუთარი კომენტარებით, გრაფ ნ. პანინისათვის გაეგზავნა, სადაც სინანულით წერდა: „თუ რუსეთის ჯარი და მეფე სოლომონ და ჩვენ ამ ზაფხულ ერთად ვყოფილიყავით, ჩვენს ქვეყნებსაც მტრისაგან დავიცავდით, ესენიცა და იმ მხარის ქრისტიანენიც ჩვენ შემოგვერთდებოდნენ, და დიდი ძალი

მოგვემატებოდა საზოგადოთ ქრისტიანეთ მტერთ ოსმალებზე“.

რუსეთის მთავრობა ამ დროს ტოტლებენის მიერ აწეულ საქმეებს არკვევდა და ნ. პანინს ერეკლესთვის არაფერი უპასუხია, თუმცა ქრისტიანთა კოალიციის შექმნისა და მისი თურქეთის წინააღმდეგ გამოყენების იდეა რუსეთიდან მოდიოდა.

ამრიგად, ტოტლებენმა ჩაშალა არა მარტო ახალციხის მიმართულებით რუს-ქართველთა ერთობლივი ლაშქრობა, არამედ თურქეთის წინააღმდეგ დიდი კოალიციის შექმნის ერეკლესეული გეგმაც, რითაც, არა მხოლოდ ამ ხალხებსა და საქართველოს, თვით რუსეთის სახელმწიფო ინტერესებსაც ზიანი მიაყენა.

ტოტლებენის ავანტურა და ერაქლეს ურთიერთობის გამწვანება „სპარსეთის“ ხანებთან

გენ. ტოტლებენი წერილებში ხშირად იმეორებს, რომ ერეკლეს რუსეთის ჯარის სპარსეთის წინააღმდეგ გამოყენება უნდა, თურქების წინააღმდეგ კი ომი არ სურსო. გენ. სუხოტინი ვერ გაერკვა ტოტლებენის მიერ დახლართულ ვითარებაში და ისიც უსაყვედურებს ერეკლე მეფეს: სპარსეთის საქმეებს მოეშვიო. ეს საჩივრები უსაფუძვლოა.

1769 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში, პორუჩიკ გრ. ხვაბულოვთან მოლაპარაკებისას, რუსეთის მთავრობის წინადადებაზე, მოსულიყო „ქრისტიანების საერთო მტრის“ — სულთნის თურქეთის წინააღმდეგ, ერეკლე მზადყოფნას აცხადებდა, მაგრამ რეგულარულ დამხმარე ჯარს ითხოვდა. ამასთან, როგორც ელჩისათვის (ა. ანდრონიკაშვილი) ზეპირად დანაბარებიდან ჩანს, ერეკლე მზად იყო რუსეთთან ერთად ებრძოლა არა მარტო თურქეთის, არამედ სპარსეთის წინააღმდეგაც. მაგრამ ეს ეხებოდა სხვა ვითარებას და არა თურქეთთან ომის პერიოდს.

ტოტლებენის ავანტურის შემდეგ, როცა ერეკლეს საქმეები აეწეწა, თურქეთის აგენტებს სამოქმედოდ უკეთესი პირობები შეექმნათ. ფულმა, საჩუქრებმა და აგიტაციამ თავისი გაიტანა. 1770 წლის ზაფხულიდან ფართო მასშტაბი მიიღო „ლეკთა“ თავდასხმებმა ქართლსა და კახეთში, ხოლო ერეკლეს რთული მდგომარეობით ისარგებლეს მაჰმადიანმა ვასალებმაც და თურქეთის მხარე დაიჭირეს. ერეკლე მეფე ნ. პანინთან წერილში, 1770 წლის 9 ოქტომბერს, არა მარტო დაწვრილებით ეხება თურქეთის აგენტების საქმიანობის შედეგად „ლეკთა“ ინტენსიურ თავდასხმებს, არამედ მიუთითებს მეზობელი

მაჰმადიანი ხანების „ცხად“ და „ფარულ“ მტრობაზეც და ვასალების განდგომაზეც.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ტოტლებენმა იმერეთში გადასვლის შემდეგაც არ მოიშალა მტრობა ერეკლესადმი. ერეკლეს, თურქებთან ბრძოლის გარდა, სერიოზული ყურადღების დათმობა უხდებოდა აღმოსავლეთ საზღვრისათვის, რადგან იქიდან ლეკების აქტიური შემოტევა შეიძლებოდა დიდი საფრთხის სათავე გამხდარიყო, რაც 50-იანი წლების მაგალითით მისთვის კარგად იყო ცნობილი. ცხადია, ერეკლეს მთელი ძალების ახალციხისაკენ გაგზავნა არ შეეძლო.

თურქეთის აგენტებმა არა მარტო დაღესტნელები და ერევნის ხანი გამოიყენეს ერეკლეს წინააღმდეგ, არამედ ირანის გამგებელი ქერიმ ხანიც დაუპირისპირეს მეფეს, რომელიც ერეკლეს რუსეთთან კავშირის გაწყვეტასა და თურქეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობაზე ხელის აღებას სთხოვდა.

ერეკლე მეფე რუსეთის მთავრობას, როგორც თავის მოკავშირეს, არაფერს უმაღლავდა — მაჰმადიან ხანებთან მიმოწერის მთელს მასალას უგზავნიდა და საქმის ვითარებას ატყობინებდა, რასაც ნათლად მოწმობს რუსეთის არქივებში დაცული დოკუმენტი.

იმერეთის ციხეების განთავისუფლება თურქების ბატონობისაგან

სოლომონ პირველმა ისარგებლა ქართლ-კახეთის ჯარების თურქებზე აწყურსა და ასპინძასთან გამარჯვებით და 1770 წლის ზაფხულში იმერეთის ციხეების განთავისუფლებას შეუდგა. მეფემ ჯერ ცუცხვათის სიმაგრე დაიკავა, შემდეგ ქ. ქუთაისი გაათავისუფლა და ბოლოს შორაპნისა და ქუთაისის ციხეების ხანგრძლივ აღყაზე გადავიდა.

სწორედ ამ დროს ტოტლებენიც იმერეთისკენ დაიძრა. 1770 წლის ივნისში ტოტლებენი იმერეთში გადავიდა. სოლომონ მეფე მას შეეგება და რუს-ქართველთა ჯარი 2 ივლისს ბაღდადის ციხეს შემოადგა. იქ 30-მდე თურქი მეციხოვნე იყო. სრული ალყის პირობებში თურქ მეციხოვნეებს (რაკი ახალციხიდან დახმარების იმედი არ ჰქონდათ) დანებების გარდა სხვა გამოსავალი არა ჰქონდათ.

ბაღდადის ციხის აღების შემდეგ რუს-ქართველთა ჯარი ქუთაისისკენ დაიძრა. შორაპნის ციხე სოლომონ მეფემ რუსის ჯარის

დაუხმარებლად აიღო და ქალაქი ქუთაისიც დაიკავა, ხოლო ქუთაისის ციხე კი ტოტლებენის ქართლში ყოფნის დროსაც ბლოკადაში იყო. შორაპნის ციხის აღებაში ტოტლებენს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ამას არ შეუძლია ხელი წარმატება თავისად მიეთვალა და სამხედრო კოლეგიის მესვეურთან თავი მოეწონებინა.

ბაღდადის ციხის აღების შემდეგ, როგორც უკვე აღინიშნა, ტოტლებენი და სოლომონ მეფე ქუთაისის ციხეს შემოადგნენ. ქუთაისის ციხის ალყა, სადაც 60-მდე თურქი ჯარისკაცი და ორივე სქესის 220 მოქალაქე იყო, ერთი თვე გაგრძელდა.

იმერეთის ციხეების შედარებით იოლი განთავისუფლება უთუოდ ასპინძის ბრძოლაში თურქთა დამარცხებამ განაპირობა. იმერეთის ციხეების განთავისუფლება რომ საყურადღებო მოვლენას წარმოადგენდა, ეს სადავო არაა, მაგრამ, ვფიქრობთ, მართალი იყო ერეკლე, როცა იგი ეკატერინესა და პანინისათვის გაგზავნილ წერილებში მიუთითებდა: ახალციხის მიმართულებით ლაშქრობის გაგრძელები-სა და წარმატების ვითარებაში იმერეთის ციხეები თვითონ დაგვინებდებოდა, რაკი არსაიდან დახმარების იმედი არ ექნებოდათ, მაგრამ ტოტლებენს ერთად მოქმედების სურვილი არ აღმოაჩნდაო.

მაშასადამე, ტოტლებენის მიერ ერეკლეს გეგმის მიუღებლობა საერთო ინტერესებისათვის საზიანო იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე რუსეთის ჯარის იმერეთში გადასვლამ ციხეების განთავისუფლების საქმე დააჩქარა.

ტოტლებენი იმერეთში გადასვლის შემდეგ სოლომონ მეფესაც მალე წაეჩხუბა. მეფემ მას წინადადება მისცა, შავი ზღვის მიმართულებით ელაშქრათ; ტოტლებენმა ამასზე უარი თქვა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ახალციხეზე ლაშქრობას აპირებდა. სოლომონ მეფე ახალციხეზე ლაშქრობაში მონაწილეობაზედაც თანახმა იყო, მაგრამ ტოტლებენმა არც ეს მოინდომა. იგი რუსეთის ჯარით ახალციხისკენ კი დაიძრა, მაგრამ გაურკვეველი მიზეზებით მალე გზიდან უკან დაბრუნდა. ბოლოს ტოტლებენი სოლომონ მეფის მტერს, თურქების ყოფილ მოკავშირეს, კ. დადიანს, დაუმეგობრდა და გეზი ფოთისკენ აიღო.

ფოთის კამპანიის მარცხი. ტოტლებენის ინტრიგები.

სამხედრო მოქმედების „ახალი გეგმა“

1770 წლის 3 ოქტომბერს ტოტლებენი ფოთისკენ დაიძრა. რუხი-

სა და ანაკლიის ციხეები (ოც-ოცი კაცი იყო თითოეულში) თურქებმა რუსის ჯარის მოახლოებამდე დატოვეს. ტოტლებენი ცარიელ ციხეებს დაეუფლა, ხოლო შემდეგ დადიანთან ერთად ფოთს შემოადგა.

1770 წლის 31 დეკემბერს, სამხედრო კოლეგია უკვე ტოტლებენის შემცველს, გენერალ სუხოტინს, ვრცელ სამოქმედო ინსტრუქციას აძლევდა. მაგრამ გენ. სუხოტინის ჩამოსვლამდე ტოტლებენს საკმაოდ დრო დარჩა იმისათვის, რომ საქმე გაეფუჭებინა.

დადიანთან ერთად ფოთის უწყესოდ ჩატარებული ალყა სამთვე-ნახევარს გაგრძელდა. მას რუსეთისათვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანია, ხოლო საექსპედიციო კორპუსს ბრძოლის უნარი დაუკარგა, რაც სრული კატასტროფით შეიძლება დამთავრებულიყო, საქმეში რომ სოლომონ მეფე არ ჩარეულიყო. საქმე ისაა, რომ 1770 წელს დეკემბრის ბოლოს თურქებმა ძალებს თავი მოუყარეს ბათუმში და ფოთის გარნიზონისთვის მიშველებას ცდილობდნენ, რაც ტოტლებენის დაუძღვრებულ კორპუსს ხიფათში ჩააგდებდა. სოლომონ მეფემ ეს დროულად შეიტყო და რუსეთის წარმომადგენელს აცნობა.

სოლომონ პირველი 1771 წლის იანვარში გურიაში შეიჭრა და თურქებს გზა გადაუჭრა. ამით იმერეთის მეფემ ერთდროულად ორი საქმე გააკეთა — რუსეთის კორპუსი განადგურებისგან იხსნა და გურიაც დაიმორჩილა (ტახტიდან ჩამოაგდო **გიორგი გურიელი**, რომელიც თურქების მიერ იყო მთავრად დასმული და მის ნაცვლად აღადგინა მისი უფროსი ძმა **მამია**, ასკანის ციხე დაიკავა და გურიის თავადაზნაურობას ფიცის წიგნი და მძევლები ჩამოართვა).

ფოთის სამთვეანხვერიანი ალყა გაჭიანურდა, კორპუსმა ბრძოლის უნარი დაკარგა და მარცხით დამთავრდა.

1771 წლის 3 თებერვლის წერილით სოლომონ მეფე ტოტლებენს აცნობებდა **ზურაბ შერვაშიძისა და ქელეშ ბეის** ზუგდიდს მოსვლას და მათს განზრახვას, თავს დასხმოდნენ რუსეთის კორპუსს და აეძღვლებინათ ტოტლებენი ფოთს შემოსცლოდა; მეფე ურჩევდა გენერალს: ფრთხილად ყოფილიყო და ციხეს არ მოსცილებოდა.

როგორც მიმოწერიდან ჩანს, სოლომონ მეფეს ბრალს ვერაფერში დავდებთ. რაც შეეხება რუს ოფიცრებს, მათ მართლაც აიძულეს ტოტლებენი, ფოთისთვის ალყა მოეხსნა, მაგრამ ამას სერიოზული მიზეზები ჰქონდა. საქმე ისაა, რომ მთელი ზამთარი კოლხეთის მაშინდელ ჭაობებში, ნესტიან პირობებში, განუწყვეტელი წვიმების პერიოდში ჯარი მოიქანცა და სამოსელი შემოაცვდა. გარდა ამისა, კორპუსს არც საჭურველი გააჩნდა და არც ცხენები.

ბუნებრივია, გაშიშვლებული, უსაჭურველო, ბრძოლისუნარდაკარგული კორპუსით ფოთის ციხის აღება ვერ მოხერხდებოდა. მტრის მაშველის გამოჩენას შეიძლება კორპუსის დაღუპვა მოჰყოლოდა. ამიტომ აიძულეს ოფიცრებმა ტოტლებენი, ფოთის ალყაზე ხელი აეღო, რათა ჯარისკაცები უაზროდ არ დაღუპულიყვნენ. რა თქმა უნდა, ფოთის კამპანიის მარცხი და საექსპედიციო კორპუსის მიერ ბრძოლის უნარის დაკარგვა ტოტლებენის საქციელს მოჰყვა. ტოტლებენს არ სურდა მეფეებთან ერთობლივი მოქმედება, თავიდან იცილებდა მათ; შეურაცხყოფდა მეფეებს — სოლომონს „თურქს“ ეძახდა, ერეკლეს „მოღალატეს“. ასეთ პირობებში მეფეებიც გულგრილად ექცეოდნენ საექსპედიციო ჯარის მომარაგების საქმეს.

ავანტიურის ჩაშლისა და იმერეთში გადასვლის შემდეგაც ტოტლებენს ერეკლე მეფის მტრობაზე ხელი არ აუღია, რამაც ქვეყნის საშინაო და საგარეო პირობები კიდევ უფრო გაართულა. რაკი ახალციხეზე ლაშქრობა არ განახლდა, ახალციხის ფაშამ ლეკებთან კავშირი შეინარჩუნა — ლეკთა თარეში გაძლიერდა; შემორიგებული ჭარელებიც აიშალნენ; ერეგნის ხანმაც „აიხადა საფარველი საქართველოსი“, დაარღვია „მორჩილების პირობა“ და თურქებთან კავშირი დაამყარა; „ესე ყოველი ღრაფ ტოტლებენის მიზეზით“ მოხდა, როგორც ამის შესახებ სამართლიანად სწერდა ერეკლე მეფე ნ. პანინს 1770 წლის 9 ოქტომბერს.

1771 წლის 9 მარტს ყიზლარის კომენდანტმა ნეიჩმა წერილი გამოუგზავნა ერეკლეს, რომლითაც აცნობებდა ტოტლებენის განთავისუფლებას.

მართალია, ტოტლებენის საქმიანობას რუსეთის მიზნებთან საერთო არაფერი ჰქონდა, იგი ინსტრუქციების საწინააღმდეგოც იყო, მაგრამ, ვიდრე იგი რუსეთის კორპუსის მეთაურად რჩებოდა, სხვების თვალში ოფიციალურ რუსეთს წარმოადგენდა და ისე გამოდიოდა, მის პოლიტიკას მთავრობაც მხარს უჭერდა. მაგრამ, რაკი იგი გაათავისუფლეს, მაშასადამე — რუსეთის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ უმოქმედია. მაგრამ ტოტლებენის საქმიანობის უარყოფითი შედეგები ზემოაღნიშნულით არ ამოიწურება. **ტოტლებენმა ჩაშალა საომარი კამპანია ყველაზე მოსახერხებელ ვითარებაში, რითაც საქართველოსთან ერთად რუსეთსაც დიდი ზიანი მიაყენა.**

1770 წლის ზაფხულში ომის ცენტრალურ ფრონტზე რუმინელების მიერ ჩატარებულ ბრწყინვალე ოპერაციებს ლარუსა და კავკასიონთან დიდი გამარჯვება მოჰყვა: თურქეთის მთავარი ძალები სასტიკად

დამარცხდნენ და საომარი ოპერაცია ღუნაიზე იქნა გადატანილი. მეორე არმიაც წარმატებით იბრძოდა. ბენდერის ციხის წინააღმდეგობა გატეხილ იქნა. რუსეთის ფლოტმა ჩესმასთან თურქეთის ფლოტი გაანადგურა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში გაბატონდა. ასეთ ვითარებაში თურქეთს კავკასიის ფრონტზე ძალების გადმოსროლის საშუალება არ ჰქონდა. რაკი ახალციხის ფაშის ჯარებიც ასპინძასთან განადგურდა, საქართველოდანაც შეიძლება და საბრძოლო ოპერაციების წარმატებით გაშლა, ტოტლებენს რომ საქმე არ ჩაეშალა.

1770 წელს ერეკლემ რამდენჯერმე შესთავაზა ტოტლებენს ახალციხის მიმართულებით კამპანიის განახლება, იაზიკოვიც მხარს უჭერდა ამ გეგმას. მაგრამ 1770-1771 წლებში ტოტლებენს მისი განზორციელების სურვილი არ აღმოაჩნდა.

რუსეთის მთავრობა იბრძოდა საქართველოს ძალების გაერთიანებისთვის, რათა მტრის ძალები საქართველოს ფრონტს მიეზიდა, ტოტლებენი — დაქსაქსვისთვის; რუსეთი იბრძოდა ომში ერეკლეს მისამხრობად, ტოტლებენი — ერეკლეს ჩამოსაცილებლად, არწმუნებდა სუხოტინს და რუსეთის მთავრობას, რომ ასპინძის გმირს თურქეთთან ომი არ სურსო.

გარდა ამისა, ტოტლებენი რუსეთს მეგობრებად უნახტავდა დადიანს და გურიელს, ეს მაშინ, როცა თვითონვე არ ფარავდა, რომ დადიანის ხელშეწყობით იქნა გატაცებული რუსეთის კორპუსის ცხენები; ისიც ხომ ცნობილი იყო, რომ **გ. გურიელს არც გაუფრთხილება რუსეთის ჯარი, როდესაც თურქების მოახლოება შეიტყო, პირიქით, გზა მისცა მათ.** კორპუსი დაღუპვისგან იხსნა სოლომონ მეფემ გურიაში შეჭრით, მაგრამ ტოტლებენი მაინც სოლომონს ლანძღავდა.

ტოტლებენი ერეკლეს რუსეთის მთავრობის თვალში თურქეთის აგენტად ხატავდა და აუწყებდა მთავრობას — სულთანისგან საჩუქრები მოსდისო.

ტოტლებენის საქმიანობის შესწავლა საფუძველს გვაძლევს, რომ 1770 წლის თებერვლის ბოლოდან მის საქციელში ეჭვი შევიტანოთ.

ქართველების ლანძღვა, ოფიცრებზე ცილისმწამებლური წერილების წერა, მათ გასადევნად ნიადაგის მოშხადება 1770 წლის თებერვლის ბოლოდან იწყება. ახალციხეზე ლაშქრობის სახეიმოდ აღიარებული გეგმის უარყოფა, აწყურთან ღალატი, ავანტიურა, ერეკლესა და სოლომონთან ერთად მოქმედებაზე უარის თქმა, მათი ჩამოცილების მიზნით, ახალი „შეთქმულების“ მზადება იაზიკოვის,

ლვოვის, კლავერის, მარკოვის გასადევნად და ბოლოს საომარი მოქმედების „ახალი გეგმა“ — ყოველივე ეს შეუძლებელს ხდიდა შეთანხმებულ მოქმედებას და საქართველოს ფრონტზე თურქებს ნამდვილად შესვენების საშუალებას აძლევდა.

ტოტლებენმა თავისი საქციელით, ერეკლეს მოუსპო საომარი ოპერაციის გაშლის საშუალება, რითაც თურქებს შესაძლებლობა მისცა შეენარჩუნებინათ კავშირი ლეკებთან. გარდა ამისა, ახალციხის მიმართულებით ლაშქრობაზე უარის თქმით რუსეთმა დაკარგა მოკავშირე ქურთებისა და ასირიელების სახით.

არსებობს საბუთები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ტოტლებენმა 1770 წლის ზამთარში კავშირი დაამყარა ახალციხის ფაშასთან, კერძოდ, იმასთან, ვისაც ანდობდა სულთანი საქართველოს ფრონტს. ტოტლებენის მიმოწერა ახალციხის ფაშასთან, მისი ებრაელი ჯაშუშის განთავისუფლება და ახალციხეში გაგზავნაც უცილობელი ფაქტია. ტოტლებენის ოფიციალური ურთიერთობა ფაშასთან მისდამი ეჭვს არ ხსნის (შვიდწლიან ომშიც ტოტლებენი ჯაშუშობას ასეთივე მეთოდით აწარმოებდა). ამალითა და ჯარით გარშემორტყმული გენერალი, ბუნებრივია, სხვაგვარად უცხოეთის დაზვერვას ვერც დაუკავშირდებოდა.

ცნობილია, რომ ტოტლებენის საქციელზე ეჭვს გამოთქვამდნენ ერეკლე II და სოლომონ I. ერეკლე, ბუნებრივია, ტოტლებენისადმი აწყურის შემდეგ ტენდენციურად იქნებოდა განწყობილი და იქნებ აჭარბებდა კიდევ. მაგრამ სოლომონ პირველი, რომელსაც 1770 წლის ივლის-აგვისტოში ტოტლებენმა გარკვეული სამსახური გაუწია და ჯერ მტრობაც არ ჰქონდა მასთან, 1770 წლის 19 სექტემბერს პანინს სწერდა: „ეს (ტოტლებენი — ვ. მ.) ასერიგად იქცევა, რომ უფროსად განაძლიერებს და მკნე ჰყოფს მტერთა“.

მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ტოტლებენი უცხოეთის აგენტი, ერთი რამ სადავოდ არ მიგვაჩნია: ტოტლებენმა ნამდვილად ჩაშალა საომარი კამპანია საქართველოს ფრონტზე 1770-1771 წლებში, რითაც რუსეთს კიდევ უფრო მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე 1761 წელს.

არ ვფიქრობთ, გადაჭარბებით შევაფასოთ პიროვნების როლი, მაგრამ ისე, რომ საქმისათვის სასარგებლო გაბედული ინიციატივა, ქვეყნისთვის სასარგებლო გაბედული ნაბიჯი სამხედრო წესდების „არტიკულებით“ (სარდლისადმი, უფროსისადმი ბრმა მორჩილება) იზომებოდა და ამითვე ისჯებოდა, საშუალებას აძლევდა ტოტლებენს თვითნებურად ემოქმედა. გარდა ამისა, ჩოგლოკოვის პატიმ-

რობიდან გაქცევამ მთავრობის თვალში „პ აპრილის შეთქმულება“ საეჭვო არ განადა და ტოტლებენის განთავისუფლების საქმე გადადო. გარკვეული როლი შეასრულა პეტერბურგის სიშორემ — კავშირისა და სატრანსპორტო საშუალებათა მაშინდელმა მდგომარეობამ. საქართველოს რთული საშინაო ვითარებაც გარკვეულად ხელშემწყობი პირობა იყო.

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, თუ როგორ სურდათ გამოეყენებინათ ქართლის თავადებს ტოტლებენის უთანხმოება ერეკლესთან. დას. საქართველოშიც სოლომონ მეფის მტრებმა, როგორც კი დაინახეს უთანხმოება იმერეთის მეფესა და ტოტლებენს შორის, სცადეს იგი გამოეყენებინათ თავიანთი მიზნებისთვის. მაგ., გარდა იმისა, რომ გურიასა და სამეგრელოში სოლომონ მეფის პოლიტიკას მუქ ფერებში ხატავდნენ (გიორგი და მამია გურიელები, კაცია დადიანი და სხვ.), გადაყენებული ბესარიონ კათალიკოსი 1770 წლის ბოლოს ტოტლებენს აცნობებდა, რომ სოლომონ მეფემ პეტერბურგში გაგზავნილი წერილებით სამეფო კარზე დაგაბეზდა, ხოლო ჩერქეზეთში კაცი გაგზავნა და შენს წინააღმდეგ ჯარი მოიწვიაო. ამ ყაღბმა დასმენამ კაპ. ლვოვიც კი დააეჭვა, მაგრამ ერეკლე მეფე 1771 წლის 3 იანვარს აცნობებდა კაპ. ლვოვს, რომ მას სარწმუნოდ არ მიაჩნია სოლომონის მიერ რუსეთის ჯარის წინააღმდეგ ჩერქეზების მოწვევა. კიდევ მეტი, 1771 წლის 4 აპრილს კაცია დადიანი ტოტლებენს წერდა, რომ სოლომონ მეფეს ახალციხის ფაშასთან კავშირი აქვს, ფაშის ჯაშუში სოფ. ქვიტირში ჰყავს, სულეიმან ფაშისაგან პასუხს ელოდება და თურქეთიდან დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში გიდალატებსო. ზემოაღნიშნულმა პირობებმა ტოტლებენს საშუალება მისცა მთელი წლის მანძილზე ეფუჭებინა საქმე.

ტოტლებენის, უცხოეთის ყოფილი ჯაშუშის, ისეთ რთულ და საპასუხისმგებლო პოსტზე დანიშვნით, როგორც საქართველოში გამოგზავნილი ჯარის სარდლობა იყო, რუსეთის მთავრობამ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, რითაც საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივსა და საქართველოს ინტერესებს დიდი ზიანი მიაყენა.

საომარი კამპანია 1771 წლის მმორე ნახეზარში და

რუსეთის ჯარის განწვევა საქართველოდან

ტოტლებენის ეჭვებს რუსი ოფიცრებისა და ქართველების მიმართ, რომელიც გამოთქმული იყო მის წერილებში (1770 წლის

თებერვალ-აპრილი), დაურწმუნებიათ ეკატერინე II, რომ ტოტლებენს საქართველოში საქმის ჩაშლა უფრო შეეძლო, ვიდრე მისი რუსეთისთვის სასარგებლოდ წარმართვა და პანინისათვის მისი შეცვლის თაობაზე მიუწერია კიდევ. მთავრობამ საქართველოში საქმის მოსაგვარებლად კაპ. იაზიკოვი გამოგზავნა. კაპ. ნ. იაზიკოვის პირველივე მოხსენებებით რუსეთის მთავრობა დარწმუნდა, რომ ტოტლებენი საქმისთვის გამოუსადეგარი იყო და 1770 წლის დეკემბერში გაათავისუფლა კორპუსის უფროსობისგან. კორპუსის მეთაურად გენ. ალექსი სუხოტინი დაინიშნა.

გენ ა. სუხოტინი უმტკივნეულოდ ჩამოვიდა საქართველოში. ერეკლემ საზეიმო შეხვედრები მოუწყო მას დუშეთსა და თბილისში. 1771 წლის 13 მაისს გენ. სუხოტინი ქუთაისს ჩავიდა.

1771 წლის 5 ივნისს პატაკით სუხოტინი ჯარის მდგომარეობას ასე აღუწერდა მთავრობას: ჯარისკაცები არიან უკარგვოდ, უტანსაცმლოდ, არც ერთი ცხენი, არც ერთი უნაგირი, ქვემეხი უთოფისწამლოდ, ჯარისკაცები უთოფისწამლოდ, არც ერთი ცალი სასანგრო იარაღი; ხაზინა მთლიანად ვალშია, არ არის არავითარი აღრიცხვა; სუხოტინი განაგრძობდა: გაუშიშვლებია კორპუსი, იგი (ტოტლებენი) ამასაც არ დასჯერდა — შეეცადა სხვადასხვა ხრიკით, ბრძოლისუნარიანი ახალგაზრდების რუსეთში გაგზავნით დაესუსტებინა კორპუსი; მეც მიმზადებდა ნიადაგს მეფეებთან წასაჩხუბებლად, მარწმუნებდა — მეფეები მოლალატეები არიანო.

პარალელურად სუხოტინი სამხედრო კოლეგიას 5 ივნისს პატაკით აცნობებდა: ტოტლებენმა 33.704 მანეთი ვალი დატოვა. გაურკვეველია, რაზე დაიხარჯა 17.131 მანეთი, ხაზინას სახეზე ჰქონდა 11.579 მანეთი, საჭირო იყო 117.216 მანეთი. კორპუსს უნდა ჰყოლოდა 1508 ცხენი, ჰყავდა 119.

მართალია, გზა უშიშარი გახდა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, საჭირო იყო დიდი დრო, რომ კორპუსი მომარაგებულიყო, ბრძოლისა და მანევრირების უნარი დაბრუნებოდა. საომარი ოპერაციის გეგმა მარტო პოლიტიკით როდი განისაზღვრება. პოლიტიკაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია სამხედრო შესაძლებლობებზე — პოლიტიკის იარაღზე.

1771 წლის ივნისში სოლომონ მეფე და გენ. სუხოტინი გადმოვიდნენ ქართლში, სოფ. ხელთუბანში, სადაც 15 ივნისს შეხვედნენ ერეკლეს და შეთანხმდნენ სამხედრო მოქმედების გეგმის თაობაზე, რომელიც, პროფ. ი. ცინცაძის სამართლიანი შენიშვნით, მთლიანად

ფოთის ციხის აღებას ემსახურებოდა.

სიტყვიერი შეთანხმებით, როლები ასე ნაწილდებოდა: სუხოტინს რუსების ჯარის კორპუსით უნდა გარემოეცვა ფოთი, ხოლო ქართველთა ძალებს იგი უნდა დაეცვათ მტრის ძალებისგან. შეთანხმებით ერეკლე მეფეს ჯარის ნაწილები უნდა დაეგზავნა ქვეყნის სხვადასხვა მხარეში ლეკებისგან ქვეყნის დასაცავად, ხოლო თვით მეფე ძირითადი ძალებით ახალქალაქ-ახალციხე-ყარსის მიმართულებით უნდა შეჭრილიყო, თარეშით თურქები შეეწუხებინა, და არ მიეცა მათთვის საშუალება, მიშველებოდნენ ფოთის ციხეს; სოლომონ მეფეს თავისი ჯარით ახალციხიდან იმერეთისკენ მიმავალი გზა უნდა გადაეკეტა, დადიანს უნდა დაეცვა აფხაზეთიდან ფოთისკენ მიმავალი გზა, გურიელს — ტრაპიზონიდან შავი ზღვისპირზე ფოთისკენ მიმავალი გზა.

ხელთუბანში შეთანხმებული გეგმა სერიოზული ხარვეზებით ხასიათდებოდა: 1) ეს გეგმა არ ითვალისწინებდა კლიმატურ პირობებს, რის თაობაზეც ერეკლე მეფე შეახსენებდა გენერალს, რომ ტოტლებენმა ზამთარში ჯარისკაცებს სული ამოხადა ფოთში, ლაშქრობა ზაფხულშიც ძნელი იქნება, ამიტომ უმჯობესია ახალციხეზე ვილაშქროთ, თუ ფოთზე ლაშქრობა ნაბრძანები არ გაქვსო; დაბოლოს, სოლომონ I და კ. დადიანსაც ხუნწში შეხვედრისას უთქვამთ გენერლისთვის, რომ ზაფხულში ფოთზე ლაშქრობა საშიში იყო; 2) სუხოტინს მხედველობიდან გამორჩენია, რომ საჭირო იყო სააღმოსავლეთო ქვეყნები, უამისოდ ფოთის ციხის აღებას დიდი დრო დასჭირდებოდა; 3) გენ. სუხოტინმა არ გაითვალისწინა ყველაზე ძლიერი მოკავშირის, ერეკლეს მოთხოვნა ახალციხეზე ლაშქრობის თაობაზე, თუცა დააიმედა, რომ ფოთის აღების შემდეგ ახალციხეზე წავიდოდა.

გენ. სუხოტინის შეცდომები, როგორც ჩანს, განაპირობა კორპუსის ფაქტობრივმა მდგომარეობამ, ტოტლებენის მიერ ჩაგონებული ეკატერინეს რჩევამ — ქართველებს არ დაენდო — და ფოთის გარნიზონის სიმცირემ.

ერეკლეს მტრებსაც არ ეძინათ მათ მეფის სამზადისი აცნობეს ერეკლის ხანს, ხოლო ამ უკანასკნელმა — ახალციხის ფაშას, რომელმაც სათანადო ზომები მიიღო (მოსახლეობა დახიზნა ციხეებში, რომელთა გარნიზონები გააძლიერა, ხოლო მეფეს ელჩები გამოუგზავნა, შვერიგდეთო); გარდა ამისა, კაპ. ლვოვს აუწყეს, თითქოს ერეკლემ ახალციხეზე სალაშქროდ მცირე ძალები გამოყო და ფაშასთან მოლაპარაკებას აწარმოებსო. კაპ. ლვოვმა ეს ამბები 15

ოქტომბრის წერილით შეუთვალა გენ. სუხოტინს.

ხელთუბანიდან დაბრუნებულმა სუხოტინმა, ქუთაისში, სადაც გეგმა საბოლოოდ დაამუშავა, ახალი შეცდომები დაუშვა. საქმე ისაა, რომ გენერალი შეუდგა კ. დადიანთან და მასთან თავშეფარებულ გ. გურიელთან ადრე დაწყებული მოლაპარაკების გაგრძელებას. რაკი იმპერატორი ავალბდა, რომ ქართველი მფლობელები ერთმანეთთან შეერიგებინა და თანაც არ ნდობოდა მათ, გენერალი დამთმობიც გახდა და უნდოც. ხშირად საიმედოსა და საეჭვოს ერთმანეთისგან ვერ ასხვავებდა და გადაწყვიტა მძევლები — „ამანათები“ — მოეთხოვა, რითაც დაშვებული შეცდომები კიდევ უფრო გაღრმავდა.

ერეკლემ პასტიოსნად შეასრულა შეთანხმება, რომელიც ხელთუბანში იქნა მიღწეული: დათქმულ დროს გამოვიდა ჯარით და იდგა თრიალეთში, ახალციხის საფაშოს ახლო, რითაც დაამინა ახალციხის ფაშა და უზრუნველყო რუსეთის კორპუსის უსაფრთხოება. მაგრამ კაპ. ლვოვის 15 ოქტომბრისა და 27 ოქტომბრის წერილებმა და აგრეთვე „გეგმაზე“ მინაწერებმა ისე გააცხარეს გენერალი, რომ მან წონასწორობა დაკარგა, მეფეს უხეშად უპასუხა და გეგმა უკან დაუბრუნა, ხოლო კაპ. ლვოვს დააფალა, აეძულებინა მეფე ერეკლე, ყველაფერი ისე გაეკეთებინა, როგორც გენერალი ბრძანებდა.

1771 წლის 9 აგვისტოს, სუხოტინისგან პასუხის მისაღებად, ერეკლე მეფე სწერდა გენერალს, რომ 12 ოქტომბრის იგი თბილისიდან გავიდა და საზღვარზე იმყოფება. შეშინებული ახალციხის ფაშა შერიგებას მთხოვს, იტყობინებოდა მეფე, მაგრამ მე 6 მძევალი მოვითხოვე, რომ შემდეგ შენთან ერთად გადავწყვიტო როგორ მოვიქცეთ, პასუხი არ მიმიღიაო. ამასობაში მეფემ სუხოტინის წერილიც მიიღო, სადაც იგი ბრალს სდებდა ერეკლეს და წარსულში მომხდარ ამბებშიც ტოტლებენს ამართლებდა.

1771 წლის 21 აგვისტოს ერეკლე მეფემ გენერალს ორი წერილი გაუგზავნა: პირველში განაწყენებულმა მეფემ ჩამოთვალა ყველა თავისი მოქმედება თურქეთის წინააღმდეგ რუსეთთან კავშირში შესვლის შემდეგ. ერეკლე ხაზს უსვამდა, რომ მისმა მტრებმა არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს გენერალს, ლვოვზეც გადაუკრა, რომ იგი მისდამი კეთილგანწყობილი არაა (იგულისხმებოდა კაპ. ლვოვის პოზიცია ტოტლებენის ავანტურის დროს და ლვოვის წერილი მეფისადმი); ერეკლე ლაშქრობის 20 ოქტომბრის შემდეგ გადაადებასაც უსაყვედურებდა გენერალს. თან დასძინდა, რომ 19 აგვისტოს იმერეთიდან მოსულმა ჩემმა კაცმა მაცნობა, სოლომონ მეფე ისევ ბაღდადში

დგასო. ლაშქრობა ნაგარაუდგვი იყო 6 კვირით, ხსენებული ვადა უკვე იწურება, გლეხები კი ტყუილებრად მოვსწყვიტეთ მინდვრის სამუშაოებს; გეგმასთან დაკავშირებით ერეკლე წერდა, რომ იგი მიიღო, ხელიც მოაწერა და ვალდებულება აიღო თავისი შესაძლებლობის გათვალისწინებით, გეგმის ხელმოწერის თაობაზე მეტი აღარ შემაწუხო. მეორე წერილში, რომელიც აგრეთვე 1771 წლის 21 აგვისტოსაა გაგზავნილი, ერეკლე მოაგონებდა გენ. სუხოტინს, რომ ხელთუბანში დაიჩემეს ზოგიერთებმა, მაგრამ მე არ მიკისრია სალაშქროდ გარკვეული რაოდენობით ჯარის გამოყვანა და არც ის, თუ სად რამდენი დამეყენებინა; შექმნილმა რთულმა ვითარებამ მაიძულა ჯარის ნახევარი გამეგზავნა თუშეთში, რომელსაც ლეკები დაესხნენ თავს; თუმცა ლეკები განდევნეს, დაამარცხეს, მაგრამ ჯარი იქედან ჯერაც არ დაბრუნებულა; ჯარის ნაწილი იალღუჯში გაგზავნე ლეკების წინააღმდეგ; ცნობა მივიღე აგრეთვე, რომ ლეკები ახმეტას ემუქრებიანო; რაც შეეხება მძევლების საკითხს, შეურაცხყოფილი მეფე წერდა: „ამანათის მთხოველი ვისაცა სთხოვს, ან მტერი იქნება ის კაცი, რომელსაც ეთხოვება და ან მოყვარე, და მიზეზსაც გამოუცხადებენ“.

ერეკლეს პასუხი მტკიცე იყო, მაგრამ ტონი — ზომიერი და მეგობრული. გენ. სუხოტინის რჩევის მიხედვით ძალების განაწილება ქვეყნის თავდასაცავად ერეკლეს არ უვალდებულებია და არც შეეძლო, ხოლო თავადებთან ერთად ფიცის მიღება მათთან გათანაბრება იქნებოდა, რაც მეფის ავტორიტეტს დასცემდა, დაანგრევდა იმას, რასაც ერეკლე 37 წლის განმავლობაში აგებდა. ერეკლე ამაზე არ წავიდა.

არც დასავლეთ საქართველოში მიდიოდა საქმე უკეთესად. გენ. სუხოტინმა საქართველოში ჩამოსვლისთანავე მიიღო ზომები, რომ დასავლეთ საქართველოს მფლობელები შეერიგებინა და ერთობლივად ეწარმოებინათ ომი თურქეთის წინააღმდეგ, როგორც ამას ინსტრუქცია მოითხოვდა. რუსეთის სამეფო კარის დაჯალებითა და გენ. სუხოტინის თხოვნით, ერეკლემ წერილები გაუგზავნა სოლომონ მეფეს, კ. დადიანსა და გ. გურიელს, რომ შერიგებულიყვნენ და ერთად გამოსულიყვნენ ქრისტიანების საერთო მტრის — თურქეთის წინააღმდეგ, ხოლო თავ. ზურაბ შერვაშიძეს — რუსეთის კორაჟისისთვის დაებრუნებინა გარეკილი ცხენები.

იმერეთში ჩასვლისთანავე გენ. სუხოტინმა დაიწყო მიმოწერა კ. დადიანთან და გ. გურიელთან. სოლომონ მეფისთვის ეს მეტად საწყენი იყო, მიუხედავად ამისა, მან მაინც გაგზავნა იოსებ კათალიკო-

სი (თავისი ძმა) დადიანთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ დადიანმა პროვოკაციები მოაწყო. ხელთუბნის თათბირიდან დაბრუნების შემდეგ გენ. სუხოტინს ყველაფერი უკუღმა მოახსენეს, რაც გენერალმა დაიჯერა და იგი იოსებ კათალიკოსს ადანაშაულებდა, რომ მას არ სურდა სოლომონ მეფის კ. დადიანთან შერიგება. გენ. სუხოტინი თვითონ შეუდგა კ. დადიანთან მოლაპარაკებას და გადაწყვიტა ზოგიერთ დათმობაზე წასულიყო. ეს დათმობა აისახა გეგმაში, რომელიც ხელთუბნის თათბირის შემდეგ ქუთაისში დამუშავდა 1771 წლის 5 ივლისს: სოლომონ მეფეს დაევალა 6 ათასი კაცი გამოეყვანა და ახალციხიდან იმერეთში მომავალი გზები შეეკრა, ხოლო დადიანს — არა მარტო აფხაზეთიდან ფოთისკენ მომავალი გზის შეეკრა ველებოდა, არამედ აგრეთვე ქუთაისიდან ფოთამდე კომუნიკაციების დაცვა. ამ უკანასკნელი დაჯალების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სოლომონ მეფის ჯარი სამეგრელოს ტერიტორიაზე არ დაეშვა, რისთვისაც კ. დადიანი კარგა ხანია იბრძოდა.

თუმცა გენ. სუხოტინის ნაბიჯებით განაწყენებული იყო, მაგრამ სოლომონ მეფე ყველა ზომას იღებდა რუსეთის კორაჟისის მოსამარაგებლად. ამასთან ერთად, მეფეს ესმოდა, რომ მისი კ. დადიანთან მორიგება გაძნელებოდა, რადგან კ. დადიანის სასახლე თავშესაფარს წარმოადგენდა სოლომონით უკმაყოფილო პირებისას: ტახტიდან ჩამოგდებული გ. გურიელის, გადაყენებული კათალიკოსის ბესარიონის (რაჭის ერისთავის ძმის) და სხვათა. სოლომონ მეფე გენ. სუხოტინს სწერდა: ბესარიონ კათალიკოსი თურქებთან კავშირშია, ჩემს წინააღმდეგ გესლაგს კ. დადიანს, ამიტომ სანამ იგი სამეგრელოშია, კ. დადიანთან ზავი შეუძლებელიაო.

გენ. სუხოტინმა სამეგრელოში წერილით გაგზავნა პოდპოლკ. ო. ბ. ბიბიკოვი და კ. დადიანს სთხოვა, დათანხმებოდა სოლომონთან ზავსა და მასთან შეზვედრაზე. 1771 წლის 20 ივლისს კ. დადიანი პასუხად სწერდა გენერალს, რომ მას ეშინოდა სოლომონ მეფისა და სთხოვდა, სუხოტინი მისულიყო მასთან ხუნწში, სადაც იქნებოდა გ. გურიელიც. გენ. სუხოტინმა ოფიცერი გაგზავნა და გ. გურიელს სამთავროს დაბრუნება აღუთქვა (გურიის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა ომის შემდეგ დამოკიდებული იქნებოდა ეკატერინენზე), ხოლო სოლომონ მეფე აიძულა, დასთანხმებოდა ომის დროს გ. გურიელთან შერიგებას. კ. დადიანი ცდილობდა მიეღწია არა მარტო გ. გურიელის მთავრად აღდგენის, არამედ აგრეთვე გურიიდან წაყვანილი მძევლების განთავისუფლებისა, რომელნიც სოლომონ მეფეს

ჰყავდა, და იმერეთის გარნიზონის ასკანის ციხიდან გამოყვანისთვისაც, რომ გურიისათვის სრული დამოკიდებულება მოეპოვებინა.

გენ. სუხოტინის შეხვედრა კ. დადიანთან არც თუ სასურველ ვითარებაში მომხდარა, მაგრამ კ. დადიანმა, მისმა ძმამ ნიკოლოზმა და გ. გურიელმა 1771 წლის 29 ივლისს „გვემას“ ხელი მოაწერეს და ფიციც მიიღეს; 29 ივლისს მიწერილ წერილში კ. დადიანი გენ. სუხოტინს წინადადებას აძლევდა, რომ რუსეთის წარმომადგენელს ჩაებარებინა გურიის სოფლები და ციხე და გადაეცა გ. გურიელისთვის (სხვაგვარად სოლომონი გურიელს არ მისცემს). იგი უმტკიცებდა გენერალს, რომ გ. გურიელი ფოთის ალყის დროს დაგვეჭირდებოდნენ. თუმცა სოლომონ მეფის წარმომადგენელი გურიაში არწმუნებდა გენერალს, გურიას ომის დროს კარგად გამსახურებო, მაგრამ სუხოტინი სოლომონის მტრებს უფრო უსმენდა. 1771 წლის 3 აგვისტოს კ. დადიანი სწერდა გენერალს, რომ გ. გურიელი წავიდა თქვენი ოფიცრის მოსვლამდე, ამიტომ ჩვენ იგი (ოფიცერი) გურიაში გავგზავნეთ.

13 აგვისტოს გენ. სუხოტინმა გ. გურიელისგან მიიღო წერილი, რომლითაც ყოფილი მთავარი გენერალს აუწყებდა: თქვენი (გენ. სუხოტინის) კაცი გურიაში მოვიდა და ყველას ვუთხარით თქვენი (გენერლის) განკარგულება, მაგრამ სოლომონ მეფის კაციც მოვიდა და ჩემს ხალხს განუცხადა, რომ, თუ ისინი ჩემთან (გ. გურიელთან) გამოცხადდებიან, მეფე მძევლებს დაახრჩობს, ამიტომ გურიის თავადები და აზნაურები შეშინდნენ და ჩვენთან არ ცხადდებიან, გთხოვთ გამოგზავნოთ თქვენი კაცი და მძევლები გადმოგვცენო.

გენ. სუხოტინის დათმობა გ. გურიელისადმი, რაშიც არსებითი როლი შეასრულა კ. დადიანის პოზიციამ, გენერლის შეცდომა იყო. ამ საქმეში გარკვეული როლი შეასრულა აგრეთვე გენ. ტოტლებენმაც, ეკატერინეს ინსტრუქციამაც და თვით მამია გურიელმაც კი, რომელიც ტახტზე ხელახლა ასვლის შემდეგ თავგამოდებით იბრძოდა, რათა სოლომონ მეფეს ჯარი გაეყვანა ასკანის ციხიდან. ამასთან, მ. გურიელი იმერეთის მეფის პოლიტიკას გურიაში არანაკლებ მუქი ფერებით ხატავდა, ვიდრე გ. გურიელი, კ. დადიანი და გენ. ტოტლებენი. რა თქმა უნდა, მ. გურიელის საქციელი იყო მთავრის პარტიკულარისტული მისწრაფების ტიპური გამოვლინება, რომელიც არავითარ მორალს არ ექვემდებარებოდა. სამართლიანად მიუთითებდა პროფ. ა. ცაგარელი, რომ გენ. სუხოტინმა თავი ვერ გაართვა მისი წინამორბედის მიერ აწეწილ საქმეებს და თვითონაც

საკმაოდ შეცდომები დაუშვაო.

ამრიგად, გენ. სუხოტინი ბრმად მიჰყვებოდა რა იმპერატორის ინსტრუქციას (შეერიგებინა საქართველოს მფლობელები), მთავრებთან დათმობის გზას დაადგა, რითაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა რუსეთის ერთგული მოკავშირე სოლომონ მეფე და კიდევ უფრო გაართულა ვითარება დასავლეთ საქართველოში. კ. დადიანი და გ. გურიელი აცხადებდნენ რუსეთისადმი თავიანთ ერთგულებას, სურდათ მიეღწიათ იმერეთის მეფისგან სრული დამოუკიდებლობისთვის, ამავე დროს არ აფუჭებდნენ ურთიერთობას თურქებთანაც, რათა რუსეთის ჯარის წასვლის შემდეგ დამხმარის გარეშე არ აღმოჩენილიყვნენ. ამას არ შეეძლო გაეღენ არ მოეხდინა მოვლენათა მსვლელობაზე.

1771 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში გენ. სუხოტინი ფოთისკენ დაიძრა. ფოთის ციხის დაუყოვნებლივ იერიშით აღება, სააღყო ქვემეხების უქონლობის გამო, შეუძლებელი აღმოჩნდა და ალყა გაჭიანურდა. მეფეების რჩევის უგულვებლყოფა სუხოტინს ძვირად დაუჯდა: კოლხეთის კლიმატმა გამოიწვია ჯარისკაცების მაღარიით მასობრივი დაავადება, მძიმედ გახდა ავად თვით გენერალიც. ფოთის კამპანია ამჯერადაც მარცხით დამთავრდა.

ქუთაისში დაბრუნებული გენერალი ფოთის კამპანიის შედეგებს 1771 წ. 20 ოქტომბერს სამხედრო კოლეგიას კორპუსის მდგომარეობას აცნობებდა: მოკლულ იქნა — 4 კაცი, დაიჭრა — 15, ავადმყოფობით და ჭრილობით მოკვდა — 293, გაიქცა — 57, სახეზეა ჯანმრთელი — 782, ავადმყოფი — 1934. გარდა ამისა, გენერალი ხარჯების გადიდებას ითხოვდა.

გენ. სუხოტინის მოხსენებები პეტერბურგში დეკემბერში მიიღეს და სახელმწიფო საბჭოს 1771 წლის 15 დეკემბრის სხდომაზე საქართველოდან საექსპედიციო კორპუსის უკან გაწვევაც გადაწყვიტეს.

სუხოტინის მარცხში უმთავრესი დამნაშავე იყო ტოტლებენი და ეკატერინე მეორე: ტოტლებენმა, სუხოტინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გააშიშვლა“ და „განაიარადა“ კორპუსი, ხოლო ეკატერინე ბრმად ერწმუნა ტოტლებენს და გენერალს ურჩია ქართველებს არ ენდოო; შედეგიც საჯალალო აღმოჩნდა.

გენ. სუხოტინის შედგენილი გეგმით განსაზღვრულ ძირითად ამოცანას შედეგი არ მოჰყოლია. დამხმარე ამოცანა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს კორპუსის დაფარვას აკისრებდა და იგი ასეც იქნა შესრულებული. რაც შეეხება ერეკლეს, მას აქტიური მოქმედებით და თარეშით უნდა შეეწუხებინა ახალციხის ფაშა, რათა

იგი ფოთის გარნიზონს არ მიშველებოდა. ერეკლემ არა მარტო ეს გააკეთა, ქართლ-კახეთის ჯარმა 1771 წ. 25-26 ოქტომბერს ხერთვისის ციხეც აიღო.

ასეთი იყო საომარი კამპანიის შედეგი საქართველოს ფრონტზე 1771 წელს.

ფოთის კამპანიის მარცხის შემდეგ გენ. სუხოტინის ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა არა მარტო ქართველ მეფეებთან, არამედ აგრეთვე რუსეთის წარმომადგენელ კაპ. ლვოვთანაც. ავადმყოფი გენერალი ეჭვიანიც გახდა, კაპ. ლვოვს რუსეთში ცილისმწამებლური ინფორმაციების გაგზავნას სწამებდა, ხოლო ქართველ მეფეებს ბრალად სდებდა თავის მარცხს. მეფეები წარუმატებლობის მიზეზად გენ. სუხოტინს თვლიდნენ.

მიზეზები საკმაო იყო: სუხოტინმა, რომელიც ბრმად გაყვა ეკატერინესა და კ. ლადიანის რჩევას, სოლომონ მეფის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, გურიის მთავრად გიორგი გურიელი (თურქეთის აგენტი, რომელიც ჯერ კიდევ ტოტლებენის დროს, რუსეთის კორპუსების ფოთთან დგომისას, ღალატისთვის სოლომონ მეფემ დასაჯა) აღადგინა, რაც კაპ. ლვოვს შეცდომად მიაჩნდა. მართალია, სოლომონ მეფე გიორგი გურიელის ტახტზე აღდგენას დასთანხმდა, მაგრამ მძევლების განთავისუფლებას და ასკანის ციხის დათმობას არ ფიქრობდა. ამ ნიადაგზე მეფესა და გენერალს შორის ურთიერთობა ფოთის კამპანიის დროს კიდევ უფრო დაიძაბა, ხოლო იმერეთის მეფის ავტორიტეტი და გავლენა გურიაში საკმაოდ შეირყა. გარდა ამისა, სუხოტინმა საჭიროდ არ ჩათვალა იმერეთის მეფის მონაწილეობა ფოთის გარემოცვაში, რამაც წინასწარვე განაპირობა მარცხი.

რაც შეეხება ერეკლესთან ურთიერთობის გართულებას, ამის მიზეზები, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ისიც იყო, რომ 1771 წლის ივლისში, თრიალეთში დგომისას, ერეკლემ ახალციხის ფაშასთან მოლაპარაკება გამართა და მძევლად ფაშის ძმა მოითხოვა, რითაც ახალციხის ფაშას ფოთის გარნიზონისათვის მიშველებაზე ხელი ააღებინა, ლეკები წააჩხუბა ფაშას, ამით კი თურქებს მოუსპო აქტიური მოქმედების შესაძლებლობა. დაბოლოს, მეფე მოელაპარაკა ხერთვისის ციხის უფროსს ციხის ჩაბარების თაობაზე, ამიტომ ყალბი მანევრი გააკეთა — ფაშისაგან საჩუქრები მიიღო და უეცრად დაბრუნდა ქართლში (სექტემბერი), რათა თურქები შეცდომაში შეეყვანა და მათი ყურადღება მოედუნებინა; შემდეგ მეფე ხელახლა

შეიჭრა ახალციხის მხარეში და უეცარი შეტევით აიღო ხერთვისის ციხე. მაგრამ ერეკლეს ეშინოდა მოქმედების გეგმის გახმაურებისა, ამიტომ მან ამის თაობაზე წინასწარ არ აცნობა არც კაპ. ლვოვს და არც გენ. სუხოტინს, რის გამოც ისინი ერეკლეს აბრალებდნენ თურქებთან მორიგებას. შემდეგ ისინი დარწმუნდნენ, რომ ფაშასთან არაავითარ მორიგებას ადგილი არ ჰქონდა (კაპ. ლვოვი თვით მონაწილეობდა ხერთვისის ოპერაციაში), მაგრამ ერეკლეზე საჩივრები, შეურაცხყოფელი წერილები და ამ ნიადაგზე განაწყენება დარჩა.

გენ. სუხოტინისა და კაპ. ლვოვის უკმაყოფილების მიზეზი გახდა ის ფაქტიც, რომ 1771 წლის 1 ნოემბერს ერეკლემ გენ. სუხოტინს სთხოვა, ან მიეღო მონაწილეობა ახალციხეზე ლაშქრობაში, ან 1500 კაცი მაინც გამოეგზავნა. ერეკლე მეფე არწმუნებდა გენერალს, რომ, თუ იგი მასთან იქნებოდა, ვერც იმერეთის მეფე და ვერც სხვა ვინმე გაბედავდა ურჩობას და საქმე კარგად წავიღოდა, მაგრამ გენერალს ამის გაგონებაც არ სურდა. ვერ მიიღო რა გენ. სუხოტინის დადებითი პასუხი, ერეკლე მეფემ გადაწყვიტა, მათთვის უცნობებლად საგანგებო ელჩობა გაეგზავნა პეტერბურგში **ლევან ბატონიშვილისა და ანტონ კათალიკოსის** მეთაურობით. მეფე ითხოვდა დამატებით ჯარს, რომელიც მასთან ერთად იქნებოდა, რადგან კორპუსის მეთაურს არ სურდა ერეკლესთვის მოესმინა და მისი ინტერესები გაეთვალისწინებინა. ამასთან, ერეკლე სთავაზობდა პირობებს, რომლითაც მას რუსეთის მფარველობაში შესვლა სურდა (რაზედაც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი). როგორც ჩანს, ასეთის მაღალი რანგის ელჩების გაგზავნამ პეტერბურგში მათთვის შეუტყობინებლად, გენ. სუხოტინი და კაპ. ლვოვი ძალიან გააჯავრა, რაც აისახა კიდევაც გენ. სუხოტინის უტაქტო წერილებში, მაგრამ ერეკლე თავაზიანი ფორმით ჩამოთვლიდა თავის დამსახურებას, აქარწყლებდა გენერლის ეჭვებს და ხელახლა მოუწოდებდა მას ერთობლივი მოქმედებისთვის.

არც სოლომონ მეფე თვლიდა თავს დამნაშავედ. იგი რუსეთის მთავრობას სთხოვდა, მხოლოდ არტილერია მომეცით და საკუთარი ძალებით ავიღებ ფოთსო. ამით მეფე გენ. სუხოტინის შეცდომაზე მიუთითებდა, რომელმაც არ დაუშვა მისი მონაწილეობა ფოთის გარემოცვაზე.

ზედმეტი არ იქნება, თუ შევნიშნავთ, რომ კ. ლადიანი ამჯერადაც არ იქნებოდა გულახდილი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1771 წლის 15 დეკემბერს სახელმ-

წიფო საბჭომ მოისმინა გენ. სუხოტინის 20 ოქტომბრის მოხსენება და გადაწყვიტა კორპუსის საქართველოდან გაწვევა. ასეთი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა: კორპუსის ჯარისკაცების დიდი ნაწილი დაზარალებული იყო მალარიით, მათს გამოჯანმრთელებას დიდი დრო დასჭირდებოდა, ხოლო

„გაშიშვლებული“ კორპუსის მომარაგება დიდ დროს და სახსრებს მოითხოვდა; გენ. სუხოტინმაც ვერ გამოიხატა საერთო ენა ქართველ მეფეებთან; 1771 წლის საომარი კამპანიის შედეგები მთავარ ფრონტზე მნიშვნელოვანი იყო — რუმინანცევის მიერ დამარცხებული და ღუნაის გაღმა გადასროლილი თურქეთის მთავარი ძალები გატყდა და იძულებული გახდა თავდაცვით ტაქტიკას დასდგომოდა; რუსეთის მეორე არმიამ ყირიმი დაიკავა და თათრები მზად იყვნენ საბოლოოდ ჩამოცილებოდნენ თურქეთს. მეორე მხრივ, იზრდებოდა ომის საფრთხე შვეციიდან, ავსტრიის პოზიციაც მეტად საეჭვო ჩანდა; რუსეთის არმიაც მოღლილი იყო და შევსებას საჭიროებდა. რუსეთის მთავრობის გავლენიან წრეებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, ესარგებლათ თურქეთთან ომში მოპოვებული წარმატებებით და რუსეთის მხრით გარკვეულ დათმობებზე წასვლით ცდილობდნენ ზავი დაედოთ თურქეთთან. ასეთ ვითარებაში საქართველოდან საომარი მოქმედების გაშლის პერსპექტივამ საგრძნობლად იკლო.

ეკატერინემ, გაითვალისწინა რა ზემოაღნიშნული გარემოებანი, მიზანშეწონილად ცნო სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება და 1772 წლის 25 იანვარს სამხედრო კოლეგიას უბრძანა საექსპედიციო კორპუსი საქართველოდან გაეწვია, ხოლო ზედმეტი საჭურველი სოლომონ მეფისთვის დაეტოვებინა. ამასთან, რუსეთის მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა, საქართველოში დაეტოვებინა თავისი წარმომადგენელი კაპ. ი. ლვოვი.

1772 წლის 4 თებერვლის წერილით ეკატერინე II სოლომონ მეფეს აცნობებდა: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მთავრობას ცდა არ დაუკლია და ხარჯიც გასწია, საქართველოდან საომარ კამპანიას რაიმე მნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყოლია, ამიტომ საქართველოში ჩვენი ჯარის დატოვება ზედმეტად მიგვაჩნია და საჭიროდ ვთვლით მის უკან გაწვევას, რათა გამოიყენოთ იგი იქ, სადაც ნამდვილად შეუძლია სარგებლობა მოიტანოსო.

უკან იწვევდა რა საექსპედიციო კორპუსს, რუსეთის მთავრობა ცდილობდა, თურქეთთან ომის დამთავრებამდე გამოეყენებინა ქართველთა ძალები თურქეთის წინააღმდეგ. ამ მიზნით ეკატერინე II

სოლომონ მეფეს აცნობებდა: თანახმად შენი თხოვნისა, მომარაგებული იქნები; პორტასთან ზავის დადებისას იმერეთი დაეიწვებული არ იქნებაო.

ერეკლესთან იმავე რიცხვში გაგზავნილი წერილში კი ეკატერინე აღნიშნავდა: თუმცა ქართველები ჩვენს მოწოდებას და დახმარებას არსებითად ვერ გამოეხმაურნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პორტასთან ზავის დადებისას საქართველოს დაცვაზე ვიზრუნებთო. ეკატერინე ჰპირდებოდა ერეკლეს: თუ რაიმეს დაპყრობას შეძლებთ, შევეცდებით პორტასთან ზავით სამუდამოდ დაგიმკვიდროთ თქვენ მიერ დაკავებული ადგილებიო.

გარდა ამისა, რუსეთის მთავრობა საქართველოში მყოფ თავის წარმომადგენელს, კაპ. ლვოვს ავალებდა ქართველ მეფეებზე ზეგავლენას, რათა ამ უკანასკნელთ გაეგრძელებინათ ომი თურქეთის წინააღმდეგ.

რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილება ქართველმა პოლიტიკოსებმა 1772 წლის აპრილში შეიტყვეს, რასაც უდიდესი გულისტკივილით შეხვდნენ. ეს მეტად მძიმე იყო ერეკლე მეფისთვის, რომელსაც ომის წინ საგარეო საკითხები შედარებით მოწესრიგებული ჰქონდა და ომში მონაწილეობის გამო მეზობლები მტრად გაიხადდა. მიზანი კვლავ მიუღწეველი რჩებოდა. აქვე უნდა დაენახა მეფეს რუსეთში სპეციალური მისიით ახლახან გაგზავნილი ელჩების მოსალოდნელი წარუმატებლობაც.

1772 წლის 21 აპრილს ერეკლე მეფე ნ. პანინს სწერდა: „საქართველოში ქრისტიანობა მოისპობის და სრულებით აღოკრდების, თუ ეს კორპუსი აქეთგან უკმობრუნდების“. ერეკლე მორალურად ავალდებულებდა რუსეთის მთავრობას, მაგრამ ასეთი მოტივებით დიპლომატიასა და სახელმწიფოთა ურთიერთობაში როდი ხელმძღვანელობენ. საქმე გადაწყვეტილი იყო.

1772 წლის 5 მაისს რუსეთის საექსპედიციო კორპუსი ქუთაისიდან გავიდა. იგი სოლომონ მეფემ ქართლის საზღვრამდე მიაცილა, მოამარაგა ტრანსპორტით და 26 მაისს იმერეთის მეფე რუსის ჯარს „თვალცრემლიანი გაშორდა“. 31 მაისს კორპუსი ცხინვალში იყო, მალე ქართლიც დატოვა და გეზი რუსეთისკენ აიღო. 1772 წლის 2 ივნისს ერეკლე მეფე გრაფ ჩერნიშევს სწერდა: „...უნამეტნავესისა სიზარულითა და საცინელის საქმითა გვეყვდრიან და გვეუბნებიან: ვისგანაც სასოება გქონდათ — მიგეფარათ და ნუღარ სასოებთ მათგანაო, — ამისებრითა სიტყვითა ნიშნს გვიგებენ წარმართნი“.

მტრებისთვის თვალის ასახვევად ერეკლეს ყალბი ცნობა გაუვრცელებია, თითქოს მან ლევან ბატონიშვილისგან შეიტყო, რომ რუსეთი გაწვეული ჯარის ნაცვლად ახალ ჯარს გზავნიდა საქართველოში.

რუსეთის კორპუსი ჯერ კიდევ საქართველოს ტერიტორიაზე იყო, როცა თურქეთთან დროებითი ზავი ძალაში შევიდა. 1772 წლის 1 ივნისს რუმინელებმა ცნობა გამოუგზავნა სუხოტინს დროებითი ზავის ჩამოგდება შესახებ. ცნობა დიდი ვეზირის ბრძანებასთან ერთად სუხოტინს 5 ივლისს მიუღია კავკასიის მთებში და გამოუგზავნა კაპ. ლვოვისა და ერეკლე მეფისთვის. კაპ. ლვოვმა 10 ივლისს ცნობა გაუგზავნა ახალციხის ფაშას, რომელსაც იმავედროულად მიუღია რუმინელების ბრძანება რუსეთის ჯარისადმი. ქართლ-კახეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოს შორის დროებითი ზავი ჩამოვარდა. მაგრამ ფაშას დროებითი ზავი არ დაუცავს იმერეთის მიმართ. მან იმერეთს ლეკების რაზმი შეუსია, რომელიც სოლომონ მეფემ სასტიკად დაამარცხა. ამის შემდეგ დროებით ზავი იმერეთის სამეფოსთანაც შევიდა ძალაში. კაპ. ლვოვი 1772 წლის 29 სექტემბერს აუწყებდა რუსეთის მთავრობას: დროებითი ზავი „დღემდე საჭირო სიზუსტით ნამდვილად სრულდება“.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ჯარი თითქმის სამი წელი იყო საქართველოს ტერიტორიაზე, რუს-ქართველთა ჯარის ერთობლივი მოქმედება ვერ განხორციელდა, ამიტომ საქართველოს ფრონტზე ფართო მასშტაბის ოპერაციების გაშლა შეუძლებელი აღმოჩნდა. ეკატერინე და პანინი, ქართველ მეფეებთან გამოგზავნილ წერილებში, საქართველოს ფრონტზე წარუმატებლობასა და ერთობლივი შეთანხმებული მოქმედების მიუღწევლობის ძირითად მიზეზად ქართველ პოლიტიკოსებს შორის უთანხმოებას ასახელებდნენ.

მართალია, ქართველ მეფეებს შორის ინტერესთა სხვაობას მართლაც ადგილი ჰქონდა, მაგრამ ეს არ ყოფილა ისეთი დაბრკოლება, რომლის დაძლევა შეუძლებელი ყოფილიყო: ჯერ ერთი, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ქართველი მეფეები ტოტლებენს შეთანხმებული დახვდნენ; კიდევ მეტი, სოლომონსა და ერეკლეს შორის განხეთქილების მიზეზად სოლომონ მეფე გენ. ტოტლებენს ასახელებდა; კაპ. იანკოვი და კაპ. ლვოვი არაერთგზის მიუთითებენ, რომ ტოტლებენს არ სურს მეფეებთან ერთობლივი მოქმედება, მაგრამ არსად არ წერენ, რომ სოლომონსა და ერეკლეს ერთად მოქმედება არ სურდათ; მეორე, საექსპედიციო კორპუსის გაწვევის შემდეგ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქართველი მეფეები კვლავ შეთანხ-

მდნენ და 1773 წელს ერთად ილაშქრეს ახალციხის მიმართულებით. ზემოაღნიშნული ფაქტები ცხადყოფენ, რომ ქართველი მეფეების ურთიერთ-შეთანხმება, მათი ერთობლივი მოქმედება შესაძლებელი იყო, მხოლოდ საჭირო იყო საომარი მოქმედების გაშლისთვის შერჩეულიყო ისეთი მიმართულება, რომელიც უზრუნველყოფდა ქართველთა ძალების ერთად მონაწილეობას.

გარდა ამისა, საექსპედიციო ჯარის სარდლებს, თუ სურდათ ქართველების გამოყენება ომში, ყურადღება უნდა მიექციათ საქართველოში უძლიერესი პოლიტიკური ერთეულის, ქართლ-კახეთის სამეფოს, სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის. ტოტლებენმა და მოურავოვმა კარგად გაიგეს ეს და 1769 წლის შემოდგომაზე, რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით, უდავოდ სწორი ნაბიჯი გადადგეს, როდესაც რუსეთის მთავრობა აიძულეს, ერეკლეს თხოვნისთვის ჯარის გადიდების თაობაზე ანგარიში გაეწია. ამასთან, ტოტლებენმა ახალციხეზე ლაშქრობა დაგეგმა, მაგრამ 1770 წელს, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ტოტლებენმა უღალატა ერეკლე მეფეს, რუსეთის მთავრობას და საკუთარ საზეიმო განცხადებებსაც კი, რის გამო ახალციხის მიმართულებით საომარი მოქმედება ჩაიშალა.

მიუხედავად იმისა, რომ ტოტლებენის ყალბი მოხსენებებითა და 1770 წელს საქართველოში მომხდარი ამბებით რუსეთის მთავრობა შეცდომაში იყო შეყვანილი, მაინც რუსეთის მთავრობის ყურადღების ცენტრში ერეკლესთან (როგორც საქართველოში უძლიერეს „მფლობელთან“) ურთიერთობის საკითხი იდგა. მართალია, ა. სუხოტინის შეცდომა ჯარის მდგომარეობამ და იმ უნდობლობამ შეამზადა, რასაც ტოტლებენის ინფორმაციებით გაბრუებული ეკატერინე მას წინასწარ უნერგავდა ქართველების მიმართ, მაგრამ სუხოტინს რომ ერეკლეს ახალციხეზე ლაშქრობის გეგმა მიეღო, განა ერთობლივი მოქმედება უზრუნველყოფილი არ იქნებოდა? თვით სუხოტინის მოწმობით საეჭვო არ ხდება, რომ ერეკლეს გეგმას, სუხოტინს რომ მხარი დაეჭირა, მიიღებდა სოლომონ მეფეც.

სუხოტინს არ ესმოდა, თუ რატომ იყო სოლომონ მეფე ყველაფერზე მზად „განუსჯელად“. იმერეთის სამეფოსთვის ახალციხეს ფოთზე ნაკლები მნიშვნელობა როდი ჰქონდა, სოლომონ მეფემ კარგად იცოდა, რომ თურქები უფრო ფეხმოკიდებული იყვნენ ახალციხეში, საიდანაც იმერეთს ძირითად დარტყმას აყენებდნენ. აი, ამიტომ იყო სოლომონ მეფე „განუსჯელად“ ყველაფერზე მზად. ამი-

ტომ იყო, რომ რუსეთის ჯარის გაწვევის შემდეგაც სოლომონ მეფემ ერეკლეს გეგმა მიიღო და 1773 წელს მასთან ერთად ახალციხის მიმართულებით ილაშქრა.

რაც შეეხება ერეკლე მეფეს, მისთვის ფოთზე ლაშქრობას არსებითად არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. იგი ქართლ-კახეთის სამეფოს არაფერს მატებდა.

თურქეთის წინააღმდეგ ომში ქართველთა ძირითადი ძალების გაერთიანება და წარმართვა შეიძლებოდა მხოლოდ ახალციხის მიმართულებით, რაც წარმატების უტყუარი გარანტია იყო. ამაზე უარის თქმა ერთობლივი მოქმედების განუხორციელებლობისა და საქართველოს ფრონტზე წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ რუს-ქართველთა ჯარის ერთობლივი მოქმედება და ფართო მასშტაბის ოპერაციების ჩატარება შეუძლებელი აღმოჩნდა, რუსეთის ჯარის ყოფნას საქართველოში უშედეგოდ არ ჩაუვლია. მცირე საექსპედიციო რაზმის კორპუსად გადაქცევით რუსეთის მთავრობა გარკვეულ დათმობაზე წავიდა ერეკლეს წინაშე, რამაც განაპირობა ერეკლე მეფის ჩაბმა ომში. ასპინძის ბრძოლამ წელში გატეხა ახალციხის ფაშა და შესაძლებლობა წაართვა მას იმერეთის ციხეების დასაცავად აქტიურად გამოსულიყო, რამაც უზრუნველყო თურქი ოკუპანტების იმერეთიდან განდევნა. ამას კი უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არამედ მთელი ქართველი ხალხისათვის.

საექსპედიციო კორპუსის საქართველოში ყოფნა ცოცხალი განსახიერება იყო რუსი ხალხის კავშირისა ქართველ ხალხთან. ტოტლებენის ავანტურასა და სუხოტინის უტაქტო საქციელს არ შეურყევიათ ქართველი პოლიტიკოსების რწმენა დიდი რუსეთის მიმართ; ისინი რუსეთიდან კვლავ ახალი ჯარის მისაღებად იბრძოდნენ, რათა მისი დახმარებით მშობლიური მიწიდან უცხო დამპყრობლები განედევნათ.

ლევან ბატონიშვილისა და ანტონ კათალიკოსის ელჩობა რუსეთს.

საომარი მოქმედების განახლება. ომის დასასრული.

სამხრეთ საქართველოს განთავისუფლების საკითხი, რისთვისაც ერეკლე ომში ჩაება, გადაუჭრელი რჩებოდა. გადაუჭრელი რჩებოდა ერეკლეს მეორე ამოცანაც — ლეკთა საკითხიც, რომლის მოგვარება სცადა მეფემ რუსეთის ჯარის დახმარებით. ლეკი აბრაგების

ავანტური თარეშის ალაგმვის გარეშე ქართლ-კახეთის აღორძინება შეუძლებელი იყო, ხოლო ეს საქმე ჭარ-ბელაქნის დაპყრობით უნდა დაწყებულიყო.

1770 წლის ოქტომბერში ერეკლემ რუსეთის მთავრობას თხოვნით მიმართა: თუ მომავალ ზამთარს რუსთა ჯარი ქართლში დადგებოდა და ამავე დროს ახალციხის მიმართულებით ლაშქრობას არ ისურვებდა, მაშინ მეფეს ჭარ-ბელაქნის დაპყრობაში მაინც დახმარებოდა. ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა.

1771 წლის დეკემბერში ქართლ-კახეთის სამეფო კარზე გადაწყდა, რომ რუსეთთან ურთიერთობის საკითხში ახალი ნაბიჯი გადაედგათ და ამ მიზნით ლეონ ბატონიშვილი და ანტონ კათალიკოსი რუსეთში გაეგზავნათ, რათა რუსეთის მთავრობისათვის წარედგინათ ხელშეკრულების პირობები, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლას აპირებდა.

ხელშეკრულების პროექტით, რომელიც 1771 წლის 30 დეკემბერს შეუდგენიათ, ერეკლე რუსეთის მთავრობას შემდეგ პირობებს უყენებდა: 1) რუსეთს უშუალოდ ქართლ-კახეთში გამოეგზავნათ ოთხათასიანი ჯარი, რომ მასთან ერთად ებრძოლათ თურქეთის წინააღმდეგ; 2) მიეღოთ ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობის ქვეშ სამუდამოდ, ოღონდ იმ პირობით, რომ ერეკლეს „ჩამომავლობის მეფობა...“ საუკუნოდ „უცვალეზად“ დარჩენილიყო; 3) რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ეკლესიურადაც დამოუკიდებელი უნდა დარჩენილიყო: „მსგავსადვე კათალიკოსიცა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად“; 4) ყირიმში განთავისუფლებულ ტყვეებს სამშობლოში დაბრუნების ნება დართოდათ; 5) ქართლ-კახეთს მიცემოდა სესხი.

თუ ერეკლეს თხოვნა დაკმაყოფილდებოდა, მეფე რუსეთის მთავრობის წინაშე ვალდებულებას იღებდა: 1) „ღღეს ჩვენს ქვეყანაში, რომლისაც ნივთის მადანი არის, და ან გამოჩნდება, იქიდან სარგებელი მოიპოვება ნახევარი თქვენის დიდებულების ხაზინას მიერთმეოდეს“; 2) „... რაც ჩვენს მორჩილებას ქვეშ კაცნი არიან, ყოველწლივ ამათგან კვამლზედ თოთხმეტი შაური საკვლშიფოთ აიღებოდეს და მოგერთმეოდესთ“; 3) „...ღვინოს, რიცხვით ორი ათას ვედრას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში რჩეული ღვინით იშობება, ყიზლარს ჩვენი ხარჯით მივიტანთ საკვლშიფოთა“; 4) „რაც ამ ქვეყანაში რჩეული ცხენი იშობება — თოთხმეტი ცხენი ნიადაგ წელიწადს ყოვლად დიდებულებასა თქვენსა მიეთმეოდეს“; 5) „როდესაც ძალითა და

შეწვევითა თქვენისა დიდებულების კორპუსისათა, რაც ოსმალთაგან წართმეული მამულები გვაქუს და იმ ადგილებს დავიჭერთ იმათ მოგართვან ხარჯი თქვენ ყოვლად დიდებულსა კვლმწიფესა. რაც რომ რუსეთის იმპერიაში თავადს ყმა აძლევს, იმისი ნახევარი“; 6) „თუ რომ კახეთის წართმეული ადგილები (საინგილო — ვ. მ.) დავიჭირეთ ... ამასაც, როგორც ზემორე დაგვიწერია, იმ სახით ვამსახურებთ: კომლზე თოთხმეტ შაურს წელიწადში, და იმავე ადგილებიდან წელიწადში აბრეშუმს ორას ფუთს იმ ქვეყნებიდან, და, თუ მეტი შევიძელით, მეტს მოვართმევთ დიდებულებასა თქვენსა“; 7) როდესაც ქვეყნის მდგომარეობა გაუმჯობესდება, ჯარზე დახარჯული ფული დაუბრუნდება ხაზინას; 8) როდესაც ქვეყანა დამშვიდდება, „რაც რუსეთის იმპერიაში სულზედ სალდათი აქვს, ჩვენ იმდენს კვამლზედ მივართმევთ სალდათს დიდებულებასა თქვენსა“; 9) თუ ზემოაღნიშნული თხოვნა შესრულდება „...მოვართმევთ ძესა ჩვენსა რომელსამე და ვერეთვე რაოდენსამე კნიაზსა თქვენს ყოვლად დიდებულსა კვლმწიფესა და აზნაურთაცა შეძლებისაებრ ჩვენისა“.

ხელშეკრულების პროექტში ხშირად მეორდება, რომ ყველაფერი ეს ემსახურება მტრისგან მიტაცებული ქართული ოლქების განთავისუფლების საქმეს და ვალდებულებებიც ამ ოქლების მოსახლეობის სახელითაცაა აღებული; საგანგებოდ ხაზგასმულია: „კუალად ვედრებით მოვახსენებთ თქვენს ყოვლად მოწყალეობასა, რათა ამავე ზაფხულსა არ უტეონ დაუპყრობელად ქვეყანა ახალციხისა, და უკეთუ შერიგება მოხდეს თქვენის დიდებულებისა და სულტანისა, მაშინაც გარეთ არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა, ვინაიდან საქართველოს მიწა არის და ქართული ენა აქუსთ, და მრავალნი ქრისტიანენი არიან ამათში და სხუანიცა ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ“. ამასთან ერეკლე პრეტენზიას არ აცხადებდა სხვისი მიწა-წყლის მითვისებაზე: „უკეთუ ლთითა და ბედნიერობითა თქვენითა, რომელიც სხვა მტრის ქვეყანა თქვენის დიდებულების კორპუსის ძალით დავიჭიროთ, ამისი სრულიადი ნება თქუწნის დიდებულებისა არის“. ასეთია ერეკლეს მიერ წაყენებული პირობები.

მართალია, სამეფო რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ გარკვეულ მსხვერპლს იღებდა, მაგრამ პირობები, რომელსაც ერეკლე რუსეთის მთავრობას სთავაზობდა, არ ზღუდავდა მას, რომ ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებში დამოუკიდებლად ემოქმედა. ამავე დროს, ამ მსხვერპლს ქვეყანა იღებდა რუსეთიდან დამხმარე ჯარის და სესხის მისაღებად, რომ ამით მტრის ხელიდან გამოეგლიჯა ქართული მიწა-

წყალი და უზრუნველყო ქვეყანის მომავალი. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ აქ მართო ქართული მიწების განთავისუფლების საკითხი კი არ დგას, არამედ თვით ქართლისა და კახეთის თავდაცვის.

ქართლ-კახეთის სამეფო კარს საჭიროდ ჩაუთვლია, მცხეთაში გადასულიყო და იქ, ძველ სატახტოში, 1772 წლის 6 იანვარს პირობა შეედგინა, სადაც ნათქვამი იყო: როგორ წარმატებასაც არ უნდა მივალწიოთ თურქეთთან და ირანთან ბრძოლაში, რუსეთის ერთგულებასზე ხელს არ ავიღებთო. პირობას ხელი მოაწერეს და ბეჭედი დაუსვეს: ერეკლემ, დარეჯან დედოფალმა, ანტონ კათალიკოსმა და გიორგი, ლეონ, ვახტანგ და იულიონ ბატონიშვილებმა.

საგანგებო ამოცანითა და ფართო რწმუნებით აღჭურვილი ქართველი ელჩები 1772 წლის იანვარში საქართველოდან წავიდნენ და 6 მარტს ასტრახანში ჩავიდნენ. ელჩები ჯერ კიდევ გზაში იყვნენ, როცა ასტრახანის გუბერნატორმა ბეკეტოვმა მათი ყიზლარში მისვლის ცნობა მიიღო. პეტერბურგში ამ ცნობის მიღებამდე გადაწყვეტილი ჰქონდათ საქართველოდან საქსპედიციო კორპუსის გაწვევა, ამიტომ სახელმწიფო საბჭომ 1772 წლის 23 თებერვლის სხდომაზე გადაწყვიტა ელჩების ასტრახანში შეჩერება. ერთი სიტყვით, ელჩების პეტერბურგში გაგზავნა თუ საქართველოში მათი დაბრუნება ვითარებაზე იყო დამოკიდებული.

დუნაის სამთავროების საკითხში რუსეთის მთავრობის მხრით დათმობაზე წასვლის შემდეგ რუსეთი და თურქეთი მზად იყვნენ დაეწყოთ საზავო მოლაპარაკება. 1772 წლის 19 მაისს მათ ხელი მოაწერეს კიდევ დროებით ზავს და მოლაპარაკების ადგილად შეარჩიეს ფოკშანი (რუმინეთი).

ავსტრიის მტრული პოზიცია, ომის საფრთხე შვეციიდან და პირველი არმიის არასახარბიელო მდგომარეობა აიძულებდა რუსეთს გარკვეულ დათმობაზე წასულიყო. მაგრამ რუსეთის მთავრობამ ისიც იცოდა, რომ თურქეთი რუსეთის ძირითად მოთხოვნებზეც ადვილად როდი დათანხმდებოდა, მოსალოდნელი იყო საზავო მოლაპარაკების წარუმატებლობაც. რუსეთის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა ასეთ ვითარებაში საომარი ოპერაციების დუნაის გაღმა გადატანითა და კონსტანტინოპოლზე დარტყმით აეძულებინა თურქეთი დათმობაზე წასულიყო. ამ შემთხვევაში შეიძლებოდა საჭირო გამხდარიყო ერეკლესთვის ანგარიშის გაწვევაც, მაგრამ, თუ საზავო მოლაპარაკება სასურველი გზით წარიმართებოდა, ერეკლეს ელჩების სამეფო კარზე მიღება, ცხადია, თურქებს გააღიზიანებდა და ზემდეტ სირთუ-

ლევებს შექმნიდა.

გარდა ამისა, რაკი რუსეთის მთავრობა თავის წარმომადგენლებს უფლებას აძლევდა საზავო კონფერენციაზე დათმობაზე წასულიყვნენ (გარდა მოლდავეთისა და ვლახეთისა) საქართველოს საკითხშიც, ბუნებრივია, ქართველი ელჩებისთვისაც რაიმე გარკვეული პასუხის მიცემა არ შეეძლოთ საზავო მოლაპარაკების დამთავრებამდე.

ავსტრია იბრძოდა თურქეთის იმპერიის მთლიანობის შესანარჩუნებლად, პრუსია კი რუსეთს მხარს უჭერდა თათართა საკითხსა (ყირიმის სახანოს დამოუკიდებლობის აღიარება) და შავ ზღვაზე ნაოსნობის უფლების მოპოვებაში (იგულისხმება, რომ სხვა საკითხებში, ისევე როგორც ვლახეთისა და მოლდავეთის საკითხში, პრუსიაც, ავსტრიასთან ერთად, თურქეთის მხარეზეა).

ბუნებრივია, რუსეთის დიპლომატია მძიმე მდგომარეობაში იყო, ამიტომ მან უკან დაიხია არა მარტო ვლახეთისა და მოლდავეთის, არამედ საქართველოს საკითხშიც. ამიტომ, თუმცა ინსტრუქციის მე-5 მუხლში საკმაო მტკიცება იყო ქართველთა ინტერესების (დასავლეთ საქართველოს) სასარგებლოდ, მაგრამ კონგრესზე მიმავალ წარმომადგენლებს ინსტრუქციაში ისიც ჩაუწერეს: თურქეთის ზავზე დასათანხმებლად უფლება გექლევათ, დათმობით არა მარტო მოლდავეთისა და ვლახეთის საკითხში, არამედ აგრეთვე: «...согласиться в рассуждении грузинских владетелей на восстановлении с ними границ, как они до войны были, только бы по последней мере избавлены оны были навсегда утвердительно безчеловечной подати христианскими девками, взыскаваемой от них пашами турецкими».

1772 წლის ივლისის ბოლოს ფოკშანში დაიწყო საზავო კონფერენცია, თურქები დათმობაზე არ წავიდნენ და 28 აგვისტოს მოლაპარაკება ჩაიშალა. თურქეთის მთავრობამ ისევ ითხოვა დროებითი ზავის გაგრძელება. 1772 წლის 29 ოქტომბერს რუსეთისა და თურქეთის წარმომადგენლები შეიკრიბნენ ბუქურეშტში, სადაც გადაწყდა დროებითი ზავის გაგრძელება 1773 წლის 9 მარტამდე და ხელახალი მოლაპარაკება დაიწყო.

მართალია, საზავო მოლაპარაკება ბუქურეშტში 1772 წელს არ დამთავრებულა, მაგრამ მთელ რიგ საკითხებზე შეთანხმება მიღწეული ჩანდა; რაც მთავარია, საქართველოს საკითხზე წინასწარი მოლაპარაკება დეკემბერში დამთავრებული იყო. ქართველი ელჩები კვლავ კატეგორიულად მოითხოვდნენ: ან პეტერბურგში მიეღოთ, ან

სამშობლოში დაებრუნებინათ. ასეთ ვითარებაში რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ქართველი ელჩების მიღება. 1772 წლის 30 დეკემბერს ნ. პანინი აცნობებდა ბეკეტოვს რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებას ელჩების პეტერბურგში გამგების შესახებ.

1773 წლის იანვრის ბოლოს ლეონ ბატონიშვილი და ანტონ კათალიკოსი ასტრახანიდან პეტერბურგისკენ გაემგზავრნენ. გაზაფხულზე ისინი პეტერბურგში იყვნენ. 27 აპრილს ელჩებმა წერილობით აცნობეს პანინს ერეკლეს გადაწყვეტილება რუსეთის მფარველობაში შესვლის თაობაზე. ელჩების ზემოხსენებულ წარდგინებაში ზუსტად მეორედბოდა ის პირობები, რომელსაც ერეკლე 1771 წლის 30 დეკემბრით დათარიღებული ხელშეკრულების პროექტით სთავზობდა რუსეთის მთავრობას.

ერეკლეს წინადადების მიღება რომ რუსეთს არ შეეძლო, ეს რუსეთის მთავრობისთვის იმთავითვე ცხადი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვითარების შეცვლამ ქართველი ელჩებისთვის პეტერბურგში მეორე ასტრახანად აქცია — რუსეთის მთავრობას, თურქეთთან საზავო მოლაპარაკების ჩაშლის (1773 წლის მარტი) შემდეგ, ქართველი ელჩებისთვის უარყოფითი პასუხის მიცემა და მათი დაუყოვნებლივ სამშობლოში გამოსტუმრება, როგორც ჩანს, მიზანშეწონილად მიუჩნევია.

საქართველოს ფრონტზე დროებითი ზავის ჩამოყარდნის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სერიოზული საფრთხე გაუჩნდა ლეკთა თარეშის გაძლიერების გამო, რაშიც, უთუოდ, თურქების ხელიც ერია.

1772 წლის 27 აგვისტოს ერეკლე მეფე ზემო ქართლის სარდალს — **რევაზ ამილახვარს** — ქვეყნის თავდაცვის მიზნით ატენის ხეობაში ოთხ ადგილას ყარაულების დაყენებას ავალებდა. ხოლო 28 აგვისტოს მასვე აცნობებდა უჯარმაში ლეკის ქვეითი ჯარის შემოჭრის ამბავს და ავალებდა სოფლები გაეფრთხილებინა, მოსალოდნელ საფრთხეს მოუშზადებელი არ შეხვედროდნენ.

1773 წლის მარტში ხუნძახის ბატონი ნურსალ-ბეგი ლეკების დიდი ჯარით შეიჭრა ქიზიყში, სადაც სასტიკი დამარცხება იგემა. დამარცხებულ ნურსალ-ბეგს ჯარი შემოეფანტა და მცირე რაზმით ბელქანში დაბრუნდა, საიდანაც ერეკლეს კვლავ შერიგებას სთხოვდა.

ლეკთა დიდი შემოტევის საფრთხემ გაიარა.

როგორც ერეკლეს წერილებიდან ირკვევა, დროებითი ზავის დროს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ხანებთან კარგი ურთიერთობა ყოფილა და ქართლ-კახეთის მეფე არბიტრის როლსაც ასრულებდა. რაც შეეხება ახალციხის ფაშას, მან დროებითი ზავი არ დაიცვა. ნურსალ-ბეგის კახეთის საზღვართან მოახლოებით ფაშამ ისარგებლა და 1772 წლის შემოდგომაზე ქართველი თავადის — **ხიდირბეგიშვილის** მეთაურობით ქართლში გამოგზავნა მოთარეშე რაზმები, რომელთაც ცხინვალისა და სურამის მიდამოები დაარბიეს და ტყვეებიც გაიტაცეს.

ამასობაში რუსეთიდანაც ახალი ცნობები მოვიდა, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. გარდა ამისა, 1773 წლის მაისში შეიტყვეს, რომ ლევან ბატონიშვილი „პაშტარახანიდამ ოცდა ხუთის კაცით დიდის პატივით წაუყვანიათ კარზე“. ასეთ ვითარებაში, 1773 წლის ივლისის ბოლოს, ერეკლე II და სოლომონ I ერთმანეთს შეხვდნენ, რაც დამთავრდა სამხედრო შეთანხმებით, რომლითაც მეფეებმა ურთიერთდამარება იკისრეს და გადაწყვიტეს ერთადვე ელაშქრათ ახალციხის მიმართულებით.

ეს ლაშქრობა აგვისტოს ბოლოსთვის იყო განსაზღვრული, მაგრამ ქართველ მეფეთა შორის სამხედრო შეთანხმებით შემოთხზული ახალციხის ფაშა ამოქმედდა. მან ერეკლეს ნურსალ-ბეგი და ჭარულეები დაუპირისპირა, სოლომონს — დადიანი და აფხაზები, ხოლო ახალციხის მხრიდან მოთარეშე რაზმების გაგზავნა დაიწყო. ამის გამო ერთობლივი ლაშქრობის განხორციელება ოქტომბრამდე არ მოხერხდა.

ბოლოს, მეფეები, ქვეყნის დასაცავად ჯარის გარკვეული კონტინგენტის გამოყოფის შემდეგ, ქართლში შეიკრიბნენ. რადგან ახალციხის ფაშამ ბორჯომის ხეობაში გზების შეკვრა მოასწრო, მეფეებმა ლაშქრობის მიმართულება შეცვალეს და გორიდან ჯავახეთში შეიჭრნენ (თუმცა ახალციხის ფაშას აქაც მოესწრო ციხეებში ჯარების თავმოყრა). 17 ოქტომბერს დაკავებულ იქნა ახალქალაქის გარეუბანი. მტერი ციხეში გამაგრდა. ქართველმა მეფეებმა იცოდნენ, რომ ფაშა ვერ გაბედავდა ციხეებიდან ჯარის გამოყვანას, რადგან ქრისტიანი მოსახლეობის იმედი არ ჰქონდა, ამიტომ მათ ღრმა ლაშქრობა მოაწყვეს ყარსის მიმართულებით და თვით არდაგანამდე მიაღწიეს. მაგრამ სოლომონ მეფის ავადყოფობის გამო ყარსის მიმართულებით ოპერაციების განვითარება შეუძლებელი გახდა და უკან დაბრუნდნენ.

1773 წელს რუსეთის არმიამ რამდენჯერმე გადალახა ღუნაი და ღუნაის გაღმა არაერთი ბრწყინვალე ბრძოლა გადაიხადა, მაგრამ ეს გამამწყვეტი არ აღმოჩნდა, ქართველი ელჩებისთვის პასუხის შემდგომი დაგვიანება უხერხული იყო. ამიტომ 1773 წლის ბოლოს რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ერეკლესთვის უარყოფითი პასუხი გაეგზავნა და რუსეთის წარმომადგენელიც საქართველოდან უკანვე გაეწვია.

რუსეთის მთავრობა ვარაუდობდა, რომ ერეკლეს წინადადების მიღება თურქეთთან ომის გაჭიანურებას გამოიწვევდა და ირანსაც აამოძრავებდა, რაც მისთვის ხელსაყრელი არ იყო. ამიტომ 1773 წლის 31 დეკემბრის წერილით ეკატერინე II ერეკლე მეფეს თავის წინადადებაზე უარყოფით პასუხს უთვლიდა, მაგრამ თან ატყობინებდა მას: ზავის დადებისას თურქეთს ქართველი ხალხის უშიშროების და უვნებლობის პირობას ჩამოვართმევთ, ხოლო ჩვენ მისი შესრულების მეთვალყურეობას ვიკისრებთო.

1774 წლის 5 თებერვალს ბაკუნინმა ლევან ბატონიშვილს ოფიციალურად გადასცა რუსეთის მთავრობის პასუხი, ელჩები დააჯილდოვა და მალე ისინი სამშობლოში გამოისტუმრა (კათალიკოსი 9 თებერვალს გამოემგზავრა, ლევან ბატონიშვილი — 13 თებერვალს). გამომგზავრების წინ ბატონიშვილმა ნ. პანინს სთხოვა რუსეთის არმიის მიერ ყირიმში განთავისუფლებული ქართველი ტყვეების გამოშვება, რაზედაც უპასუხეს, რომ სათანადო განკარგულება გაგზავნილიაო.

თუმცა ერეკლეს წინადადება რუსეთის მთავრობამ არ მიიღო, მაგრამ შემდეგ იგი საფუძვლად დაედო გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადებას.

1774 წელი საქართველოში თურქების ახალი შემოტევით აღინიშნა, იანვარში ახალციხის ფაშამ 4 ათასიანი კორპუსი იმერეთის ასაოხრებლად გაგზავნა. ფაშას კავშირი ჰქონდა აბაშიძესა და დადიანთან. აბაშიძემ უმტკივნეულოდ გაატარა თურქ-ლექთა ჯარები. მტერი, რაკი ზურგში საიმედო ვახანის ციხე ეგულებოდა, ხოლო დასავლეთიდან დადიანის დახმარების იმედიც ჰქონდა, იმერეთის სიღრმეში შეიჭრა. სოლომონ მეფის თხოვნით, ერეკლემ დადიანს კაცი გაუგზავნა და განზრახვაზე ხელი ააღებინა. ამავე დროს ერეკლემ ჯარი შემოიკრიბა და გორიდან იმერეთისკენ დაძვრას აპირებდა. მტერი მიხვდა, რომ ხიფათში გაება და სწრაფად უკანდახევა იწყო. სოლომონ მეფემ რაზმი გაგზავნა და თურქებს უკანდასახევი

გზა გადაუჭრა, თვითონ კი ზურგიდან დაჰკრა და სასტიკად დაამარცხა (1774 წლის თებერვალი). იმერლებმა მტერს ადგილზევე მოუკლეს 1.000 კაცი, ხოლო 600 — ტყვედ ჩაიგდეს, შემდეგ დამარცხებულ მოწინააღმდეგეს 20 ვერსზე სდიეს და მათი უმრავლესობა დახოცეს. ტყვედ ჩაუვარდათ ლეკთა წინამძღოლი რაჯაბი, რომელიც სოლომონ მეფემ საჩუქრად გაუგზავნა თავის მოკავშირე ერეკლეს. სამიათას შვიდასი კაციდან ახალციხეში მხოლოდ შვიდასი კაცი დაბრუნდა.

მალე თურქებს აჭარლებიც განუდგნენ. ახალციხის ფაშამ მათი დასჯა გადაწყვიტა და ჯარით შეიჭრა კიდეც აჭარაში, მაგრამ სასტიკი მარცხი განიცადა.

საქართველოს საგარეო ვითარებას უკეთესი პირი უჩანდა.

1774 წლის 10 ივლისს სოფ. კუჩუკ-კაინარჯში რუსეთსა და თურქეთს შორის ზავი დაიდო. მთავარ უბანზე ომი ამით დამთავრდა.

1774 წლის აგვისტოში რუსეთიდან ერეკლეს ელჩები ხელცარიელი დაბრუნდნენ. რუსეთის წარმომადგენელმა ი. ლვოვმა საქართველო დატოვა.

ერეკლემ ჯერ კიდევ არ იცოდა რუსეთსა და თურქეთს შორის ომის დამთავრების ამბავი, ამიტომ 24 აგვისტოს წერილით მეფე ერთხელ კიდევ მოაგონებდა რუსეთის მთავრობას, რომ იგი რუსეთის მთავრობის თხოვნით ჩაება ომში თურქეთის წინააღმდეგ, რის გამოც საგარეო პირობები გართულდა; ამიტომ რუსეთმა ზავის დადებისას ჩვენს დაცვაზე უნდა იზრუნოს.

თუმცა ოფიციალური ცნობა ომის დამთავრების შესახებ რუსეთიდან საქართველოში 1774 წლის 5 სექტემბერს გამოიგზავნა, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ ომის დამთავრების ამბავს საქართველოში აგვისტოს ბოლოს მოედწია. ამის გამო უნდა მომხდარიყო, რომ 1774 წლის 30 აგვისტოს, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ერეკლეს ახალციხის ფაშასთან წინასწარი ზავი დადებული ჰქონდა.

ამრიგად, საომარი მოქმედება საქართველოს ფრონტზეც დამთავრდა.

რუსეთ-თურქეთის ომის შედეგები და საქართველო

რუსეთ-თურქეთის ომს უშედეგოდ არ ჩაუვლია. კუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთმა მიიღო ქერჩის, ენიკალის და კინბურნის ნავსადგურები, ხოლო რუსეთის ფლოტმა შავ ზღვაზე თავისუფალი

ნაოსნობის უფლება მოიპოვა. ხანგრძლივი ბრძოლა შავ ზღვაზე გასვლისათვის რუსეთის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, გარდა ამისა, თურქეთმა, აღიარა რა თათართა დამოუკიდებლობა, დაკარგა მნიშვნელოვანი რეზერვი, რომელსაც რუსეთის წინააღმდეგ იყენებდა. ამიერიდან რუსეთის სამხრეთ რაიონების უშიშროება უზრუნველყოფილად შეიძლება ჩათვალილიყო. დასასრულს, ომის შედეგებმა წინასწარვე გადასწყვიტა ყირიმის რუსეთთან შეერთების საკითხიც.

რუსეთ-თურქეთის ომს არც საქართველოსთვის ჩაუვლია უშედეგოდ. ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების წინ დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა უაღრესად კრიტიკული იყო. იმერეთის მეფე სოლომონ I ომის წინ 12 წელი ებრძოდა თურქებს ტყვის სყიდვის აკრძალვისა და თურქეთის სასარგებლო დამამცირებელი ხარკისაგან (ხარკი ქალ-ვაჟებით) ქვეყნის გასათავისუფლებლად. ეს ბრძოლა 1766 წელს მარცხით (სოლომონ მეფის ტახტიდან ჩამოგდებით) დამთავრდა. 1768 წელს სოლომონ მეფის მიერ მოპოვებული წარმატება, უთუოდ, არარად იქცეოდა, რომ თურქეთი რუსეთთან ომის სამზადისით არ ყოფილიყო დაკავებული. სწორედ ამიტომ დაიხია თურქეთმა უკან და რუსი ელჩების დაპატიმრების დღეს სოლომონ I-ს პატიების ფირმანი გამოუგზავნეს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამ სისხლიდან დაცლილი იმერეთი გადაარჩინა კატასტროფას და გამაჰმადიანებას, რასაც ასე თავგამოდებით ცდილობდა სულთანი 60-იან წლებში.

ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულება პირველი საერთაშორისო ტრაქტატია, სადაც ომში დამარცხებული თურქეთი „საზეიმოდ და სამუდამოდ“ ხელს იღებს იმერეთის ხარკზე. «Торжественно и навсегда, — ნათქვამია ტრაქტატის 23 მუხლში, — отказывается она (ბრწყინვალე პორტა — ვ. მ.) требовать дани отроками и отроковицами и всякого рода других податей...».

ეს იყო თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ხალხის დიდი გამარჯვება. მართალია, ტრაქტატით დასავლეთ საქართველო კვლავ თურქეთის ქვეშევრდომად რჩებოდა, მაგრამ თურქეთი ვალდებულებას კისრულობდა, არ შეევიწროებინა დასავლეთ საქართველოში სარწმუნოება და არ დაესაჯა ქართველნი ომში მონაწილეობისათვის, რაც თურქეთის სამინაო საქმეებში პირველი საერთაშორისო ჩარევა იყო.

ხანგრძლივმა ომმა თურქეთი წელში გატეხა და ერთბაშად მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ აქცია. თურქეთი ვალდებული იყო რუსეთისათვის 4,5 მილიონი მანეთი კონტრიბუცია გადაეხადა, რაც ისედაც ჩამორჩენილ და ეკონომიკურად სუსტ ქვეყანას მძიმედ აწვა. „დამოუკიდებელი“ ყირიმი დღეს თუ ზვალ რუსეთის ხელში უნდა გადასულიყო, რითაც თურქეთი საბოლოოდ უნდა გამომშვიდობებოდა საიმედო რეზერვს.

ათასებდა რა ომის შემდგომ ვითარებას, ნ. ბერძენიშვილი წერდა: „სოლომონ მეფე ვერ დაიმორჩილეს, ვერც იმერეთის ციხეები დაიჭირეს. მეფემ სავსებით მოსპო ტყვეთა სყიდვა, მტკიცე ხელით ალაგმა თავადების აღვირაზნა... მეფე შესამჩნევად გაძლიერდა, მისი შიში და პატივისცემა დასჩემდათ დადიანსა და გურიელსაც. ქვეყანა დამშვიდდა და სწრაფად მოშენება იწყო. ათიოდე წელიწადში მოსახლეობამ თვალსაჩინოდ მოიმატა“.

ასეთი გამოდგა ომის შედეგები დასავლეთ საქართველოსათვის, რაც უთუოდ ომში ქართველი ხალხის გმირულმა მონაწილეობამ და რუსეთის მხარდაჭერამ განაპირობა.

მართალია, ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ საქართველოს ვერ უბრუნებდა და ქვეყანა რუსეთის მფარველობაში ვერ შეჰყავდა, მაგრამ მნიშვნელობას მოკლებული არ იყო ის, რომ თურქეთს ამიერიდან ეკრძალებოდა ომში მონაწილე ქართველებსთვის სამაგიეროს გადახდა. თურქეთის მთავრობას ამ აქტით უნდა გაეგო, რომ ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველოს საკითხი თურქეთ-ირანის ორთაბრძოლის საგნიდან საერთაშორისო საკითხად იქცეოდა და რუსეთის პოლიტიკური ძლიერების ზრდის კვალობაზე ამ უკანასკნელის სერიოზული ყურადღების საგანი ხდებოდა. ეს კი კავკასიაში ირან-თურქეთის ბატონობას კითხვის ქვეშ აყენებდა. ეს ახალი ძალა მით უფრო ანგარიშგასაწევი და თურქეთისთვის საშიში ხდებოდა, რაც უფრო ახლოვდებოდა ყირიმ-ყაზარდოს რუსეთთან შეერთების საკითხი, რისთვისაც ომმა ნიადაგი საფუძვლიანად მოამზადა.

ყირიმის საკითხის გადაწყვეტით რუსეთმა მტკიცედ იწყო ფეხის მოკიდება ჩრდილოეთ კავკასიაში, რადგან იქ იურიდიული მოცილე არაფერს ჰყავდა. ასე განვითარდა მოვლენები საქართველოს ჩრდილოეთით რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, ამან საქართველოსთან რუსეთის ურთიერთობა გააადვილა და გეორგიევსკის ტრაქტატის დადებაც შესაძლებელი გახდა.

ბუნებრივია, ზემოაღნიშნულ მოვლენებთან კავშირში უნდა იქნეს გაგებული თურქეთის დამოკიდებულება ქართლ-კახეთის სამეფოსთან რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ.

ზოგიერთი ისტორიკოსი აწეწილი საგარეო ურთიერთობის მოწესრიგებას მხოლოდ ერეკლეს ნიჭით ხსნიდა. ერეკლეს ნიჭსა და უნარს მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ერეკლეს წარმატებანი საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში 70-იან წლებში მხოლოდ მისი ნიჭით არ აიხსნება. ომმა არსებითად შეცვალა ძალთა თანაფარდობა კავკასიისთვის მებრძოლ დიდ სახელმწიფოებს შორის, რასაც უთუოდ უნდა გაეწიოს ანგარიში, როცა ქართველ პოლიტიკოსთა წარმატებით მოღვაწეობაზე ვლასპარაკობთ XVIII ს. 70-80-იანი წლების მიჯნაზე. ამასთან, ქართველი ხალხის გაბედულ ბრძოლასაც აქ თავისი ადგილი უნდა დაეთმოს.

ერეკლეს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1774 წლის 30 აგვისტოს ახალციხის ფაშასთან წინასწარი ზავი დადებული ჰქონდა. მალე მოლაპარაკებასაც არ დაუყოვნებია და საქმე წარმატებით დამთავრდა.

სამხედრო კავშირი, რომელიც 1768-74 წლების რუსეთ-თურქეთის ომში განხორციელდა, მნიშვნელოვანი ეტაპია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში. მართალია, ამ კავშირს თან ახლდა მთელი რიგი ჩრდილოვანი მომენტები (ტოტლებენის ავანტურა, სუხოტინის უტაქტო საქციელი, რუსეთის მთავრობის არაგულისხმიერი დამოკიდებულება ქართველი პოლიტიკოსებისადმი და სხვ.), მაგრამ ეს ოდნავადაც არ არყვედა მოწინავე ქართველ პოლიტიკოსთა რწმენას, „რომ რუსეთი ერთადერთი დიდი ქრისტიანული სახელმწიფო იყო, რომელსაც ამიერკავკასიაში რეალური პოლიტიკური ინტერესები ჰქონდა და რომ ეს ინტერესები ქართველი ხალხის პოლიტიკურ მისწრაფებას არ ეწინააღმდეგებოდა“ (ნ. ბერძენიშვილი). ამიტომ მასთან კავშირი აუცილებელი იყო, ხოლო საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღვრილი სისხლი განამტკიცებდა რუსი და ქართველი ხალხების საუკუნეობრივ მეგობრობას, ხელს უწყობდა მათს შემდგომ დაახლოებას.

რუსეთის ქართული კოლონიების ისტორიის
ზოგიერთი საკითხი (XVIII საუკუნის 60-70-იანი წწ.)

XVIII საუკუნის 60-იან წლებში რუსეთს ქართული კოლონიების (მოსკოვის, ყიზლარის და სხვ.) რიცხვს მოზდოკის კოლონიაც შეემატა. კერძოდ, მოზდოკის ციხე-სიმაგრის მშენებლობას მოჰყვა მთავრობის ზრუნვა მის დასასახლებლად. ამიტომ დაიწყო ყიზლარიდან და მის ახლო პუნქტებიდან ქართველების გადასახლება მოზდოკში, რამაც შეადგინა მოზდოკის ქართული კოლონიის ძირითადი მასა. მოზდოკის დასახლების საქმეში დიდი როლი შეასრულეს თვითონ ქართველებმა და კერძოდ ი. ფიცხელაურმა, რომელიც 1763 წლიდან საგანგებოდ მიემგზავრებოდა მთიელებში (განსაკუთრებით ოსეთში) კოლონისტთა მიზიდვის მიზნით.

რუსეთის ქართული კოლონიების მოსახლეობის ზრდა, ძირითადად, ბუნებრივი გამრავლების გზით ხდებოდა. მართალია, კოლონიებს დროდადრო ემატებოდა ტყვეობიდან გამოქცეული ქართველები, მაგრამ მათი რიცხვი უმნიშვნელო იყო, რაც გაპირობებული იყო ორი გარემოებით: 60-იან წლებში საქართველოში მდგომარეობის გაუმჯობესებით და რუსეთის მთავრობის პოლიტიკით. საქმე ისაა, რომ რუსეთის მთავრობა არავითარ დაბრკოლებას არ უქმნიდა ტყვეობიდან თავდახსნილ ქართველებს სამშობლოში დაბრუნების საქმეში. რუსეთის ჯარმა ბევრი ქართველი ტყვე დაიხსნა, ხოლო მთავრობამ უზრუნველყო მათი სამშობლოში დაბრუნება. საინტერესოა ისიც, რომ იყო ცალკეული შემთხვევები, როცა რუსეთის მთავრობის მოხელეები გამოისყიდნენ ხოლმე ქართველს და ათავისუფლებდნენ. რუსეთის მთავრობა ეხმარებოდა ქართველებს ტყვეობაში მყოფი ნათესავების მოძებნისა და გამოხსნის საქმეშიც.

XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში ქართველი ტყვეები დაღესტნიდან, ჩეჩნეთიდან, ყაბარდოიდან და ყირიმიდან რუსეთში გარბოდნენ, რომელთაც რუსეთის მთავრობა დიდ დახმარებას უწევდა სამშობლოში დაბრუნების საქმეში; რაც ხელს უწყობდა ქართველი საზოგადოების ყველა ფენაში რუსეთისადმი ნდობის განმტკიცებას.

ერეკლე მეფე დიდად აფასებდა რუსეთის მთავრობის ამ ღონისძიებას, ამის საუკეთესო დასტურია 1770 წლის შემოდგომაზე ქერიმ-ხანისათვის გაგზავნილი ერეკლე მეფის წერილიც, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ლეკები და ახალციხის ფაშა ქვეყანას

ანგრევენ, სულთანი მეფის საჩივარს ყურად არ იღებდა; არც „სპარსეთს დაუდვია ჩემს ჭრილობაზე მალამო“, არც სხვა სახელმწიფოს, ახლობელს თუ შორეულს ჩემთვის დახმარება არ აღმოუჩენია, მხოლოდ რუსეთის იმპერატორი ეხმარება ქართველ ტყვეებს და მისი წყალობით ბრუნდებიან ისინი სამშობლოში და რუსეთთან კავშირს როგორ გააწყვეტო.

რუსეთის ქართულ კოლონიებს 60-70-იან წლებში ქართველ თავადაზნაურთაგან ძალზე ცოტა შეემატა. ესაა ერეკლეს პოლიტიკის უკმაყოფილო იესე მეფის შთამომავალი: ივანე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი (დიდი სარდლის პეტრე ბაგრატიონის მამა), იესეს ქვრივი მარიამი და მისი შვილიშვილი დიმიტრი ბაგრატიონი და სხვ. გადასახლება, ძირითადად, 1766-1768 წლებზე მოდის, რაც იმით უნდა იყოს გაპირობებული, რომ 1765 წლის შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ ერეკლეს ეჭვები უნდა გაზრდილიყო ბაგრატიონთა ქართლის შტოს შთამომავლებზე და მათაც, ალბათ, ემინოდათ ხიფათს არ გადაყროდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ მეფის მთავრობა, როგორც მასალებიდან ჩანს, საგანგებოდ არავის ეპატიჟებოდა და არც ხალისით ხვდებოდა, თუმცა თავშესაფარზე უარსაც არ ეუბნებოდა.

ასე რომ, XVIII საუკ. 60-70-იან წლებში რუსეთში ქართული კოლონიების ზრდის საქმეში ტყვეობიდან თავდახსნილ და საქართველოდან გადასახლებულთა წილი უმნიშვნელო იყო.

რაც შეეხება ქართველ კოლონისტთა სამშობლოსადმი დამოკიდებულების საკითხს, აქ არსებითად იგივე მდგომარეობა გვაქვს, რაც 60-იანი წლების დასაწყისში გვქონდა. კოლონისტთა დიდი ნაწილი რუსეთის სამსახურში ჩადგა და თავდადებით ემსახურებოდა ახალ სამშობლოს, საქართველოს ამბებიდან შორს იდგა; მეორე ნაწილი — ისევე სამშობლოზე ფიქრობდა, ერეკლესადმი ერთგული რჩებოდა და ინფორმაციასაც აწვდიდა; მესამე ნაწილი — ძალზე უმნიშვნელო, ერეკლესადმი მტრობაზე ხელს არ იღებდა, თუმცა ალექსანდრე ბაქარის ძის შერისხვამ მათ თავგზა აუბნია. შემდეგ ამ ჯგუფს შეემატა ალექსანდრე ამილახვარი, რომელმაც 70-იანი წლების მიწურულიდან აქტიური ბრძოლა გააჩაღა.

საარქივო მასალებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ XVIII საუკუნის რუსეთის ქართულ კოლონიებში (პირველ რიგში მოსკოვის) სწავ-

ლა-აღზრდის საქმე მაღალ დონეზე იდგა. ცხადია, ქართველი ახალგაზრდობა სწავლა-განათლებას რუსულ სასწავლებლებში იღებდა, მაგრამ კოლონიებში საოჯახო აღზრდაც (იქნებ კერძო სკოლებიც არსებობდა) საგანგებო ყურადღების საგანი ყოფილა, ამიტომ XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში მოსკოველი, თუ ყიზლარელი ქართველი ახალგაზრდები, რუსულთან ერთად, შესანიშნავად ფლობდნენ მშობლიურ ენასაც. სწორედ ამის წყალობით რუსეთ-საქართველოს ოფიციალურ ურთიერთობისას გამოიღვენა შუალედური უცხოური ენები (ბერძნული, თურქული, სპარსული) და მათი ადგილი ქართულმა დაიკავა.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდა მთარგმნელთა მთელი პლეადა: ძმები ამილახვრები, ანტონ მოურავოვი (თარხან-მოურავი), დავით აბაზაძე, ივანე ფიცხელაური და სხვებმ რომლებიც საკმაოდ კარგად ფლობდნენ ორივე ენას და თარგმნიდნენ, როგორც ქართულიდან რუსულად, ისე რუსულიდან ქართულად. 60-70-იან წლებში შეიქმნა დ. გურამიშვილის პოეტური შედევრების ნაწილი, გ. ბაგრატიონის თხზულებები და სხვ. გრძელდებოდა წიგნების ქართულად თარგმნა და ბეჭდვა, რომელთა ნაწილი საქართველოშიც იგზავნებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველ კოლონისტთა ნაწილი 60-იან წლებში აგრძელებდა საგანმანათლებლო საქმიანობას ჩრდილო ოსეთში (არქიმანდრიტი გრიგოლი და სხვ.), რომელიც 40-იან წლებში დაიწყო.

ქართველი კოლონისტთა უმეტესი ნაწილი რუსეთის სამხედრო სამსახურში იყო, რომლებიც, ქართულ ჰუსართა პოლკის გარდა, რუსეთის არმიის სხვა ნაწილებშიც მსახურობდა. მათგან აღსანიშნავია მოსკოვის ობერკომენდანტი გენერალი ათანასე ბაგრატიონი, პოლკოვნიკი ივანე ვახუშტის ძე ბაგრატიონი, პოდპოლკოვნიკი ნიკოლოზ რატიევი (რატიშვილი), პოდპოლკოვნიკი სიმონ ჩოლოყაევი (ჩოლოყაშვილი), პოდპოლკოვნიკი დავით აბაზაძე და სხვ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველი კოლონისტები, რომლებმაც რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს, სამსახურს მოვალეობის მოხდის ან ჯამაგირის მიღების კუთხით აღარ უყურებდნენ, ისინი მთელ თავიანთ ნიჭს მეორე სამშობლოს კეთილდღეობას ახმარდნენ, მისი ძლიერებისათვის იღვწოდნენ. ამის მაგალითია პოდპოლკოვნიკ ს. ჩოლოყაშვილის, სიმაგრეთა მშენებლისა და არტილერიის ახალი იარაღების შემქმნელის, მოღვაწეობა.

ქართველ კოლონისტთა ნაწილი სამოქალაქო სამსახურში იყო: ძმები ამილახვრები, ა. თარხან-მოურავი (სამხედრო სამსახურისათვის თავის დანებების შემდეგ), ი. ფიცხელაური, სერგი ლაშქარევი (ბიბილური) და სხვ.

XVIII საუკუნის 60-70-იანი წლებში ქართველ კოლონისტთა ნაწილს რუსეთის დიპლომატიური დოკუმენტების მთარგმნელებად იყენებდნენ: ამილახვრებს, დ. აბაზაძეს, ა. თარხან-მოურავს, ი. ფიცხელაურს და სხვ. საქართველოსთან კავშირის დასამყარებლად იყენებდნენ არქიმანდრიტ გრიგოლს, ხოლო სერგი ლაშქარევის, როგორც ენების მცოდნესა და მოხერხებულ კაცს, თავი გამოუჩინია კონსტანტინოპოლში რუსული საელჩოს დაპატიმრების შემდეგ, რის თაობაზე ა. ობერსკოვი საგანგებოდ მოახსენებდა მთავრობას და ითხოვდა მის დაჯილდოებას. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, როცა რუსეთმა მიიღო უფლება თავისი რეზიდენტი ყოლოდა მოლდავიისა და ვალახიის სამთავროებში, პირველ რეზიდენტად ს. ლაშქარევი დაინიშნა.

რუსეთის ქართული კოლონიები დახმარებას უწევდნენ და იკვლავდნენ სამშობლოდან გადახვეწილ თანამემამულეებს. ეს კარგად ჩანს იესე მეფის ქვრივის და მისი შვილიშვილის დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონის მაგალითზე და სხვ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს კოლონიები ფეოდალური ეპოქის ცოცხალი ორგანიზმები იყვნენ, ამიტომ ეპოქის დამახასიათებელი ყველა ნიშანი თავს იჩენდა: ქიშპი ქონების თაობაზე (ბატონიშვილებს შორის), კლასობრივი ბრძოლა და სხვ.

რუსეთის ქართული კოლონიების წყალობით ქართველები რუსეთის ცხოვრებას, კულტურას და ადათ-წესებს ეცნობოდნენ, ხოლო რუსები — ქართველთა კულტურას, ხასიათს და ცხოვრების წესს. ეს ხელს უწყობდა რუსი და ქართველი ხალხების შემდგომ დაახლოებას.

ჩვენი ავტორები**გვანცა ვახტანგის ასული კოპლატაძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბიზანტიანიტი; ავტორია მონოგრაფიებისა: ლიტერატურისმცოდნეობა არისტოტელეს მოძღვრებაში (1986), ქრისტიანული ეკლესიის ისტორია (მეხუთე გამოცემა, 2012), ცხოვრება და მოქალაქეობა წმ. ილია მართლისა (2006) და სხვ.; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა; ძვ. ბერძნულიდან თარგმნილი აქვს სამი ბიბლიური წიგნი და რამდენიმე პატრისტიკული თხზულება.

ჯურაბ ლომთის კი ცუცქვირიძე

პედაგოგიის მეცნიერებათა დოქტორი. ავტორია მონოგრაფიებისა: წიგნი და საჭრეთული (პროფესიული განათლების პედაგოგიკური ასპექტები, 1985), განათლების ორგანიზაციისა და მართვის მეცნიერული საფუძვლები (1991), ლექციების კურსი პედაგოგიკაში (I ნაწ., აღზრდის თეორია, 1997), ლექციების კურსი პედაგოგიკაში (II ნაწ., განათლებისა და სწავლების თეორია, 1999), ლექციების კურსი სამხედრო პედაგოგიკაში (2001), განათლების თანამედროვე თეორიები (2005), განვითარებული ქვეყნების საგანმანათლებლო კონცეფციების შედარებითი ანალიზი (2009); 500-ზე მეტი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

ბრიგოლ ნიკოლოზის კი რუსაძე

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პატროლოგი; ავტორია მონოგრაფიებისა: ღმრთის შეუქმნელ და შექმნილ ხატთა გაგებისათვის (2000), მსოფლიო საეკლესიო კრებები/დოგმატური ღმრთისმეტყველება (მესამე გამოცემა, 2008), საღმრთისმეტყველო ლექსიკონი-ცნობარი (2010) და სხვ.; სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილებისა.

მლდარ მირიანის კი გუბულაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

– მუშაობს საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხებზე. მისი ნაშრომები დაბეჭდილია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. იგი ავტორია 170 ნაშრომისა, მათ შორის 11 მონოგრაფიისა. გამოქვეყნებული შრომებიდან აღსანიშნავია შემდეგი მონოგრაფიები: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე, თბ., 2002, რომლის მეორე გამოცემა განხორციელდა 2011 წელს; ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის საკითხები, თბ. 2004; საქართველოს ეკლესიის სიტყმინდებები, თბ., 2007; მისი ინგლისური თარგმანი გამოიცა 2010 წელს; ორსაუკუნოვანი საქართველოს ეკლესიის ისტორია, თანავტორობით ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა ინგლისში 2006 წელს. საქართველოს ისტორიისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის კურსს კითხულობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

მაჭუკა ავთანდილის კი ცუცქვირილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; ავტორია მონოგრაფიებისა: დღევანდელი და ქართული ფოლკლორი (2005), ქალის სახე ქართულ ფოლკლორში (2006), ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს საგანძური (2006), ლეო კვაჭაძე — ქართული ენის ამავდარი (2008), ჩემი პატრიარქი (2009) და სხვ.; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

ბორის შაქროს კი დარჩია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. 1960-2006 წლებში მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. გამოცემული აქვს ცხრა წიგნი: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით (1975); ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა (1986); იაკობ შემოქმედელი (2009); რუსთაველოლოგიური გამოკვლევები (2010); ბაგრატ ბატონიშვილი (მწერლის თხზულებითურთ), (2011); საღალღობო და ნაღვლიანი ამბები (2012) და სხვა.

გიორგი ბიძინას კი გოგოლაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ენათმეცნიერი; ავტორია მონოგრაფიებისა: ქართული ზმნის უღვლილებების სისტემა (1988), ქართული სალიტერატურო ენა (ისტორია და თანამედროვეობა), (2009), ბუდი ქართული ენისა ათასწლეულთა მიჯნასთან (2009), ქართული ზმნა

(2010), იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი და ცხოვრების გზა (2011) და სხვ.; 300-ზე მეტი სამეცნიერო და კრიტიკულ-პუბლიცისტური ნაშრომისა.

ბრანდი ემელიანუს კე ქავთარია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ავტორია მონოგრაფიებისა: ძმები გრაკაძეები(1990), ჰანიალი(1979), სამეაროს შვიდი საოცრება (1996), ფარნავაზი (1999), აზონი (2000), ქუჯი (2000), ძველი საბერძნეთი (2005), სერტორიუსი (2003); მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

ნიკოლოზ ალექსანდრეს კე ბერძენიშვილი (1894-1965)

ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1943), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946). მისი ცნობილი შრომებია: "ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში" (1937), "ნარკვევი XIII-XVI საუკუნეები საქართველოს ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ისტორიიდან" (1938, რუსულ ენაზე), "რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე" (1944), "XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან" (1944), "კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში" (1955), "საქართველოს ისტორია" (1943-1960, თანავტორი და რედაქტორი) და სხვ. 1947 წელს ნიკო ბერძენიშვილს ი. ჯავახიშვილთან და ს. ჯანაშიასთან ერთად საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნისათვის მიენიჭა სახელმწიფო პრემია.

ვალერიან გიორგის კე მაჭარაძე (1920-2000)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ავტორია ნაშრომებისა: „იასე ცინცაძე“ (1990), „მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“ (4 ტომად, 1968-2007 წწ.), „ასპინძის ბრძოლა“ (1957), „რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა“ (1962), „ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე“ (1968), „გიორგი ლეონიძე და რუმინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა“ (1976).

Научно-общественный журнал
«САМИ САУНДЖЕ» (Три сокровища) №1 (15), 2015
(на грузинском языке)

РЕЗЮМЕ

ЗУРАБ ЦУЦКИРИДЗЕ БЛАГО И НЕБЛАГОДАРНОСТЬ

Может быть невежественным в вопросах истории или же неблагодарным и даже чуть слабоумным, чтобы не заметить, что Грузия смогла выжить, и духовно и физически, вследствие присоединения к России. До воссоединения с Россией в Грузии не было ни одной земской школы. На основе положения 1786 года Министерства Образования России в Грузии начали открываться «народные учебные заведения». В Тбилиси первое такое училище открылось в 1802 году, в котором зачислили 45 ученика. В этом же году утвердили устав училища. Это была сословная школа, в которой учились дворянские дети. В 1804 году открылось «Тбилисское училище для благородных детей», где наряду с дворянскими детьми, обучались дети духовенства, ремесленников и купцов. В 1830 году оно было преобразовано в классическую гимназию. В 1817 году открылась Духовная семинария шестилетним курсом обучения. Она существовала ровно 100 лет (до 1917 года) и воспитала многих известных людей. В 1835 году в Грузии насчитывалось 90 школ всех типов, где учились 1800 ученика. В 1851 году в Грузии уже было три гимназии: Тбилисская и Кутаисская гимназии и Тбилисская коммерческая гимназия. В этих трех гимназиях обучались 787 ученика. В 139-ти училищах всех типов учились 5554 ученика. В сококовых годах XIX в. в Грузии осуществились значительные культурные мероприятия. В 1850 году был основан грузинский театр, а в 1851 году – грузинский журнал «Цискари», открыли несколько учебных заведений и т.д.

Одним из самых популярным учебным заведением в Грузии являлась Тбилисская Духовная Семинария. В этой семинарии готовили не только духовных лиц. Здесь учились такие известные деятели, как Платон Иоселиани, Габриел Кикодзе, Димитри Бакрадзе, Иакоб Гогешаши, Нико Цхведадзе, Тедо Жордания, Авксенти Цагарели, Даниел Чонкадзе, Лавренти Ардазиани, Нико

Ломоури, Иосеб Сталини, Софром Мгалоблишвили и другие. В 1894 году в Кутаиси открыли Духовную Семинарию, которая внесла значительный вклад в подготовке педагогов. В 1879 году было основано «Общество по распространению грамотности среди грузин», которое возглавляли известные грузинские общественные деятели. Это общество открывала и финансировала школы и библиотеки по всей Грузии. Естественно, эффективность его деятельности обуславливала поддержка власти. Вследствие такой образовательной политики в XIX в. создается и развивается грузинская литература, наука и искусство. Венцом этого просветительского прогресса явилось основание грузинского университета в 1918 году и все это было осуществлено в течение одного века в составе Российской Империи.

Что касается жизни в Советском Союзе, модернизированной Российской Империи, неудобно даже говорить о достижениях Грузии в плане социально-культурного развития и формирования национального сознания. В 70-ые годы прошлого века в Грузии функционировали свыше трех тысяч школ. Школы были открыты даже в самых маленьких селениях; К концу прошлого века в Грузии было около двадцати университета и института, где подготавливали специалистов по всем существующим к тому времени профессиям. Вот, на основе такой широкой сети высшего образования функционировала Академия Наук Грузии со всей системой научно-исследовательских институтов.

А какой резонанс был в то время у грузинской науки в мировом масштабе, об этом свидетельствует участие грузинских ученых в тех международных симпозиумах и конференциях и международные оценки из вклада в развитие той или иной отрасли науки.

ГВАНЦА КОПЛАТАДЗЕ ПОСЕЛЕНИЕ АРМЯН В САМЦХЕ-ДЖАВАХЕТИ В 30-ЫЕ ГОДЫ XIX ВЕКА

Коренным населением южной Грузии, т.н. верхней Картли, то есть Месхети исстари являлись грузины. Демографическая картина не изменилась и после того, как турки захватили этот край и установили свое правление. Изменения начались с 1830 года, когда Россия, победив в Русско-Турецкой войне 1828-29 гг.,

присоединила часть Ахалцихского ханства к Грузии. Основной причиной этих изменений стали обращенные в мусульманство месхетинцы, точнее, их отказ от своей национальности. Дело в том, что в этой войне большинство из них воевали на стороне Турции и после поражения турок, предпочли выселиться с родных мест и переселиться в Турцию, чем воссоединиться с Родиной и жить в Христианской империи. По вполне понятной причине правительство России и командование российской армии не стали препятствовать этому процессу: в приграничном регионе Турции Российской Империи невыгодно было иметь враждебно настроенное население; Ей необходимо было иметь верноподданное население, которое, исходя из собственных интересов, защищала бы и интересы Империи.

После рассмотрения многих вариантов, правительство России окончательно решило переселить проживающих в Турции монофизитов армян, которые в Русской-Турецкой войне помогали русской армии, и дать им право поселиться в в границах Империи, ибо, в противном случае, турецкая сторона стала бы им жестоко мстить.

ГРИГОЛ РУХАДЗЕ СЧАСТЛИВЫЕ РАБЫ ГЛОБАЛИЗАЦИИ

Автор статьи обосновывает, что назначением в Украине на высокие правительственные посты известных представителей «Единого национального движения» - А.Квиташвили, Е. Згуладзе, З.Адеишвили, М. Саакашвили - стало ясно, что в Грузии правящая команда националов на протяжении девяти лет руководствовалась инструкциями преступной международной организации. Осуществлённые националами реформы, по своей сути соответствующие идеологии глобализма, целенаправленно уничтожили систему образования, отрасли науки и отдельные сферы культуры; Помимо того, что националы овладели всеми управленческими рычагами масс-медиа, они еще и утвердили, в особенности, на телевизионных каналах, аморальный, антихристианский и анти национальный дух; Не осталось ни одной национальной святыни, памятника или мемориала, которой не коснулась бы карающая рука местных адептов глобализации.

Несмотря на то, что представители элиты «национального движения» с рабской смиренностью выполняют все антигосударственные задания, их заблудшие души все же находятся в ожидании счастья, который подарит им Мамон. Однако измена родине не оправдала их ожидания и они сами же вынесли себе приговор. Хотя и проведенная 21 марта акция была запланирована, якобы, для восстановления глобалистического порядка (другими словами, ввести страну в состояние хаоса), однако грузинский народ не пожелал вернуться в огненную геену националов и, как видно, если этого потребует необходимость, раздует пламя над головами вурдалаков с метлой!

ЭЛДАР БУБУЛАШВИЛИ
КОНСТАНТИНЕ ГВАРАМАДЗЕ - ЗАЩИТНИК ДРЕВНОСТЕЙ
(один неизвестный документ)

В статье рассмотрена деятельность известного просветителя, общественного деятеля конца XIX и начала XX вв., уроженца южной Грузии (Месхети) Константине Гварамадзе; Отмечается его вклад в спасении древне-грузинского культурного наследия. С целью спасения существующих в Месхети памятников старины, он в Ахалцихе основал краеведческий музей. К.Гварамадзе устраивал этнографические экспедиции и сохранившимися древностями пополнял музейные экспонаты. Он пожертвовал музею неопубликованные рукописи своего отца, Иване Гварамадзе и основал отдел рукописей музея.

Автор статьи в архиве Министерства Внутренних Дел обнаружил датированный 1936 годом документ, который Константин Гварамадзе послал руководителям правительства Грузии. В документе он описывает сложное положение, существующее в Ахалцихе и Ахалкалаки в 20-30 годы XX в. В обращении разоблачается анти грузинская деятельность местных армянских дашнаков и командированных из Еревана националистов.

Обращение К.Гварамадзе не нашло отклика, но поставленные в обращении проблемы и в настоящее время являются актуальными. Некоторые армянские ученые и духовные лица и сегодня пытаются присвоить древние грузинские соборы. С этой целью они не гнушаются исказить исторические факты.

МАМУКА ЦУХИШВИЛИ
ГАЙОЗ РЕКТОР
«Нет слаще ничего, чем любовь отчизны»

Деятельность известного грузинского церковного деятеля, оратора, проповедника и просветителя Гайоза Ректора совпала с наиболее важной эпохой для Грузии. Не было ни одной отрасли в духовной или же мирских дисциплинах, где не высказал бы своего мнения. Помимо того, основал и возглавил Телавскую Духовную Семинарию, он в различный период руководил епархиями Русской Церкви, был переводчиком. Важным достижением его деятельности считается упрочнение русско-грузинской дружбы. Восторг, вызванный заключением Георгиевского Трактата, он выразил в произнесенной 20 августа в Сионском Патриаршем Соборе проповеди. Гайоз Ректор подчеркнул судьбоносное значение политического решения царя Ерекле для грузинского народа в плане не только физического, но и духовного спасения.

БОРИС ДАРЧИА
НАУКА И ЧЕСТНОСТЬ

В статье опровергается обвинение Ростома Чхедзе, согласно которому, научное наследие Павле Ингорква, якобы, игнорировали, его преследовали власть и, в частности, Александр Барамидзе.

ГИОРГИ ГОГОЛАШВИЛИ
ДАВИД КЛДИАШВИЛИ И ГРУЗИНСКИЙ ЯЗЫК

У грузинских писателей классиков уникальное отношение к грузинскому языку. По их мнению, язык является важнейшим орудием писателя, фундаментом литературы. Ясно, что исключением не является и Давид Клдиашвили. В отличии от других писателей, Д.Клдиашвили никогда не писал критическо-публицистическую статью о грузинском языке, однако его творчество и, в особенности, мемуары писателя – «На жизненном пути», дают богатый материал для осмысления этой темы. Давид

Клдиашвили, как правило, не обостряет внимания на внешний вид личности, внешнюю красоту. По его мнению, красота, обаяние человека, находит отражение в его речи – как разговаривает по грузински, какой собеседник, каким голосом и тембром обладает... обобщенное отношение писателя к грузинскому языку можно усмотреть в этих словах: «Грузинский язык благозвучен, он в совершенстве выражает любые человеческие помыслы, его мышление».

ГРАНИ КАВТАРИЯ СЕМЬ МУДРЕЦОВ

Выдающихся деятелей конца архаичного периода древние греки называли мудрецами. Их было около двадцати, однако статус мудреца закрепился только за семью из них. Провозглашенные мудрецами отличались широкой эрудицией, образованностью и политическим мышлением. Их деятельность оказала решающую роль на политическую, экономическую и культурную жизнь Эллады.

НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ ЭРА ГОСПОДСТВА ТАТАР Тезисы

Трудно найти другую такую страну, на долю которой выпало бы столько нашествий, вторжений, захвата и разорения, сколько на протяжении своей длительной истории перенесла Грузия. Многие могучие государства исчезли с лица земли и многие культурные нации вымерли окончательно. А грузинский народ смог противостоять бесчисленным бедствиям; Беспримерным героизмом защитил он свою национальную самобытность. В данной статье описывается героическая борьба грузинского народа против монголо-татарских завоевателей в XIII-XIV веках. Монголо-татары вышли из северо-восточной Азии. Их предводителем, объединителем многих племен и первым великим ханом был Чингисхан. Особая мощь татар, их странность, нескончаемая вражда между христианами и

мусульманами, обостренная классовая борьба внутри феодального общества способствовала победе захватчиков и стоящая на более высоком культурном уровне Грузия (вместе с другими соседними странами) оказалась под игмом татар. Грузия не могла смириться с участью поработанного. В душе грузинского народа не угасал огонь ненависти к захватчикам. Пламя восстания охватывала то одну часть Грузии, то другую. Однако враг разными коварными средствами подавлял сопротивление грузин.

В 1327 году, когда в ханстве началась смута, грузинский царь, сын Димитрия Самоотверженного, Гиоргий воспользовался благоприятными условиями и прекратил выплачивать дань татарам. Карательное войско врага было беспощадно разбито грузинами и тем самым, закончилось столетнее господство татар.

ВАЛЕРИАН МАЧАРАДЗЕ РУССКО-ТУРЕЦКАЯ ВОЙНА В 1768-1774 ГОДАХ И ГРУЗИЯ Тезисы

Ключевым вопросом рассмотренной темы является подстроена генералом Тотлебенем авантюра, которая в научной литературе иногда оценена односторонне - как целенаправленным политическим действием Российского государства. В действительности, Тотлебен провалил не только русско-грузинский совместный поход по направлению к Ахалцихе, но и помешал осуществлению плана царя Ерекле по созданию большой коалиции против Турции, чем навредил не только интересам этих народов и Грузии, но и интересам Российского государства. Факт, что назначением Тотлебена, бывшего иностранного шпиона, на такой сложный и ответственный пост, как командование посланной в Грузию армии, Российское правительство допустило непоправимую ошибку, чем сильно навредила не только государственным интересам собственной страны, но и интересам Грузии.

Scientific and Social Journal
 „SAMI SAUNJE“ (Three Treasures) №1 (15), 2015
 (in Georgian)

SUMMARY

ZURAB TSUTSKIRIDZE BENEFICENCE AND INGRATITUDE

A person who cannot see the fact that by accession to Russia Georgia was able to survive both spiritually and physically must not know the history or be very ignorant and ungrateful. Before unification with Russia, there were no public schools in Georgia. By 1786 provisions of the Ministry of Education of Russia, public schools began opening up. First such school opened up in Tbilisi in 1802 with 45 students. The same year, the school curriculum was approved. This school was an upper-class establishment attended by the children of the aristocracy. In 1804 “Tbilisi School of Nobles” opened up. It was attended by the children of the clergy, craftsmen and merchants along with the children of the aristocracy. In 1830, it was converted to a classic gymnasium (classic school). In 1817, a six-year Theological Seminary opened up. It existed exactly 100 years (until 1917) and has brought up many known people. In 1835, in Georgia there were 90 schools of all types with 1800 students. In 1851, Georgia already had three gymnasiums: Tbilisi and Kutaisi classic gymnasiums and Tbilisi commercial gymnasium. These were 787 students enlisted in these three gymnasiums. In 139 schools of all types, 5554 disciples were enlisted. In the 1940s, significant cultural events took place in Georgia. In 1850, Georgian theatre was founded, in 1851 a Georgian magazine “Tsiskari” was established, several educational institutions opened up, etc.

One of the most popular educational institutions in Georgia was Tbilisi Theological Seminary. This seminary produced not only clerics but also such prominent figures as Platon Ioseliani, Gabriel Kikodze, Dimitri Bakradze, Iakob Gogebashvili, Niko Tskhvedadze, Tedo Jhordania, Avksenti Tsagareli, Daniel Chonkadze, Lavrenti Ardaziani, Niko Lomouri, Ioseb Stalin, Sofrom Mgaloblishvili and others. In 1894, a Theological Seminary opened up in Kutaisi. It contributed a significant role in the training of teachers. In 1879, “The Society for the Spreading of Literacy among Georgians” was founded which was headed by

prominent Georgian public figures. This society opened and financed schools and libraries across all Georgia. Naturally, its success was the result of the support provided by the authorities. Because of this educational policy in the 19th century, great Georgian literature, science and art was developed. The climax of this educational progress was the founding of the University of Georgia in 1918. All of this took place while Georgia being part of the Russian Empire for one century.

Concerning the life in the Soviet Union, or modernized Russian Empire, it is even uncomfortable to talk about Georgia’s achievements in the socio-cultural development and the formation of national consciousness. In 70-ies of the 20th century, more than three thousand schools operated in Georgia. Schools were opened even in the smallest villages. By the end of the 20th century, Georgia had about twenty universities and the institutes where specialists were trained in all the existing fields of that time. Academy of Sciences of Georgia was based on such broad education network and operated with the entire system of scientific and research institutes.

Participation of the Georgian scientists in international symposiums and conferences and the international assessments of their work testifies to what kind of resonance Georgian science had on the global scale at that time.

GVANTSA KOPLATADZE SETTLEMENT OF ARMENIANS IN SAMTSKHE-JAVAKHETI IN THE 30-IES OF THE 19TH CENTURY

Since ancient times, South Georgia, or so-called upper Kartli, Meskheta has been populated by indigenous Georgians. The demographic picture did not change even after the Turks conquered this land and established their rule. The change took place in 1830, when Russia annexed a part of Akhaltsikhe Khanate to Georgia after defeating Turks in the Russian-Turkish war of 1828-1829. The main cause of this change was Muslimized Meskhethians deciding to renounce their nationality. The fact of the matter was that in the Russian-Turkish war, most of them fought on the Turkish side. After the defeat of the Turks, they chose to leave their homeland and move to Turkey instead of reuniting with motherland under the Christian Empire. For obvious reasons, the Russian government and the command of the Russian army did not

prevent this process. Having a hostile population in the border region of Turkey was not beneficial to the Russian Empire. Russia needed to have a loyal subject population, who along with their interests would protect the interests of the Empire.

After considering many options, the Russian Government decided to relocate the Armenian Monophysites from Turkey there. They had assisted the Russian army during the Russian-Turkish war. The Russian Empire gave them the right to settle in within the boundaries of the Empire, which would prevent their brutal punishment by Turks.

**GRIGOL RUKHADZE
HAPPY SLAVES OF GLOBALIZATION**

The author confirms that the appointment of known representatives of the “United National Movement” - A.Kvitashvili, E.Zguladze, G. Getsadze, Z. Adeishvili, M. Saakashvili in Ukraine to high government positions made it clear that Georgia’s ruling National Movement team of nine years was guided by a criminal international organization. Globalist reforms carried out by nationals destroyed the education system, science and culture. The Nationals obtained managerial positions of mass media and established immoral, anti-Christian and anti-national spirit, especially on TV. There were no national shrines, monuments or memorials left untouched by the punishing hand of local followers of globalization.

Despite the fact that the members of the elite “National Movement” obediently fulfilled all anti-state tasks, their lost souls are still awaiting happiness, which only Mammon will grant. However, their intended treason has failed, and they have rendered themselves a verdict. Even though March 21st event was planned ostensibly to restore globalist order (in other words, to cause chaos in the country), the Georgian people did not want to go back into the Nationals’ Gehenna. Moreover, if necessary “fire will ignite over the heads of Ghouls on brooms!”

**ELDAR BUBULASHVILI
KONSTANTINE GVARAMADZE - DEFENDER OF ANTIQUITIES
(One Unknown Document)**

The article describes the activities of a well-known educator and a

public figure of the late 19th and early 20th centuries, a native of southern Georgia (Meskheta) Konstantine Gvaramadze. The article speaks about his contributions to save the ancient Georgian cultural heritage. In order to preserve the existing Meskhetian art effects, he founded Akhaltsikhe Museum of local lore. He arranged ethnographic expeditions to collect antiquities which he exhibited in the museum. He donated unpublished manuscripts of his father, Ivan Gvaramadze to the museum and thus founded the department of manuscripts.

The author of the article found a document dated 1936 in the archives of the Ministry of the Interior that Konstantine Gvaramadze sent to the leaders of the Georgian Government. In the document, he describes the difficult conditions of Akhaltsikhe and Akhalkalaki in 20-30s of the 20th century. The appeal exposes anti-Georgian activities of the local Armenian Dashnaks and other Armenian nationals from Yerevan.

K.Gvaramadze’s appeal received no response, but the same problems are still relevant. Even today, some Armenian scientists and ecclesiastics make claims on ancient Georgian cathedrals. To this end, they do not hesitate distorting any historical facts.

**MAMUKA TSUKHISHVILI
GAYOZ RECTOR**

“There is Nothing Sweeter than the Love of the Motherland”

The activities of a famous 18th-19th century Georgian church leader, speaker, preacher and educator Gayoz Rector coincided with the most important era of Georgia. Gayoz Rector had voiced his opinion in almost every field of spiritual or secular disciplines. He founded and headed Telavi Theological Seminary. At times, he supervised dioceses of the Russian Church and worked on some translations. Strengthening the Russian-Georgian relationship should also be considered as an important achievement of his life. On August 20th 1783 during a sermon at Sioni Cathedral, he expressed his utmost delight about the Treaty of Georgievsk concluded between the Russian Empire and the East Georgian kingdom of Kartli-Kakheti. Gayoz Rector emphasized that King Erekle’s political decision had a crucial importance on Georgian people’s not only physical, but also spiritual salvation.

BORIS DARCHIA

SCIENCE AND INTEGRITY

The article refutes Rostom Chkheidze's allegations that Pavle Ingorokva's scientific heritage was ignored. It denies that the authorities and specifically Alexandre Baramidze opposed it.

GIORGI GOGOLASHVILI

DAVID KLDIASHVILI AND THE GEORGIAN LANGUAGE

Georgian classical writers have a unique attitude towards the Georgian language. According to them, the language is a writer's most important tool, the foundation of literature. David Kldiashvili is no exception. Unlike some writers, D. Kldiashvili has never written any critical and journalistic articles about the Georgian language; however, his work, particularly his memoirs "On the Path of my Life" provide rich material on this subject. As a rule, David Kldiashvili does not focus on a person's appearance, external beauty. In his opinion, a person's beauty and charm is in his speech, his tone and the use of Georgian language. The writer's overall standpoint on the Georgian language can be viewed in his words: "The Georgian language is melodious and beautiful; it perfectly expresses any person's thoughts, ideas and desires."

GRANI KAVTARIA

SEVEN WISE MEN

The Seven Sages (of Greece) or Seven Wise Men was the title given by ancient Greek tradition to seven early-6th-century BC philosophers, political leaders and law-givers. Initially, there were about twenty nominations, but only seven would achieve the Sage status. The Wise Men were renowned for their wisdom, erudition, education and political thinking. Their work played a decisive role in the political, economic and cultural life of Hellas.

NIKO BERDZENISHVILI

ERA OF TATAR RULE

Theses

It is hard to find another country that has endured as many attacks, invasions, seizures and destructions as Georgia throughout its long his-

tory. Many powerful states have perished from the face of the earth, and many nations have died out. However, the Georgian people withstood countless adversities; unparalleled heroisms of Georgian people saved their national identity.

This article describes the fearless struggle of the Georgian people against the Mongol-Tatar conquerors in the 13th-14th centuries. Mongol-Tatars came out of the north-eastern Asia. Their leader, the unifier of many tribes and their first king was Genghis Khan. The particular power of the Tatars, their oddities, never-ending struggles between Christians and Muslims, an internal feud within the feudal societies contributed to the victory of the invaders. Culturally advanced Georgia (together with other neighboring countries) came under the yoke of the Tatars. Georgia could not come to the terms of the plight of the enslaved. Hatred towards the invaders raged in the hearts of the Georgian people. Flames of rebellion started erupting in region after region in Georgia; however, the enemy kept suppressing the resistance of the Georgians by various treacherous means.

In 1327, when the Khanate was in turmoil, the Georgian king, the son of Demetrius, the Devoted, Giorgi took advantage of the favorable conditions and stopped paying tribute to the Tatars. Georgians ruthlessly defeated punitive troops of the enemy and a century long Tatar domination was brought to an end.

VALERIAN MACHARADZE

RUSSIAN-TURKISH WAR OF 1768-1774 AND GEORGIA

Theses

The key issue discussed in the thesis is General Totleben's venture. In historic documents, it is unilaterally appraised as the Russian State's purposeful political act. In fact, Totleben blocked the joint march of the Russian-Georgian army towards Akhaltsikhe. He also prevented King Erekle's plan to build a grand coalition against Turkey. By that, he harmed not only the interests of the people of Georgia, but also the interests of the Russian state. The Russian government made a fatal mistake by appointing Totleben, a former foreign spy to such a difficult and responsible position as the commander of the army sent to Georgia. This action greatly harmed the interests of Georgia as well as the public interest of Russia.

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი
„სამი საუნჯე“ №1(15), 2015

გამომცემელი შპს „სამი საუნჯე“
სამტრედია, დავით აღმაშენებლის ქ. № 409.
ელ. ფოსტა: samisaunje@sinergia.ge
ტელ.: 298-26-34, 599-19-68-23



Научно-общественный журнал
«САМИ САУНДЖЕ» (Три сокровища) №1(15), 2015
(на грузинском языке)



Scientific and Social Journal
“SAMI SAUNJE” (Three Treasures) №1(15), 2015
(in Georgian)



პატივცემულო მკითხველებო, გთხოვთ გაითვალისწინოთ,
ყოველი გამოწერილი ნომერი ჟურნალის
თანადგომასა და სამი საუნჯის დაცვას ნიშნავს.

ჟურნალზე ხელმოსაწერად დაუკავშირდით
გამაგრცელებელ სააგენტოებს —
თბილისში: „მაცნე“, 214-74-22; „ელვა.ჯი“, 238-26-73(74);
აგრეთვე შეგიძლიათ თანხა (7 ან 14 ლ.)
ჩარიცხოთ შპს „სამი საუნჯის“ ანგარიშზე:
TBCBGE 22, GE18 TB79 6263 6060 1000 01
და ჟურნალი თქვენს მისამართზე მოგეწოდებათ;
ხოლო რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და
რაიონების ფილიალებს დაუკავშირდეთ ჩვენს ვებ-გვერდზე
მითითებული ნომრების საშუალებით.

ხელმონერილია დასაბეჭდად 07.04.2015. ტირაჟი 300.

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანის“ სტამბაში.
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., 47.

ფასი 3,50 ლ.



ISSN 2233-338X

www.sinergia.ge; samisaunje@sinergia.ge